ბესტსელერების ავტორი

ჯონ ბევირი

მიახლოება

ღმერთთან ახლო ურთიერთობაში ცხოვრება

ძვირფასო მეგობარო,

ბიბლია უამრავი დიდებული დაპირებით სავსეა. ყველა მათგანი ჭეშმარიტია და ყველაში დევს ჩვენი ცხოვრების შეცვლის პოტენციალი, თუმცა ერთი საოცარი აღთქმა მათგან გამოირჩევა – ღმერთს თქვენი ახლოს გაცნობა სურს!

იაკობის წიგნში ოდესმე არსებულთაგან უდიდეს მოპატიჟებას ვპოულობთ – *„მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ“ (4:8)*. ერთი წუთით შეჩერდით და ამაზე დაფიქრდით! სამყაროს, დედამიწისა და ყველა მისი მკვიდრის შემოქმედი თქვენთან ყოფნას ითხოვს. მას მხოლოდ ეს არ აკმაყოფილებს, არამედ ძალზე ახლოს მოსვლა სურს, რადგან წერილი გვეუბნება, რომ ღმერთს დაშურებით სწადია ჩვენთან ურთერთობა.

სამყაროს შემოქმედის წარმოუდგენელი და უცვლელი მოწვევა არ გულისხმობს მხოლოდ შორიდან თაყვანისცემას სიტყვებით და რიტუალებით, არამედ მასთან ისეთი აზრიანი და ახლო ურთიერთობის დამყარებას, რომ ღვთის გულისნადები გესმოდეთ, ხოლო მას – თქვენი.

მეგობარო, მოგიწოდებ, რომ მიიღო მოპატიჟება და შეუდგე შესანიშნავ და საინტერესო მოგზაურობას ზეციერ მამასთან დაახლოებისთვის და მისი გულისნადების შესაცნობად!

თქვენი ძმა ქრისტეში.

ჯონ
JohnBevere@ymail.com

MessengerX

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

ბესტსელერების ავტორი

ჯონ ბევირი

მიახლოება

ღმერთთან ახლო ურთიერთობაში ცხოვრება

Drawing Near by John Bevere, Georgian
© 2022 Messenger International
MessengerInternational.org
Originally published in English as ***Drawing Near***
Additional resources in Georgian by John and Lisa Bevere are available
for free download and video streaming at: **MessengerX.com** and on the **MessengerX** App.
To contact the author: JohnBevere@ymail.com

This book is a gift from Messenger International and is
NOT FOR SALE

„მიახლოება“ ჯონ ბევირისგან, ქართულად
© 2022 Messenger International
MessengerInternational.org
ორიგინალი დაიბეჭდა ინგლისურ ენაზე: *Drawing Near*
დამატებითი რესურსები ქართულ ენაზე ჯონ და ლიზა ბევირებისგან მიიღეთ
უფასოდ ჩამოსათვირთი მასალებისა და ვიდეო-ნაკადის სახით: **MessengerX.com** და
ასევე **MessengerX** App.
ავტორთან კონტაქტისთვის ისარგებლეთ შემდეგი ელექტრონული ფოსტით:
JohnBevere@ymail.com

ეს წიგნი Messenger International-ის საჩუქარია და განსაზღვრული არ არის
გასაყიდად.

App Store არის Apple Inc.- ის აშშ-სა და სხვა ქვეყნებში რეგისტრირებული სავაჭრო
ნიშანი. Google Play და Google Play logo არის Google LLC- ის სავაჭრო ნიშანი.

შინაარსი

შესავალი 5
თავი 1: ყველა დროის უდიდესი შემოთავაზება.....9
თავი 2: ღვთის კვალზე სიარული.....19
თავი 3: დაიცავით შინაგანი წყურვილი!.....35
თავი 4: მისი თანდასწრებისაკენ სწრაფვა.....55
თავი 5: ფარდის მიღმა.....71
თავი 6: ღვთის მეგობრები.....89
თავი 7: რა აბრკოლებს ნამდვილ სიახლოვეს?.....113
თავი 8: ნამდვილი თაყვანისცემა.....141
თავი 9: ვისში ივანებს ღმერთი.....161
თავი 10: სულიწმიდასთან სიახლოვე.....177
თავი 11: მამის აღთქმა.....203
თავი 12: სიახლოვის ენა.....231
თავი 13: სრული დაჯერება რწმენაში.....259
თავი 14: მიახლოება.....283
დანართი ა.....295
დანართი ბ.....299

შესავალი

1991 წელს ღმერთი ძალზე ნათლად დამელაპარაკა: შვილო, მინდა, რომ წერო!

მომდევნო დღეები სავსე იყო განსხვავებული ემოციებით. ერთი მხრივ, შიშმა შემიპყრო და ჩემი გონება გარდაუვალი მარცხის აზრებით დაბომბა, მეორე მხრივ კი, გულიანად გაცინების სურვილი გამიჩნდა. წერას ვერ ვიტანდი! სკოლის პერიოდში ნებისმიერი თავისუფალი თემის წერისას ცარიელ ფურცელს საათობით ვაშტერდებოდი. შემდეგ სატ-ის გამოცდებზე ვერბალურ ნაწილში ჩავფლავდი. ლიტერატურისადმი უკიდურესმა ზიზღმა საინჟინრო საქმის შესწავლისკენ მიბიძგა.

ახლა კი ღმერთი წერას მთხოვდა. ეს შეუძლებელი გახლდათ! ალბათ, მომესმა. ვყოყმანობდი და არაფრის კეთებაში ათი თვე გავიდა. ამის შემდეგ ღმერთმა ორი სხვადასხვა შტატიდან ორი ქალბატონი გამომიგზავნა ორი კვირის შუალედით და ორივემ ერთი და იგივე მითხრა. მათ თავაზიანად, მაგრამ მტკიცედ შემაგონეს:

მიახლოება

– ჯონ, თუ არ დაწერ წიგნებს, რომლებიც უფალმა მოგცა, ამ დავალებას სხვა მისცემს, შენ კი გასამართლდები!

როცა მეორე ქალმა დაილაპარაკა, უფლის შიშმა მომიცვა და დამაძლევინა წერის შიში და ზიზღი. საქმეს შევუდექი. მახსოვს, რა მოხდა, როცა დამორჩილების გადაწყვეტილება მივიღე. აზრები სწრაფად მოდიოდა ბეჭდვისას, რაზეც ადრე არასოდეს მიფიქრია ან გამიგონია. მალევე გავიაზრე, რომ ეს ჩემი კი არა, ღვთის სათქმელი იყო. იმ დღის შემდეგ წლებმა განვლო. ახლა მისგან წიგნის ფორმით მოსული სიტყვა 130-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი და ათობით მილიონი ეგზემპლარია გავრცელებული მთელი მსოფლიოს მასშტაბით.პირველი წიგნის დაწერის შემდეგ ღმერთს შევპირდი, რომ წიგნს წერის სურვილის გამო არასოდეს დავწერდი. საბეჭდს მხოლოდ მაშინ მივუჯდებოდი, თუ უფალი მიმითითებდა. ამ დაპირებას გამოცდა ელოდა. იგი 1992 წლიდან 1999 წლამდე მაწვდიდა სათქმელს დასაწერად, მაგრამ *Under Cover*-ის შემდეგ სამი წელი გავიდა და ღვთისგან ერთი სიტყვაც არ მიმიღია. გამომცემლები ხშირად მეკითხებოდნენ, რა იქნებოდა ჩემი მომდევნო წიგნი და შეეძლოთ თუ არა მისი გამოცემა, მაგრამ ნაბიჯსაც არ ვდგამდი. ღვთისგან ერთი სიტყვაც არ მქონდა მიღებული.

ბოლოს, სამი წლის შემდეგ, ღმერთმა ისევ მომცა თავისი სათქმელი და ეს ის წიგნია, რომელიც ახლა ხელში გიჭირავთ. ვფიქრობ, ამ დაყოვნების მიზეზი სულიწმიდის შრომა იყო, რომელიც ჩემში უნდა განეხორციელებინა, სანამ წიგნი სათანადო სახით გადმოიცემოდა. ოცდახუთი წლის მორწმუნე ვიყავი და ღმეთთან სიახლოვის ამგვარი წყურვილი მანამდე არ მქონია. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში უფალთან ახლო ურთიერთობა ისეთ ხარისხში განვიცადე, როგორიც აქამდე არ ვიცოდი. ცხოვრებაში არასოდეს მიტირია ამდენი, რაც ბოლო თვრამეტი თვის მანძილზე ვიქვითინე. ემოციები მავსებდა სასტუმროს ნომრებში, თვითმფრინავში, ჩემს ოფისში, ავტომობილში, სახლში თუ გარეთ, რადგან სულ მიზანმიმართულ ლოცვაში ვიყავი. მისი თანდასწრების რეალობა არასოდეს ყოფილა ასე ნამდვილი და ხელშესახები.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი სულიწმიდის მიერ წლების წვრთნის ერთობლიობა გახლავთ და თქვენი, როგორც ღვთის შვილის მასთან დაახლოების გულითად მოწვევას მოიცავს. სანამ კითხვას შეუდგებოდეთ, მინდა, ერთად ვილოცოთ. ეს სიტყვები გულით წარმოთქვით და იცოდეთ, რომ თქვენთვის

შესავალი

მეც ხმამაღლა ვილოცებ ჩემს კაბინეტში. იესომ აღგვითქვა: თუ ორი ჩვენგანი „შეთანხმდება დედამიწაზე ნებისმიერ რამეზე და ითხოვენ, მიეცემათ მათ ჩემი მამისგან, რომელიც ზეცაშია“ (მათ. 18:19). მოდით, ერთად ვილოცოთ:

ზეციერო მამა, იესოს სახელით გთხოვ, რომ ამ წიგნის კითხვისას თვალები ამიხილო დასანახად, ყურები გამიხსნა მოსასმენად და მომცე ჩამწვდომი და გამგები გული! მინდა, შენთან სიახლოვეში ვიარო და მუდამ ამისკენ ვისწრაფოდე. მსურს: შენი რჩევის, ნების, საიდუმლოებების, სწრაფვის გაცნობიერება და შენს თანდასწრებაში დამკვიდრება. დაე, ამ სიტყვამ არა მარტო გაგება მომიტანოს, არამედ ჩემი ცხოვრება შენი ძვირფასი ძისა და ჩემი უფლის მსგავსებად გარდაქმნას! მან დედამიწაზე ყოფნისას სრულყოფილად წარმოაჩინა შენი დიდება იმით, თუ რაოდენ ახლოს იყო შენთან. დაე, მეც წარმოვაჩინო იესოს დიდება მასთან სიახლოვით სულიწმიდის პიროვნების მეშვეობით! ახლა შენ განდობ ამ საქმეს და წინასწარ გმადლობ ჩემი შინაგანი არსების გარდაქმნისთვის შენ მიერ შთაგონებული წიგნის მოსმენისა და გათვალისწინების საშუალებით! მადლობას გიხდი იმისთვის, რომ ჩემი ცხოვრება იგივენაირი აღარ იქნება! ამას ვლოცულობ შენს მსახურთან, ჯონ ბივერთან შეთანხმებით. ამინ.

ახლა დაიჯერეთ და მადლობა გადაუხადეთ ღმერთს თქვენს გულწრფელ ლოცვაზე პასუხისთვის. ვხარობ იმის გაცნობიერებით, რომ სულიწმიდამ უკვე დაიწყო თქვენი მიყვანა მის სიახლოვეში, როცა თქვენი ლოცვა წმიდა ტახტთან მიიტანა იმ ერთადერთის წინაშე, ვისაც ნამდვილად შეუძლია თქვენი ყოველი წყურვილის დაკმაყოფილება. დაე, ზეციერი მამა, იესო და სულიწმიდა გაცილებით რეალური გახდეს თქვენთვის, ვიდრე აქამდე იყო!

დიდი პატივისცემით,
ჯონ ბევირი

თავი პირველი

ყველა დროის უდიდესი შემოთავაზება

„ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ.“
იაკ. 4:8

არსებობს ღვთის გულიდან მომდინარე მოწოდება, არა – ღაღადი, რომელიც ყოველდღიურად მძაფრდება: „რატომ ხართ კმაყოფილი ჩემი თანდასწრების გარეშე? რატომ რჩებით ჩემგან შორს, როცა ჩემთან სიახლოვით დატკბობა შეგიძლიათ?“

ყველას გვყავს პატივსაცემი მეგობრები ან ადამიანები, რომლებთან ახლოს ყოფნაც გვინდა. მათ ჩვენს გულში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ. სასიამოვნოა მათთან დროის გატარება, განსაკუთრებით, თუ ეს მათი მოწვევით ხდება. ამ ადამიანებისგან მიღებული მოპატიჟება მოლოდინით, სიხარულითა და აღფრთოვანებით გვავსებს. ყველაფერს ვაკეთებთ ჩვენს გრაფიკში ამ დღის გამოსათავისუფლებლად და მოწვევას ვიღებთ. იაკობის წერილში ოდესმე არსებულ უდიდეს მო-

პატიჟებას ვხედავთ: „ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ“ (4:8). ერთი წუთით შეჩერდით და დაფიქრდით: სამყაროს, დედამიწისა და ყველა მისი მკვიდრის შემოქმედი გეპატიჟებათ. მას არა მარტო თქვენი მასთან ყოფნა, არამედ ძალზე ახლო ურთიერთობა სურს იმიტომ, რომ წმიდა წერილი გვეუბნება: „ეჭვიანია იგი“ (გამ. 34:14).

ეს არის ღვთის უცვლელი სურვილი. მოპატიჟება მისგან მოდის, რადგან გულით სურს, რომ მისმა შვილებმა გაიცნონ. ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ ათასობით წელი, რთული მზადება და დიდი ფასის გადახდა გახდა საჭირო, რომ ამგვარი ახლო ურთიერთობა შესაძლებელი ყოფილიყო. იოანე, იესოს ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი ამბობს:

> ღმერთი არასოდეს არავის უხილავს. მხოლოდშობილმა ძემ, მამის წიაღში მყოფმა, მან გაგვიცხადა [მან გააცხადა ის და ჩვენთვის დასანახი გახადა; მან განმარტა და გაგვაცნო იგი] (იოან. 1:18).

ადამი პირადად იცნობდა მას, მაგრამ შეცოდების ანუ დაუმორჩილებლობის შემდეგ მის დიდებულ თანდასწრებას მოაკლდა და ეს მდგომარეობა მთელ კაცობრიობაზე გავრცელდა. მამაკაცებსა და ქალებს აღარ შეეძლოთ ღვთის ხილვა ან ცნობა ისე, როგორც ადამი იცნობდა. ამის მიუხედავად, ზეციერი მამა დიდი წუხილით და თანაგრძნობით იყო სავსე ამ საშინელი დაშორებისგან ჩვენი ურთიერთობის გამოსასყიდად. საპასუხოდ, მან იესო გამოგზავნა, რომელიც თავიდანვე მამასთან იყო. ღმერთი გამოჩნდა ხორცში, რომ სიბნელიდან ჩვენი გათავისუფლების საფასური გადაეხადა და ღმერთთან შევერიგებინეთ იმ შემთხვევაში, თუ მას საკუთარ უფლად ვაღიარებდით.

და მაინც, ღვთისა და ადამიანის ხელახლა გაერთიანება მთელი სისავსით არასოდეს უქადაგიათ და განუცდიათ. ყურადღებას ვამახვილებთ ცოდვისა და სიკვდილისგან გათავისუფლებაზე, მაგრამ უგულებელვყოფთ ყველა გათავისუფლებულისთვის გამზადებულ ახლო ურთიერთობას. ეს უარყოფა ძვირი გვიჯდება და თან დამღუპველიცაა, რადგან მრავალი ცდება ღვთის ახლოს გაცნობის სილამაზეს.

ამ ტრაგედიის პარალელს ძველ აღთქმაში ვხედავთ აბრაჰამის შთამომავლების ცხოვრებაში.

ორი სრულიად განსხვავებული მოტივი

ყოველთვის მაკვირვებდა მოსესა და მისი ნათესავი ხალხის, ისრაელის ქცევის ნიმუშებს შორის არსებული სხვაობა. გამოსვლის წიგნი აბრაჰამის შთამომავლების ტანჯვის აღწერით იწყება, რომლებიც სასტიკ ტყვეობაში იმყოფებოდნენ. მათ თითქმის ოთხასი წელი გაატარეს ეგვიპტეში. თავდაპირველად კეთილგანწყობით ტკბებოდნენ, მაგრამ დიდი დრო არ გასულა, რაც მონობასა და სასტიკ ჩაგვრაში ამოყვეს თავი. გატანჯულებმა ღმერთს შეჰღაღადეს ხსნისთვის.

უფალი შეძრა მათმა ლოცვებმა და მხსნელი გაგზავნა მოსეს სახით. მართალია, იგი ებრაელი იყო, მაგრამ მონობაში არ გაზრდილა და ფარაონის სახლეული მის შვილიშვილად თვლიდა. ეგვიპტის უფლისწულს თანაგრძნობა აღუძრა ძმების ვედრებამ, მაგრამ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად უდაბნოში გაქცევა მოუხდა, რომ წლების შემდეგ დაბრუნებულიყო და ისრაელი ბორკილებიდან გამოეხსნა ღვთის სიტყვით და ძალით.

ეგვიპტის მონობიდან ისრაელის გამოხსნა ცოდვის ტყვეობიდან ჩვენი დახსნის ანალოგიურია. ეგვიპტე ამქვეყნიურ სისტემას წარმოადგენს, ისევე როგორც ისრაელი გახლავთ ეკლესიის პირველსახე. ხელახლა შობის შემდეგ ჩვენც ვთავისუფლდებით ტირანიისა და ჩაგვრის ქვეყნიური სისტემისგან.

ძნელი მისახვედრი არ არის, თუ რა სასტიკად იყენებდნენ და რაოდენ ბოროტად ექცეოდნენ ისრაელის შვილებს ეგვიპტის მოქალაქეები. მათი ზურგები ფარაონის ზედამხედველების მათრახებით იყო დასერილი; ისინი ალიზის ქოხებში ცხოვობდნენ და სხვების მონარჩენს ჭამდნენ. მათ არ ჰქონდათ მემკვიდრეობის იმედი, რადგან თავიანთი ეგვიპტელი ბატონების ქონების გამრავლებისთვის შრომობდნენ. ისინი მოთქვამდნენ, როცა ფარაონის ბრძანებით მათ ათასობით ახალშობილ ძეს სასიკვდილოდ წირავდნენ.

და მაინც, ისინი ადვილად ივიწყებდნენ ამ სასტიკ ტანჯვას. ეგვიპტიდან თავის დაღწევის შემდეგაც კი მცირეოდენი პრობლემისას ნანობდნენ, რომ იქედან გამოვიდნენ და დახსნის ლოცვებს ასეთი შენიშვნებით აბიაბრუებდნენ: „*განა უმჯობესი არ იქნება ჩვენთვის ეგვიპტეში დაბრუნება?*“ ამის თქმასაც ბედავდნენ: „ამოვირჩიოთ მეთაური და დავბრუნდეთ ეგვიპტეში“ (რიცხვ 14:4 *ავტორისეული ხაზგასმა*).

მოსეს შემთხვევაში ასე არ ყოფილა. ის ერთადერთი გახლდათ, ვინც ყველაზე კარგად ცხოვრობდა ეგვიპტეში; ფაქტობრივად, მასზე უკეთესად ქვეყნად არავინ ცხოვრობდა. იგი მსოფლიოს უმდიდრესმა ადამიანმა გაზარდა, საუკეთესოს ჭამდა და ეცვა და საუკეთესო განათლება მიიღო. მსახურები ყველა მისი საჭიროებისა და სურვილის ასრულებაზე ზრუნავდნენ, რადგან დიდი იყო მოსეს მემკვიდრეობა, როგორც სიმდიდრის, ისე დაპირების თვალსაზრისით. მან ეს ყველაფერი თავისი ნებით დატოვა, რომ ისრაელის შვილებისგან განსხვავებით, უკან არასოდეს მიეხედა და არც წარსული ცხოვრება დანანებოდა.

რაში მდგომარეობდა სხვაობა? პასუხი ასეთია: მოსე ღმერთს შეხვდა. მან ცეცხლის ალი შენიშნა და ახლოს მივიდა. იგი ცოცხალ ღმერთს შეხვდა ალმოდებულ ბუჩქთან სინას მთაზე; ისრაელი კი არ შეხვედრია! როცა უფალმა მოსეს მოუხმო, ის ახლოს მივიდა. მოგვიანებით, როცა ისრეალიანებმა კიდევ უფრო საოცარი მოწვევა მიიღეს, უკან დაიხიეს (გამ. 20:18-21).

სხვადასხვა ეკლესიების მრევლს ხშირად ვეკითხები: „სად მიჰყავდა მოსეს ისარელიანები, როცა ეგვიპტიდან გამოვიდნენ?“ როგორც წესი, პასუხი ასეთია: „აღთქმულ მიწაზე.“ თუმცა ეს არასწორია. იგი ხორების ანუ სინაის მთისკენ მიდიოდა. გაიხსენეთ მოსეს პირით წარმოთქმული ღვთის სიტყვები ფარაონისადმი: „გაუშვი ჩემი ხალხი, რომ მემსახურონ უდაბნოში!“ (გამ. 7:16). ასე არ უთქვამს: „გაუშვი ჩემი ხალხი, რომ დაიმკვიდროს მიწა!“ რატომ წაიყვანდა მოსე მათ აღთქმული ქვეყნისკენ, სანამ ჯერ აღმთქმელის წინაშე არ წარადგენდა, რაც საუკუნეების ნანატრი სურვილი გახლდათ? თავიდანვე რომ აღთქმულ მიწაზე მიეყვანა, ისინი ღმერთზე მეტად მის დაპირებებს შეიყვარებდნენ. მოსე მოუთმენლად ელოდებოდა: როდის წარადგენდა ხალხს ღვთის წინაშე.

გარკვეულწილად, ჩვენც ასე ვიქცევით ეკლესიებში და მის პიროვნებაზე მეტად იმაზე ვქადაგებთ, თუ რას მოგვცემს იესოსთან ურთიერთობა! შედეგად მივიღეთ მრავალი ადამიანი, რომელიც ღმერთს სარგებლის მიღების გამო ეძებს და არ ტკბება მისნაირ პიროვნებასთან ურთიერთობით. ეს მდგომარეობა შეიძლება შევადაროთ ქალის გათხოვებას ფულიან მამაკაცზე, რომლის მოტივია არა მომავალი მეუღლის კარგად გაცნობა, არამედ მისგან მისაღები სიკეთეები. დიახ, მას შეიძლება ქმარი რაღაც დონეზე უყვარდეს, მაგრამ სრულიად მცდარი მოტივებით.

ადამიანები, რომლებიც ყურადღებას ღვთიურ კურთხევებზე ამახვილებენ, ხოლო მასთან ურთიერთობას უგულებელყოფენ, ისეთივე მოწაფეებს იძენენ. ეს უკანასკნელნი ღვთისგან რაღაცას მოელოდებიან და მათ შორის ცოტაა, ვისაც თავად ღმერთთან ურთიერთობა სურს. იგი არავის ჰგავს და მის საოცრებას ვერავის შეადარებთ, როცა ღმერთს შეხვდებით მოსეს მსგავსად, ყველა აღთქმა პერსპექტიული ხდება. იგი გაცილებით მშვენიერია, ვიდრე ნებისმიერი სხვა რამ, თუნდაც მისი კურთხევები.

ისრაელის დახსნისას ღმერთს ერთი მთავარი მიზანი ამოძრავებდა, რომ ხალხს გაეცნო იგი და შეეყვარებინა. მან თქვა, „არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და ჩემთან მოგიყვანეთ“ (გამ.19:4). და მაინც, ისინი აცდნენ თავიანთ ხვედრს.

ღვთის სწრაფვა თავის ერთან ურთიერთობისკენ არასოდეს შემცირებულა ან შეცვლილა, რადგან ეს სურვილი გამუდმებით ცხადდება მის სიტყვაში და პავლეს მგზნებარე ლოცვაშიც აისახება:

> [ყოველთვის ვლოცულობ], რათა მოგცეთ თქვენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს ღმერთმა, დიდების მამამ, სიბრძნისა და გამოცხადების [საიდუმლოებების გაგების] სული მის შესაცნობად [სიღრმისეულად და ძალზე ახლო]. (ეფეს. 1:17*AMP, ავტორისეული ხაზგასმა*).

ღმერთმა გააცხადა თავისი მგზნებარე სურვილი. მას უნდა, რომ ყველა ზეციდან შობილმა ადამიანმა გაიცნოს იგი ღრმად

და ახლოს! ნუთუ არ აღგაფრთოვანებთ ეს ამბავი? თუ არა, წუთით დაფიქრდით და ამ საოცარ სურვილს თქვენი შინაგანის ავსების საშუალება მიეცით.

ჩვენ ცოცხალ ღმერთს ვემსახურებით, მარადიულ მამას, რომელსაც გული შესტკივა მის შვილებზე. იგია კომუნიკაციის ინიციატორი, რომელსაც ორხმრივი ურთიერთობა სურს. პავლემ სწრაფად მიუთითა ამ საკითხზე შეჭირვებულ კორინთოელ მორწმუნეებს: „იცით, რომ სანამ წარმართები იყავით, *უტყვ კერპებთან* დადიოდით“ (1 კორ. 12:2-3). პავლეს შეგონებიდან ვხედავთ უმთავრეს დახასიათებას, რომელიც ღმერთს, ჩვენს მამას გამოარჩევს ყველა სხვა ცრუ ღვთისა თუ კერპისგან — ის ლაპარაკობს!

„გადაუხვიე გზიდან!“

ამას წინათ მანქანის საჭეს ვუჯექი, როცა სულიწმიდა ჩემს გულს დაელაპარაკა:

– რაღაც მინდა, გითხრა! გადაუხვიე გზიდან!

ვისწავლე, რომ მყისვე დავემორჩილო ღვთის მითითებას, რაოდენ ტრივიალური ან მოუხერხებელიც არ უნდა იყოს იმ დროს. განა მოსე თავისი სიმამრის ფარას არ მწყემსავდა უდაბნოში, როცა უფალმა მისი ყურადღება მიიქცია (ღმერთი ამას სხვადასხვა გზებით ახერხებს)? ის ბუჩქთან მივიდა და ცეცხლი წაუკიდა ისე, რომ არ იწვოდა.

ვკითხულობთ, როგორც გადაწყვიტა მოსემ: „მივალ და ვნახავ“ (გამ.3:3). აქ გამოყენებულია „მოვბრუნდები“-ს აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა *ქარ*. ჯეიმს სტრონგი, რომელიც წმიდა წერილის თავდაპირველი ენების ექსპერტი გახლდათ, ამ სიტყვას განმარტავს, როგორც „მობრუნება“-ს. მოსემ გამიზნულად გადადადო გვერდზე გეგმები და გადაუხვია, რომ შეეტყო, საითკენ უბიძგებდა სულიწმიდა.

მოსეს გამოხმაურების შემდეგ ვკითხულობთ: „იხილა უფალმა, რომ მობრუნდა მოსე სანახავად და მოუწოდა მას ღმერთმა მაყვლოვანის შუაგულიდან: „მოსე! მოსე!“

სანამ მოსემ გზიდან არ გადაუხვია, ღმერთს სახელით არ მიუმართავს. დარწმუნებული ვარ, არც დაუძახებდა, მოსე რომ

არ გამოხმაურებოდა. ღმერთს მისთვის არ დაუძახია, სანამ ცხვარი ითროს ფარეხში იმყოფებოდა. ეს არ იყო ყველაზე ხელსაყრელი დრო. რა მოხდებოდა, მოსეს ასე რომ ეფიქრა: *ახლა რომ ყურადღება არ მივაქციო ფარას, ცხვარი დამეფანტება და მათ მოგროვებას საათები დასჭირდება, თუ მთელი დღე არა. იმ ბუჩქს სხვა დროს ვნახავ, როცა ყველაფერს მოვაწესრიგებ და ხელს არაფერი შემიშლის.* ნუთუ ამ შემთხვევაშიც იგივე შედეგი დადგებოდა?

შესაძლოა, ზოგიერთმა იფიქროს, რომ ღმერთი კიდევ უფრო შთამბეჭდავ რამეს მოიმოქმედებდა, მაგრამ ეს მის ბუნებას შეესაბამება? გაიხსენეთ სამუელი, როცა ის მღვდელმთავარ ყელისა და მის ძეებს ემსახურებოდა (იხილეთ 1 სამ. 3). ერთ საღამოს დასაძინებლად წვება და ხმა ესმის:

– სამუელ! სამუელ!

სამუელი ყელისთან მიდის და ეუბნება:

– აჰა, აქ ვარ! რად მიხმობდი?

ყელი პასუხობს:

– მე არ მომიხმიხარ, დაბრუნდი და დაწექი!

სამუელს ისევ ესმის თავისი სახელი და მეორედაც მიირბენს მღვდელმთავართან, რომ იგივე პასუხი მოისმინოს. ასე სამჯერ განმეორდა. ბოლოს მღვდელი გაიაზრებს, რა ხდება და ბიჭს არიგებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს. როცა მეოთხეჯერ გაიგონებს, „სამუელ, სამუელ!“ უკვე იცის, რაც უნდა უთხრას:

– ილაპარაკე, უფალო, გისმენს შენი მსახური. ამის შემდეგ უფალი ელაპარაკება და ამცნობს თავის ნებას და ჯერ კიდევ გასაცხადებელ საიდუმლოებებს.

ღმერთს შეეძლო, ყველაფერი სხვაგვარად მოეწყო. მეორე ჯერზე, როცა სამუელმა ვერ გაიგო, ვინ ეძახდა, მას შეეძლო ეთქვა:

– სამუელ, არ წახვიდე ყელისთან! ეს მე ვარ, უფალი, შენი ღმერთი, რომელიც მოგიწოდებს და შენთან ლაპარაკი სურს.

ნუთუ ასეთია მისი მოქმედების გზები? მას სურს, რომ გვინდოდეს და ვცნობდეთ, ხოლო შემდეგ შევიცნოთ. იგი ეძებს გულმოდგინე სულის ადამიანებს, რომლებიც მას ეძებენ და მიჰყვებიან, თუნდაც ამას დიდი შეუპოვრობა სჭირდებოდეს.

სახარებებში ამის მსგავს ნიმუშებს ვხედავთ. იესომ ხუთი პურით და ორი თევზით ხუთი ათასი ადამიანი დააპურა. ამის

შემდეგ მოწაფეებს ეუბნება, რომ ნავში ჩასხდნენ და ზღვის მეორე მხარეს გადავიდნენ მასზე უწინ. იესო მთაზე ადის ზეციერ მამასთან მოზიარეობისთვის. მოგვიანებით მის მოწაფეებს ქარიშხლის სახით დაბრკოლება შეექმნათ, როცა ზღვის გადალახვას ლამობდნენ. ჩვენ ვკითხულობთ:

> ღამის მეოთხე გუშაგობისას ზღვაზე სიარულით წავიდა მათკენ და *უნდოდა გვერდი აევლო* (მარკ. 6:48 *ავტორისეული ხაზგასმა*).

ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს: „*უნდოდა გვერდი აევლო*“. NASB ვერსია ამბობს, რომ „*განზრახული ჰქონდა, მათთვის გევრდის ავლა*“. როცა მოწაფეებმა დაინახეს, შესძახეს, ხოლო მან უპასუხა, „გამხნევდით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!“ იესო ნავში ავიდა თუ არა, ქარი ჩადგა. მისთვის რომ არ დაეძახათ, გზას გააგრძელებდა. იგი ნავში ავიდა. მას გვერდით ჩავლა უნდოდა და მოწაფეები რომ არ შეხმიანებოდნენ, ძალით არ მოახვევდა თავს მათ საზოგადოებას.

როგორც ჩანს, ღმერთი ასეთი ნიმუშით მოქმედებს: პირველ ნაბიჯს დგამს და თუ ვუპასუხებთ, კიდევ ერთ ნაბიჯით გვიახლოვდება. თუ არ გამოვეხმაურებით, იგი წინ აღარ წაიწევს ამ ურთიერთობაში და ჩვენს საქმეში არ ჩაერევა. მოსეს გზიდან რომ არ გადაეხვია, ვინ იცის, კიდევ დაელოდებოდა ღმერთი, როგორც ეს სამუელის შემთხვევაში გააკეთა ან როგორც იესო მოიქცა მოწაფეებთან? იგი ხშირად გველოდება, სანამ ძალიან არ მოგვწყურდება მასთან ურთერთობა.

რაც შეეხება, ჩემს მგზავრობას მანქანაში, რა მოხდებოდა, გზიდან რომ არ გადამეხვია, როცა დამელაპარაკა? მასთან შეხვედრას გავაცდენდი? არ ვიცი, მქონდა თუ არა დრო, მაგრამ იმ დროს, ნახევარი მილის მანძილზე შესასვენებელი ადგილი იყო. როგორც კი გზიდან გადავუხვიე, მაშინვე გავიგე, როგორ მიჩურჩულა გულში უფლის სულმა:

– განა არ გითხარი, „განუწყვეტლივ ილოცე“-მეთქი?! (1 თეს. 5:17).

მე ვუპასუხე:

–დიახ, უფალო, მითხარ!

მან განაგრძო:

– ლოცვა მონოლოგია თუ დიალოგი?

ვუპასუხე:

– ლოცვა დიალოგია, უფალო, ორმხრივი საუბარი!

მან სწრაფად მომმართა:

– თუკი გითხარი, რომ განუწყვეტლივ უნდა გელოცა, ეს ნიშნავს, რომ შენთან განუწყვეტელი ურთიერთობა მსურს!

რა თქმა უნდა, აღფრთოვანებამ მომიცვა. გავაცნობიერე, რა საოცარი შესაძლებლობა მომეცა და ეს მარტო ჩემით არ შემოიფარგლება, არამედ მის ყველა შვილზე ვრცელდება.

ახლა შეიძლება გაგიჩნდეთ კითხვა: *ღმერთი შეუჩერებლად ლაპარაკობს?* მას ეს არ უთქვამს გულში. მან თქვა, რომ კომუნიკაცია განუწყვეტელი უნდა იყოს, მაგრამ სიტყვები ურთიერთობის მხოლოდ ერთი ფორმაა. ჩემი ცოლის მზერით უსიტყვოდ ვხვდები, რის თქმა სურს და ზოგჯერ შემიძლია, სამი გვერდი გავავსო იმ მზერის ნათქვამით. რატომ? მასთან ერთად ოც წელზე მეტი ვიცხოვრე და კარგად შევისწავლე მისი კომუნიკაციის გზები და მანერა. შესაძლებელია, თქვენც იყოთ ოთახში ჩვენთან ერთად, მაგრამ მისი მზერით ვერაფერს მიხვდეთ. რატომ? იმიტომ, რომ მას ჩემსავით არ იცნობთ. ალბათ, ჩვენი თანაცხოვრების პირველი ხუთი წლის განმავლობაში მეც ვერ ვხვდებოდი ბევრ რამეს, მაგრამ ოცდაერთი წლის შემდეგ მეტი შევიტყვე მისი კომუნიკაციის გზებზე.

მიახლოების მოწოდება

თქვენთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ეს წიგნი არ გახლავთ „როგორ“ ინსტრუქცია, არამედ უფრო მარშრუტი ან რუკა, რომლის გამოყენებითაც საბოლოო დანიშნულებას – ღვთის გულს – მიაღწევთ. ხელთ განძის რუკა რომ ჩამვარდნოდა, სადაც განცალკევებულ კუნძულზე დამარხული საგანძურისკენ მიმავალი გზაა ნაჩვენები, არავითარი სარგებელი არ მექნებოდა, სანამ იქ არ მივიდოდი და ორიენტირებისთვის კუნძულის ზედაპირს არ შევისწავლიდი. ამის შემდეგ გარკვეული ძალისხმევა დამჭირდებოდა ბილიკების გასაყოლად, კლდეე-

ბზე ასაძრომად და მინდვრების გადასასერად, რომ დამალული განძისთვის მიმეკვლია. ეს ყველაფერი მოითხოვს გარკვეულ საფასურს, ენერგიას და მცდლობას ჩემი მხრიდან. რუკა მხოლოდ გზაზე მიმითითებდა და ფუჭი ძალისხმევის ან მიწის უშედეგო თხრაში დროის ხარჯვისგან დამიცავდა. ასევე, მისი მეშვეობით ფარულ მახეებსაც ავიცილებდი. ეს წიგნიც ასეთ რუკას ჰგავს; ეს გახლავთ საოცარი და ამაღელვებელი მოგზაურობის მოსაწვევი ღვთის გულის საპოვნელად. მის ფურცლებზე ამოკითხული ღვთის სიტყვა ორმოების, მახეებისა და სხვა საფრთხეებისგან დაგიცავთ, რომლებიც თქვენს გზიდან აცდენას შეეცდებიან. ამით თავიდან აიცილებთ ტყუილ გასაჭირს და ენერგიის ამაო ხარჯვას. ამრიგად, დავიწყოთ, თუ მზად ხართ!

კითხვები შესწავლისთვის

1. თქვენი ცხოვრების რა მოვლენამ ან გამოცდილებამ წარმოშვა ამ წიგნის წაკითხვის სურვილი?
2. იფიქრეთ ღმერთთან დაახლოების მოწვევის ამ მაგალითებზე:
   - მოსემ ალმოდებული ბუჩქი დაინახა და გზიდან გადაუხვია. ამის გაკეთების შემდეგ ღმერთმა თავისთან მოუხმო.
   - ნორჩმა სამუელმა ოთხჯერ გაიგონა ხმა, სანამ უპასუხებდა, „ილაპარაკე, გისმენს შენი მსახური!“
   - როცა მოწაფეებმა დაინახეს წყალზე მოსიარულე იესო, რომელიც თითქოს მათთვის გვერდის ავლას აპირებდა, შესძახეს.

   ამ მაგალითებიდან რომელი მიესადაგება ღვთის მოწვევას თქვენს ცოხვრებაში?
   გამოეხმაურეთ მას? თუ ასეა, რა სახის იყო თქვენი პასუხი?

3. ივალისწინებით, რომ ლოცვა დიალოგი ანუ ორმხრივი საუბარია, რას გადმოგცემთ ღმერთი როგორც სიტყვებით, ისე უსიტყვოდ?

თავი მეორე

ღვთის კვალზე სიარული

უფალმა თქვა: „საკუთარ თავზე მეტად გაფასებ“.

ბიბლია მთავარ თემებს გადმოგვცემს; ეს ჭეშმარიტება მთელ წმიდა წერილს გასდევს დაბადებიდან გამოცხადებამდე. ერთ-ერთი ამ თემათაგან გახლავთ ღვთის მხურვალე წადილი, რომ ადამიანთან ურთიერთობა ჰქონდეს და ეს უკანასკნელი მის კვალს მიჰყვეს. ფაქტია, რომ ღმერთს უფრო მეტად უნდა ჩვენთან დაახლოება, ვიდრე ჩვენ გამოვხატავთ ამის სურვილს!

ფაქტობრივად, ეს მას დაშურებით სწადია (იხილეთ იაკ. 4:5). *დაშურებით სწადია* ინტენსიურ სურვილს გამოხატავს. ეს იყო მისი გულის ძახილი სამყაროს შექმნიდანვე. მას შემდეგ, რაც ადამმა შესცოდა, ღვთის პირველივე სიტყვები მსჯავრდადებას არ მოიცავდა, არამედ მას ეძახდა, „ადამ, სად ხარ?“ გესმით წრფელი და გულითადი ძახილი მის ხმაში? „რატომ მემალები?“ მოდით, გავყვეთ მის გულისხმას ისტორიის მიმდინარეობისას.

ადამის შვილთა შვილთა შვილთა შვილთა შვილი

ადამის შვილთა შვილთა შვილთა შვილთა შვილს ენოქი ერქვა. დარწმუნებული ვარ, რომ ერთხელაც ენოქი ადამთან მივიდა და ჰკითხა: რა ხდებოდა ედემის ბაღში? მას სურდა, გაეგო: როგორი იყო ცოცხალ ღმერთთან სიარული? ალბათ, გიკვირთ, როგორ შეძლებდა ენოქი თავის დიდ დიდ დიდ დიდ ბაბუასთან დალაპარაკებას. პასუხი ასეთია: 930 წელი რომ გეცხოვრათ, თქვენს შვილთა შვილთა შვილთა .... შვილს აუცილებლად მოესწრებოდით. ადამი მხოლოდ 622 წლის იყო, როცა ენოქი დაიბადა.

მათემატიკური გამოთვლები გვეუბნება, რომ ადამი 687 წლის იყო, როცა ენოქი მასთან მივიდა 65 წლის ასაკში. დაბადების წიგნის თანახმად, ენოქი ღვთის წინაშე დადიოდა სამასი წელი, ხოლო მთლიანად 365 წელი იცოცხლა.

> ენოქი სამასი წელი დადიოდა ღმერთთან და შვა ძენი და ასულნი. ენოქის დღეები სულ სამას სამოცდახუთი წელიწადი იყო. (დაბ. 5:22-23)

სავარაუდოდ, სწორედ 65 წლის ასაკში მოვიდა ცვლილებები ენოქის ცხოვრებაში, როცა მან პატრიარქი ადამის ბაგეებიდან კურთხევა მიიღო და მისი გულისტკივილი დაინახა.

ამის მხოლოდ წარმოდგენა შემიძლია და ვერც ერთი წერილით ვერ დავადასტურებ, რომ ენოქს წლები დასჭირდა, სანამ მხნეობას მოიკრებდა ცნობილ წინაპართან მისასვლელად და ბაღის ამბების გამოსაკითხად, რადგან ადამი ამ საკითხზე ღიად არ საუბრობდა. ადამის ყველა შთამომავალმა იცოდა ეს და ალბათ, ბავშვობიდანვე აფრთხილებდნენ, რომ დიდი წინაპარი ამ თემით არ შეეწუხებინა.

ებრაული ისტორიული ნაშრომები გვაუწყებენ, რომ ადამი ძლიერ იტანჯებოდა ბაღიდან გამოგდების გამო. თითქმის შეუძლებელი იყო ამ ტვირთის ატანა. ზოგიერთი წყაროს თანახმად, ადამი და ევა ბნელ გამოქვაბულში ისხდნენ და

მომხდარის გამო ერთმანეთისთვის სირცხვილით თვალი ვერ გაესწორებინათ. ადამმა დაკარგა თავისი დიდებულება. ერთია, ღმერთთან სიარულის აღთქმის მოსმენა და სულ სხვაა მის დიდებაში დამკვიდრების საგრძნობი რეალობის დაკარგვა. ადამს ენითაღუწერელი დანაკარგი ტანჯავდა, მაგრამ ენოქი შეუპოვარი აღმოჩნდა და მისგან ძველი გულისტკივილის აღწერა მიიღო, რომელსაც რწმენა და მოლოდინი ერთვოდა. მიუხედავად იმისა, რომ თაობები ერთმანეთში უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ ადამის მოტანილი ზიანის გამო, ენოქმა მიიღო აღთქმა – „ღმერთთან ვივლი“.

უბრალოდ, წარმოვიდგინე ამ ორის შეხვედრა. ენოქი კანკალებს, მაგრამ მისი მგზნებარე სურვილი, ბოლოს და ბოლოს, შიშს ძლევს. მარცხის აჩრდილის თრთოლა წინსვლას ვერ უშლის და დარწმუნებულია, რომ რაღაც უფრო მეტ ნათელს იხილავს. მისთვის ადამის ისტორია წარუმატებლობის ამბავზე დიდია; ეს იყო ადამიანთან სიარულზე ღვთის საბოლოო სურვილის გამოცხადება. მაინტერესებს, დაიჭირა თუ არა ადამმა ენოქის ცეცხლის ალი, როცა ედემის ბაღში ცხოვრების შორეულ კურთხევაზე ესაუბრებოდა.

ადამი ქვითინებდა, როცა გულის სატკივარს გადმოსცემდა: „ენოქ, მე მასთან ერთად ვსეირნობდი ... მის დიდებაში! სამყაროს შემოქმედი, შენი თვალით დანახულის შემქმნელი, ჩემს გვერდით მოდიოდა! იგი მიზიარებდა გენერალური გეგმის საფუძვლიან სიბრძნეს თუ როგორ განათავსა და წესრიგში მოიყვანა სამყაროს ვარსკვლავები თავისი თითებით. სწორედ იმ თითებმა შემქმნეს და ჩემი ხელი ეჭირათ. მან ყველა ვარსკვლავს სახელი უწოდა და ნიშნებად დასვა ნავიგაციისა და სეზონებისთვის. მან მაჩვენა, როგორ დააბა-ლანსა დედამიწა გრავიტაციისა და ელექტრომაგნიტური ველებით და სრულყოფილი კლიმატი შექმნა. მან მიამბო თესლის საიდუმლოებაზე, თუ როგორ წარმოშობდა მის მსგავს სიცოცხლეს, როგორ ირწყვებოდა მიწიდან ამომავალი წყლებით, რომლებიც სტრატეგიულად იყო განთავსებული მთელ დედამიწაზე. ენოქ, იგი ისე მენდობოდა, რომ ყველა ცხოველის სახელის დარქმევის პრივილეგია მომანიჭა – ხუთ მილიარდზე მეტი სახეობისა! ამაზე ერთად ვმსჯელობდით,

მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილება ჩემზე იყო!“

რაც უფრო მეტს ლაპარაკობდა ადამი, მით უფრო მეტის გაგება სურდა ენოქს, სანამ მოუთმენლობამ სრულიად არ შეიპყრო. მას ღმერთთან ერთად სიარული მოუნდა ადამის მსგავსად; შეუძლებელი იყო, ამაზე უარი მიეღო.

ენოქმა რაღაც ისეთი დაიმკვიდრა, რაც ადამს არ ჰქონდა; ადამის მტვერი ისევ მიწას დაუბრუნდა, ხოლო დაბადების წიგნი გვეუბნება: „ღმერთთან დადიოდა ენოქი და აღარსად იყო, რადგან ღმერთმა აიყვანა იგი“ (დაბ. 5:24). მან დედამიწა ისე დატოვა, რომ სიკვდილი არ უხილავს.

ენოქი დიდი წინასწარმეტყველი იყო სიცოცხლეში. მან ილაპარაკა თავის დროში და ჩვენც გვიწინასწარმეტყველა. მან გაგვაფრთხილა თვითმარქვიებზე, რომლებიც უკანასკნელი დროის ეკლესიაში აღდგებოდნენ. ისინი ისე იმოქმედებდნენ როგორც მადლით გადარჩენილები და ამაში დარწმუნებულიც იქნებოდნენ, მაგრამ მათი მსჯარდადება არ თვლემდა (იხილეთ იუდ. 1-15). მან დაინახა ღვთის სამსჯავრო და უფლის მეორედ მოსვლაზე მის ქალწულებრივ შობამდე ათასობით წლით ადრე გამოაცხადა.

რატომ წაიყვანა ღმერთმა, როცა ის მხოლოდ 365 წლის იყო? ნუთუ მისი დიდი წინასწარმეტყველური მსახურების გამო? არა, იმიტომ, რომ ის „ღმერთთან დადიოდა“, ებრაელთა წერილი გვეუბნება, რომ მან „ღმერთს აამა“ (ებრ. 11:5).

არასწორად ნუ გამიგებთ! ღმერთთან სიარულმა ენოქის ძლიერი და ეფექტური მსახურება წარმოშვა, მაგრამ უფალს მისი მგზნებარე სურვილი ეამა, რომ მასთან სიარული სურდა. ის ღვთის დიდი ხნის ნანატრ გულის წადილს შეეხო, მასთან დიდი სიახლოვის სურვილს, რაც ღმერთს ყველა ჩვენგანის მიმართ აქვს.

ღვთის გული საუკუნეების მანძილზე ღაღადებს

ეს არის ღვთის გულის ძახილი, რომელიც საუკუნეებს წვდება! დაე, მისი შეცნობის მსურველი ადამიანები გამოეხმაურონ ჩვენთან ურთიერთობის ღვთიურ წადილს! ენოქის შემდეგ იყო

ნოე, კიდევ ერთი დიადი შთამომავალი, რომელიც ღვთის გულს შეეხო. დაბადების წიგნი გვეუბნება: „ღმვთის გზებით დადიოდა იგი“ (დაბ. 6:9). ნოე გამოეხმაურა მასთან მოზიარეობის ღვთიურ სურვილს და ახლოს მივიდა. როცა ასე მოიქცა, ღმერთიც მივიდა მასთან ახლოს და მომავალი მოვლენების შესახებ გააფრთხილა. სასჯელი, რომლის შესახებ მსოფლიომ არაფერი იცოდა, თავდაპირველად, საიდუმლოდ რჩებოდა ნოესა და ღმერთს შორის. ნოესა და შემოქმედის სიახლოვე იმის რწმენამ წარმოშვა, რომ ღმერთი მის მაძიებელს უპასუხებდა. უფალი უახლოვდება ადამიანებს, რომლებიც ბედავენ მასთან დაახლოების რწმენას და ახლო ურთიერთობის სურვილი კლავთ.

ამის მოწმე ვართ აბრაჰამის ცხოვრებაში, როცა ღმერთმა იგი „მის წინაშე სიარულისთვის“ მოიწვია (დაბ. 17:1). ეს მოპატიჟება გრძელდებოდა ისაკისა და იაკობის შემთხვევაში. უფრო მეტიც, იაკობი დაბადებული არ იყო, როცა ღმერთმა თქვა: „იაკობი შევიყვარე“ (რომ. 9:13). და როგორც ყველა ჩვენგანის ცხოვრებაში ხდება, უფალი მის გვერდით იყო მაშინაც კი, როცა იაკობი ღმერთს არ მიჰყვებოდა. იაკობი ძმისგან გარბოდა, ღმერთი კი მასთან შესახვედრად მზად იყო. როცა ქვა ამოიდო სასთუმლად, ღმერთმა სიზმარი აჩვენა – კიბე, რომელზეც ანგელოზები ადიოდნენ და ჩამოდიოდნენ. ღმერთს და ადამიანს შორის ღვთიური კავშირი გამოჩნდა.

ისრაელიანების ოთხასწლიანი მონობის შემდეგ იაკობის შთამომავლებს ეუცხოვათ ღვთის უმთავრესი მიზანი, რომ ისინი ბორკილებიდან ეხსნა. ხალხი ფიქრობდა, რომ ყველაფერი აღთქმული მიწის დამკვიდრებით შემოიფარგლებოდა, მაგრამ რაოდენ მეტი იყო მოსალოდნელი. ღვთის საბოლოო მიზანი მათთან ძალზე ახლო ურთიერთობის დამყარება გახლდათ და ამაზე ნათლად განაცხადა, როცა მთელ ერს მგზნებარე სტროფებით მიმართა:

> ხომ ნახეთ, რა დავმართე ეგვიპტელებს? არწივის ფრთებზე აგიყვანეთ და *ჩემთან მოგიყვანეთ.* (გამ. 19:4, *ავტორისეული ხაზგასმა*)

მიუხედავად ამისა, მისი სურვილი ისრაელიანების სიტ-ყვებში არ აირეკლებოდა; მათი დიალოგი სრულიად სხვა მოტივს წარმოაჩენს: „არც იმ ქვეყანაში მიგიყვანივართ, სადაც რძე და თაფლი მოედინება, არც მინდორი და ვენახი მოგიცია სამკვიდრებლად“ (რიცხვ. 16:14). მათი გულები მომართული იყო საგნების მისაღებად და არა ღვთის პიროვნების დასამკვიდრებლად.

მოსემ არაერთხელ განმარტა ღვთიური სურვილი აბრაჰამის შთამომავლებისადმი; ერთ-ერთი ასეთი შენიშვნა ჩაწერილია:

ვინაიდან ეჭვიანია უფლის სახელი და ეჭვიანია იგი.
(გამ. 34:14)

ღმერთმა მთელ ისრაელს განუცხადა: „შეგიყვარეთ“. მათ კი უმეცრებით და გულქვაობით იკითხეს: „როგორ შეგვიყვარეო?“ (მალ. 1:2). ღვთის გულის წადილისადმი დაბრმავებულებმა მათთან დაახლოების მცდელობები სასჯელად აღიქვეს.

ისრაელიანთა არაერთი ურჩობის მიუხედავად ღვთის სურვილი მტკიცე რჩებოდა. იერემიას დღეებში მან შესძახა: „განთიადიდანვე გეუბნებოდით, გელაპარაკებოდით და არ გესმოდათ, გიხმობდით და არ მპასუხობდით“ (იერ. 7:13). ღმერთმა გააცხადა, რომ ამგვარად მიყვებოდა მათ ეგვიპტიდან დახსნის დღიდან აქამდე (იხილეთ იერ. 7:25).

მთელი ამ ხნის მანძილზე მისი სიყვარული არ შესუსტებულა, მაგრამ ჩვენდამი მისი უზენაესი სურვილის უდიდეს მოწმობას იესოში ვხედავთ. იესო თავად განმარტავს ამას: „ვინაიდან ძე კაცისა დაკარგულის მოსაძებნად და გადასარჩენად მოვიდა“ (ლუკ. 19:10, *ავტორისეული ხაზგასმა*). ის მხოლოდ სახსნელად არ მოსულა; ის მაშინაც *გვეძებდა*, როცა მისი მტრები ვიყავით!

მისი ფიქრები თითოეული ჩვენგანის მიმართ

როცა მეორე ადამიანი გვენატრება, მასზე ხშირად ვფიქრობთ. ჩვენი აზრები დღის განმავლობაში მას დასტრიალებს და ხშრად ძილის დროსაც ხდება საცნაური. ზოგჯერ ეს სისუსტედ

გვექცევა და ვუზიარებთ, რა ხშირად გვინდა მათთან ყოფნა და მათთან სტუმრობა ფიქრებში. ღმერთი განსხვავებული არ გახლავთ. მან დავითს გაუმხილა საკუთარი ფიქრები მის მიმართ. წინასწარმეტყველი საოცრად ასახავს ღვთის გულის წადილს თითოეული ჩვენგანის მიმართ:

> რაოდენ ძვირფასია ჩემთვის შენი ზრახვანი,
> ღმერთო, და რაოდენ დიდია მათი რიცხვი!
> დავთვალო - ქვიშაზე უმრავლესია.
> ვიძინებ ამ ფიქრებში, ვიღვიძებ და
> ისევ შენთან ვარ (ფს. 139:17-18).

შეუძლებელია ამის წარმოდგენა, მაგრამ ღვთის ზრახვები თითოეულ ჩვენგანზე გაცილებით მეტია, ვიდრე ქვიშის მარცვლები დედამიწაზე! ერთი წუთით დაფიქრდით ამაზე. წარმოიდგინეთ მთელი პლანეტიდან შეგროვებული ქვიშის ყოველი მარცვალი, რომელიც სანაპიროებზე, უდაბნოებში, ტბების, ზღვებისა და ოკეანეების ფსკერზე და რასაკვირველია, გოლფის ყოველ მოედანზე მოიძევება. როცა გოლფის მოედანზე ერთ სილის ორმოს ვუყურებ, ვერც კი წარმომიდგენია, რამდენი ქვიშის მარცვალია იმ ერთ პატარა ორმოში. დიახ, ღმერთი დედამიწის ყოველ ქვიშის მარცვალზე ლაპარაკობს! მათი რიცხვი მიუწვდომელია! გასული ოცდაერთი წლის მანძილზე უამრავი სასიყვარულო აზრი მომივიდა ჩემ ცოლთან დაკავშირებით, მაგრამ ვეჭვობ, ყველაზე შთამბეჭდავი დღის ერთად აღებულ ყველა ჩემს ოცნებაში ნაფიქრს ერთი პატარა ქილა მაინც გაევსო, არათუ მთელი დედამიწა!

მიჰყვებით იმას, ვინც და რაც თქვენთვის ძვირფასია

ამ ტიპის ფიქრები ისეთი ადამიანისთვის ინახება, ვინც თქვენთვის საყვარელია, დიდი ხნის ნანატრია და მასთან სიახლოვე გსურთ! მოგსურვებიათ, თვალი მოგეკრათ, თუ როგორ უყვარხართ მას? ოდესმე შეჩერებულხართ, რომ გეფიქრათ, რამდენს ნიშნავთ მისთვის? როცა საყიდლებზე მივდივართ,

გვაინტერესებს მაღაზიების დახლებზე გამოფენილი საქონლის ფასი. ზოგიერთ მათგანზე ფასდაკლებაა, სხვები ძვირია; ყოველ მათგანს ის ფასი ადევს, რა ღირებულების მქონეც გახლავთ. თუ გონიერი მყიდველები ვართ, შევეცდებით გადახდილი ფასის შესაბამისი ან იმაზე ძვირაფსი ნივთის შეძენას.

ცხოვრებაში ყველაფერს აქვს თავისი ფასი. იგი მყიდველის აღქმით განისაზღვრება. რამდენიმე წლის წინ ბეისბოლი გამოიტანეს გასაყიდად, მაგრამ ეს არ იყო რომელიღაც ძველი ნივთი, არამედ მარკ მაგუაირის ბურთი, რომლითაც თავისი სამოცდამეათე ჰოუმრანი შეასრულა. იმ დროისთვის მან უმაღლესი ლიგის რეკორდი დაამყარა ჰოუმრანების მიზანში სროლის ოდენობით ერთ სეზონზე. ბურთი 2.7 მილიონ დოლარად გაიყიდა! ამდენი ფულიც რომ მქონოდა, ბურთში არ გადავიხდიდი. რატომ? იმიტომ, რომ ჩემთვის არც ისე ძვირფასი იყო. და მაინც, მახსოვს იმ დროს წაკითხული, რომ ზოგიერთები უფრო მეტის გადასახდელადაც იყვნენ მზად, თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ. ახლა იმ ჰოუმრანის რეკორდი მოხსნილია და ვეჭვობ, ვინმეს ერთ დროს დიდად სასურველი ბურთის პატარა ნაგლეჯის ყიდვა მოესურვოს. მისი ფასი დაეცა.

საკითხი ასე არ დგას: რა ფასი გვაქვს საზოგადოების თვალში? შეფასება განსხვავებული იქნება. ადამიანის სიცოცხლესაც სხვადასხვა ფასი აქვს, რადგან მილიონობით მშობელი კლავს ჯერ კიდევ დაუბადებელ ბავშვს. ბავშვის სიცოცხლეს არ აქვს იმ წუხილის ფასი, რასაც მისი გაზრდა მოუტანთ. ქმრები ცოლებსა და შვილებს ტოვებენ, რადგან თავიანთი დრო და ენერგია ამად არ უღირთ. საკუთარი კომფორტი და სიამოვნება მათთვის გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე მეუღლისა და შვილების ცხოვრება. ზოგიერთები საკუთარ თავს ყიდიან პროსტიტუციისთვის. სია დაუსრულებელია და ჩვენი საზოგადოება დაჭრილი ადამიანებით ივსება. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ვერ გრძნობენ სიყვარულს და არავის სჭირდება, რადგან საკუთარ ღირსებას სხვების თვალებით უყურებენ.

რა ფასი გვაქვს ზეციერი მამის თვალში?

როგორ გვაფასებს ღმერთი? აი აქ აღმოვაჩენთ ჩვენს ნამდვილ ფასს. ღმერთია ერთადერთი, ვინც ღირსების სტანდარტს ადგენს სამყაროში და არა ადამიანი. „რაც ამაღლებულია კაცთა შორის, სიბილწეა ღვთის წინაშე“ (ლუკ. 16:15).

იესომ თქვა: „რა სარგებლობა აქვს ადამიანს, თუნდაც მთელი ქვეყანა შეიძინოს, სულს კი დაკარგავს? ან რას გაიღებს ადამიანი თავისი სულის სანაცვლოდ?“ (მათ. 16:26). ცოტა ხნით წარმოიდგინეთ მთელი ქვეყნიერების სიმდიდრე. იფიქრეთ: მრავალმილიონიან სასახლეებზე, ყველა ძვირფას ქვასა და ლითონზე, ძვირფას მანქანებზე, იახტებსა და თვითმფრინავებზე, თანამედროვე ელექტრომოწყობილობაზე და ეს ჩამონათვალი „მშვენიერი“ საგნების მხოლოდ მცირე ნაწილია! მსოფლიოში წარმოუდგენლად ბევრი საგანძურია. ბოლოდროინდელი კვლევების თანახმად, ერთობლივი მსოფლიო პროდუქტი 35.8 ტრილიონი ამერიკული დოლარია. ეს არის 35 800 000 000 000, 00 დოლარი, რაც ძალზე დიდი სიმდიდრეა და ამაში უძრავი ქონების საფასური არ შედის. მიუხედავად ამისა, იესო ამბობს, რომ ცუდ გარიგებას დებს ადამიანი, რომელიც საკუთარ სულს ამხელა სიმდიდრეზე გაცვლის.

თუ ჩვენი ნამდვილი ფასი, რომლითაც ღმერთი გვაფასებს, ზემოხსენებულ სიმდიდრეს აღემატება, რას ფასი აქვს თავად მას ჩვენს თვალში? წმიდა წერილი გვეუბნება: „ვინაიდან ისე შეიყვარა ღმერთმა წუთისოფელი, რომ მისცა თავისი მხოლოდშობილი ძე“ (იოან. 3:16). ჩვენ ბოროტი მთავრის, ლუციფერის ბატონობის ქვეშ ვიყავით მას შემდეგ, რაც ადამმა გადაგვცა მას (იხილეთ ლუკ. 4:6). ადამის დაუმორჩილებლობა ყველაზე გავრცელდა და ცოდვას დავემონეთ, რაც ლუციფერის სამფლობელოა. მან მიგვისაკუთრა და ადვილად არ გაგვიშვებს. ჩვენი ხვედრი მარადიული წყვდიადი იყო, სადაც თავისუფლების არანაირი იმედი არ არსებობდა. გათავისუფლების ერთადერთი გზა გამოსყიდვა გახლდათ, მაგრამ საფასური მეტისმეტად დიდი იყო. ამას ვერც ერთი ადამიანი ვერ გადაიხდიდა.

ღმერთმა იესო გაიღო ჩვენს გამოსასყიდად. სხვას არავის და არაფერს შეეძლო ამ ფასის გადახდა, რადგან ღმერთი ამბობს:

„ძვირია მისი სიცოცხლის გამოსახსნელი, ვერ გადაიხდის უკუნისამდე (ფს. 49:8). ისე ძვირად აფასებს ღმერთი ჩვენს სიცოცხლეს, რომ თავად იესოს სიცოცხლით გამოგვისყიდა. პავლე ამბობს: „ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი“ (1 კორ. 6:20). და კიდევ ამბობს: „გვაქვს გამოსყიდვა მისი სისხლით, ცოდვების მიტევება მისივე [ზეციერი მამის] მადლის სიმდიდრით“ (ეფეს. 1:7).

ამ სამყაროში მამა ღმერთს არავინ და არაფერი ეგულება მის ძეზე, იესო ქრისტეზე ძვირფასი. და მაინც, ამ გამოსყიდვით ღმერთმა ჩვენი ფასი აღიარა მის უდიდეს საგნაძურთან შედარებით. ეს რაღაც საოცარია: იმაზე ერთი ცენტით ნაკლები რომ ვღირდეთ, ვიდრე ღმერთი აფასებს თავად იესოს, ზეციერი მამა არასოდეს გაიღებდა მას და უსარგებლო გარიგებას არ დაყაბულდებოდა! ცუდი შენაძენია, როცა მეტი ფასის მქონეს ნაკლებად ფასეულში გადაცვლი. ოჰო! ხედავთ, რა მნიშვნელოვანი ხართ ზეციერი მამისთვის? იესომ ეს შემდეგი ნათქვამით დაადასტურა: „დიდება, შენ რომ მომეცი, მათ მივეცი, რათა ერთი იყვნენ, როგორც ჩვენ ვართ ერთი! მე მათში და შენ ჩემში, რათა სრულყოფილნი იყვნენ ერთობაში და იცოდეს წუთისოფელმა, რომ შენ მომავლინე და *ისე შეიყვარე* ისინი, როგორც მე შემიყვარე“ (იოან. 17:22-24, *ავტორისეული ხაზგასმა*). იესო მარტივად ამბობს, რომ ზეციერ მამას ისევე ვუყვარვართ ჩვენ, როგორც იესო უყვარს! გესმით? ხედავთ რამდენად ფასეული ხართ? ხედავთ, რატომ გეძებთ ღმერთი?

„დიახ, მაგრამ მე ხომ ერთი ვარ მრავალთაგან!“

ზოგიერთი შემეწინააღმდეგება, „დიახ, ღმერთმა ეს მთელი კაცობრიობისთვის გააკეთა, მაგრამ ვინ ვარ მე ამდენ ადამიანში?“ ამის პასუხია, რომ ღმერთი მარტო თქვენც დაგიწყებდათ ძებნას და იგივე გამოსასყიდს გადაიხდიდა. ეს ნათლად ჩანს იესოს მსახურებიდან. მან მთელი დღე დაჰყო მრავალი ადამიანის სწავლებაში ცათა სამეფოს რაობაზე. დაიღალა, მაგრამ იყო კიდევ ერთი საქმე, რომელიც დაყოვნებას არ ითმენდა. იესო სულიწმიდის წინამძღოლობით

მოწაფეებს უბრძანებს ნავში ჩასხდომას და გალილეის ზღვის გაღმა გაცურვას. შუა გზაზე ქარიშხალი ამოვარდება და მოწაფეთა სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება, მაგრამ იესო ისე დაღლილია, რომ სძინავს. შეშინებულები მოძღვარს აღვიძებენ და მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აუწყებენ. იესო ქარიშხალს რისხავს და ზღვაზე სიმშვიდე ისადგურებს.

ისინი ღამის დიდ ნაწილს აღლეეებული ზღვის გადალახვას ანდომებენ. ახლა როცა მეორე ნაპირს მიადგნენ, ცოტაოდენი დასვენება არ აწყენდათ. მიუხედავად ამისა, ნავიდან გადმოსვლა ძლივს მოასწრეს, როცა მათკენ დემონით შეპყრობილი შეშლილი გამოიქცა. ის სამარხებს შორის ცხოვრობს და ჯაჭვებითაც არ ძალუძთ მისი დაოკება. დღე და ღამე სამარხებში დაეხეტება, ღრიალებს და ქვებს ეხეთქება (იხილეთ მარკ. 5:3-5).

თანამედროვე მსოფლიოში მას ფსიქიატრიულში მოათავსებდნენ, კერძოდ კი, იზოლირებულ პალატაში. წამლებს დაალევინებდნენ და მარტო დატოვებდნენ. ადამიანთა უმრავლესობა განკიცხულად მიიჩნევდა და სიცოცხლეს მხოლოს იმის გამო შეუნარჩუნებდნენ, რომ მის მკვლელობას კანონი აკრძალავდა. მას საზოგადოების ნარჩენად ჩათვლიდნენ. მისი ფასი არაფერი არ იქნებოდა. არავის მოუნდებოდა მისი პოვნა გასაცნობად.

და მაინც, ამ შეშლილ ადამიანს დიდი ფასი ჰქონდა მამის, იესოსა და ღვთის სულის თვალში. იესო მას ძალმოსილებით მოემსახურა. იგი დიდი ძალით განთავისუფლდა და დღის ბოლოსთვის უკვე იესოს გვერდით იჯდა შემოსილი და საღ აზრზე მყოფი. ახლა კი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ: იესო მას მოემსახურა თუ არა, უკან ნავისკენ გაბრუნდა და „კვლავ გამოღმა გამოცურა ნავით“ (მარკ. 5:21). არასოდეს დამავიწყდება დღე, როცა ღმერთმა ეს დამანახა. მთლიანად დავიშალე. გაოცებული ვიყავი, რომ მთელი დღის ნაშრომი და დაქანცული იესო ზღვის მეორე ნაპირისკენ მიცურავს, ქარიშხალს ებრძვის, რომ საზოგადოების მიერ გარიყულ და არაფრად მიჩნეულ შეშლილს მოემსახუროს და ისევ უკან ბრუნდება ამხელა გზის ხელახლა გადასალახად. იგი ამ ადგილას მხოლოდ ერთი ადამიანისთვის მოვიდა!

როცა ეს დავინახე, მივხვდი, რომ ერთადერთსაც მომძებნიდა და გამოსასყიდს გადაიხდიდა, რათა მასთან მოზიარეობა შემძლებოდა. გასაკვირი არ არის. რატომ გალობდნენ ზეციური ანგელოზები მისი შობისას – მშვიდობა ქვეყანაზე და კაცთა შორის სათნოება! ქვეყნიერებას თვალწინ გადაეშალა ღვთის მიერ ადამიანის ძიება!

როგორ გვხედავს იესო თითოეულ ჩვენგანს?

ერთ-ერთი უდიდესი გამოცხადება, რომელიც კი ოდესმე უფლისგან მიმიღია, ხსნის მიღებისთანავე მოვიდა. მასთან მოზიარეობა მქონდა მანქანის ტარებისას და თითქოს არსაიდან დაიწყო ისეთ თემაზე ლაპარაკი, რომელმაც მთელი ჩემი აზროვნება გარდაქმნა. გავიგონე, როგორ მიჩურჩულა გულში:

– ჯონ, იცი თუ არა, რომ საკუთარ თავზე მეტად შენ გაფასებ?

მახსოვს, როცა ეს განცხადება მოვისმინე, ღვთისგმობად და ჯოჯოხეთიდან მოსულად ჩავთვალე. ვფიქრობდი, რომ მეტად კადნიერ და უპატივცემულო აზრთან მქონდა საქმე. კინაღამ ვთქვი: „გამშორდი, სატანა!“ თუმცა გული სიღრმეში ვიგრძენი, რომ ეს უფლის ხმა იყო. ამრიგად, ისე მოვიქეცი, როგორც უსაფრთხოების დაცვა მკარნახობდა და ვუპასუხე:

– უფალო, ჩემთვის ეს აზრი ძნელი დასაჯერებელია. მკრეხელობად მიმაჩნია, რომ შენ, ცისა და მიწის შემქმნელი ღმერთი მე, ერთ უსუსურ პიროვნებას საკუთარ თავზე მნიშვნელოვნად მიმიჩნევ. ამ აზრის გაზიარების ერთადერთი გზა არის ახალი აღთქმიდან სამი მოწმობის მოყვანა.

ეს რომ ვთქვი, ვიგრძენი, რომ უფალს ესიამოვნა და მყისვე გავიგონე გულში:

– რას ამბობს ფილ. 2:3?

ხსენებული მუხლი ზეპირად ვიცოდი და ხმამაღლა წარმოვთქვი:

– არაფერი გააკეთოთ ანგარებით ან პატივმოყვარეობით, არამედ თავმდაბლობით; საკუთარ თავზე მეტად შერაცხეთ ერთმანეთი!

– აი, შენი პირველი მუხლი, – მითხრა უფალმა.

მე შევეწინააღმდეგე:

– უფალო, აქ პავლე ფილიპელ მორწმუნეებს არიგებს, რომ სხვები საკუთარ თავზე მეტად დააფასონ. შენსა და ჩემს ურთიერთობაზე ლაპარაკიც არ არის.

მყისვე გავიგონე:

– შვილო, ჩემს ძეებსა და ასულებს არასოდეს ვთხოვ იმის გაკეთებას, რასაც თავად მე არ ვაკეთებ!

შემდეგ მაჩვენა, რომ ეს მრავალი ოჯახის პრობლემაა. მშობლები შვილებისგან ელოდებიან იმას, რასაც თავად არ იცავენ. უფალი არასოდეს მოგვთხოვს რამე ისეთს, რის მაგალითსაც არ გვაძლევს.

ამ საკითხში გავერკვიე, მაგრამ მაინც არ დავკმაყოფილდი, როგორ შეიძლებოდა საკუთარ თავზე მეტად მივეჩნიე? ასეც ვუთხარი:

– უფალო, ეს მხოლოდ ერთი ადგილია, კიდევ მეტი მჭირდება!

ამით უპატვცემულობას სულაც არ გამოვხატავდი. უფრო სიფრთხილე მამოძრავებდა.

შემდეგ მან კითხვის ფორმით მომმართა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო:

– ჯონ, ჯვარზე ვინ ეკიდა, შენ თუ მე?

იმით შეშფოთებულმა, რაც უკვე ვიცოდი, მაგრამ ახლა უფრო რეალური გახდა, სრულიად გამოფხიზლებულმა გავეცი პასუხი:

– შენ, იესო!

მან განაგრძო:

– ეს შენ უნდა ყოფილიყავი ჯვარზე, მაგრამ მე ავიტანე შენი ცოდვები, მსჯავრდადება, სნეულება, ავადმყოფობა, ტკივილი და სიღარიბე. ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ საკუთარ თავზე მეტად გაფასებდი.

შემაჟრჟოლა, როცა ეს სიტყვები მოვისმინე. მისმა ნათქვამმა ყველა ეჭვი გააქარწყლა. საღად ვმსჯელობდი, რომ იესო არ იმსახურებდა იმ ყველაფერს, რაც მიიღო. იგი მართალი და უცდოველი გახლდათ. 1 პეტრ. 2:24 გამახსენდა: „ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით,

რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ. განკურნებულნი ხართ მისი ჭრილობებით“.

უკვე ვიცოდი, რომ მართლაც საკუთარ თავზე მნიშვნელოვნად მთვლიდა. ცრემლებად დავიღვარე და თაყვანი ვეცი. ვიცოდი, რომ მესამე მუხლიც იქნებოდა ამის დასტურად და იგი მაშინვე დაელაპარაკა ჩემს გულს:

– რას ამბობს რომ. 12:10?

ეს კიდევ ერთი ნაცნობი ადგილი იყო წერილიდან და ზეპირად ვთქვი:

– ერთმანეთისადმი *ძმურ სიყვარულში* გულანთებულებმა, *პატივისცემაში დაასწარით ერთურთს.*

გავიგონე მისი ნათქვამი:

– განა მე პირმშო არ ვარ მრავალ *ძმას* შორის (რომ. 8:29)? ვამჯობინებ, მეტი პატივი ვცე ჩემს და-ძმებს, ვიდრე საკუთარ თავს.

ხშირად მომისმენია, თუ როგორ ვუყვარვართ იესოს, მაგრამ ამ სიტყვების გაგონებით გამიცხადდა, რაოდენ განსაკუთრებული ვართ მისთვის თითოეული ჩვენგანი. ფაქტობრივად, იგი თავისი ოჯახის წევრებს საგანძურად მიიჩნევს. იესო გვეუბნება, რომ განსაკუთრებულები და მისი თვალის ჩინი ვართ. შეეცადეთ ამის აღქმას: იგი ჩვენით ხარობს! ო, დიახ! ყური დაუგდეთ ამ ჭეშმარიტ და მშვენიერ სიტყვებს: „უფალი, შენი ღმერთია შენს შორის; ძლევამოსილი მეომარი. სიხარულით გაიხარებს შენზე, თავისი სიყვარულით განგაახლებს და გალობით იზეიმებს შენზე“ (სოფ. 3:17).

რას წარმოადგენს კაცი?

ანგელოზები ცნობისმოყვარეობით უყურებენ სცენას, როცა ხედავენ დიდებული და წმიდა ღმერთის ასეთ დიდ ყურადღებას უბრალო ადამიანის მიმართ. ბიბლიაში ვკითხულობთ: „როცა შენს ზეცას ვუმზერ - შენი თითების ნამოქმედარს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებიც დააფუძნე, რა არის კაცი, რომ გახსოვს იგი ან - ადამიანის ძე, რომ ზრუნავ მასზე?“ (ფს. 8:3-4). მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვები დავითის კალამს

ეკუთვნის, დანამდვილებით ვიცი, რომ ღმერთმა მისი ტახტის ირგვლივ მყოფი ძლიერი ანგელოზების ფიქრები მოასმენინა. ანგელოზები თავიდანვე აკვირდებოდნენ, როგორ ქმნიდა ღმერთი სამყაროს. ისეთი შიში და მოკრძალება იპყრობდათ, რომ ერთმანეთს გამუდმებით გადასძახოდნენ „წმიდა, წმიდა, წმიდა!“, რადგან ყოველ წამს ღვთის დიდებულების რომელიმე მხარე ვლინდებოდა მათ თვალწინ. მათ მხოლოდ იმის ღონე შესწევდათ, რომ მარადიულად ეყიჟინათ: „წმიდა!“. ანგელოზების ხმამაღალ შეძახილზე სატახტო დარბაზის კარიბჭეები ირყეოდა (სადაც, სულ მცირე, ათი მილიონი ადამიანი ეტეოდა!). და მათ უკვირდათ, რომ ასეთი დიდებული ღმერთი თავს დაგვტრიალებდა. ისინი ჩაწვდნენ, რომ ჩვენს მიმართ მისი სიყვარულის ფიქრები და სიკეთე ვერ გაუტოლდებოდა დედამიწაზე არსებული ქვიშის მარცვლების ოდენობას. ამან ანგელოზები განაცვიფრა!

ჩვენ მისი ფასეული საკუთრება ვართ; მისი ნაპოვნი ძვირფასი და ცოცხალი ქვები, რომლებიც მისთვის სასურველ, სამკვიდრებელ კარავს ქმნიან. რატომ აქვს ღმერთს ასეთი დამოკიდებულება ჩვენს მიმართ? რა გავაკეთეთ ასეთი სიყვარულის დასამსახურებლად? ეს ყველაზე დიდი ჭეშმარიტებაა. არაფერი გაგკვიკეთებია, რომ მისი სიყვარული და ძიება დაგვემსახურებინა. იესომ მაშინ მოგვძებნა, როცა ჯერ კიდევ უძლური და დაღუპული ცოდვილები, ღვთის მტრები ვიყავით. მან ჩვენში ის დაინახა, რაც მხოლოდ მის სიყვარულს შეეძლო, დაენახა. მან ხრწნილების, ცოდვისა და გადაგვარების შუაში საგანძური იპოვა. მან ძვირად შეიძინა ის, რასაც სხვები ნაკლებ ფასეულად ან საერთოდ, არაფრის ღირსად თვლიდნენ. მან ჩვენი მდგომარეობის მიღმა იხილა ის, რაც მის მადლს შეეძლო, წარმოექმნა.

ახლა უკვე გვესმის წმიდა წერილის ამ ადგილის მნიშვნელობა: „ფასით ხართ ნაყიდნი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები!“ (1კორ. 7:23) რატომ უნდა მოუნდეს ასერიგად შეყვარებულ და დაფასებულ ადამიანს იმ სისტემაში დაბრუნება, სადაც ერთ დროს დამონებული და არაფრად მიჩნეული იყო ნამდვილი ფასეულობის თვალსაზრისით?

როცა რეალურად ვაცნობიერებთ, რომ ის ყველაზე გამორჩეული და მაინც ყველაზე ახლო ურთიერთობის მოსურნე

პიროვნებაა მთელ სამყაროში, რომელიც მთელი გულით გვეძებს, როგორ შეგვიძლია უარი ვთქვათ მისი მხრიდან ასეთი სიახლოვის მოპატიჟებაზე? მეტად ველარ ვეტყვით უარს, თუ უმეცრებამ არ შეგვიშალა ხელი ამგვარ ტრაგიკულ უმოქმედობაში.

(*არსებითი შენიშვნა: წერილი აცხადებს, რომ ღვთის მხრიდან ძიების მიუხედავად, ჩვენ უნდა გამოვეხმაუროთ, რომ მასთან ურთიერთობა შედგეს. თუ აქამდე არ მიგიღიათ იესო, როგორც თქვენი პირადი უფალი და მხსნელი, მნიშვნელოვანი იქნება წიგნის ბოლოს დანართი „ა“-ს დაუყოვნებელი წაკითხვა).*

კითხვები შესწავლისთვის

1. როცა ისრაელიანებმა ეგვიპტის ოთხასწლიან მეფობას თავი დააღწიეს, ვერ გაიგეს, რა იყო მათი გათავისუფლების მთავარი მიზანი. უფალმა განაცხადა, „...ჩემთან მოგიყვანეთ“, მაგრამ ისინი მაინც მოთქვამდნენ და წუწუნებდნენ, რადგან აღთქმული მიწის დამკვიდრებას მოელოდნენ. როგორც ავტორი აცხადებს, მათი გულები საგნებს მიეჯაჭვა და არა პიროვნებას.

2. ღმერთმა ცოდვის მონობისგან გაგათავისუფლათ და მასთან მოგიყვანათ. ოდესმე დაგიჩივლიათ და გიწუწუნიათ? როგორ აგერიათ რა და ვინ?

3. ამ თავში დაისვა კითხვა: „რატომ უნდა მოისურვოს შეყვარებულმა და დაფასებულმა ადამიანმა მონობის სისტემაში დაბრუნება?“ რას უპასუხებდით ამ კითხვას? ავტორმა გაგიზიარათ ღმერთთან დიალოგი, როცა ხსნის მიღებიდან მოკლე დროში აღმოაჩინა, რაოდენ ძვირფასი იყო უფლის თვალში. როგორ ცვლის ან უნდა შეცვალოს თქვენი ცხოვრება და ურთიერთობები იმის ცოდნამ, რომ დიდად ფასეული და „სანატრელი თვალი“ ხართ?

თავი მესამე

დაიცავით შინაგანი წყურვილი!

რითაც ვიკვებებით, ის გვშივდება.

სანამ დაღუპვის გზაზე მყოფი ადამიანი ცოცხალ ღმერთს მიუახლოვდებოდეს, თავდაპირველად უფალმა უნდა მოიზიდოს. ე. უ. ტოზერი წერს: „სანამ ცოდვილი კაცი ღვთის შესახებ სწორად იფიქრებს, მანამ მასში საგანმანათლებლო სამუშაო უნდა ჩატარდეს“ (*The Pursuit of God*, გვ. 11). იესო თავად გვეუბნება, „არავის შეუძლია ჩემთან მოსვლა, თუ მამამ, ჩემმა მომავლინებელმა არ მოიყვანა“ (იოან. 6:44). სწორედ ამიტომ არის ასე მნიშვნელოვანი იმ ადამიანებისთვის შუამდგომლობა ღვთის წინაშე, რომლებსაც არ აქვთ მასთან ურთიერთობა იესოს მეშვეობით. მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს სურს „ყველა ადამიანი გადარჩეს და მიაღწიოს შეჭმარიტების შემეცნებას“ (1 ტიმ. 2:4) და ამ მიზანს თანმიმდევრულად ახორციელებდა ისტორიის განმავლობაში, მას მაინც უნდა, რომ მის შვილებში იყოს დაკარგულთა პოვნის სწრაფვა და მის წინაშე ღაღადი ამ ადამიანთა სასიკეთოდ.

სწორედ ამ მიზეზით თქვა იესომ: „სამკალი ბევრია, მუშაკნი კი ცოტანი არიან. ამიტომ ევედრეთ სამკალის უფალს, რომ წარმოგზავნოს მუშაკნი თავის სამკალში“ (მათ. 9:37-38).

იესოს გამოცხადების მეშვეობით გადარჩენის შემდეგ ღვთისგან ღია მოწვევას ვიღებთ. იგი თავისებს ეუბნება: „მომიახლოვდით!“ ღმერთმა უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი მარადიული მოპატიჟების მეშვეობით. მაყვლოვანს ცეცხლი უკიდია ... იგი სახელით გვეძახის ... იგი ნავის მიღმა დგას. ჩვენს პასუხს ელოდება.

ამას წინათ ერთმა მორწმუნემ მითხრა:

– ჯონ, რაც უფრო მემატება ცხოვრების წლები და რაც მეტად ვემსახურები ღმერთს, მით უფრო ვაცნობიერებ, რომ მასთან ჩვენი მიახლოება, მის მოზიდვაზეა დამოკიდებული.

მე შევეწინააღმდეგე:

– არა, ეს არასწორია.

შემდეგ მან იესოს სიტყვები მომიყვანა, რომ არავის შეუძლია მასთან მისვლა, თუ თავდაპირველად ზეციერმა მამამ არ მოიზიდა.

მე ვუპასუხე:

– დიახ, ეს მართებულია ურწმუნოებისთვის, მაგრამ ღმერთი ამბობს, რომ შენ მას ეკუთვნი და გთხოვს: „მიუახლოვდე, რომ ისიც მოგიახლოვდეს.“ იგი აცხადებს, რომ ამ ნაბიჯის გადადგმა დროის ნებისმიერ მომენტში შეიძლება.

დიახ, ზოგჯერ დგება დრო, როცა მას ჩვენთან შეხვედრა სურს და ინიციატივას იჩენს. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ თავად არ უნდა ვცადოთ მისკენ ნაბიჯის გადადგმა. მასთან ნორმალური ურთიერთობა გვაქვს, როგორც ნებისმიერ მამა-შვილს უნდა ჰქონდეს. ზოგჯერ შვილი მიმართავს მამას, სხვა დროს კი მამა მიმართავს შვილს.

რატომ არ აქვს მეტი გამოხმაურება მის ინიციატივას?

გასაოცარია ერთი რამ: რატომ აქვს უამრავ მორწმუნეს ზედაპირული დამოკიდებულება ღმერთთან? რატომ არ ცდილო-

ბენ მასთან ურთიერთობის გაღრმავებას და გამყარებას? რა უშლით ხელს? რა ანთებს მათ გულში ნაპერწკალს და რა აღძრავს მასთან მიახლოების სურვილს? პასუხი რთული სულაც არ გახლავთ: ეს არის მისი შეცნობის შიმშილისა და წყურვილის არსებობა. დავითი ღაღადებდა:

ღმერთი, ცოცხალი ღმერთი სწყურია ჩემს სულს,
როდის მოვალ და ვიხილავ სახეს ღმერთისას.
ჩემი ცრემლები მქონდა პურად, დღისით და ღამით,
როს მეუბნებოდნენ გამუდმებით: სად არის შენი ღმერთი?
გული მეღვრება, როცა მახსენდება.
(ფს. 42:2-4)

სანამ განაგრძობდეთ, ხელახლა წაიკითხეთ ეს მუხლები და ყოველი სიტყვა გაიაზრეთ. ყურადღება მიაქციეთ დავითის ნათქვამს: „გული მეღვრება, როცა *მახსენდება*“. გახსენების ებრაული თარგმანი გახლავთ *ზაკარ*. უ. ი. ვაინსი გვეუბნება, რომ მისი როგორც ბერძნული, ისე ინგლისური შესატყვისი აღწერს არა უბრალოდ „გახსენებას“, არამედ „ამ ფიქრებში დარჩენას“.“ ასეთი მნიშვნელობა ამ ადგილს მიესადაგება. ფაქტობრივად, დავითი ამბობს: „როცა ჩემს აზრებში ღვთის წყურვილი აინთო, გული გადმოვღვარე ჩემში.“ ეს ღვთის მიმართ წარმოუდგენელ წყურვილს წარმოშობს! წყურვილი გვეძახის და მასთან გვაახლოებს მიუხედავად შემხვედრი დაბრკოლებებისა, იქნება ეს სულიერი, გონებრივი თუ ფიზიკური. ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, დავიცვათ და გავზარდოთ მის მიმართ წყურვილი!

უფალო, გაზარდე ჩემი წყურვილი!

ბევრი ლოცულობს, „უფალო, გაზარდე ჩემი წყურვილი შენს მიმართ!“ და მაინც, ეს სწორი არ არის. ჩვენ თავად ვართ წყურვილის დონის განმსაზღვრელი და არა უფალი. ამერიკაში უხვად გვაქვს მატერიალური ქონება, გართობა, სიამოვნება და სიმდიდრე. ერთადერთი გზა, რითაც ღვთისადმი ლტოლვის

წარმოქმნასა და შენარჩუნებას შევძლებთ, არის სულის დაცვა, თუ რით ავავსებთ მას. იგ. 27:7 ამბობს: „მაძღარი გოლეულსაც დაიწუნებს.“ მარტივად რომ ვთქვათ, თუ თქვენი სამშვინველი სავსეა ზრუნვით, სიამოვნებით, სიმდიდრის სიყვარულით ან ქვეყნიური სურვილებით, გამძღარი იქნებით და რეალურად, დაიწუნებთ ღმერთთან მოზიარეობის თაფლიან ფიჭას.

იფიქრეთ მადლიერების დღეზე. ამერიკელთა უმრავლესობა ოჯახსა და მეგობრებთან ერთად იკრიბება მის აღსანიშნავად. ბევრი საუზმესაც არ მიირთმევს, რომ თავი შემოინახოს კარგი საჭმლისთვის, რომელსაც მოგვიანებით გეახლება. დღესასწაული იწყება; გამოაქვთ უზარმაზარი ინდაური, ფარში, ტკბილი კარტოფილი, ბოსტნეული, შტოშის სოუსი, ღვეზლები და ა.შ. დიდი რაოდენობით საჭმელს ვითვისებთ იმის გამო, რომ მადა გაგვეზარდა. სადილის შემდეგ ვკვნესით, რადგან მეტისმეტი მოგვივიდა. გავძეხით! რამდენიმე საათის შემდეგ ოჯახის სხვა წევრთან მივდივართ სახლში. ისევ გამოდის კერძები მთელი დიდებულებით! ამჯერად უფრო დახვეწილი რეცეპტებით არის დამზადებული, მაგრამ ამ საუცხოო საჭმლის დაგემოვნებისგან თავს ვიკავებთ და მისგან პირს ვიბრუნებთ. ჯერ კიდევ მაძღარნი ვართ და სუფრისთვის თვალის ერთი მოვლებითაც ვრწმუნდებით, რომ იგივე არ განმეორდება. აღარ აქვს მნიშვნელობა, რამდენად სჯობს ეს კერძები წინას; ჩვენ ველარ ვიტანთ ჭამას. სწორედ ამ აზრს გადმოგვცემს იგავთა წიგნი.

ამ ჭეშმარიტების კიდევ უფრო გასაღრმავებლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ მას პროპორციულობა ახასიათებს. თუ თქვენი სული დამძიმებულია წუთისოფლის სურვილებით, შესაძლოა საზეიმო სუფრა არ შეიზიზღოთ, მაგრამ ზედაპირულად მოეკიდებით. თუ კარგად არ გამძღარხართ და მხოლოდ ჩვეული ულუფით შემოიფარგლეთ ორი საათის წინ, ზეიმზე მოპატიჟების შემთხვევაში უარს არ იტყვით. შეიძლება ცოტა წაიხემსოთ ან საერთოდ უარი თქვათ. ხშირად, როცა რომელიმე ქალაქში ჩასვლისას კარგ რესტორანში მეპატიჟებიან, მაგრამ მშიერი არ ვარ, რადგან ორიოდე საათის წინ ვჭამე, თავაზიან უარს ვამბობ სადილზე. ჭამის აზრი ზიზღს არ მგვრის ზემოაღწერილი მადლიერების დღის სუფრის მსგავსად, თუმცა

არც მაინცდამაინც სასიამოვნოა. იგივე რომ შესთავაზონ ერთი ან ორი დღის ნაშიმშილებ ადამიანს, სრულიად სხვა გამოხმაურება იქნებოდა. იგი უმალ გადასანსლავდა საკვებს, რომლის მიმართაც გულგრილი ხართ. ჭეშმარიტება შემდეგში მდგომარეობს: ცხოვრებისეული საქმეებით ავსების ხარისხი განსაზღვრავს, თუ რამდენად შეძლებთ ღვთიურ ძახილზე გამოხმაურებას.

ხშირად ეკლესიის ხალხი გულგრილია ღვთიური საქმისადმი. შესაძლოა, ბევრს არ ეზიზღებოდეს მისი თანდასწრება, მაგრამ დამშეულ კაცთან შედარებით, მის წინ დაწყობილი კერძებისადმი დიდ ინტერესს არ იჩენს. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ ქვეყნიერების სუფრას გეახლებოდნენ რამდენიმე საათის წინ და უკვე გამაძღრები არიან. ვაკვირდები, როგორ ამბობენ, რომ ღმერთი სწადიათ, მაგრამ მათი მოქმედება ნათქვამის ამაოებას ააშკარავებს. დარწმუნებული ვარ, რომ ამ წიგნს ღვთის უფრო მეტად შეცნობისთვის კითხულობთ, მაგრამ თქვენს სულს სწყურია ღმერთი? ჰგავხართ თუ არა ადამიანს, რომელსაც რამდენიმე დღე არ უჭამია ან ლოთს, რომელსაც არ დაულევია ან ნარკომანს, რომელსაც თავისი დოზა არ მიუღია? ამ ტიპის შიმშილი უნდა განვავითაროთ, რომ წინ წავიდეთ.

გულგრილი ეკლესია

გამოცხადების წიგნის ბოლო ეკლესიისადმი იესოს სიტყვების გულმოდგინედ გამოკვლევის შემდეგ საოცარ ფაქტს აღმოაჩენთ. პირველი, მიხვდებით, რომ იესომ ეს წერილები აზიის შვიდ ეკლესიას დაუგზავნა, მაგრამ მისი სათქმელი მხოლოდ იმ ისტორიულ ეკლესიებს არ ეკუთვნოდა, არამედ ყველა ჩვენგანს; სხვაგვარად ისინი ბიბლიაში არ იქნებოდა. სწორედ წმიდა წერილში მათი ჩართვის ფაქტი მიანიშნებს ამ ტექსტების წინასწარმეტყველურ მნიშვნელობაზე ანუ ისინი დღესაც ლაპარაკობენ.

წინასწარმეტყველურ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს მრავალი გამოყენება, მნიშვნელობა ან აღსრულება და ხშირად ასეც ხდება. თითოეული ეკლესიისადმი მიმართული წერილები არა

მარტო დღეს გველაპარაკება, არამედ უკანასკნელიც ჩანს, რადგან შეეხება უფლის დაბრუნების წინა ეკლესიას. ახლა უკვე აზრი აქვს წერილის ბოლოს იოანეს ნათქვამს: „ამის შემდეგ ვიხილე, აჰა, ღია კარი ცაში და ხმამ, პირველად *საყვირივით* რომ შემომესმა, მითხრა: „აქ ამოდი“ (გამოცხ. 4:1, *ავტორისეული ხაზგასმა*). ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *საყვირივით*. ვიცით, რომ უკანასკნელ დღეს საკუთარი ხალხის წასაყვანად „თვითონ უფალი ჩამოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმით და ღვთის *საყვირით*“ (1 თეს. 4:16-17, *ავტორისეული ხაზგასმა*). დარწმუნებული ვარ, რომ ეკლესიისადმი მიმართვით განსაკუთრებული ხაზგასმა კეთდება იმ დროისთვის გამოსაყენებლად, რომელშიც ვცხოვრობთ.

იესომ განაცხადა, რომ ეს ეკლესია ნელთბილი იყო; თანამედროვე ტერმინები რომ მოვიშველიოთ, მათ არ ჰქონდათ მგზნებარება და ზედაპირულად ეკიდებოდნენ იმას, რაც ღვთისთვის მნიშვნელოვანი იყო. ისინი იშვიათად ტოვებდნენ უკვე გაკვალულ გზას, რომ მისთვის ესიამოვნებინათ. რამ გამოიწვია მათი ასეთი ქცევა? გაიხსენეთ, რომ ეს არ იყო თვითგამოცხადებული ჯგუფი, რომელსაც ღმერთი არ აღიარებდა – იესომ თავად უწოდა ეკლესია. პასუხი მდგომარეობს მათ ცხოვრებისეულ ხედვაში. იესო ამბობს: „რადგან ამბობ: მდიდარი ვარ, გავმდიდრდი და არაფერი მაკლიაო“ (გამოცხ. 3:17). ამ სიტყვებიდან ცხადი ხდება მოშურნეობის ნაკლებობა – მათი სამშვინველი დაკმაყოფილებული იყო; სამწუხაროდ, არა ღვთით, არამედ ქვეყნიური საგნებით.

არასაფუძვლიანი დიაგმოზი

მავანი იტყვის, რომ მათი პრობლემა მეტისმეტი სიმდიდრე ან მატერიალური საგნები იყო. იესოს ნათქვამიდან ასეთი დასკვნის გამოტანა, საუკეთესო შემთხვევაში, ზედაპირულია. დავითს თუ გავიხსენებთ, მას უამრავი მსახური ჰყავდა და დიდძალი ქონება ჰქონდა. ფაქტობრივად, სოლომონს დაუტოვა „ასი ათასი ტალანტი ოქრო და ათასჯერ ათასი ტალანტი ვერცხლი; სპილენძსა და რკინას წონა არ“ ჰქონდა

(1 ნეშტთ. 22:14). მიუხედავად ამისა, დავითი ასე აღწერს თავის თავს: „ყური მომაპყარ, უფალო და მიპასუხე, რადგან *ღარიბ-ღატაკი* ვარ!“ (ფს. 86:1, *ავტორისეული ხაზგასმა*) ის საკუთარ თავს ღარიბსა და გაჭირვებულს უწოდებს! ვიცით, რომ აქ პოლიტკორექტულობის ნაკლებობასთან საქმე არ გვაქვს, რადგან ღვთის სულით შთაგონებისას შეუძლებელია ადამიანმა იცრუოს. ის მართლაც ასე ხედავდა თავს, თუმცა ვერცხლის ზოდებით სავსე იყო! მისი საჭიროება თავად ღმერთი გახლდათ, რაც ღვთიურმა წყურვილმა წარმოშვა. კიდევ ერთხელ მოუსმინეთ მის ღაღადს: „ყური მომაპყარ, უფალო ...“ მას დაშურებით სწადია ღვთის პასუხის მოსმენა. დავითს უფალთან სიახლოვე სწყურია! სწორედ ამიტომ ვხედავთ ასეთ მგზნებარე ამოძახილს: „ჩემი ცრემლები მქონდა პურად, დღისით და ღამით, როს მეუბნებოდნენ გამუდმებით: სად არის შენი ღმერთი?“ (ფს. 42:3).

ლაოდიკიის ეკლესიის პრობლემა მატერიალური სიმდიდრის ქონა როდი იყო. იქ ადამიანებმა საგნებს თავიანთი სამშვინველის დაკმაყოფილების უფლება მისცეს. დავითმა ეს არ დაუშვა. მან არ მისცა დიდი სიმდიდრეს მისი სამშვინველის მადის დაკმაყოფილების საშუალება. სავარაუდოდ, ამ ეკლესიის წევრებს დავითზე გაცილებით ნაკლები ებადათ, მაგრამ საკუთარი თავი იმით გამოკვებეს, რაც ჰქონდათ და კმაყოფილები იყვნენ. ამან დააცხრო მათი შინაგანი მგზნებარება ღვთის თანდასწრებასა და მოზიარეობაში.

მკვეთრი კონტრასტი

ეს ხშირად მინახავს გასული ოცი წლის მანძილზე. მახსენდება ჩემი მოგზაურობა კრის ტომის ინდიელებთან ჩრდილოეთ კანადაში. ისინი ჩრდილო ამერიკის ინდიელთა უკანასკნელ ტომს წარმოადგენდნენ, რომელიც რეზერვაციაში რჩებოდა. ფაქტობრივად, სულ რაღაც ოცი წლის წინ ეს კეთილშობილი ხალხი ვიგვამებში ცხოვრობდა და ლოსების ნაკვალევზე მომთაბარეობდა. ისინი უბრალო ადამიანები იყვნენ და ბევრი არაფერი ებადათ. მხლოდ ათი წლის წინ შეიძინეს ტელევიზორები თავიანთი მოკრძალებული სახლებისთვის.

შეკრებებზე, დაახლოებით, ათასი ადამიანი გროვდებოდა. იქ რამდენიმე დღის მანძილზე ვიყავი და რაღაც უცნაური შევნიშნე. ყველა ოც წელს გადაცილებულს, გამონაკლისის გარეშე, ღვთის დიდი წყურვილი ჰქონდა. მათი მოშურნეობა დიდად აღემატებოდა ჩრდილოეთ ამერიკის მკვიდრებისას. ღვთის შეცნობის ლტოლვა თვალსაჩინო იყო. რაც შეეხება ოც წელზე უმცროსებს, ისინი გულგრილები ჩანდნენ და შიმშილის არავითარ ნიშანს არ ამჟღავნებდნენ.

ერთ შეკრებაზე სწავლებისა და ქადაგების ძლიერი ცხებულება მოვიდა. დიდ კარავში მყოფი ხალხი მართლაც იღებდა ღვთისგან. ერთ მომენტში შევნიშნე, რომ კარვის გარეთ და ბოლოში ახალგაზრდები ძალზე მოწყენილები და გულგრილები იყვნენ. ვიცი, როდის არის ქადაგება მომაბეზრებელი, მაგრამ ამჯერად საქმე სხვა რამეში იყო. სულიწმიდა საოცარი ძალით აცხადებდა ღვთის სიტყვას. მოულოდნელად, სანამ მივხვდებოდი, რას ვაკეთებდი, აღმოვაჩინე, რომ მოწყურებული ხალხის ნაკადი გავარღვიე და კარვის კალთებთან მყოფი ახალგაზრდებისკენ გავიქეცი. ვევედრებოდი, რომ მოსულიყვნენ და მოესმინათ. მათ ისე შემომხედეს, თითქოს ვიღაც გიჟი ვიყავი და ამ ცხოვრების არაფერი გამეგებოდა.

სწორედ მაშინ შევნიშნე, რომ მაისურები ეცვათ და ბეისბოლის ქუდები ეხურათ. თითქოს მათი სამოსის წარწერები განათდა და კარგად გამოჩნდა. მათ პროფესიონალური კალათბურთისა და ფეხბურთის გუნდებისთვის დამახასიათებელი ნიშნები ჰქონდათ. სულიწმიდამ მაჩვენა, რომ ისინი ტელევიზორმა მოწამლა და აავსო. სამწუხაროდ, მათ სულის შიმშილი ისეთი რამით დაიკმაყოფილეს, რაც სარგებლობას ვერ მოუტანდა! მივხვდი, რომ მათზე უფროსები არ იყვნენ ტელევიზორის დიეტაზე. ამან გასცა პასუხი ჩემს დაბნეულობას ოც წლამდე და მასზე უფროსებს შორის არსებულ განსხვავებაზე.

გთხოვთ, სწორად გაიგეთ, თუ რის გადმოცემა მინდა. ტელევიზორი კი არ განსაზღვრავს ჩვენს ზრდასა და წყურვილს, არამედ მისდამი დამოკიდებულება. ჩვენს ოჯახს ახლა კი აქვს ტელევიზორი, მაგრამ ახალდაქორწინებულები რომ ვიყავით, რამდენიმე წელი არ გვქონდა. სხვადასხვა პროგრამებისგან

დიდ შთაგონებასა და განათლებას ვიღებ. თუმცა ეს არ მკვებავს და მაკმაყოფილებს. ეს არ არის ჩემი შინაგანი სურვილი. შემიძლია ვუყურო და მაინც მწყუროდეს ღმერთი, დავრჩე სულიწმიდასთან მოზიარეობაში. ის ახალგაზრდები ღარიბები იყვნენ, მაგრამ მათი მადა უსარგებლო საგნებით კმაყოფილდებოდა.

ამ მოგზაურობიდან მოკლე ხანში შეერთებული შტატების ჩრდილო-დასავლეთში გავემგზავრე. პარასკევ საღამოს ქადაგება მთხოვეს. შეკრებაზე დასწრება მთელ ეკლესიას შეეძლო, მაგრამ ჩემდა გასაოცრად შევნიშნე, რომ იქ მყოფი შვიდასი ადამიანიდან ხუთასი მოზარდი იყო. როცა შეკრება დასრულდა უამრავი ახალგაზრდა შემომეხვია და კითხვები დამაყარა სულიერ საკითხებზე. საათს როომ დავხედე, შუაღამე ახლოვდებოდა. კარგა ხანს ვისაუბრეთ ღმერთზე, თუმცა მსახურება დიდი ხნის დასრულებული იყო. ბოლოს, ამოვთქვი: „როგორ მომწონს! ყველას გწყურიათ ღმერთი!“

მათ მკითხეს, შეიძლებოდა თუ არა ჩემი ლანჩზე დაპატიჟება მეორე დღეს, სანამ იქედან წავიდოდი. არ შემეძლო მათთვის უარის თქმა, ამიტომ ერთ რესტორანში მოზრდილი ზედა ოთახი დაჯავშნეს და დისკუსია გაგრძელდა. ეს საოცარი და ახალი რამ იყო! ახალგაზრდათა ამ ორ ჯგუფს შორის რაღაცნაირი ირონიული კონტრასტი გამოიკვეთა. უზრუნველყოფილი ჩრდილო-დასავლეთელები გაცილებით მწყურვალენი იყვნენ, თუმცა ინდიელ ახალგზარდებზე მეტი ქონება ჰქონდათ.

ჩრდილო-დასავლეთის ეკლესიის ოც წელს გადაცილებულებს არ ეტყობოდათ ახალგაზრდებისნაირი მოწადინება. რატომ არ იყვნენ ისინი იმ ადამიანთა შორის, რომლებიც გარს მეხვეოდნენ? რატომ აღემატებოდნენ მოზარდები ყველა სხვა ასაკობრივ ჯგუფს, რომელიც მსახურებას ესწრებოდა? დარწმუნებული ვარ, რომ ზრდასრულთა გულები დამძიმებული იყო წუთისოფლის საზრუნავით და სიამოვნებებით. ღვთის საქმეები კი იყო მათი ცხოვრების ნაწილი, მაგრამ არა მათი მოშურნეობის ობიექტი, მიუხედავად იმისა, რომ იესოს უფლობა აღიარეს.

ამ ეკლესიის უფროს და ახალგაზრდების მწყემსებთან შეხვედრის შემდეგ ცხადი გახდა, რომ უფროსმა მწყემსმა

საკუთარი თავი სამწყსოში გაამრავლა და ახალგაზრდების მწყემსმაც იგივე მოიმოქმედა. ჩემთვის განათდა ოსია 4:9: „რაც ხალხს მოუვა, ის მოეწევა მღვდელსაც; მოვკითხავ მათ მათი გზებისამებრ და მათი ნამოქმედარისამებრ მივუზღავ!“ აი, ასე მარტივად იკითხება: „როგორიც მწყემსია, ისეთია ხალხი“ – თუ მწყემსს მგზნებარება აკლია, ხალხიც გულგრილია. ღმერთმა აღძრა ის ახალგაზრდა მწყემსი, რომელიც სავსე იყო ხედვით და მოშურნეობით. ახლა ის სხვა ქალაქში შრომობს ძალმოსილი გზებით.

გულგრილი ეკლესიის განკურნება

იმ ეკლესიაში მოჭარბებული აპათია იყო ზუსტად ის პრობლემა, რომელიც იესომ გამოკვეთა თავის სიტყვაში აზიის ეკლესიის მიმართ. მოუსმინეთ მის ნათქვამს:

> „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ მასთან. მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან“ (გამოცხ. 3:20).

მაოცებს, რამდენად ხშირად იყენებენ მსახურები წერილის ამ ადგილს ურწმუნოთა მოსაწვევად, თუმცა იესო სულ სხვა რამეს გულისხმობდა. ის იმ კონკრეტულ ეკლესიას ელაპარაკება. მიმართავს მორწმუნეებს, რომელთაც შინაგანი მგზნებარება აკლიათ. ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს: „თუ ვინმე მოისმენს ...“ რა გვაბრკოლებს მოსმენაში? უკვე დაკმაყოფილებული გული ხელს გვიშლის მისი ხმის მოსმენაში. ღმერთმა მოსე შორს გაგზავნა უდაბნოში, ეგვიპტის საცდურებისგან შორს, რომლებიც მის ყურადღებას იპყრობდა. ერთ შეხვედრაზე ღმერთმა მთლიანად შეძლო მოსეს დაინტერესება და ეს უკანასკნელი მისგან არასოდეს გამდგარა მაშინაც კი, როცა ეგვიპტეში დაბრუნდა.

იესომ თქვა, რომ შევა მისი ხმის მომსმენთან, რომელიც გულის კარებს გაუღებს და მასთან გატეხს პურს. იგი ამ ადამიანს „სიცოცხლის პურს“ შესთავაზებს, რადგან იგია პური

არსობისა. ბიბლიის ერთ-ერთი თარგმანი გვეუბნება: „თუ ჩემს ხმას მოისმენ და კარს გამიღებ, შემოვალ და მეგობრულ სუფრას გავიზიარებთ“. ძალიან მიყვარს ერთობლივი სადილი, რადგან მაშინ, დღევანდელზე უფრო მეტად, ერთობლივი პურობა მაღალი დონის სოციალურ მოზიარეობას ნიშნავდა. მოგზაურობისას ყოველთვის მიყვარს კონფერენციის ხელმძღვანელთან ან მწყემსთან სადილობა, სანამ იმ ადგილს დავტოვებდე, რადგან ასეთი მოზიარეობისას გაცილებით უკეთ ვიცნობთ ერთმანეთს. გაცვლა-გამოცვლა სუფრასთან მიმდინარეობს, რაც ნებისმიერ სხვა სიტუაციას აღემატება. სწორედ ამიტომ გვეუბნება პავლე, რომ არ ვჭამოთ მასთან, ვინც მორწმუნედ იწოდება და ცოდვაში ცხოვრობს (იხილეთ 1 კორ. 5:11). სუფრასთან გულს ვხსნით და ერთმანეთს ვუახლოვდებით, ამიტომ თვალსაჩინო ამბოხებაში მყოფ ადამიანთან პურის გატეხა სულიერად ჯანსაღი ვერ იქნება.

ის გვშივდება, რითაც ვიკვებებით

შიმშილი ან წყურვილი საკვანძო ელემენტია ღმერთთან სიახლოვის გადაწყვეტილების მიღებისას. ამიტომ უნდა გვახსოვდეს, რომ მადას ჩვენ ვაკონტროლებთ და არა ღმერთი. საკითხი ასე დგას: რა სახის მადა ან დაუოკებელი სურვილი გვინდა განვავითაროთ? არსებობს უცვლელი სულიერი პრინციპი:

ის გვშივდება, რითაც ვიკვებებით.

ზეციდან 1979 წელს ვიშვი კოლეჯის სტუდენტურ სათვისტომოში. ერთ ღამეს იქაურ სამზარეულოში შევედი, რომ რამე საჭმელი მომეძებნა, როცა უფლის ხმა გავიგე:

– შენი სხეული ჩემი ტაძარია, გაუფრთხილდი მას!

იმ დროისთვის უხარისხო მზა საკვებზე „ვიჯექი“. დიახ, ეს სიტყვა სწორად ასახავს იმჟამინდელ მდგომარეობას, როცა ვინმე რაღაცაზე დამოკიდებულია. ამ უხარისხო ნაგავს ძალიან ვეტანებოდი, რადგან მადას მიღვიძებდა. მიყვარდა გაზიანები, კანფეტები, მზა საკვები, დონატები, ყველა სახის ცხიმიანი

საჭმელი, თეთრი ფქვილის პროდუქტები – თქვენთვის ცნობილია ეს სია. ყოველივე უხარისხოს ჭამა მინდოდა, რადგან მადას მიღვიძებდა. გემრიელ საკვებზე თვალწინ ბიგმაკი, კოკა-კოლა და კარტოფილი „ფრი“ წარმომიდგებოდა.

როცა ღმერთი დამელაპარაკა, მივხვდი, რომ ჩემი სხეული სულიწმიდის სამკვიდრებელი კომპლექსი იყო და ამასთან მეც მეკუთვნოდა. ასეთი აზრი მომივიდა: ძვირფასიანი ახალი მანქანა რომ მეყიდა, მასში არასოდეს ჩავასხამდი დაბალხარისხიან ბენზინს ან გადამუშავებულ ზეთს. შევეცდებოდი, მხოლოდ მაღალხარისხიანი საწვავი და ზეთი ჩამესხა, რომ კარგად და დიდხანს ვეტარებინე. ვიფიქრე, რომ მხოლოდ ერთი სხეული მომეცა, რომლის გამოცვლა არ შეიძლებოდა, თუმცა მანქანის გამოცვლა შესაძლებელი იყო. მაშინვე შევიცვალე ჭამასთან დაკავშირებული ჩვევები. დავიწყე კითხვა და რჩევების მიღება, რომ მესწავლა: რა სჭირდებოდა ჩემს სხეულს მაქსიმალური პოტენციალის გამოსავლენად და დიდხანს სამსახურისთვის? ეს პროცესი გახლდათ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ ჭამისა და სმის მთელი ნიმუში შევცვალე.

ეს ყველაფერი დიდებული იყო, მაგრამ ისეთი სასარგებლო დანამატი მოყვა, რაც მაშინ ვერ წარმომედგინა. როცა პირველად დავიწყე ჯანსაღი საკვების ჭამა, საერთოდ არ მომწონდა მისი გემო, მაგრამ თავს ვაძალებდი, რადგან ჩემთვის კარგი იქნებოდა. რაღაც დროის შემდეგ გემოვნური თვისებები შემეცვალა. ე. წ. „ფასთ ფუდსა“ და გარეთ გაზრდილი მწვანე სალათის ნარევისა და თევზის ერთობლიობას შორის, თან თუ მთლიანად გადაფქული პურის ნაჭერიც ახლდა, არჩევანს ბურგერის სასარგებლოდ ისე გავაკეთებდი, რომ თვალსაც არ დავახამხამებდი. დღეს კი, ამ ორი ტიპის საკვებს შორის, ყოველთვის ჯანსაღს ვირჩევ და უვარგის საკვებზე არც კი დავფიქრდები. ფაქტობრივად, მოგზაურობისას მირჩევნია არაფერი ვჭამო, თუ უხარისხო საკვების გარდა ვერაფერს ვიპოვი. სჯობს მშიერი დავრჩე, ვიდრე ისეთი რამ ვჭამო, რომლისკენაც ადრე ლტოლვა მქონდა. უკვე მადაც არ აღმეძვრება და გემოს ვერ ვატან ასეთ საჭმელს! არც კი მომწონს!

იგივე პრინციპი მოქმედებს ჩვენს გულთან დაკავშირებით. გულს ის უნდა, რითაც ვკვებავთ. თუ მყარ სპორტულ დიეტას

მივდევთ, ESPN-ის მსგავსი არხებისკენ გვექნება ლტოლვა. თუ ფილმები და ჰოლივუდის ჭორები გვაინტერესებს, კინოარხების, ჟურნალებისა და დიალოგებისკენ გვექნება სწრაფვა. თუ სულს გამუდმებით ბიზნესის სამყაროს ამბებითა და თანამედროვე მოვლენებით ვკვებავთ, ეს თემები გვიტაცებს. თუ საკუთარი სახლის, მანქანების, ტანსაცმლის და სხვა ამგვარი საგნებისკენ ვისწრაფით, მყისვე ავენთებით, როცა საყიდლებზე, ახალ მანქანაზე ან დეკორაციის იდეებზე ვიწყებთ ლაპარაკს, ხოლო სულიერი საუბრები ნაკლებ საინტერესო გვეჩვენება. ამ დროს ძნელია წმიდა წერილის კითხვა ან ლოცვის ოთახში დაყოვნება. თუ ღვთის სიტყვის მტკიცე დიეტაზე ვიქნებით, ადვილი იქნება ლოცვისთვის დროის გამოყოფა და სულიერ საკითხებზე საუბარიც იოლად და ბუნებრივად მოვა. ყოველთვის მოგვინდება ღვთის თანდასწრებაში ყოფნა და მასთან ახლო ურთიერთობა.

არაჯანსაღი უკიდურესობა

ეს შეიძლება არაჯანსაღ უკიდურესობამდე მივიდეს. ჩვენ ფიზიკურ სხეულში ვცხოვრობთ. პერიოდულად განახლება და ჯანსაღი გარემო გვჭირდება. ადრე, როცა ბიბლიის სკოლაში ვსწავლობდი, ორმოცსაათიანი სამუშაო კვირა მქონდა და თან სკოლის ყველა გაკვეთილს ვესწრებოდი. ერთ საღამოს ოთახის ამხანაგმა სხვა მეგობრების ჯგუფთან ერთად კონტაქტური ფეხბურთის სათამაშოდ წასვლა შემომთავაზა. უარი ვუთხარი და შესაბამისად, ბიბლიის შესწავლის დრო დამრჩა. როგორც კი წავიდა, ბიბლია გამოვიღე, რომ წამეკითხა და მელოცა, მაგრამ ყველაფერი დაიკეტა. ღვთისგან ვერაფერს ვისმენდი. თითქოს ვკითხულობდი და სიტყვების შინაარსი გაუგებარი იყო. ჩემი მეგობარი თითქმის ერთი საათი არ ჩანდა და მე ვღაღადებდი:

– უფალო, რატომ მიჭირს ასე ძალიან წერილიდან აზრის გამოტანა ან შენი ხმის მოსმენა? რა ხდება? რაღაცით ვერ გასიამოვნე ან ცოდვა ჩავიდინე?

პასუხად გავიგონე:

– წადი და ფეხბურთი ითამაშე!

გაკვირვებულმა უკან დავიხიე და ვკითხე:

– რა? ფეხბურთი ვითამაშო? ეს ხომ არ არის რწმენის შენების საქმე და შენთან არ დამაახლოვებს! როგორ მთხოვ ამის გაკეთებას?

უფალმა ერთი მუხლისკენ წარმართა ჩემი ყურადღება, რომელიც მაშინ გაცოცხლდა:

„გაფრთხილებ შვილო, რომ ბევრი წიგნების წერას ბოლო არა აქვს და *ბევრი სწავლა სხეულს ძალას აცლის*“ (ეკლ. 12:12, *ავტორისეული ხაზგასმა*).

მან ასე მითხრა:

– შვილო, ფიზიკურ სხეულში ცხოვრობ (რომლის ნაწილიც არის ტვინი) და მას სხვადასხვა სახის განტვირთვა სჭირდება. თუ არ მისცემ დასვენების საშუალებას, რეალურად, შეაფერხებ ჩემგან მოსმენის უნარსა და ზრდას.

შემდეგ მან მაჩვენა, როგორ შესთავაზა მოწაფეებს დასვენება მრავალი ადამიანის მომსახურების შემდეგ: „წამოდით უდაბურ ადგილას მხოლოდ თქვენ და მცირედ მოისვენეთ!“ (მარკ. 6:31) მოკლედ რომ ვთქვათ, იესო ამას ამბობდა: „დაისვენეთ, რომ არაფერი მოგივიდეთ!“

მეც მივატოვე ყველაფერი და ფეხბურთის სათამაშოდ წავედი. მოგვიანებით, ნაშუადღევს, როცა ისევ მივუჯექი ბიბლიას, მუხლები გადაიშალა და ისევ ვიგრძენი გულში ღვთიური სიცოცხლის დინება, როცა ღვთის სიტყვის ირგვლივ სულიწმიდასთან მოზიარეობა მქონდა.

მეტისმეტად მოუცლელი

სწავლისთვის მეტისმეტად ბევრი დროის დათმობისა და სამშვინველისა და სხეულისთვის საჭირო დასვენების უგულებელყოფის შეცდომას ნაკლებად თუ ვინმე უშვებს თანამედროვე ეპოქაში. უდიდესი ქურდი, რომელიც ღვთისადმი წყურვილს გვართმევს, ჩვენი გადატვირთული ცხოვრების სტილია. ბევრი საუკეთესო ზრახვების მქონე მორწმუნე ვარდება ამ ხაფანგში და ღმერთთან დროის გატარებას

მეტისმეტად დაკავებული ქრისტიანული ცხოვრების სტილით ანაცვლებს. ეს შეიძლება მოიცავდეს მსახურების მაცდურ და გრძელვადიან შრომას.

მოდით, მარტივი კითხვა დავსვათ ჩვენს გასანათლებლად. რატომ ვიკვებებით ფიზიკურად? იმედი მაქვს, რომ ასე მიპასუხებთ: სხეულისთვის საჭირო საკვების მისაღებად. წარმოგიდგენიათ, საკვების გარეშე გაწიოთ ცხოვრების ჭაპანი სრული სიჩქარით? ექსპერიმენტის სახით უარი რომ ვთქვათ რამდენიმე დღით საკვების მიღებაზე, მაგრამ ფიზიკური შრომა დღის განმავლობაში გავაგრძელოთ დამატებითი ძილის გარეშე – რა მოხდება? უბრალოდ, იფიქრეთ ამაზე ერთი წუთით! ვერ გაძლებთ!

და მაინც, რა ადვილად ვიქცევით ასე სულიერი თვალსაზრისით; არსებობს მიზეზი, რატომაც ვიტანთ ამას სულიერად, მაგრამ არა ფიზიკურად. თუ კარგა ხნის მანძილზე არ შევჭამთ, ჩვენი კუჭი თავს შეგვახსენებს და თან არაერთხელ. მისი ხმა თანდათან გაძლიერდება და დროის სვლის კვალობაზე მეტი ტკივილით იყვირებს. მთელი ჩვენი სხეული ღაღადებს: „მშია, მაჭამე!“ ჩვენი სული კი ასე არ გაჰყვირის. უფრო პირიქით ხდება. შინაგანი კაცის ხმა თანდათან ინავლება. მიზეზი ის გახლავთ, რომ მისი ხმა არ გვესმის. ჩვენი სული სუსტდება, ხოლო ხორცი მძლავრობს.

მადა გვეკარგება, როცა გარკვეული დროის მანძილზე არ ვჭამთ. თუ საჭმელს ხუთ დღეზე მეტ ხანს არ შეჭამთ, შიმშილის ფიზიკური ხმა მიჩუმდება. საკვები მიმზიდველობას დაკარგავს და ერთი ნაჭერი სტეიკის ჭამა ისეთივე სასურველი გახდება, როგორც ფეხსაცმლისა. მადა დაკარგეთ და ვერ დაიბრუნებთ, სანამ მთელი თქვენი შინაგანი რესურსი არ ამოიწურება და შიმშილობის ზღვარზე არ მიხვალთ.

დავაკვირდი, რომ იგივე ხდება, როცა გადატვირთული ცხოვრების წესს უფალთან დროის გატარების ჩანაცვლების უფლებას ვაძლევ. თავდაპირველად, ბიბლიის მიმართ ინტერესი მცირდება, ხოლო შემდეგ ლოცვის სურვილი ქრება. თუ აქა-იქ ვლოცულობ ან ვკითხულობ კიდეც, ვერ ვგრძნობ ჩემს არსებაში სიცოცხლის მდინარებას. წმიდა წერილი არ მელაპარაკება, როგორც ადრე, როცა მისგან თანმიმდევრულად ვიკვებებოდი.

ფიზიკური საკვებისგან თავი იმ დონემდე შემიკავებია, რომ მადა საერთოდ დამკარგვია. ჭამის ხელახლა დაწყების ერთადერთი გზა იძულებით ჭამა ხდებოდა. იგივე პრინციპი მართებულია სულიერი კუთხითაც. თუ სულიერი მადა დავკარგე, ბიბლიას ვიღებ, სიზარმაცეს ვინანიებ და შემდეგ მოლოდინით ვეძებ ღვთის ხმის გაგონებას. მანამ ვაგრძელებ კითხვას, სანამ რომელიმე ადგილი არ დამელაპარაკება. როგორც წესი, ამას დიდი დრო არ სჭირდება; როცა ასე ვაგრძელებ, იგი ყოველთვის ერთგულად მეხმაურება. მასთან ხელახლა დაკავშირების კიდევ ერთი გზა გახლავთ ორიოდე დღის აღება კითხვისა და ლოცვისთვის მანამ, სანამ სრულად არ ავივსები.

თქვენი სულიერი თერმომეტრი

ეს გახლავთ წვრთნის სახეობა, რომელიც ყველამ უნდა გავითვალისწინოთ. განდგომილება მაშინ არ იწყება, როცა ადამიანი უცხო ქალის ლოგინში აღმოჩნდება ან ისევ დაიჭერს საკუთარ თავს ალკოჰოლის ან პორნოგრაფიის ლტოლვაში. ეს არც მაშინ იწყება, როცა საყვარელ ადამიანებს შეიძულებს და შვილებს უგულებელყოფს. სიის გაგრძელება დაუსრულებლად შეიძლება. არა, განდგომილება მაშინ იწყება, როცა ბიბლიისა და ღვთიური საკითხებისადმი ინტერესს ვკარგავთ. ეს მაშინ ხდება, როცა ქვეყნიური საგნები უფრო მეტად გვახარებს, ვიდრე ღვთისა.

შიმშილი თქვენი სულიერი თერმომეტრია. ფიზიკური კუთხით იფიქრეთ ამაზე: პირველად რა ეკარგება ადამიანს ავადობის დროს? პასუხია: „მადა“. თუ ოდესმე გრიპი გქონიათ, ადვილად გაიხსენებთ ... ჭამის თავიც კი არ გქონდათ. დააკვირდით პაციენტებს, რომლებიც სასიკვდილო დაავადების ბოლო სტადიაზე არიან. მათ დაკარგული აქვთ სამოცდაათი-ოთხმოცი ფუნტი და ინტრავენურად იკვებებიან. ავადმყოფს ჭამის სურვილი მცირედით ან საერთოდ არ აქვს შერჩენილი. ალბათ, გსმენიათ გამოთქმა: „ჯანმრთელი ადამიანის მადა“ აქვს. სულიერ სფეროშიც არ არის სხვაგვარად. სულიერი ჯანმრთელობის ნიშანი ღვთის სიტყვის შიმშილი გახლავთ.

სულიერი ავადობისას ადამიანი ღვთიური საგნების მადას კარგავს.

ვყოფილვარ იმ მსახურების წრეში, რომლებსაც მეტ სიამოვნებას ანიჭებს სამშენებლო პროგრამაზე, ახალ მანქანაზე, სპორტულ გუნდებსა და სხვა ამგვარ თემებზე ლაპარაკი, ვიდრე სულიერი საკითხების განხილვა. როცა უფლის საქმეებს ან გულში ღვთისგან მიღებულ სიტყვას ახსენებ, ისე იქცევიან, თითქოს პარლამენტის სხდომას უსმენდნენ. მხოლოდ მაშინ აენთებიან, როცა თავიანთ ახალაშენებულ სახლებზე ჩამოაგდებენ ლაპარაკს. მათ ვაკვირდები თაყვანისცემისას; ისინი ირგვლივ იყურებიან; სხვებს ესაუბრებიან ან იმ ჩანაწერებს ათვალიერებენ, რომლებიც ქადაგებისთვის მოამზადეს. ნაკლებად აღაპყრობენ ხელებს და ყურადღებას არ აქცევენ მას, ვინც მათთვის ძალზე ძვირფასი უნდა იყოს. ეს უფრო ღრმა სნეულების სიმპტომია.

ასეთ ეკლესიებში ღვთის თანდასწრების ნაკლებობას ვამჩნევ. როცა ხალხს მონანიებისკენ მოვუწოდებ და ღმერთთან მოახლოებისთვის ვეპატიჟები, სულიწმიდა მოდის და მათ უკვირთ. ალბათ, ახსენდებათ, საიდან დაეცნენ ან გვერდზე გადასწევენ, როგორც ჩვენი მსახურებისთვის დამახასიათებელ ნიჭს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ მათში ჯერ კიდევ შემორჩენილია შორეული სურვილი, ღვთის თანდასწრება შიმშილის გრძნობას ისევ აღვიძებს.

ესაია ამბობს: „მბჟუტავ პატრუქს არ ჩააქრობს“ (ეს. 42;3). ეს ფრაზა პირდაპირი მნიშვნელობით აღნიშნავს ლამფის მბჟუტავ პატრუქს, როცა ზეთი მთლიანად გაიხარჯა და ალი მიინავლა. უფალი ცნობს სუსტს, პატარას, წვრილს, უღონოს და მსხვრევადს. ის არ ჩააქრობს მბჟუტავ პატრუქს, არამედ უფრო მეტად შეუბერავს და ააგიზგიზებს. გახსოვდეთ, რომ ის მაშინაც მოგვყვება, როცა ჩვენგან მხოლოდ მბჟუტავი ნაპერწკალია დარჩენილი. უმჯობესია მასთან თანამშრომლობა და გამოხმაურება, რადგან თავად ძალით არ შემოგვეჭრება!

ამას ხშირად ვხედავ. ბევრჯერ დავკვირვებივარ, როგორ უბერავს უფალი ცეცხლის ალს, რომელიც უამრავ ადამიანში მინავლულა. ეკლესიებსა და კონფერენციებზე არაერთხელ უთქვამთ, რომ ვერც აცნობიერებდნენ, რამდენად დაეცნენ,

სანამ ცეცხლი ხელახლა არ აინთო და ღვთის ძიების სურვილი ისევ არ აგიზგიზდა. ისინი მიხვდნენ, რომ გულებს არ გაუფრთხილდნენ და სულიერი მადა დაკარგეს, რაც ჯანსაღი მდგომარეობის თანმხლებია.

დაიცავით ყველაზე ძვირფასი!

ჩვენ გვეუბნებიან, რომ „ყველაფერზე მეტად დავიცვათ გული“ (იგავ. 4:23). არაფერია ამაზე მნიშვნელოვანი, რასაც უნდა გავუფრთხილდეთ, დავიცვათ და თვალ-ყური ვადევნოთ! ამის გააზრებისას ვფიქრობ, თუ როგორ იცავს ადამიანი ძვირფასეულობას. ყველას გვინახავს უმტვრევი მინის საფარქვეშ გამოფენილი ძვირფასი ქვები. ისინი დაცულ გარემოშია მოთავსებული. წონისა თუ ტემპერატურის მცირე ცვლილების დროს განგაშის სიგნალი ირთვება და კარები მჭიდროდ იკეტება. ციფრული კამერის სხივი მსხვრევის შემთხვევაში კბილებამდე შეიარაღებულ დაცვას უხმობს. მცველებს უხდიან, რომ 24/7-ზე მეთვალყურეობდნენ გამოფენას. ათასობით დოლარი იხარჯება *ქვის* დაცვისთვის!

ღმერთი გვეუბნება, რომ დედამიწაზე ყველაზე ძვირფასი ქონება ჩვენი გულებია და არა – ქვები. მიუხედავად ამისა, მორწმუნეები თავიანთ გულებს სხვა საგნებს ამჯობინებენ, რომლებსაც არათუ მოგება არ მოაქვთ, არამედ გვაზიანებენ კიდეც. ყველაფერს ვუყურებთ და წავიკითხავთ, თუ მასში არ იქნება გადაჭარბებული სიშიშვლე ან ლანძღვა. ვცდებით ქვეყნიერების სულის ამოცნობაში, რომელიც ღვთის სულთან მტრობაშია. და მაინც, ქვეყნიური ხალხი გაცილებით გონიერია, რადგან გულმოდგინედ იცავს იმას, რაც ეძვირფასება; ხოლო მორწმუნეები არხეინად დააბიჯებენ დედამიწაზე და არ იცავენ გულს სხვადასხვა სურვილებისგან, რომლებიც იმ ერთადერთის წყურვილს პარავენ, რომელსაც ნამდვილად შეუძლია მათი დაკმაყოფილება.

უფალმა „მწყურვალი სული გააძღო და მშიერი სული სიკეთით აავსო“ (ფს. 107:9). მას ჩვენი დარწყულება სურს, თუმცა მისი სიკეთე არ დაგვაკმაყოფილებს, როცა უკვე სავსე ვართ სხვა საგნებით. მოდით, შევინარჩუნოთ უფლისადმი

დაიცავით შინაგანი წყურვილი!

წყურვილი და ზედაპირულად ნუ მოვეკიდებით მის მოწოდებას ჩვენდამი! როცა მივუახლოვდებით, გვპირდება, რომ ისიც მოგვიახლოვდება!

კითხვები შესწავლისთვის

1. იგავები 27:7 ამბობს: „მაძღარი გოლეულსაც დაიწუნებს.“ როცა ამ მუხლზე ფიქრობთ, რა საზრუნავის, სურვილისა თუ სიამოვნებისადმი ხართ ყველაზე მეტად მიდრეკილი? როგორ დააჩლუნგეს მათ ღმერთთან მოზიარეობის „გოლეულისადმი“ შიმშილი?
2. ამ თავში ავტორი გვიზიარებს ოც წლამდე და ოც წელზე უფროს ადამიანებზე დაკვირვებებს ორი სხვადასხვა ეკლესიის გარემოში, თუ რამდენად აქვთ მათ შინაგანი მოშურნეობა ღვთის მიმართ. როცა თქვენს ადგილობრივ ეკლესიას უყურებთ, როგორ დაახასიათებდით თქვენი სულიერი ოჯახის მადას – როგორც დაკმაყოფილებულს, მწყურვალს თუ გულგრილს?
3. იგ. 4:23-ის შეგონების ფონზე, „ყველაზე მეტად დაიცავი შენი გული“, დღეს რა ნაბიჯებს გადადგამდით გულის დასაცავად? ურევია თქვენს საკვებში უხარისხო საჭმელი, რომელიც უნდა მოიცილოთ ან ჩაანაცვლოთ?

თავი მეოთხე

მისი თანდასწრებისკენ სწრაფვა

ნათქვამის სიტყვის მოსმენა შესაძლებელია მაშინ, როცა მის თანდასწრებაში ვართ.

მსახურების ბოლო ოცი წლის მანძილზე ანტარქტიდის გარდა ყველა კონტინენტზე ვარ ნამყოფი ღვთის სიტყვის სასწავლებლად როგორც ეკლესიებში, ისე კონფერენციებზე. სრული დროით მოგზაური მქადაგებლის მსახურების დაწყებამდე ორი ეკლესიის შტატში ერთიანად შვიდწლიანი მუშაობის პატივი მერგო. ამ დროის განმავლობაში ეკლესიაში ორი მთავარი ჯგუფი აღმოვაჩინე, რომელთა აზროვნებას შორის ნაპრალი დღითიდღე იზრდება, რაც უფრო ახლოვდება უფლის მოსვლა. პირველები არიან ღვთის მაძიებლები იმისთვის, რასაც მისგან იღებენ, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ ადამიანები, რომლებიც ღვთის პიროვნებით არიან მოხიბლულები.

ისრაელის უმთავრესი მოტივი

ეს კონტრასტი აშკარად ჩანს მოსესა და ისრაელიანებს შორის. მოდით, მეტად ჩავუღრმავდეთ ამ საკითხს. ისრაელს გულით სურდა ჩაგვრისგან გათავისუფლება და ღმერთს შეჰღაღადებდა, მისი როგორც მხსნელის აღიარებით. აბრაჰამის ეს შთამომავლები შეიძლება შევადაროთ ხალხს, რომელიც ღმერთს მისგან სარგებლის მიღების იმედით ეძებს. ეკლესიაში არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ქვეყნიერების სისტემის მონობა, მაგრამ გაუცნობიერებლად მაინც მის ტყვეებად რჩებიან. ისინი აღიარებენ და უფლად მიიჩნევენ იესოს, ეძიებენ მას ხსნისა და უზრუნველყოფისთვის. და მაინც, მათი გულები ისრაელიანების მსგავსად ავლენს სურვილებს, მოქმედებებს, სიტყვებს და ქვეყნიერების სისტემისთვის დამახასიათებელ დამოკიდებულებებს.

ასობით წელი მოთქვამდა ისრაელი ღვთიური ხსნის მისაღებად. უფალმა მათ მოსე გაუგზავნა და უთხრა, რომ დადგა სასურველი დრო და თან მათთვის სიტყვა მისცა. ფარაონის ნახვამდე ის ისრაელის უხუცესებს შეხვდა და ღვთიური განთავისუფლების დაპირება ამცნო. ეს კარგი ამბავი რომ გაიგეს, „ირწმუნა ხალხმა, რომ გაიხსენა უფალმა ისრაელის ძენი და რომ იხილა მათი ტანჯვა. მუხლი მოიყარეს და თაყვანი სცეს“ (გამ. 4:31).

წარმოიდგინეთ ამ თავყრილობის ემოციები! მთელი ცხოვრების მანძილზე ესმოდათ უხუცესებს, რომ ღმერთი მათ დაიხსნიდა. თავისუფლების მიწის დაპირება, სადაც რძე და თაფლი გადმოდიოდა, თაობიდან თაობას გადაეცემოდა. ისინი უყურებდნენ, როგორ ცხოვრობდნენ და კვდებოდნენ მათი უხუცესები, რომლებიც ვერ მოესწრნენ აღთქმის აღსრულებას. ამათაც იგივე კითხვა აწუხებდათ: ვიხილავთ კი აღთქმულს ჩვენს სიცოცხლეში თუ იქამდე გარდავიცვლებით? ახლა ისინი ეგვიპტის ყოფილი უფლისწულის, გამოწვრთნილი ლიდერის წინაშე დგანან, რომელსაც სასწაულებრივი მოწმობა აქვს, რომ უფლის ხელი მათზეა. სწორედ ის, ვინც მათი მმართველი უნდა ყოფილიყო, ახლა მათი მხსნელია. მხოლოდ ღმერთს შეეძლო ასეთი საოცრების მოხდენა! მათი გულები მოკრძალებითა და

სიხარულით აივსო. თაყვანისცემით და მადლიერებით ღვთის ქების გარდა აღარაფერი შეეძლოთ.

მოსე ტოვებს მათ და ფარაონთან მიდის. თუმცა ეგვიპტის წინამძღოლზე დიდი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა ღვთის განმათავისუფლებელმა სიტყვამ. იგი მოსეს და აბრაჰამის შთამომავლებს ლანძღავს და კიდევ უფრო ართულებს მათ მდგომარეობას თითქმის აუტანელი სამუშაო პირობების შექმნით. ახლა ყველაფერი სწრაფად იცვლება. სწორედ ის უხუცესები უკმეხად ელაპარაკებიან და მკაცრად ექცევიან მოსეს. მათი თაყვანისცემა დავიწყებულია; გული გაუტყდათ, იმედი გაუცრუვდათ და მოსეზე მსჯავრიც წარმოთქვეს! (იხილეთ გამ. 5:21).

მიუხედავად ამისა, ღმერთი თავისი მოწყალებით მაინც იხსნის მათ დიდი ნიშნებით და სასწაულებით. როცა ფარაონი საბოლოოდ ბრძანებას იძლევა, დამოკიდებულებაში კვლავ საოცარი გარდატეხა ხდება. ისინი სიხარულით ივსებიან და დიდებით და კურთხევით გადიან. წარმოიდგინეთ შვების ატმოსფერო, როცა ცეკვა-ცეკვით გამოდიან ეგვიპტიდან და ღვთის სიკეთით და ერთგულებით ტკბებიან. ისინი არა მარტო გათავისუფლდნენ, არამედ ოქრო-ვერცხლის უხვი საგანძურიც წამოიყოლეს და თან ჯანმრთელობა და ძალა მიიღეს საპასექო კრავის ჭამის შემდეგ. ყოფილი მონები არა მარტო ღვთის მიმართ მადლიერები იყვნენ, არამედ მოსესადმი მათმა ნდობამ უმაღლეს ნიშნულს მიაღწია.

ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ ღმერთმა მოსეს მათი მეწამული ზღვისკენ წაყვანა უბრძანა. მათ უკან მოიხედეს და მიხვდნენ, რომ ფარაონი მოსდევთ. კიდევ ერთხელ დიდად შეიცვალა მათი დამოკიდებულება. ისევ დაიწყეს მწარედ წუწუნი და მოსეს მივარდნენ: „უთხრეს მოსეს: „განა ეგვიპტეში არ იყო სამარხები, უდაბნოში რომ არ წამოგეყვანეთ დასახოცად? ასეთი რამ რად გაგვიკეთე, რისთვის გამოგვიყვანე ეგვიპტიდან? განა ამას არ გეუბნებოდით ეგვიპტეში: „დაგვეხსენი, ეგვიპტელთა მსახურები ვიქნებით-თქო? რადგან უდაბნოში დახოცვას, ეგვიპტელთა მონობა *გვირჩევნია*“ (გამ. 14:11-12, *ავტორისეული ხაზგასმა*). როცა ეგვიპტეში საქმე არცთუ კარგად მიდიოდა, მოსეს უთხრეს,

რომ მათთვის თავი დაენებებინა; ისინი ახლაც უბედურად თვლიან თავს მათი არაკომპეტენტური წინამძღოლის გამო და ისევ მწარედ საყვედურობენ. ისინი ფიქრობდნენ, რომ მოსესა და აჰარონის წინააღმდეგ ჩიოდნენ, მაგრამ მოსე სიმართლეს ეუბნება მათ: „ჩვენი კი არა, უფლის წინააღმდეგაა თქვენი დრტვინვა“ (გამ. 16:8). მათმა სურვილმა, რომ საკუთარი ინტერესები ყველაზე მეტად გაეთვალისწინებინათ, გადაფარა ღვთის ნების შესრულების სურვილი. ყურადღება მიაქციეთ სიტყვას – *გვირჩევნია*. მათ აკლდათ ღვთის გულის შეცნობის მწველი სურვილი, თუმცა საკუთარი ცხოვრება ძალიანაც აღელვებდათ.

ღმერთი კიდევ ერთხელ იჩენს მოწყალებას და მეწამულ ზღვას ორად ყოფს, რომ ისინი მშრალ ხმელეთზე გადაიყვანოს. ღმერთი ერთი ხელის მოსმით ანადგურებს მსოფლიოს უძლიერეს არმიას და ისრაელიანთა ოთხასი წლის მანძილზე მჩაგვრელებს. ახლა მათ მოჭარბებული გრძნობები ახრჩობთ! მხიარულობენ და უფლის წინაშე ცეკვავენ. ბიბლიაში ვკითხულობთ: „აიღო წინასწარმეტყველმა მირიამმა, აჰარონის დამ, დაფდაფი ხელში და მიჰყვა ყველა ქალი უკან დაფდაფებითა და ფერხულით“ (გამ. 15:20). წარმოგიდგენიათ, როგორ ცეკვავს და დაფდაფებზე უკრავს რვაასი ათასიდან მილიონამდე ქალი? ოჰ, რა დიდებული ქება-დიდების მსახურებაა! ასეთი სიხარული არასოდეს განუცდიათ. თუმცა ეს ყველაფერი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან სამი დღის შემდეგ წყლის მარაგი ამოეწურათ. ისევ დაიწყეს მწარედ წუწუნი და ღმერთმა ისევ უზრუნველყო ისინი.

რამდენიმე დღე გავიდა და ახლა საკვების უკმარისობა იქცა პრობლემად. ისინი კვლავ მოთქვამენ: „ნეტავ, მომკვდარიყავით უფლის ხელით ეგვიპტის ქვეყანაში, როცა ხორცით სავსე ქვაბებს ვუსხედით და პურს ძღომამდე ვჭამდით! თქვენ გამოგვიყვანეთ ამ უდაბნოში, რომ შიმშილით ამოგვწყვიტოთ მთელი კრებული“ (გამ. 16:3).

ხედავთ მათი ქცევის ნიმუშს? ისინი ბედნიერი და მადლიერი არიან, თუ ღმერთი მათთვის სასურველს აკეთებს, როცა კი მოუნდებათ, მაგრამ წუწუნს იწყებენ, თუ ღმერთი არ აკეთებს მათთვის სასურველს მაშინ, როცა მოუნდებათ.

მათი გულის ზრახვები ზეწოლის დროს მოქმედებით და სიტყვებით მჟღავნდება; ყველაფერი მათ ირგვლივ ტრიალებს. ისინი საკუთარ სურვილებს ღვთის გულისნადებსა თუ თანდასწრებაზე მეტად ითვალისწინებენ.

მოსეს უმთავრესი მოტივი

ზემოხსენებული ქცევის ციკლი იმდენჯერ გამეორდა, რომ ღმერთსაც მობეზრდა. მან მოსეს უთხრა:

> „აიყარეთ ახლა აქედან და წადით, შენ და ხალხი, ეგვიპტის მიწიდან რომ გამოიყვანე, ქვეყანაში, რომელზეც შევფიცე აბრაჰამს, ისაკს და იაკობს ასე: 'შენს შთამომავლობას მივცემ-მეთქი.' წაგიმძღვარებ წინ ანგელოზს და განვდევნი ქანაანელებს, ამორელებს, ხეთელებს, ფერიზელეს, ხიველებს და იებუსელებს. ქვეყნისკენ, სადაც მოედინება რძე და თაფლი; თვითონ მე კი აღარ ვივლი შენ შორის, რადგან ქედმაგარი ხალხი ხარ, ვაითუ მოგსპო გზაში!" (გამ. 33:1-3)

ამით ღმერთმა მოსეს უთხრა, რომ მას შეეძლო ამ ხალხის აღთქმულ მიწაზე მიყვანა, რასაც ასე დიდხანს ელოდებოდნენ. უფრო მეტიც, ალტერნატიულ ანგელოზს წაუმძღვარებდა წინ, რომ მტრები აღმოეფხვრა და ქვეყანა დაცული ყოფილიყო, თუმცა იგი (მისი თანდასწრება) არ გამოჰყვებოდათ!

კარგია, რომ ეს სიტყვები ღმერთმა მოსეს უთხრა და არა ისრაელიანებს, თორემ ისინი სიხარულით მიიღებდნენ, იმხიარულებდნენ, ბარგს შეკრავდნენ და წავიდოდნენ. რატომ მგონია ასე? იფიქრეთ! ეგვიპტეში ღვთის ან ანგელოზის გარეშე დაბრუნებაზე თუ არ ამბობდნენ უარს, რომ უდაბნოს მძიმე პირობებისგან თავი დაეღწიათ, დარწმუნებული ვარ, აღთქმულ ქვეყანაში ანგელოზის თანხლებით წასვლაზეც დათანხმდებოდნენ. ახლა კი, მოუსმინეთ, რა პასუხი გასცა მოსემ ღმერთს ამ შემოთავაზებაზე:

მიახლოება

„თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან!“ (გამ. 33:15)

საკუთარ თავს უნდა შევახსენოთ, სად იყო „აქედან“. ეს გახლდათ უდაბნო; სირთულეების ადგილი; კომფორტისა და სიამოვნებისგან დაცლილი ადგილი! აქ არ იყო სიუხვე, მხოლოდ ყოველდღიური საჭიროებები კმაყოფილდებოდა და ისიც ხშირად ზებუნებრივი გზით. აქ არ იყო: ბაღები, ბუნებრივი რესურსები ან უსაფრთხოება. არ ჰქონდათ: სახლები, მდინარეები, ვენახები, მინდვრები ან ხეხილი, რომ იქედან ეჭამათ. (თუ არ ისიამოვნებდით სურათით, როგორ კრეფდნენ გველებს თქვენი საყვარელი ადამიანები). ყველაფერი გვალვიანი და უღიმღამო იყო. მშვენიერება თვალს არ ხვდებოდა და მაინც, მოსე აცხადებს, „შენი თანდასწრება მირჩევნია ამ არასასურველ და მოუხერხებელ ტერიტორიაზე, ვიდრე სიუხვისა და სილამაზის მიწა, სადაც შენი თანდასწრება არ იქნება!“

რა იყო მისი გულის ამოძახილი? ღვთის თანდასწრება! მას უფალი უფრო მეტად უნდოდა, ვიდრე მისი დაპირებული კურთხევები. მას ჯილდოდ მიაჩნდა ღმერთთან სიახლოვე, რომელიც ყოველგვარ საგანძურს აღემატებოდა, რის მიცემაც მას შეეძლო. ეს გამოარჩევდა მოსეს ისრაელიანებისგან. ისინი ღმერთს ეძებდნენ იმისთვის, რისი გაკეთებაც შეეძლო, ხოლო მოსე ღვთის პიროვნებით ხარობდა! ეს მამოძრავებელი მოტივაცია დღესაც ორ ჯგუფად ჰყოფს მორწმუნეებს. გაყოფა დენომინაციურ საზღვრებს სცდება. არიან ისეთები, რომლებმაც არ იციან, რომ ღვთის ძიება დაცვაზე, უზრუნველყოფასა და წინსვლაზე მეტი რამისთვისაც შეიძლება. მათ შეუძლიათ ღვთის მიღება მისი პიროვნების გამო და ძალზე ახლოს გაცნობა. რამდენად განსხვავდება ეს ვითარება ფულის გამო გათხოვილი ქალის მდგომარეობისგან? მას ქმრის პიროვნება არ აინტერესებს და უფრო მის შესაძლებლობებს ეხარბება. საქმის ასე მოწყობისას ორივე მხარე აგებს, რადგან ნამდვილი სიახლოვე ანგარებიან ზრახვებზე ვერ აყვავდება.

ჯილდო

მსოფლიოს ულამაზეს კუთხეებში ისეთი სახლები და შენობები მინახავს, რომლებსაც დიდებულებით ბადალი არ აქვს, მაგრამ ჩემთვის არაფერს ნიშნავს, რადგან ღვთის თანდასწრებისგან დაცლილია. ასევე ვყოფილვარ მეტად უსიამოვნო ადგილებში, როგორიცაა ციხეები, მესამე მსოფლიოს ერები, სადაც სახლებში ცოტა რამეს თუ ნახავთ ადამიანისთვის სასურველს, მაგრამ ღვთის თანდასწრებით სავსეა. გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ იმ მძიმე და არაკომფორტულ ადგილებში ყოფნას ვარჩევდი, სადაც უფლის სული მკვიდრობს, ვიდრე საგანძურით სავსე სასახლეებში ბინადრობას, რომლებიც მისი თანდასწრებისგან დაცლილია.

სტუდენტური სპორტის ეროვნულ ასოციაციაში, აშშ-ს ჩოგბურთის ასოციაციაში, დევისის იუნიორთა შეჯიბრებებზე საჩოგბურთო ასპარეზობებში მონაწილეობის პატივი მხვდა წილად და ჩვენი შტატის გამარჯვებული გავხდი. მიმიღია სამეცნიერო ჯოლდოები, სოციალური სტატუსი და ჩემი თანატოლების, წინამძღოლებისა და ბიზნეს-კომპანიების დირექტორთა აღიარება. ლამაზ და პოპულარულ გოგონებს ვხვდებოდი. მათგან უმეტესობა არა მარტო სასურველი, არამედ მთელი გულით საძიებელი ქალიშვილები იყვნენ. სიმართლე უნდა ითქვას, რომ მთელი ეს დიდება და სიამოვნება ღვთის თანდასწებაში ყოფნის 30 წამთან ახლოსაც ვერ მივიდოდა. შეუძლებელია შედარება! აი, როგორ აღწერს წმიდა წერილი მოსეს:

> რწმენით თქვა უარი მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძეობაზე და ღვთის ხალხთან ერთად ტანჯვა ამჯობინა, დროებით განცხრომას ცოდვაში; ქრისტესათვის ლანძღვა მეტ სიმდიდრედ მიიჩნია, ვიდრე ეგვიპტის საგანძურები, ვინაიდან საზღაურს უყურებდა. (ებრ. 11:24-27)

ყურადღება მიაქციეთ, რომ მან ტანჯვა ამჯობინა. მას ისრაელიანებისგან განსხვავებული პოზიცია ეკავა; იმ ხალხს არჩევანი არ ჰქონდა. თუმცა ისინი ჩიოდნენ, მაგრამ არა

მოსე. მან თავისუფალი ნებით უარყო უმშვენიერესი, რასაც ქვეყნიერება სთავაზობდა და უარი თქვა უმაღლეს სტატუსზე, რომლის მოპოვებაც შეეძლო. რატომ? იგი სხვა ჯილდოს ეძებდა. მისი საზღაური არ იყო აღთქმული მიწა, არამედ ღვთის თანდასწრების დაპირება. ალმოდებულ ბუჩქთან ერთადერთი შეხვედრიდან მოყოლებული, მხოლოდ ღვთის სიახლოვეზე ფიქრობდა.

ათასობით ადამიანისთვის მიქადაგია კონფერენციებსა და ეკლესიებში და მილიონებს მოვმსახურებივარ ტელევიზიისა და წიგნების მეშვეობით. ღმერთმა ჩემი გონებისთვის წარმოუდგენელი გზებით გვაკურთხა. და მაინც, არჩევანის წინაშე რომ ვიდგე, მიღწეულ ხილულ წარმატებას ყოველგვარი ყოყმანის გარეშე გავცვლიდი მის გამოვლენილ თანდასწრებაზე. ამის მსგავსი არაფერია. მისი სიახლოვის განცდა და მისი ჩურჩულით ნათქვამი სხვადასხვა საკითხებზე, რაც მის გარეშე არასოდეს მეცოდინებოდა, გაცილებით აღემატება უამრავი ადამიანისთვის ქადაგებას და მილიონობით გაყიდულ წიგნს. ღვთის თანდასწრების დიდება ნებისმიერ რამეზე დიდია!

გული მეკუმშება, როცა ვხედავ წარმატებას გამოდევნებულ მსახურებს, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ ამაშია მათი სისავსე. გამოუთქმელ მიზნად ისახავენ სხვებისგან დაფასებას და აღიარებას. მინახავს ისეთები, რომლებიც პიროვნული მნიშვნელობის შეძენას და რეალიზებას მსახურების მეშვეობით ცდილობენ, მაგრამ სასოწარკვეთილებაში ვარდებიან და საბოლოოდ, სიბნელის მახეში ებმებიან. ისინი უზარმაზარ მსახურებებს აშენებენ და უზნეობით ან სიხარბით ასრულებენ, სანამ მიხვდებიან, რა ცარიელია ეს ყველაფერი.

ისეთი ადამიანებიც მინახავს, რომელთაც სხვების მსგავსი წარმატება არ გამოუცდიათ, მაგრამ იგივე ტრაგიკული აღსასრული ჰპოვეს. იმედი გაუცრუვდათ, რომ ვერ ჩამოაყალიბეს ორასი, ხუთასი, ათასი, ხუთი ათასიანი ან სხვა კონკრეტული მიზნის მქონე ეკლესია, რაც მათ გულს სურდა. მათი წიგნები არასოდეს გაყიდულა მოსალოდნელი ტირაჟით, არასოდეს მიუწვევიათ „დიდ“ კონფერენციებზე, სადაც სიტყვით გამოსვლას ისურვებდნენ. ისინი დაკმაყოფილებას ეძებდნენ იქ, სადაც ვერ იპოვიდნენ. ეს არაფრით განსხვავდება

საერო პირთა მიერ სტატუსისა და წარმატების მოპოვების მცდელობისგან. ასეთი მორწმუნეები აცდნენ ცხოვრებისეულ მიზანს, რისთვისაც შექმნილი იყვნენ.

ამის საპირისპიროდ მინახავს მამაკაცები და ქალები, რომლებსაც დიდი მსახურებები აქვთ და წარმატებაც გამოუცდიათ, მაგრამ მათ გულებში სულ უფრო მეტად იზრდება ღვთის წყურვილი. ბევრ მათგანს არც კი უძებნია ის პოზიცია, რომელიც ახლა ასე თავისუფლად უჭირავთ. ისინი აღიარებენ, რომ ისინი ღმერთმა მოიყვანა აქ და მხოლოდ მისთვის სიამის მინიჭება აქვთ მიზნად. ჩვენს საუბრებში მომისმენია მათი გულის ღაღადი და მათ მოქმედებებს დავკვირვებივარ; ისინი არ განსხვავდებიან დავითისგან, რომელიც დდი წარმატების მიუხედავად, თავს ღატაკ და საჭიროების მქონე ადამიანად მიიჩნევდა.

შედარებისთვის ვიტყვი, რომ პატარა მსახურებების მქონე მორწმუნეებიც მინახავს, რომლებიც მშვიდობასა და კურთხევაში დადიან, რადგან ღვთიური მოწოდება აღასრულეს. მათი მისწრაფება რიცხვებში ან გარეგნულ წარმატებაში როდია, არამედ ღვთის უფრო ახლოს შეცნობასა და მისი ხილული თანდასწრებით სიარულში. აი, სად არის ნამდვილი მშვიდობა და კმაყოფილება!

ღვთის ორი თანდასწრება

ამ ეტაპზე უნდა განვსაზღვროთ წმიდა წერილში წარმოდგენილი ღვთის ორი თანდასწრება. პირველი მისი *ყველგან-მყოფელობა* გახლავთ. დავითი ასე ამბობს: „სად წავუვალ შენს სულს და შენს სახეს სად გავექცევი?“ (ფს. 1139:7). ყველგან-მყოფელობა ნიშნავს, რომ მას ერთდროულად ყველა ადგილზე ყოფნა შეუძლია. დავითი ასე აგრძელებს: „ზეცაში ავიდე - იქ ხარ, ქვესკნელში ჩავიდე - იქაც ხარ! თუ ვიტყვი: ნამდვილად ბნელი დამფარავს და ღამე სინათლედ გადამექცევა. წყვდიადიც კი არ იქნებოდა შენთვის ბნელი; ღამე დღესავით გაანათებდა, რადგან სიბნელეც სინათლეა შენთვის!“ (მმ. 8, 11-12). ლაპარაკია უფლის აღთქმაზე, რომ არასოდეს მიგვატოვებს და არ დაგვაგდებს (ებრ. 13:5). მის თანდასწრებას რომ ვერ

ვგრძნობთ, ეს არ ნიშნავს, რომ ის აქ არ არის. უბრალოდ, ამის შესახებ არ ვიცით.

მეორე თანდასწრება, რომელსაც წმიდა წერილი აღწერს, გახლავთ მისი *გამოვლინებული თანდასწრება.* გამოვლინებული თანდასწრება ნიშნავს უხილავის, გაუგონარისა და უცნობის სააშკარაოზე გამოტანას, რომ ხილული, გაგონილი და ცნობილი გახდეს. სწორედ უფლის გამოვლენილ თანდასწრებას ესწრაფოდა მოსე ყველაზე მეტად. ეს ხდება მაშინ, როცა ღმერთი მხოლოდ ჩვენს სულს კი არა, გონებასა და გრძნობის ორგანოებსაც ატყობინებს მის ახლო ყოფნას. ამ დროს მისი ცოდნა ჩვენი გონებისთვისაც მისაწვდომია. ამ თანდასწრებაზე ლაპარაკობდა იესო, როცა თქვა:

> „მეც შევიყვარებ მას და მე თვითონ გამოვეცხადები“. (იოან. 14:21)

მეფსალმუნე ასე აცხადებს: „ნეტარია ხალხი, რომელიც ცნობს საზეიმო შეძახილს; შენი სახის სინათლეში ივლიან ისინი, უფალო“ (ფს. 89:15). პეტრე სულთმოფენობის დღეს ასე ეუბნებოდა მოწყურებულ მაძიებლებს: „მაშ, მოინანიეთ და მოიქეცით, რომ წარიხოცოს თქვენი ცოდვები. რათა დადგეს განახლების დღეები უფლის *თანდასწრებიდან* (საქმ. 3:19-20 *ავტორისეული ხაზგასმა*).

ღმერთი თავის თანდასწრებას სხვადასხვა გზებით ავლენს. ბიბლიაში ზოგიერთმა დაინახა ის, სხვებმა მხოლოდ მისი ხმა გაიგეს ან მისი სიახლოვე იგრნეს და მეყსეულად მიიღეს აქამდე უცნობი ცოდნა მისი გამოცხადების მეშვეობით. ერთი რამ კი ცხადია: როცა იგი მოდის, ცნობთ მას, ღრმა, შინაგანი არსებით შეიგრძნობთ და ხვდებით, რომ ის აქ არის.

უფლის ძიება თუ მისი გამოვლინება?

მინახავს ადამიანები, რომლებიც გზას აცდნენ ღვთის თანდასწრების განცდისკენ მეტისმეტი ლტოლვის გამო. ისინი გამოვლინებებს უფრო ეძებდნენ ვიდრე თავად უფლის

პიროვნებას. ღმერთმა ელიას ჩაუარა და რამდენიმე დიდი გამოვლინება გამოჩნდა. პირველად იყო ძლიერი ქარი, მაგრამ უფალი არ იყო მასში; შემდეგ იყო მიწისძვრა, მაგრამ წერილი ნათლად ამბობს, რომ არც მიწისძვრაში იყო უფალი; შემდეგ იყო ცეცხლი, მაგრამ არც აქ ჩანდა ის. ცეცხლის შემდეგ გაისმა ჩქამი. ახლა კი მიხვდა ელია, რომ ღვთის თანდასწრებას შეხვდა.

ვაკვირდებოდი ხალხს, ვინც გამოვლინებას ეძებდა და ფიქრობდა, რომ მისი მეშვეობით ღმერთს იპოვიდა, ნაცვლად იმისა, რომ უფალი ეძიათ მთელი გულით და შემდეგ განეცადათ მისი თანდასწრება. ხშირად ღვთივსულიერი, გულის დამარწმუნებელი ქადაგების შემდეგ ადამიანებს ღმერთთან შესახვედრად ვეძახი. ზოგჯერ ვიღაც ისე შემაწუხებლად ან ყურადღების გამფანტველად ილოცებს, რომ სრულიად ამოვარდება სულიერი ნაკადიდან. სხვები გაიცინებენ, ირხევიან ან რომელიმე გარეგნულ ჟესტიკულაციას მიმართავენ. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ერთ დროს ღმერთს ეძებდნენ და მის თანდასწრებაში ირხეოდნენ, ტიროდნენ ან იცინოდნენ. ახლა ქვეცნობიერად იგივეს აკეთებენ იმ იმედით, რომ ამ გამოვლინებებში ღმერთს იპოვიან, მაგრამ ის არ ჩანს. ბევრჯერ გამიჩერებია ადამიანები და მითქვამს, რომ არაფერი გააკეთონ და წყნარად იყვნენ, გულით მიუბრუნდნენ ღმერთს, რომ იესოს პიროვნება ეძებონ. თუ გამოვლინება იქნება, შესანიშნავია! თუმცა იგი არ უნდა ვეძიოთ გამოვლინებების გზით. თავად უფალი უნდა ვეძიოთ!

მახსენდება შეკრება აზიაში, სადაც ბევრი გამოეხმაურა მონანიების მოწოდებას. იმდენმა ადამიანმა გამოხატა ამის სურვილი აუდიტორიიდან, რომ მათი წინ გამოსაყვანი ადგილი აღარ იყო, ამიტომ ვთხოვე, იქვე ელოცათ და ეძიათ ღმერთი, სადაც იდგნენ. ლოცვის შემდეგ მოვუწოდე, რომ უფლისკენ მობრუნებულიყვნენ ადგილზევე. ღვთის თანდასწრებამ მთელი დარბაზი წალეკა შესანიშნავი გზით. საოცარია იმის ყურება, როგორ იღებს სულიწმიდა მართვის სადავეებს და თავს ავლენს. ასეთი რამ ბევრჯერ გამომიცდია, მაგრამ არასოდეს უბრალოვდება და ვერ მიეჩვევი. ხშირად შენ უფრო მკვეთრად შეიგრძნობ, ვიდრე გარშემო მყოფი ადამიანები.

როცა მისი თანდასწრება მოვიდა, ადამიანთა ერთმა ჯგუფმა სიცილი დაიწყო, მაგრამ რაღაცნაირი ნაღველი ვიგრძენი და ეს დადასტურდა კიდეც. უფალმა იმაზე სწრაფად დატოვა შენობა, ვიდრე მოვიდა, თუმცა ხალხი მაინც განაგრძობდა სიცილს და შეძახილებიც ისმოდა, თითქოს ისევ იქ იყო.

ისინი შევაჩერე და ვუსაყვედურე, როცა მივხვდი, რომ რამდენიმე თვის წინ ამ ერში ჩამოსული ევანგელისტის მსახურების დროს ღვთის თანდასწრებისას მომხდარის მიბაძვას ცდილობდნენ. იმ მახარებლის მსახურებას გასდევს ძალზე მკვეთრი გამოვლინება, რომელსაც მრავალნი „წმიდა სიცილს“ უწოდებენ. დარწმუნებული ვარ, რომ ზოგჯერ ღვთის მოსვლისას ადამიანები იცინიან. ფაქტობრივად, ეს მოვლენა თავადაც განმიცდია და დამინახავს კიდეც ჩვენს შეკრებებზე. ერთხელ ინდონეზიაში ღვთის სული მოვიდა მსახურებაზე, რომ მე და ჩემი თარჯიმანი ორი საათის განმავლობაში ვუყურებდით, როგორ იცინოდნენ ადამიანები ისეთი ძალით, რომ ზურგზე გორავდნენ. ეს ყველაფერი ხუთი ქალიდან დაიწყო. ისინი ტირილით მოთქვამდნენ, მაგრამ მალე ეს ნაღველი ხალისიან სიცილში გადაიზარდა და მთელ კრებულზე გავრცელდა. მათ არასდროს განუცდიათ მსგავსი რამ. ისინი ღმერთს ეძებდნენ!

თუმცა ახლანდელი შემთხვევა ამისგან განსხვავდებოდა. მათი თვალები მიმართული იყო გამოვლინებისკენ და არა თავად უფლისკენ. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ სიცილის გამოვლინების გარეშე ღვთის თანდასწრების გამოვლენა არ მოხდებოდა. ხშირად ვყოფილვარ მის თანდასწრებაში და მძაფრადაც მიგვრძნია, მაგრამ საერთოდ არ მქონია ამის გარეგნული გამოხატულება.

ნათლად რომ გავნმარტოთ, იფიქრეთ შარვლის ჩაცმის მარტივ მაგალითზე. რა მოხდება, თუ ჯიბეებში ჩავიყოფ ხელს მათ გასასწორებლად და იქ ასდოლარიანს ვიპოვი? სულაც არ ჩამიცვამს შარვალი იმისთვის, რომ ფული მეპოვა, მაგრამ ჩაცმის პროცესში აღმოვაჩინე. საკუთარი თავის შემოსვა მინდოდა და ამის კეთებისას ფულის ბონუსი და გაოცება მივიღე. შესაბამისად, არ უნდა ვეძებოთ გამოვლინება, არამედ თავად უფლის პიროვნება და ყველაფერი დანარჩენი დამატებითი სარგებელი იქნება.

აზიურ კრებულში შესწორების შეტანის შემდეგ ყველას ავუხსენი, რომ კარგად მესმოდა ღვთის თანდასწრებისადმი მათი წყურვილი და გავაფრთხილე, რომ ღმერთი განცდით არ ჩაენაცვლებინათ. ამ შეგონების შემდეგ უფლის თანდასწრებამ წმიდა მოკრძალება მოიტანა. ახლა უკვე ბევრი ტიროდა და სულაც არ იცინოდა, თუმცა საბოლოოდ, ყველა ჩვენგანს, ვინც ღმერთს ეძებდა, სიღრმისეულად შეგვეხო მისი შესანიშნავი თანდასწრება იმის მიუხედავად, ვტიროდით თუ არა.

გამოვლინებებს დაკმაყოფილება არ მოაქვს

არასოდეს დაგავიწყდეთ, რომ მანნამ ვერ დააკმაყოფილა ისრაელიანები. ღმერთმა მანნა იმ მიზნით მისცა მათ უდაბნოში, რომ პრაქტიკულად დაენახვებინა უფრო მეტის უკიდურესი საჭიროება – მისი თანდასწრება. მოსემ თქვა:

> გახსოვდეს მთელი გზა, რომლითაც გატარა უდაბნოში უფალმა, შენმა ღმერთმა, ეს ორმოცი წელიწადი, რათა მოერჯულებინე და გამოეცადე, რომ შეეტყო, რა გაქვს გულში, ... გათვინიერებდა, გაშიმშილებდა და მანნას გაჭმევდა, რომელიც არც შენ იცოდი და არც შენმა მამებმა იცოდნენ, რათა მიმხვდარიყავი, რომ არა მხოლოდ პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ღვთის პირიდან *მომდინარე* ყოველი სიტყვით. (2 რჯ. 8:2-3, *ავტორისეული ხაზგასმა*)

გულმოდგინედ გამოიკვლიე სიტყვა *მომდინარე*. აქ ლაპარაკია ახლანდელ დროზე და არა წარსულზე. ნათქვამი სიტყვა მოსმენილი ხდება, როცა მის თანდასწრებაში ვართ! ელიას არაფერი გაუგონია მის გვერდზე ღვთის ჩავლის გამოვლინებებში, ამიტომ გამოხმაურებამდე დაელოდა ჩქამს, ღვთის წყნარ ხმას. აზიაში ხალხი გამოვლინებას ჩაეჭიდა, რომელიც ღვთის წინა ჩავლისას გამოჩნდა, მაგრამ მან გზა გააგრძელა. ის იქ უკვე აღარ იყო. იგი წავიდა ახლის მოსატანად, ხოლო ადამიანები უკან ჩამორჩნენ, რომ ეპოვათ იქ, სადაც ადრე ნახეს.

როგორც მანნა არ ავსებდა ისრაელის ძეებს, ისე გამოვლინებებიც არ არის საკმარისი ჩვენი შინაგანი ლტოლვის დასაკმაყოფილებლად. ისინი თავისთავად არ წამოადგენენ დასასრულს. მათი მიყოლა თავქვე დაგვაქანებს დაუკმაყოფილებლობის გზაზე, სანამ ზურგს არ ვაქცევთ იმას, რაც ვერ გვავსებს და მოვძებნით მისგან წამოსულ ახლო ურთიერთობას.

გონებრივი ურთიერთობის ჩარჩოები

კიდევ ერთი სამწუხარო რამ ხდება, როცა მორწმუნეები თავად უფალზე მეტად მისი თანდასწრების გამოვლინებებს აღამაღლებენ. ამით მრავალი ადამიანი ღვთის ჭეშმარიტ თანდასწრებას შორდება. გამოვლინებების მაძიებელთა სწორი მიმართულებიდან ამოვარდნილი და უჩვეულო ქცევით იმედგაცრუებული ადამიანები თავის დაცვას შეეცდებიან და ღმერთთან გონებრივი ურთიერთობის ჩარჩოებს აღარ გაცდებიან. ეს ტრაგედიაა, რადგან გაცილებით მეტისთვის ვართ შექმნილი. ე. უ. ტოზერი წერდა, რომ უკანასკნელ ჟამს გამართლების მოძღვრება ასეთია:

> ... ბევრი ისე განმარტავს, რომ ადამიანებს ღვთის შემეცნებისგან აშორებს. სულიერი მოქცევის მთელი საქმე მექანიკური და სულისგან დაცლილია ... ადამიანი „გადარჩენას“ იღებს, მაგრამ ღმერთი არ სწყურია. ფაქტობრივად, მას სპეციალურად ასწავლიან და შეაგონებენ, რომ იყოს კმაყოფილი და თან მცირედით. (*The Pursuit of God*, გვ. 12—13)

ღმერთთან მხოლოდ გონებით ურთიერთობა მექანიკური და სულისგან დაცლილია. ჩვენ მასთან დამკვიდრებისთვის ვართ შექმნილი და ეს ცარიელი თეორია როდია. ვერასოდეს დავკმაყოფილდებით, სანამ მთელ ამ სისავსეს არ გამოვცდით. იესო მოკვდა, რომ მოეშორებინა ღვთის თანდასწრებისგან გამყოფი ფარდა. ამ მიზეზით ღაღადებს მეფსალმუნე:

> რაოდენ სასურველია კარვები (შენი სადგომები), ცაბაოთ უფალო! ნატრობს და ელტვის სული ჩემი უფლის ეზოებს, ჩემი გული და ჩემი სხეული ცოცხალ ღმერთს შეჰღაღადებენ და სიხარულით უმღერიან. ბეღურაც კი პოულობს ბინას და მერცხალი - ბუდეს, რომ შენს სამსხვერპლოებთან ჩასხას თვისი ბარტყები, უფალო ცაბაოთ, მეფევ ჩემო და ღმერთო ჩემო! კურთხეულ (ბედნიერ, ნეტარ) არიან შენს სახლსა და თანდასწრებაში მკვიდრნი, განუწყვეტლივ გაქებენ ისინი. (ფს. 84:1-4 გავრცობილი თარგმანი)

მეფე იაკობის ბიბლიის განახლებული თარგმანი ასე აღწერს მეორე მუხლს: „ჩემი გული და ჩემი ხორცი ცოცხალ ღმერთს შეღაღადებს“. მწერალი განაგრძობს და ამბობს, რომ ბეღურამ და მერცხალმა სახლი ჰპოვა, თუმცა თავად აღიარებს, რომ მიუსაფარია და ღვთის სახლში დამკვიდრება სწყურია. მან ღვთის თანდასწრება სასურველ სამკვიდროდ გამოაცხადა. ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს: „კურთხეულ (ბედნიერ, ნეტარ) არიან შენს სახლსა და თანდასწრებაში მკვიდრნი“. ეს არის ღვთის მოყვარულთა მიზანი! მათ უფლის გამოვლენილი თანდასწრება სწყურიათ. რაც უფრო ახლოს ვართ მასთან, მით უფრო ძლიერდება შინაგანი შიმშილი და უფრო მეტ ზეგავლენას ახდენს ჩვენზე.

მიახლოება

კითხვები შესწავლისთვის

1. თავის დასაწყისში ავტორი ამბობს: „ამ დროის განმავლობაში ეკლესიაში ორი მთავარი ჯგუფი აღმოვაჩინე: ... პირველები არიან ღვთის მაძიებლები იმისთვის, რასაც მისგან იღებენ, ხოლო მეორე ჯგუფს შეადგენენ ადამიანები, რომლებიც ღვთის პიროვნებით არიან მოხიბლულები“. გულწრფელად თქვით, რომელ ჯგუფში ხედავთ საკუთარ თავს?!
2. ეგვიპტის ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ ისრაელიანები ხშირად ადიდებდნენ და თაყვანს სცემდნენ ღმერთს მისი უზრუნველყოფისთვის ერთ დღეს, ხოლო მეორე დღეს წუწუნებდნენ და ჩიოდნენ, რადგან ვერ მიიღეს სასურველი. გაიხსენეთ თქვენი „უდაბნოს გამოცდილება“! რა მსგავსებას ხედავთ თქვენსა და ისრაელიანთა დამოკიდებულებაში?
3. შესაძლოა, ამ წიგნს იმიტომ კითხულობთ, რომ ახლახანს მიიღეთ „უდაბნოს გამოცდილება“. თუ ასეა, რას ისწავლით ელიას შემთხვევიდან: ქარის, მიწისძვრისა და ცეცხლის გამოვლინებებთან დაკავშირებით?

თავი მეხუთე

ფარდის მიღმა

„ღვთის თანდასწრება გამოგვარჩევს ყველაფერი
დანარჩენისგან დედამიწის ზურგზე.“

უფლის თანდასწრებას ყოველთვის მოაქვს უფრო დიდი გამოცხადება მის პიროვნებაზე. ყოველი ასეთი შეხვედრის შემდეგ საუკუნოდ ვიცვლებით. ბიბლიის დათვალიერებისას ვხვდებით, რომ ღვთის გზების აღმატებული ხედვის ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც მის თანდასწრებას ეძებდნენ და განიცდიდნენ.

გამყოფი ფაქტორი

წინა თავში ვნახეთ, რომ მოსემ უარი თქვა ღვთის შეთავაზებაზე. უფალმა შესაძლებელი გახადა აღთქმების შესრულება მისი თანდასწრების გარეშე. მოსემ სასწრაფოდ უპასუხა: „თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან!“ (გამ. 33:15). მან შექმნა პრეცედენტი, რომ ღმერთთან სიახლოვე აღემატებოდა მისი თანდასწრების გარეშე შესრულებულ დაპირებებს. ახლა დაუკვირდით მოსეს არგუმენტებს, რის გამოც უარი თქვა მხოლოდ ანგელოზის თანხლებაზე:

„თუ თავად შენ არ წაგვიძღვები, აქედან ნუ გაგვიყვან! როგორ გახდება საცნაური, რომ ვპოვეთ მადლი მე და შენმა ხალხმა შენს თვალში? განა იმით არა, რომ *წამოხვალ ჩვენთან ერთად და ამით ვიქნებით გამორჩეული მე და შენი ხალხი, ყოველი ერისგან, რაც კი დედამიწის ზურგზეა?*“ (გამ. 33:15-16, *ავტორისეული ხაზგასმა*).

მოსეს პასუხში ძალმოსილი ჭეშმარიტება იკვეთება. სწორედ ღვთის თანდასწრება გამოგვარჩევს ყველაფერი დანარჩენისგან დედამიწის ზურგზე. მნიშვნელობა არ აქვს, რომ ქრისტიანობას ვაღიარებთ, ბიბლიის მორწმუნე ეკლესიების მსახურებებს ვესწრებით თუ კეთილი ადამიანები ვართ, რომლებმაც ერთ დროს ცოდვილის ლოცვა შეასრულეს მეგობართან ერთად ან ეკლესიის საკურთხეველთან. მხოლოდ მისი თანდასწრება გამოგვარჩევს და წმიდად გვხდის (გამოგვყოფს მისთვის). მისი თანდასწრება ცხადყოფს ამას დედამიწის დანარჩენი მკვიდრებისთვის.

მაშ, რატომ დაკმაყოფილდა ბევრი ადამიანი ღმერთთან მხოლოდ გონების დონეზე ურთიერთობით? რატომ ავირჩიეთ ქრისტეს თანდასწრებისგან დაცლილი ქრისტიანობა? რატომ დავთანხმდით უფალთან სიახლოვის გარეშე კმაყოფილებაზე? რატომ ვასწავლით ისეთ ქრისტიანობას, რომელიც ადამიანებს ღვთის თანდასწრებაში სიახლოვისა და მასში დამკვიდრების სწრაფვას არ აღუძრავს? ამის პასუხად ე. უ. ტოზერი წერს:

ღმერთს სურს, რომ მისი თანდასწრებისკენ ვილტვოდეთ და მთელი ცხოვრება იქ გავატაროთ. ეს გაცნობიერებული განცდის სახით უნდა ვიცოდეთ. ღვთის თანდასწრებაში ყოფნა აღემატება რომელიმე მოძღვრების დაცვას; ეს არის ცხოვრება, სადაც დღის ყოველი წუთით ტკბებით (*The Pursuit of God*, გვ. 34).

ბევრი ადამიანი უფლის კუთვნილების ინტელექტუალური ცოდნით დაკმაყოფილდა და არასოდეს უძებნია მასთან რეალური ურთიერთობა ყოველ მოცემულ მომენტში. ხსნის კონცეფცია იმდენად ღრმად აქვთ ჩაბეჭდილი, რომ ამის იქით ცოტანი თუ მიდიან. ისინი თავიანთ ლოცვებს წარმოთქვამენ

და ერთ დღესაც გარდაიცვლებიან, რომ ღმერთთან წავიდნენ. თუმცა ქრისტეს რეალობას აცდენილი არიან და ჩვენთან ერთად სიარულის ღვთიური სურვილის ძალმოსილი გამოცხადება იკარგება. ეს არ გახლავთ ერთჯერადი ან შორეულ მომავალში აღსასრულებელი განცდა, არამედ ღვთის ძალზე რეალური სურვილი, რომ მტკიცე ურთიერთობა დაამყაროს. მოდით, კვლევისთვის ერთად ვიმოგზაუროთ წმიდა წერილში.

ვინ გამოსცადა მისი თანდასწრება?

ღვთის გამოვლენილ თანდასწრებას მთელ ბიბლიაში ვხედავთ, ედემის ბაღში ადამი და ევა ღმერთთან ერთად სეირნობდნენ, სანამ დაუმორჩილებლობამ დამალვა არ აიძულათ (დაბ.3:8). ამ დროისთვის ადამიანი განშორდა ღვთის თანდასწრებას. მოგვიანებით მათი ვაჟი კაენიც გაუუცხოვდა უფალს გულის გაქვავების გამო.

და მაინც, ღმერთი ამაზე არ შეჩერებულა და კვლავაც სურდა მისთვის საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა. შემდეგში ენოქისა და ნოეს მსგავსი ადამიანები გამოეხმაურნენ მას და დაუცხრომელი ძიებით აამეს ღვთის გულს. შედეგად, ისინი ყველაზე ახლოს იყვნენ ღმერთთან, ვიდრე რომელიმე სხვა ადამიანი იმ ათასწლეულში, მას შემდეგ, რაც ადამმა ედემის ბაღი დატოვა.

აბრაჰამმა ცხოვრებაში ბევრჯერ გამოსცადა უფლის გამოვლენილი თანდასწრება. ერთი ასეთი შემთხვევა მაშინ იყო, როცა ღმერთი სოდომისა და გომორას მომავალს განიხილავდა მასთან ერთად. ამ ქალაქების განაჩენის შემდეგ ვკითხულობთ: „ადგა დილაადრიანად აბრაჰამი და წავიდა იმ ადგილისაკენ, სადაც უფალს ელაპარაკა.“ (დაბ. 19:27). ეს ერთი იყო მრავალ შემთხვევათაგან, როცა აბრაჰამი ხარობდა ღმერთთან მოზიარეობით მის თანდასწრებაში. ფაქტობრივად, ხანდაზმული აბრაჰამი ასე მიმართავს თავის მსახურს: „უფალი, რომლის წინაშეც მე დავდივარ, წარმოავლენს ანგელოზს, რომელიც გზას წარგიმართავს“ (დაბ. 24:40).

ასევე ვხედავთ სამუელს, რომელიც „იზრდებოდა ... და უფალი იყო მასთან; არ გაცუდებულა არც ერთი მისი სიტყვა“

(1 სამ. 3:19). როგორ იყო შესაძლებელი, რომ ამ ადამიანთა არც ერთი სიტყვა არ გაცუდებულა? პასუხი შემდეგ მუხლშია: „მოხედა უფალმა ხანას, დაორსულდა იგი და შვა სამი ძე და ორი ასული. ყრმა სამუელი კი უფლის წინაშე იზრდებოდა“ (1 სამ. 2:21). ისევ ვხედავთ, რომ სამუელი უფლის თანდასწრებაში დადიოდა, რომელიც მან გამოავლინა. როცა უფალს ვიცნობთ, იმას ვლაპარაკობთ, რასაც მისგან ვისმენთ, ამიტომ ჩვენი სიტყვებიც მართლდება.

დავითს, ძველი აღთქმის სხვა რწმენის გმირებივით, შესაძლოა, მოსეს გამოკლებით, უყვარდა ღვთის თანდასწრება და გრძნობდა კიდეც მას. იგი ასე ღაღადებს: „მტკიცე იყოს, შენი მსახურის დავითის სახლი შენს წინაშე“ (2 სამ. 7:26). მოსეს მსგავსად, მასაც არანაირი წარმატება არ სურდა ღვთის თანდაწრების ხარჯზე. ფაქტობრივად, მოგვიანებით, როცა საშინელი მრუშობისა და მკვლელობის ცოდვა ჩაიდინა, მისი მონანიების ვედრება ასეთი იყო: „ნუ უკუმაგდებ შენგან და შენს წმიდა სულს ნუ წამართმევ!“ (ფს. 51:11). მან იცოდა, რომ ცხოვრება დაცარიელებული და უაზრო იქნებოდა ღვთის თანდასწრების გარეშე. მის კალამს ეკუთვნის სიტყვები: „მასწავლე გზა სიცოცხლისა, სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე, შენს მარჯვნივ ყოფნა ნეტარებაა უკუნისამდე“ (ფს. 16:11).

ფსიქოლოგიაში ცნობილია, რომ ბოლო ხუთ წელზე მეტი ხნის ურთიერთობა ჩვენს პიროვნებას აყალიბებს. არ შემიძლია არ დავეთანხმო ამ მოსაზრებას, რადგან წერილი გვეუბნება: „ნუ მოტყუვდებით: ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან კეთილ ზნეჩვეულებებს“ (1 კორ. 15:33). და კიდევ: „ბრძენკაცებთან მავალი დაბრძენდება“ (იგ. 13:20). რას ვიტყვით დავითზე? ის მარტო იყო უდაბნოში, როცა მასთან მოვიდა „ყველა შეჭირვებული, ვალში მყოფი და სულგამწარებული; უფროსად დაუდგა მათ იგი. ასე შეიკრიბა მასთან, დაახლოებით, ოთხასი კაცი“ (1 სამ. 22:2). ოჰო, როგორმა ბრბომ მოიყარა თავი, რომ ათი წელი მათთან ერთად გაეტარებინა! სულგამწარებული, შეჭირვებული და ვალში მყოფი! ისინი გაბრაზებულები და გულჩათხრობილები და სავარაუდოდ, უხეშები და უგრძნობლები არიან. მათ ჩამოაყალიბეს დავითის პიროვნება? არა! რატომ? იმიტომ,

რომ დავითმა მრავალი წელი გაატარა ღვთის თანდასწრებაში და ეს საუცხოო საყრდენი შეინარჩუნა. საბოლოოდ, მათგან მრავალი თაობისთვის ცნობილი დიდებული წინამძღოლები ჩამოაყალიბა.

ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილია დავითის პასუხი ღვთის დიდ მოპატიჟებაზე. მან დაწერა:

> შენ უთხარი ჩემს გულს: ეძიეთ ჩემი სახე! შენს სახეს მოვძებნი, უფალო! (ფს. 27:8)

ასეთი იყო მისი ცხოვრება; მან იმდენი დრო გაატარა უფალთან, რომ ზეგავლენა მოახდინა არა მარტო იმ ოთხას გაღიზიანებულ ადამიანზე, არამედ მთელ ერზე. ის გავლენიანი კაცი იყო, რადგან ურთიერთობა ჰქონდა ყოველგვარი სიბრძნის, ცოდნისა და გაგების წყაროსთან. მიუხედავად ამისა, დავითი ასე არ იქცეოდა ღვთიური სიბრძნის „მოპოვებისთვის“. მას ღვთის გულის წვდომა სურდა. უფალი უფრო მეტად უყვარდა, ვიდრე ვინმე ან რამე სხვა და ამის მიზეზი ღმერთთან გატარებული დიდი დრო იყო.

ნეტა, დავითის ძე სოლომონსაც გადასცემოდა ეს მგზნებარე სურვილი. მან ორჯერ იხილა ისრაელის ღმერთი და იმაზე დიდი სიბრძნე მიიღო, რაც მანამდე ან მის შემდეგ ვინმეს ჰქონია, მაგრამ მაინც ვერ გააცნობიერა უფლის თანდასწრებაში დარჩენის მნიშვნელობა. სიცოცხლის ბოლოს, მისი ცხოვრების მიწურულს დაწერა ეკლესიასტეს წიგნი. მიუხედავად იმისა, რომ მოიპოვა სიბრძნე, ენით აღუწერელი სიმდიდრე, მსოფლიოს ულამაზესი ქალები, ფართოდ და შორს მიმავალი სახელი და გავლენა, მხოლოდ ამის თქმა შეძლო: „ყოველივე ამაოა!“ მას რომ ჰქონოდა მამამისის, დავითის მსგავსი გული, ისრაელის ისტორია სრულიად სხვაგვარად დაიწერებოდა.

ფაქტობრივად, მთლიანი ბიბლიის ისტორიაც განსხვავებული იქნებოდა, მასში ნახსენებ პიროვნებებს ღვთის თანდასწრების ძიების მნიშვნელობა რომ გაეაზრებინათ. სამწუხაროდ, არც ისე ცოტაა იმ ადამიანთა რიცხვი, რომლებმაც ვერ გააცნობიერეს, რა იგემეს. ვერ მიხვდნენ, რომ ღვთის თანდასწრებაშია დაუსრულებელი კმაყოფილება და მისი ხანგრძლივობა მის

განუწყვეტელ ძიებაშია. ერთი ასეთი კაცი იყო დავითის შორეული შთამომავალი მეფე ყუზია. სიყმაწვილეში ღმერთს ეძებდა და ამის შედეგად დიდი წარმატება ჰპოვა, თუმცა მოგვიანებით დაივიწყა მისი წინსვლის წყარო. ამპარტავნობაში აღარ გაყვა ღმერთს და შედეგად, კეთროვანმა და სხვებისგან იზოლირებულმა დალია სული (იხილეთ 2 ნეშტთ. 26).

უდიდესი ტრაგედია

მთელ ძველ აღთქმაში შეგვეძლო მსგავსი მაგალითების მოძებნა, მაგრამ უდიდესი ტრაგედია დავითამდე დიდი ხნით ადრე მოხდა, როცა მისი წინაპრები, აბრაჰამის შთამომავლები ეგვიპტიდან გამოვიდნენ. ერთ-ერთ თავში განვიხილეთ, რომ ღმერთს მათი დახსნა ურთიერთობისთვის სურდა. მას ისრაელიანთა დაახლოება ეწადა, რომ მისი სახის წინაშე ეცხოვრათ. თუმცა გამოსვლის შემდეგ სამწუხარო ამბავს ვიგებთ: „*მოშორებით* იდგა ხალხი, მოსე კი *მივიდა* ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“ (გამ. 20:21, *ავტორისეული ხაზგასმა*). რამხელა ტრაგედიაა! ღმერთმა თავი გამოავლინა, მათ კი უკან დაიხიეს. მხოლოდ მოსეს აღმოაჩნდა უფალთან ახლოს მისვლის მოშურნეობა. მათი ამგვარი გამოხმაურების გამო ღმერთმა მღვდლობა დააწესა, რომ ეშუამდგომლათ მის წინაშე ხალხის გულისთვის. კარვის აღმართვა იმიტომ გახდა საჭირო, რომ მათ შორის დამკვიდრებული ღვთის თანდასწრებას ფარდა ჩამოფარებოდა. ღვთის დეტალური მითითებებით გულმოდგინედ აგებული კარავი დაიდგა და ჩვენ ვკითხულობთ:

> დაფარა ღრუბელმა საკრებულო კარავი და *უფლის დიდებამ* აავსო სავანე. და ვერ შეძლო მოსემ საკრებულო კარავში შესვლა, ვინაიდან ღრუბელმა დაივანა მასზე და უფლის დიდებამ აღავსო სავანე. (გამ. 40:34-35, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ღვთის თანდასწრების სხვადასხვა ხარისხი

ამ ეტაპზე თხრობას უნდა გადავუხვიო და ღვთის თანდასწრების სხვადასხვა ხარისხზე ვისაუბრო. ყურადღება მიაქციეთ სიტყვებს, *უფლის დიდება*. როცა კარავი პირველად აღიმართა, ღვთის თანდასწრების სიდიადემ მოსეს, რომელიც უფალს პირისპირ ელაპარაკებოდა, მასში შესვლის საშუალება არ მისცა. წარმოგიდგენიათ ღვთის დიდებულების ინტენსიურობა – ერთდროულად საოცარი და საშიში თანდასწრება?

წლების შემდეგ ყელის წინამძღოლობის დროს, რომელიც მსაჯული, მღვდელი და აჰარონის შორეული შთამომავალი გახლდათ, უფლის თანდასწრება სრულიად უმნიშვნელო იყო კარავში. ფაქტობრივად, ისინი არათუ შევიდნენ, არამედ აშკარა ცოდვა ჩაიდინეს იმ ადგილას, სადაც მოსემ შესვლა ვერ შეძლო. ბიბლიაში ვკითხულობთ: „უფლის სიტყვა იშვიათი იყო იმ დღეებში, ხილვები არ იყო ხშირი“ (1 სამ. 3:1). რატომ იყო უფლის სიტყვა იშვიათი? ვიმეორებ, რომ ღვთიური გამოცხადება მისი სიტყვის ჩათვლით მის თანდასწრებაში იპოვება. სადაც არ არის თანდასწრება, იქ არ არის გამოცხადება და სადაც ძლიერი თანდასწრებაა, იქ გამოცხადებაც დიდია! ამ თავში გვეუბნებიან, რომ ღვთის ლამპარი (მისი თანდასწრება) ჯერ არ იყო ჩამქრალი, არამედ ბჟუტავდა (არ იყო თანდასწრება). ეს ყელის მმართველობის დასასრულს მოხდა, როცა კიდობანი ფილისტიმელებმა ხელში ჩაიგდეს. მისი სიცოცხლის ბოლო დღეს გაისმა სახელი *იქაბოდი*, რაც ნიშნავს, „დიდება განეშორა“.

ყელის დღეებისგან განსხვავებით, როცა ღვთის თანდასწრება იშვიათი იყო და ცოდვის გამო ძნელად აღმოსაჩენი, სხვა შემთხვევებიც არსებობდა, სადაც უფლის თანდასწრება არ იყო ისე დიდებული, როგორც კარვის აღმართვის დღეს, მაგრამ მაინც რეალური რჩებოდა და გამოცხადებებიც უხვი გახლდათ. ამ დროს ღმერთი ადამიანებს უფრო ფრთხილად უახლოვდებოდა და თავის დიდებას არ წარმოაჩენდა. ამას ვხედავთ იაკობის შემთხვევაში. იგი ღმერთს ეჭიდავებოდა და პირისპირ იხილა, მაგრამ მისი დიდება არ დაუნახავს. და მაინც, ამ შეხვედრამ იაკობი გარდაქმნა და ღვთიურ გამოცხადებაში

გაზარდა (დაბ. 32:24-30). იეშუა ნავეს ძემ იხილა უფალი და ვერც კი მიხვდა, რომ ზეციური მხედრობის თავს ელაპარაკებოდა. მეორე მხრივ, მოსემ შეჰღაღადა, რომ უფლის სახე ეხილა და პასუხი მიიღო: „ვერ შეძლებ ჩემი სახის ხილვას, რადგან არ ძალუძს ადამიანს მიხილოს და ცოცხალი დარჩეს“ (გამ. 33:20). ჩვენ ვხედავთ მოსეს სურვილს, რომ ღმერთი ეხილა მთელი დიდებულებით, მაგრამ ვერ შეძლო; თუმცა იეშუამ და სხვებმა პირისპირ იხილეს უფალი და ცოცხლები დარჩნენ. რატომ? მათ არ უხილავთ უფალი მისი დიდებულების სისავსით.

მისი სახის ნათელი

პირველი, მოკლედ ვიმჯელოთ უფლის დიდებაზე. ზოგიერთს ეს ნისლად, ღრუბლად ან რაიმე მსგავს გამოვლინებად წარმოუდგენია. ასეთ განცხადებებსაც გაიგონებთ: „ოჰ, იმ საღამოს უფლის დიდება ჩამოწვა მსახურებაზე“, თუმცა ეს ღვთის ჩანაფიქრს ზღუდავს და უმეცრებით აბნელებს (იხილეთ იობ. 38:2).

ჯერ ერთი, უფლის დიდება არ არის ღრუბელი. შესაძლოა, იკითხოთ: „მაშ, რატომ არის ნახსენები ღრუბელი ყველგან, სადაც ღვთის დიდებაზეა ლაპარაკი?“ მიზეზი ეს გახლავთ: უფალი თავს მალავს ღრუბელში. ის მეტისმეტად დიადია სახილველად, ამიტომ მის სახეს ღრუბელი ფარავს. ასე რომ არ იყოს, მის გარშემო ყველა ხორციელი შთაინთქმებოდა და მეყსეულად მოკვდებოდა. გახსოვთ, ღმერთმა მოსეს უთხრა, რომ მისი პირისახის მხილველი ცოცხალი ვერ გადარჩებოდა?! აქედან ისმის კითხვა: როგორ შეძლეს ესაიამ, ეზეკიელმა და იოანე მოციქულმა უფლის დიდების ხილვა და ცოცხლად დარჩენა თავიანთი გამოცდილების დასაწერად? პასუხი მარტივია: ისინი იყვნენ სულში და არა სხეულში. მოკვდავ ხორცს არ შეუძლია წმინდა უფლის წინაშე დადგომა მთელ მის სიდიადეში. იგი მჭამელი ცეცხლია, რომელშიც არ არის სიბნელე (ებრ. 12:29; 1 იოან. 1:5). პავლე იესოზე წერს:

> რასაც თავის დროზე წარმოაჩენს კურთხეული და ერთა-
> დერთი ხელმწიფე, მეფეთა მეფე და უფალთა უფალი,

> ერთადერთი, ვისაც უკვდავება აქვს და მკვიდრობს მიუღწეველ სინათლეში, რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა; (1 ტიმ. 6:15-16)

იესო მიუწვდომელ ნათელში მკვიდრობს, რომელიც არავის უხილავს და არც ძალუძს ხილვა. ფაქტობრივად, მეფსალმუნე აღიარებს, რომ უფალს სინათლე სამოსელივით მოსავს (იხილეთ ფს. 104:2). პავლეს ადვილად შეეძლო ამის დაწერა, რადგან დამასკოს გზაზე გამოსცადა მისი მიუწვდომელი ნათლის ნაწილი. იგი ასე მიმართავს მეფე აგრიპას:

> შუადღისას, მეფევ, გზაზე ციდან გადმოსული, მზეზე ბრწყინვალე სინათლე ვიხილე, რომელიც მე და ჩემს თანამგზავრებს მოგვეფინა (საქმ. 26:13)

პავლეს არ უხილავს იესოს სახე; მან მხოლოდ მისგან წამოსული ნათელი იხილა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის კაშკაშა მზე გადაფარა და დაჩრდილა! ის ღვთის დიდების თანდასწრებაში იყო. ეს არ იყო დილის ან ნაშუადღევის ნათება, არამედ შუადღის მწველი მზე. თორმეტი წელი ვცხოვრობდი ფლორიდაში „მზიან შტატში“, მაგრამ არასოდეს *დამჭირვებია* სათვალის ტარება. თუმცა რამდენიმე წლის წინ ლიზასთან ერთად ახლო აღმოსავლეთში ვიმოგზაურე და იქ ნამდვილად გავიკეთე სათვალე. მშრალი უდაბნოს კლიმატურ ზონაში მზე გაცილებით მეტად კაშკაშებდა და ეკვატორთან სიახლოვე ამ ნათელს კიდევ უფრო მკვეთრს ხდიდა. მზის ნათების ატანა კიდევ შესაძლებელი იყო ადრე დილით და ნაშუადღევს, მაგრამ დილის თერთმეტიდან ორ საათამდე ძალზე დიდი გამოსხივება ჰქონდა. მიუხედავად ამისა, პავლე, თქვა, რომ იესოს ნათელი ახლო აღმოსავლეთის შუადღის მზეზე მეტად კაშკაშებდა. წარმოუდგენელია მისი ატანა საბურველის ან ღრუბლის საფარის გარეშე. უფლის დიდება ამ ბრწყინვალებას მრავალჯერ აღემატება.

ეს კარგად განმარტავს, რატომ თქვეს იოელმა და ესაიამ, რომ ბოლო ჟამს, როცა უფლის დიდება გამოვლინდება, მზე სიბნელეში დაინთქმება. „აჰა, მოდის უფლის დღე, ... ცის

ვარსკვლავნი და თანავარსკვლავედნი აღარ გამოაბრწყინებენ თავიანთ სინათლეს, წყვდიადი იქნება მზის ამოსვლისას, მთვარე აღარ მოაფენს თავის სინათლეს“ (ეს. 13:9-10).

ნება მომეცით, ნათლად განვმარტო! რას ვხედავთ მოწმენდილ ღამის ცაზე? ვარსკვლავებს! ისინი ყველგან არიან მიმობნეული. რა ხდება, როცა მზე ამოდის დილით? სად მიდიან ვარსკვლავები? ნუთუ ისინი მირბიან მზის ჩასვლამდე, რომ ჰორიზონტს მიღმა ჩაიმალონ და მერე უკან მოიჩქარიან თავიანთ ადგილებზე? პასუხი ცხადია: „არა“. მაშ რა ხდება? ვარსკვლავთა დიდება სხვა დონისაა, ხოლო მზის დიდება იმდენად დიდია, რომ მათ ჩრდილავს. ისინი ისევ იქ არიან, მაგრამ მათი დანახვა შეუძლებელია. ასევე, იესოს დაბრუნებისას მისი დიდება იმდენად აღემატება მზისას, რომ ამ ბრწყინვალების ფონზე დაბნელდება. მას ვერ დავინახავთ, თუმცა თავის ადგილას იქნება. საოცარია! ახლა ხვდებით პავლეს ნათქვამს: „რომელიც არავის უხილავს ადამიანთაგან და არც ძალუძს მისი ხილვა“?

უფლის დიდება ყველა სხვა სინათლეს ჩრდილავს. იგია სრულყოფილი და ყველაფრის შთანმთქმელი ნათელი. სწორედ ამიტომ მოხდება, რომ მისი მეორედ მოსვლისას ადამიანები „კლდის გამოქვაბულებში შევლენ და მიწის ხვრელებში დაემალებიან უფლის შიშსა და მისი *სიდიადის ბრწყინვალებას*“ (ეს. 2:19, *ავტორისეული ხაზგასმა*). იოანე ასე აღწერს:

> დედამიწის მეფეები და მთავრები, ათასისთავები, მდიდრები და ძლიერები, ყოველი მონა და თავისუფალი მღვიმეებსა და მთის გამოქვაბულებში შეიმალნენ. და ეუბნებოდნენ მთებსა და კლდეებს: „ზედ დაგვეცით და დაგვმალეთ ტახტზე მჯდომარის *პირისგან* და კრავის რისხვისგან! (გამოცხ. 6:15-16, *ავტორისეული ხაზგასმა*)

რა არის ღვთის დიდება?

მოდით, ამ კითხვას ვუპასუხოთ: რა არის უფლის დიდება? პასუხისთვის მოსესა და ღვთის ურთიერთობას დავუბრუნდეთ.

მოსემ არა მარტო შემოქმედის თანდასწრება ითხოვა, არამედ მისი დიდების ხილვაც მოინდომა.

> უთხრა მოსემ: „მახილვინე შენი *დიდება!*“ (გამ. 33:18, *ავტორის ხაზგასმა*)

დიდების აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *ქაბოდ*. სტრონგის ბიბლიურ ლექსიკონში განმარტებულია როგორც „რაიმეს წონა, მხოლოდ ხატოვნად და კარგი გაგებით.“ მასში ასევე იგულისხმება ბრწყინვალება, სიუხვე და პატივი. მოსემ ღმერთს სთხოვა, რომ მთელი თავისი სიდიადით ჩვენებოდა. ყურადღებით დააკვირდით ღვთის პასუხს:

> „ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენს წინ და განვაცხადებ ჩემს სახელს ‘უფალი’ (გამ. 33:19, *ავტორის ხაზგასმა*)

მოსემ მთელი დიდება ითხოვა, ხოლო ღმერთი „მთელ ჩემს სიკეთეს“ სთავაზობს. *სიკეთის* აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *თოვ*. ის ნიშნავს „სიკეთეს ფართო გაგებით“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არაფერია დამალული.

ამის შემდეგ ღმერთი ამბობს, „განვაცხადებ ჩემს სახელს ‘უფალი’“. სანამ ქვეყნიური მეფე სატახტო დარბაზში შებრძანდება, მაცნეები მის სახელს აცხადებენ. ამას თან სდევს დაფდაფების ხმა და მისი უდიდებულესობა ბრწყინვალებით შედის დარბაზში. მეფის სიდიადე ვლინდება და იქ ერთი ადამიანიც კი არ რჩება, რომელმაც არ იცის, ვინ არის მეფე. მისი დიდებული თანდასწრება ხალხს მოკრძალებით ავსებს. რა მოხდება, თუ იგივე მეფე საკუთარ ქალაქში ჩვეულებრივად ჩაცმული გაისეირნებს თანმხლებთა გარეშე? სიმართლე ის გახლავთ, რომ დარბაზის სრულიად ცხადი დიდებულება გარეთ იკარგება და გამვლელები ვერ ამოიცნობენ მეფის ვინაობას. მისი იქ ყოფნა აღარ იქნება სულის შემძვრელი და საცნობი, როგორც სატახტო დარბაზშია. არსებითად, ეს გააკეთა ღმერთმა მოსესთვის, როცა თქვა: „ჩამოვატარებ მთელ ჩემს სიკეთეს შენს წინ და განვაცხადებ ჩემს სახელს ‘უფალი’“.

ახალ აღთქმაში გვეუბნებიან, რომ უფლის დიდება იესო ქრისტეს პიროვნებაში გამოვლინდა (2 კორ. 4:6). ბევრი, ვინც უფლის თანდასწრებაში ყოფილა, ამოწმებდა იესოს ხილვის და მისი სახის დანახვის შესახებ. ეს სრულიად შესაძლებელია, მაგრამ გეტყვით, რომ იგი არ უნახავთ სრულ დიდებაში.

სხვებს, შესაძლოა, გაახსენდეთ, რომ მოწაფეებმა აღმდგარი უფლის სახე იხილეს, მაგრამ ესეც არ იყო მისი სრული დიდების გამოვლენა. როგორც ადრე ვახსენე, ზოგიერთებმა იხილეს და გამოსცადეს უფლის თანდასწრება ძველ აღთქმაში, მაგრამ არ უნახავთ მისი დიდების გამოცხადება. უფალი აბრაჰამს გამოეცხადა მამრეს მუხნართან, მაგრამ არა თავისი დიდებით (დაბ. 18:1-2). იაკობი ღმერთს ეჭიდებოდა, ხოლო იეშუამ (ი. ნ. 5:13-15) ვერც კი იცნო იგი. კიდევ იყვნენ სხვები.

როცა იეშუამ მისი სახე იხილა იერიხოში შეჭრის წინ, უფალი მეომრის სახით წარუდგა. გაურკვევლობაში მყოფმა იეშუამ იკითხა: „ჩვენიანი ხარ, თუ მოწინააღმდეგე?“ მაშინ უფალი *გაეცხადა*, როგორც უფლის მხედრობის თავი და იეშუას ფეხსაცმელების გახდა მოსთხოვა, რადგან წმიდა მიწაზე იდგა! იაკობი მთელი ღამე ეჭიდავა უფალს და ბოლოს, განთიადისას შესძახა: „მითხარი შენი სახელი“ (დაბ. 32:29). ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს მეფის მიერ ყოველდღიური სამოსის ჩაცმასა და თავისი ქალაქის ქუჩებში გავლაზე, სადაც მას ბევრი ვერ ცნობს. ეს გვიხატავს სურათს, რაც იეშუას და იაკობს შეემთხვათ, თუმცა დიდი გამოცხადება მაინც მიიღეს.

იგივე მოხდა აღდგომის შემდეგ. პირველი, ვისაც იესო ელაპარაკა, მარიამ მაგდალელი იყო, მაგრამ ქალს მებაღე ეგონა (იოან. 20:15-16). მოწაფეებმა სანაპიროზე თევზი ჭამეს იესოსთან ერთად (იოან. 21:9-10) და თავიდან ვერც გარეგნულად და ვერც ხმით იცნეს. მხოლოდ მაშინ გაიაზრეს, ვინ იდგა მათ წინ, როცა ნაცნობი მოქმედება გააკეთა. გარდა ამისა, აღდგომის შემდეგ ორ მოწაფესთან ერთად მიდიოდა, რომელთაც მის ჯვარცმაზე ადრევე ჰქონდათ გაგონილი, სანამ მოხდებოდა, მაგრამ მაინც ვერ იცნეს იგი, რადგან „თვალები დახშული ჰქონდათ“ (ლუკ. 24:16). ვერც სახით, ვერც აღნაგობით და ვერც ხმით ვერ მიხვდნენ, ვინ იყო მათთან. მოწაფეებმა დაინახეს მისი სახე და განიცადეს მისი თანდასწრება, თუმცა

იქ არ ყოფილა მისი დიდების ღია გამოვლინება. და მაინც, ყველამ მიიღო გამოცხადება მის თანასწრებაზე.

ამის საპირისპიროდ, იოანე მოციქულმა სულში იხილა ის კუნძულ პატმოსზე, მაგრამ ზღვის სანაპიროზე საუზმისგან განსხვავებით სრულიად განსხვავებული შეხვედრა ჰქონდა. იქ იოანემ მთელი დიდებით დაინახა იესო, რომელსაც ასე აღწერს: „მისი სახე იყო როგორც მზე, თავისი ძლიერებით მბრწყინავი. ვიხილე და მკვდარივით დავეცი მის ფერხთით“ (გამოცხ. 1:16-17). უფლის დიდებული თანდასწრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იოანე მკვდარივით დაეცა.

უფლის დიდება არის ყველაფერი, რაც ღმერთს ღმერთად ხდის. მისი თვისებები, ძალაუფლება, ძალა და სიბრძნე – მისი განუზომელი წონა და სიდიადე, სადაც არაფერია დამალული ან დაფარული! ამ დიდებულ თანდასწრებას ადამიანი მხოლოდ მაშინ განიცდის, როცა მოსესნაირად მხოლოდ მის ზურგს და ჩავლას ხედავს ან დამასკოს გზაზე სავლეს შემთხვევის მსგავსად, არ ჩანს ფორმა, მაგრამ არის წარმოუდგენელი ბრწყინვალება და ხმა.

მისი სამკვიდრებელი

მოდით, აბრაჰამის შთამომავლებს დავუბრუნდეთ. როცა ღვთის თანდასწრება პირველად გამოვლინდა სინაის მთაზე, მათ უკან დაიხიეს და შეჰყვირეს: „აჰა, გვიჩვენა უფალმა, ჩვენმა ღმერთმა, *თავისი დიდება* და სიდიადე და გვესმა მისი ხმა ცეცხლის შუაგულიდან. ... ახლა რად უნდა დავიხოცოთ? ხომ გვშთანთქავს ეს დიდი ცეცხლი: თუ კიდევ მოვისმენთ უფლის, ჩვენი ღვთის ხმას, დავიხოცებით“ (2 რჯ. 5:24-25, *ავტორისეული ხაზგასმა*). ისრაელიანებს აღარ შეეძლოთ უზენაესის დიდებული თანდასწრების ატანა, რადგან მათი სინდისი დალაქავებული იყო მათივე ეგოისტური გზებით.

შემდეგ კარავი აღიმართა და ღმერთი „წმიდათა წმიდად“ წოდებულ ნაწილში დამკვიდრდა. აქ შედიოდა მღვდელმთავარი წელიწადში ერთხელ. ეს გზა გარე ეზოდან იწყებოდა, სადაც სპილენძის სამსხვერპლოზე სისხლიანი შესაწირი მოჰქონდათ

მღვდლისა და ხალხის ცოდვების გამოსასყიდად. ამის შემდეგ ის განიბანებოდა სამსხვერპლოსთან და წმიდაში შევიდოდა ფარდის გავლით. ამ ადგილას არ იყო ბუნებრივი განათება. ერთადერთი შუქი ოქროს სასანთლიდან მოდიოდა, რომელიც იესოს, ჩვენს სინათლეს განასახიერებდა (იოან. 9:5). აქვე ელაგა საწინაშეო პური, რაც მიანიშნებდა, რომ იესოა სიცოცხლის პური (იოან. 6:8). წმიდაში მესამე ნივთი იყო საკმევლის სამსხვერპლო, რომელიც ლოცვითა და თაყვანისცემით სავსე ცხოვრებას ასახავდა.

და მაინც, მღვდელმთავარი ჯერ კიდევ არ იყო შესული იქ, სადაც ღვთის თანდასწრება მკვიდრობდა. გასავლელი იყო კიდევ ერთი ფარდა, რომელიც წმიდაის წმიდათა წმიდიდან გამოჰყოფდა. აქ, შენდობის ადგილას მკვიდრობდა ღვთის რეალური თანდასწრება. სწორედ ეს ფარდა გაიყო ორად, როცა იესომ სული განუტევა: „და აჰა, მაღლიდან დაბლამდე, ორად გაიხა ტაძრის კრეტსაბმელი, შეიძრა დედამიწა და დასკდა კლდეები“ (მათ. 27:51). ყურადღება მიაქციეთ, რომ ფარდა თავიდან ბოლომდე გაიხა და არა დაბლიდან მაღლა. არა ადამიანმა, არამედ ღმერთმა ჩახია ფარდა, რადგან გარეთ გამოსვლას აპირებდა! ის ახალ სახლს ეძებდა, სამკვიდრებელს, რომელსაც დიდი ხანია შენატროდა — განახლებული შვილების გულებს. ეს როდის მოხდა? ორმოცდაცამეტი დღის შემდეგ, სულთმოფენობისას ღმერთი თავისი დიდი ხნის კარავში დამკვიდრდა. წმიდა წერილში ვკითხულობთ:

> მოულოდნელად ხმაური გაისმა ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი ენები, როგორც ცეცხლოვანნი და სათითაოდ დაივანა თითოეულ მათგანზე. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით. (საქმ. 2:2-4)

ღვთის თანდასწრება არ მოვიდა, სანამ მოსემ კარვის მოწყობა არ *დაასრულა*. ანალოგიურად, იესომ თქვა: „აღსრულდა!“ თავი დახარა და სული განუტევა“ (იხილეთ იოან. 19:30). აქაც უფალი ახალ სამკვიდრებელში გადავიდა, რომელიც საუკუნო კრავის სისხლით გაწმინდა.

> მაშ, ძმანო, რაკი იესოს სისხლის მეშვეობით გაბედულება გვაქვს შევიდეთ წმიდათა წმიდაში, ჩვენთვის ბოძებული ახალი და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა, კრეტსაბმელით, – რაც მისი სხეულია, და მღვდელმთავრით ღვთის სახლზე, *მივუახლოვდეთ* მას მართალი გულებით და სრული რწმენით, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას, ვინაიდან აღმთქმელი ერთგულია; (ებრ. 10:19-23, *ავტორისეული ხაზგასმა*).

გაბედულება გვაქვს, რომ *მივუახლოვდეთ* მას, ვინც „წმიდათა წმიდაში“ მკვიდრობს! ეს არ გახლავთ კარავი ან ტაძარი; ეს ჩვენი სხეულებია! დიახ, ღმერთი იმ ადამიანთა გულებში შევიდა, რომლებიც იესოს მსხვერპლით განიწმიდნენ. ხშირად, როცა მას მოვუხმობთ, მილიონობით მილის იქეთ არსებულ სატახტო დარბაზს წარმოვიდგენთ. არა, ის ჩვენს გულებში მკვიდრობს! ჯერ კიდევ არ გვისწავლია, რომ შიგნით ჩავიხედოთ;

ჯერ ისევ შიგნიდან გარეთ ვიხედებით! ახალი აღთქმა უბრალოდ გვეუბნება, ხოლო რწმენისმიერი სამართლიანობა ასე ამბობს: „ნუ იტყვი შენს გულში: ვინ ავა ზეცაში?“ ესე იგი, ქრისტეს ჩამოსაყვანად (შენს დასახმარებლად); (რომ. 10:6).

დიახ, ღმერთს აქვს ფიზიკური სატახტო დარბაზი, რომელიც მესამე ცაზეა. და მაინც, მას ისე წყუროდა თავის ხალხთან სიახლოვე, რომ დედამიწაზე კარავში შექმნა სამკვიდრებელი, სადაც მისი გამოვლენილი თანდასწრება იყო დავანებული. ახლა მან სხვა სავანე შეიქმნა იმ ადამიანთა გულებში, რომლებმაც სიცოცხლე იესოს გადასცეს და სულიწმიდით ავსება ითხოვეს. მან სამკვიდრებელი მოიწყო იქ, სადაც ყველაზე ახლოს იქნება მისი სიყვარულის ობიექტთან. როცა ახლოს მივდივართ ჩვენს გულში მყოფ უფალთან, ასევე შევდივართ მილიონობით მილის დაშორებით არსებულ სატახტო დარბაზში. ეს როგორ ხდება? ღვთის სულისთვის არ არსებობს მანძილი. მის თანდასწრებაში ყოფნა თავად იესოსა და ზეციერი მამის სატახტო დარბაზში ყოფნას ნიშნავს, რადგან იგი ქრისტესა და ღვთის სულია! (იხილეთ რომ. 8:9).

ყურადღება მიაქციეთ, რას წერს ავტორი: „მტკიცედ მივყვეთ იმედის აღსარებას, რადგან აღმთქმელი ერთგულია“. იგი ასევე ამბობს:

> [ეს იმედი] ჩვენთვის სანდო და მტკიცე ღუზასავითაა და შედის ფარდის მიღმა (ებრ. 6:19).

ძველი ფარდის ჩახევამ მსოფლიოს ყველა თაყვანისმცემელს გაუხსნა გზა ღვთის თანდასწრებაში შესასვლელად ახალი და ცოცხალი გზით. ახლა ფარდად ჩვენი ხორცი იქცა. თუ ხორცის გარე ეზო გადავლახეთ ჯვარცმით და უარყოფით (იხილეთ გალ. 5:24), ჩვენი გულის ახალ „წმიდათა წმიდაში“ შევდივართ, სადაც შესაძლებელია განუწყვეტელი მოზიარეობა. მისი თანდასწრება მუდმივი რეალობა ხდება. იგი გარანტიას გვაძლევს, რომ წრფელი გულით მიახლოების შემთხვევაში მის თანდასწრებას გამოავლენს! მას არასოდეს უთქვამს, რომ ეს რაიმე სახით ან დროში შეზღუდულია! კარვის დროსაც მისი თანდასწრება მიდმივი იყო, თუ ხალხი წრფელად მიდიოდა მასთან. ასევე განუწყვეტელია მისი თანდასწრება ჩვენი გულის კარავშიც.

კიდევ ერთხელ მოისმინეთ იაკობის სიტყვები, „მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ.“ რა იმედი, რა წმიდა დარწმუნება, რა აღთქმაა ღვთისა, რომელმაც საკუთარი თავი დაიფიცა და „შეუძლებელია, მოგვატყუოს ... [რომ] მტკიცე ნუგეშისცემა გვქონდეს ჩვენ, ვინც შევეფარეთ, რათა ჩავჭიდებოდით ჩვენ წინ მდებარე იმედს“ (ებრ. 6:18) რაში მდგომარეობს იმედი? თუ მივუახლოვდებით, ისიც მოგვიახლოვდება! მან ამის გარანტია მოგვცა!

მაშ, რატომ ვეღარ ტკბება ბევრი მისი გამოვლენილი თანდასწრებით? როგორც ე. უ. ტოზერმა თქვა:

> იესოს ხორცის დაფლეთით ფარდა გაიყო და ღვთის მხრიდან არაფერი აბრკოლებდა ჩვენს შესვლას. მაშ, რატომ ვიკავებთ თავს? რატომ ვკმაყოფილდებით ჩვენი ცხოვრების დღეების გატარებით წმიდათა წმიდის გარეთ და არასოდეს შევდივართ ღმერთთან შესახვედრად?

> მოვისმინეთ, როგორ ამბობდა ნეფე: „კლდის ფარულ ნაპრალში შეხიზნულო, ჩემო მტრედო! მაჩვენე შენი სახე, მომასმენინე შენი ხმა, რადგან ტკბილია შენი ხმა და მშვენიერია შენი სახე“ (ქებ. 2:14). ვგრძნობთ, რომ ჩვენ გვეძახიან, მაგრამ ახლოს მაინც არ მივდივართ. წლები გადის, ვბერდებით და ვიქანცებით კარვის გარე ეზოში დგომით. რა გვიშლის ხელს? (*The Pursuit of God*, გვ. 41)

ეს კითხვა კვლავ აქტუალურია: რა გვაბრკოლებს? რატომ ვიტანჯებით საკუთარი მცდელობებით და მიზანს ვცდებით ჩვენი სიბრმავის გამო? რატომ ვართ ასე იმედგაცრუებულები და ყველაფერი გვბეზრდება, როცა ამ საოცარ იმედს ღვთის აღთქმა უმაგრებს ზურგს, რომლის დარღვევა შეუძლებელია? წიგნის შემდგომ ფურცლებზე მივხვდებით, რა გვიშლის ხელს ღმერთთან მოზიარეობის ამ მშვენიერ ურთიერთობაში, რომელიც ყველა მორწმუნისთვის შესაძლებელია.

კითხვები შესწავლისთვის

1. თავის დასაწყისში დაისვა კითხვები: „რატომ კმაყოფილდება ბევრი ადამიანი ღმერთთან მხოლოდ გონებრივი ურთიერთობით? რატომ დავკმაყოფილდით ქრისტეს თანდასწრებისგან დაცლილი ქრისტიანობით? როგორ მოვახერხეთ მასთან სიახლოვის გარეშე დაკმაყოფილება? როგორ უპასუხებდით ამ შეკითხვებს?
2. ავტორი ახსენებს, რომ ფსიქოლოგიის მტკიცებით, ბოლო ხუთი წლის ურთიერთობები ჩვენს პიროვნებას აყალიბებს. იგი ასევე აცხადებს, რომ ეს წმიდა წერილით დასტურდება: „ცუდი საზოგადოებანი ხრწნიან კეთილ ჩვეულებს“ (1 კორ. 15:33) და „ბრძენკაცთან მავალი დაბრძენდება“ (იგ. 13:20). გაქვთ ცხოვრებაში პერიოდი, როცა ერთ-ერთ ან ორივე უკიდურესობაში ხართ? რა შედეგები მიიღეთ?

თავი მეექვსე

ღვთის მეგობრები

მან ახლო ურთერთობა შესთავაზა,
მათ კი საკუთარი არჩევანის გამო ვერ შეძლეს.

ახლა, როცა ამ საწყის თავებს ვწერ, ჩემს გულს დიდი წყურვილი კლავს. განსახილველ საკითხებზე საუბარი კიდევ უფრო აღანთებს შინაგან ცეცხლს და აძლიერებს მისი ძიების სურვილს, რომელმაც ასე საოცრად შეგვიყვარა. ის თავად განუწყვეტლივ ეძებდა თითოეულ ჩვენგანს ყველა დროის რომანტიკული ურთიერთობისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეს პიროვნება ძიების ღირსია, „ადვილი საპოვნელი“ როდი გახლავთ. ის წმიდა და დიდი მეფეა, ამიტომ მისი კრძალვა გვმართებს. ამიტომ ვერ ისაუბრებთ „მიახლოებაზე“ თუ არ გაითვალისწინებთ „წმიდა მოშიშების“ საკითხს.

გზების გაყრა

ამ მომენტისთვის „მაძიებელზე მორგებული სიტყვა“ და ჭეშმარიტება ერთმანეთს შორდება. ასეთ ქადაგებებს ნებისმიერ დენომინაციაში ან წრეში იპოვით; ისინი ლაპარაკობენ

ღმერთზე, რომელსაც ადამიანთან ურთიერთობა სურს და მისი კურთხევა სწადია, მაგრამ აქ შეცდომას აქვს ადგილი, რადგან მის სიწმიდეს არ ითვალისწინებენ. ხშირად ეს კეთილი ზრახვებით ხდება; ზოგიერთმა დაინახა ან გამოსცადა ლეგალისტური მორწმუნეობის ტრაგედია; სხვებს სურთ იხილონ, რომ ადამიანები უყვართ და მათზე ზრუნავენ, ამიტომ სამწუხაროდ, ზოგიერთი ქადაგება წინასწარგანზრახვით არასრულად გადმოიცემა და უფრო დიდ შედეგებს წარმოშობს.

ისინი, ვინც ლეგალიზმის ბორკილებს გაექცნენ და მხოლოდ მოსიყვარულე, გამგებ ღმერთზე ქადაგებენ, რომელიც ჩვენს ურჯულოებას და ამქვეყნიურობას ფარავს, რეაქციონერები არიან ზრახვებით და ტაქტიკით. ასეთი რჩევები ღვთის თანდასწრებიდან მოსული არ არის. ისინი უფლისგან სიტყვას ვერ იღებენ მათი ცხოვრებისთვის. ღმერთი რომ ეძიათ, მიხვდებოდნენ, რომ მასთან მიახლოების სხვა გზა არ არსებობს, თუ არა ბილიკი, რომელიც ერთი მხრივ წმიდა სიყვარულს, ხოლო მეორე მხრივ, მოშიშებას ესაზღვრება.

ხსენებული ქადაგებები „ადვილად მისაწვდომ უფალს“ სთავაზობს ადამიანებს გარკვეული მიზნის მისაღწევად. ასეთი მქადაგებლები უფლის მოშიშებაზე ლაპარაკს გვერდს უვლიან და არსებითად, „ღვთის თანდასწრებას უკეტავენ“ ადამიანებს.

შიშის მომგვრელი

ღვთის თანდასწრებაში მყოფთათვის არსებობს საუკუნო და უცვლელი ჭეშმარიტება. ის ამ ერთ მუხლშია თავმოყრილი:

> დიდად საშიშია ღმერთი წმინდანთა კრებულში, შიშის მომგვრელია ის მის ირგვლივ მყოფთა შორის (ფს. 89:7)

მოდით, ხელახლა წავიკითხოთ ამ მუხლის მეორე ნაწილი. „ღმერთი შიშის მომგვრელია მის ირგვლივ მყოფთათვის“. ეს ყოველთვის ჭეშმარიტია და ასეთად რჩება. ვერსად ნახავთ ღვთის თანდასწრების გამოვლინებას იქ, სადაც მისი მოშიშება არ არის. ის ახლოს არ მოვა და არ დაივანებს გარემოში,

სადაც სათანადო პატივით და დაფასებით არ მოეპყრობიან. მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ხარისხიანი იქნება გალობა ან „თაყვანისცემა“, ქადაგება თუ სწავლება ან რამდენად შეესაბამება ლოცვა წმიდა წერილს; თუ მისი მოშიშება არ აქვთ ადამიანებს, ის ახლოს არ მოვა საკუთარი თავის გასაცხადებლად. იგივე მდგომარეობა იყო ყელისა და მისი ძეების ცხოვრებაში.

წლების მანძილზე ასობით თუ ათასობით ადამიანისგან შემდგარ აუდიტორიებში შემიბიჯებია და დათვლაც შეუძლებელია, რამდენჯერ მინახავს სამწუხარო რეალობა, რომ ღვთის თანდასწრების ჩრდილიც კი არსად ჩანდა. მიზეზი: ადამიანებში არ იყო წმინდა მოშიშება და ზოგჯერ არც ხელმძღვანელობა გამოირჩეოდა ამით. ქება და თაყვანისცემის გუნდები შესანიშნავია ხოლმე. ბანერებს არხევენ და მოცეკვავებიც ჰყავთ. სცენაზე დახელოვნებული მუსიკოსები და მომღერლები დგანან. მსახურება ინოვაციურია და არც მაღალტექნოლოგიური მედია-საშუალებების ნაკლებობას განიცდიან. ღონისძიება კრეატიული და გასართობია, სადაც ადამიანებს იუმორით და საინტერესო თემებით ხვდებიან, მაგრამ იქაურობას რაღაც აკლია. ატმოსფეროში იგრძნობა ღვთის თანდასწრების არარსებობა. გულისგამგმირავია ფაქტი, რომ მსმენელთა უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რამდენად გამოცარიელებულია იქაურობა. (ამ მომენტისთვის უნდა აღვნიშნო, რომ კომუნიკაციის ინოვაციური გზები სიახლის მომტანია და არავითარ შემთხვევაში არ აბრკოლებს ღვთის თანდასწრების გამოვლინებას. ისეთ ადგილებში ვყოფილვარ, სადაც ყველაფერი ტექნიკის ბოლო სიტყვით იყო მოწყობილი, მაგრამ ღვთის თანდასწრების სიმდიდრით გამიხარია. ღვთის თანდასწრებას ტექნიკის არსებობასთან ან ნაკლებობასთან არაფერი კავშირი არ აქვს, თუმცა ადამიანთა გულის მდგომარეობას კი ასახავს).

ასეთ ვითარებაში უფალი მიბიძგებს, რომ მორჩილებასა და უფლის შიშზე ვილაპარაკო. ყოველ ჯერზე, როცა მონანიების მოწოდება გაისმება, მოწმე ვარ, რომ ხალხის უმრავლესობასთან ერთად თავად ლიდერებიც გამოდიან. თითქმის ყოველთვის ლოცვის წარმოთქმამდე ღვთის თანდასწრება ვლინდება და

ადამიანები ქვითინებენ. რატომ ხდება ასე? იმიტომ, რომ ღმერთი მათ უახლოვდება, ვისაც იგი უყვარს, პატივს მიაგებს და კრძალვით დადის მის წინაშე. სწორედ ამიტომ ამბობს იაკობი:

> ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო! (იაკ. 4:8-9)

თავდაპირველად შეიძლება გეგონოთ, რომ იაკობი ურწმუნოებს მიმართავს, რადგან ჩვეულებრივ, განუახლებელ ადამიანებს „ცოდვილებს“ ვუწოდებთ. თუმცა იაკობი ამ წერილში თხუთმეტჯერ ახსენებს სიტყვას *ძმებო*. ის ზეციდან შობილ ქრისტიანებს ელაპარაკება.

ამრიგად, გადავხედოთ სიტყვა *ცოდვილის* მნიშვნელობას. ეს გახლავთ ბერძნული *ჰამარტოლოს*. Vine ლექსიკონი განმარტავს, რომ ეს არის „მიზანს აცდენილი“. სიტყვა მართებულად მიესადაგება ადამიანს, რომელსაც ხსნა არ მიუღია, მაგრამ ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ქრისტიანის მიმართ. ამ კონტექსტში ის აღნიშნავს მორწმუნეს, რომელიც თავის აზროვნებაში მიზანს აცდენილია, რაც თავის მხრივ არასწორ განმეორებად მოქმედებებს ან საქციელს წარმოშობს. ის განაგრძობს: „განიწმიდეთ გულები, ორგულნო!“; ამ განცხადებით, იგი შეეხება მორწმუნის გზასაცდენილობის მიზეზს.

ყველაზე მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ უფლის შიში გულიდან იწყება და გარეგნული ქმედებებით გამოიხატება. ერთხელ ღმერთმა ასე თქვა მის ხალხზე — ყურადღება მიაქციეთ სიტყვას „მიახლოვდება“:

> ეს ხალხი მხოლოდ სიტყვებით *მიახლოვდება* და მხოლოდ ბაგეთა მსახურებით მცემს პატივს, მათი გული კი შორს არის ჩემგან და მათი მოშიშება ჩემდამი გაზეპირებულ წესებად იქცა (ეს. 29:13, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ღმერთთან მოახლოება ყოველთვის გულიდან იწყება, რომელსაც მისი კრძალვა და სიყვარული აქვს სხვა ვინმეზე ან რამეზე მეტად. აქ მთავარი გარეგნული მოქმედებები კი არა, გულის მოტივია. ამრიგად, უფლის შიშის განსაზღვრამდე აუცილებელია გულის დამოკიდებულებას შევეხოთ.

მოდით, დავიწყოთ: ღვთის შიში ნიშნავს მის დაფასებას, პატივისცემასა და უმაღლეს ადგილზე დაყენებას, ისევე როგორც თაყვანისცემას, მოკრძალებასა და მოშიშებას. ეს არის მის წინაშე თრთოლვით დგომა და უდიდესი პატივისცემით გამსჭვალვა მისი თანდასწრების, მისი მითითებებისა და მისი სურვილების მიმართ. და ეს მხოლოდ დასაწყისია.

ღმერთთან უპატივცემულოდ მოსვლა

ზოგჯერ რაიმე მოვლენის არსის გაგებაში იმის დადგენა გვეხმარება, თუ რას არ წარმოადგენს ის. წმიდა შიშის გარეშე ღმერთთან მიახლოების საუკეთესო მაგალითს აჰარონის ორი ძის ცხოვრებაში ვხედავთ.

კარვის დასრულებამდე უფალმა მოსეს მითითება მისცა: „მიიახლოვე აჰარონი, შენი ძმა და მისი ძენი, ისრაელის ძეთაგან, რომ მღვდლობა გამიწიონ: აჰარონი, ნადაბი და აბიჰუ, ელეაზარი და ითამარი, აჰარონის ძეები“ (გამ. 28:1).

ეს კაცები გამოყოფილ იქნენ და წვრთნა გაიარეს უფლის მსახურების და ხალხის გულისთვის ნაპრალში ჩასადგომად. მათ ნებადართული ჰქონდათ ღვთის თანდასწრებასთან მიახლოება. მათი მოვალეობები და თაყვანისცემის პარამეტრები მოსემ განსაკუთრებული მითითებების სახით მიიღო უფლისგან. განსწავლის შემდეგ ისინი განიწმიდნენ, ღვთის თანდასწრებამ აავსო კარავი და აჰარონის ძეენი მსახურებას შეუდგნენ.

ორი მათგანისთვის ეს ხანმოკლე აღმოჩნდა, მას შემდეგაც კი, როცა კარავში უფლის დიდება გამოვლინდა. ცოტა მოგვიანებით ვხედავთ:

> აიღეს ნადაბმა და აბიჰუმ, აჰარონის ძეებმა, თავიანთი საცეცხლურები, ჩადეს შიგ ცეცხლი, დაადეს ზედ საკმევე-

ლი და უცხო ცეცხლი მიიტანეს უფლის წინაშე, რაც არ იყო ნაბრძანები. (ლევ. 10:1, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ნადაბმა და აბიჰუმ უფლის თანდასწრების წინაშე *უცხო* ცეცხლი მიიტანეს. სიტყვა *უცხოს* ინგლისური შესატყვისი ასეა განმარტებული *უებსტერის ლექსიკონში*: „წმიდა საგნებისადმი უპატივცემულობის და ზიზღის გამოვლენა, შეუსაბამო." ეს ნიშნავს, რომ ღვთის მიერ წმიდად წოდებულს ისე მოეპყრო, თითქოს ქვეყნიური იყოს. ამ ორმა ადამიანმა აიღო საცეცხლურები, რომლებიც უფლის თაყვანისცემისთვის იყო განსაზღვრული, ცეცხლით და საკმევლით აავსო თავისი შეხედულებისამებრ და არა ღვთიური მითითების თანახმად. მათ ყურადღება არ მიაქციეს, რა იყო წმიდა და ამით დაუმორჩილებლობამდე მივიდნენ.

ისინი ღვთის თანდასწრებას შეუსაბამო, მიუღებელი მსხვერ-პლით მიუახლოვდნენ, რადგან წმიდა საეროდ მიიჩნიეს. ნახეთ, რა მოხდა:

გამოვიდა ცეცხლი უფლისგან, შთანთქა ისინი და დაიხოცნენ უფლის წინაშე. (ლევ. 10:2)

ეს ორი კაცი მყისიერად გასამართლდა უპატივცემულობის გამო და სიკვდილით დაისაჯა. უპატივცემულობას სწორედ ღვთის თანდასწრების წინ ჰქონდა ადგილი და მიუხედავად იმისა, რომ მღვდლები იყვნენ, ეს პოზიცია ღვთის პატივისცემისგან არ ათავისუფლებდათ. მათ შესცოდეს, როცა წმიდა ღმერთს ისე მიუახლოვდნენ, როგორც ვინმე ამქვეყნიურს! ისინი მეტისმეტად გათამამდნენ მის თანდასწრებაში! მოუსმინეთ მოსეს ნათქვამს მათი სასჯელის შემდეგ და ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *მომიახლოვდება.*

უთხრა მოსემ აჰარონს: „ესაა, რასაც ამბობდა უფალი: წმიდად უნდა მომეპყრას, ვინც *მომიახლოვდება* და განვდიდდები მთელი ხალხის წინაშე". და დადუმდა აჰარონი. (ლევ. 10:3, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ეს გახლავთ საუკუნო და უნივერსალური დადგენილება. ღმერთმა თქვა, რომ მას ზედაპირულად ან ერისკაცივით ვერავინ *მიუახლოვდება*. ის წმიდად უნდა მიიჩნიოს ყველამ და მოკრძალებით იდგეს მის თანდასწრებაში.

უფალმა გააცხადა, რომ უპატივცემულობა მის სიახლოვეში არავის გამოადგება, მაგრამ ნადაბმა და ამიჰუმ ეს არ გაითვალისწინეს. დღესაც იგივე მდგომარეობაა, რადგან ღმერთი ისევ წმიდაა. თავს უფლება არ უნდა მივცეთ, რომ მის წინაშე შეუფერებელი დამოკიდებულებით წარვდგეთ!

ოჯახური კავშირები გამონაკლისის დაშვების საფუძველს არ იძლევა. ეს ორი მღვდელი აჰარონის შვილები და ამასთანავე, მოსეს ძმიშვილები იყვნენ. ორივემ კარგად იცოდა, რომ ღვთის სამსჯავროში ეჭვი არ უნდა შეეტანათ, რადგან მხოლოდ ის არის სამართლიანი. ფაქტობრივად, მოსემ აჰარონი გააფრთხილა, რომ არ გამოეგლოვათ მათი დასჯა, თორემ თავადაც იგივე ეწეოდათ. ეს კიდევ უფრო მეტად შეურაცხყოფდა უფალს, ამიტომ ნადაბისა და აბიჰუს სხეულები ბანაკის გარეთ გაიტანეს და დამარხეს.

ეს ორი ახალგაზრდა უგულისყუროდ მოეპყრო ღვთის განსაკუთრებულ მითითებებს. მათ ღმერთს პატივი არ მიაგეს და მისი შიშიც არ ჰქონდათ. გულის ასეთმა მდგომარეობამ დაუმორჩილებლობა წარმოშვა. ვხედავთ, რომ ცოდვის საფუძველი უფლის შიშის უქონლობაა.

ღვთის წინაშე ძრწოლა და ღვთის შიში

როცა ღმერთი ისრაელიანებს გაეცხადა სინაის მთაზე, ვერ გაუძლეს მის თანდასწრებას. მიზეზი: მათ უფლის შიში აკლდათ; უკან დახევის შემდეგ მოსემ ასე მიმართა მათ:

„ნუ გეშინიათ, თქვენს გამოსაცდელად მოვიდა ღმერთი, რომ მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ!“ (გამ. 20:20)

მოსემ თქვა: „ნუ გეშინიათ!“, რადგან ღმერთი მოვიდა სანახავად, გაქვთ თუ არა მისი შიში. ეს თითქოს წინააღმდეგობრივად

ჟღერს, მაგრამ ასე არ არის. მოსემ განსხვავება გააკეთა ღვთის წინაშე ძრწოლასა და უფლის შიშს შორის. განსხვავება უზარმაზარია. ადამიანს, რომელიც ძრწის ღვთის წინაშე, რაღაც დასამალი აქვს. მას არ სურს ახლოს მოსვლა, რადგან ღვთის თანდასწრების წმიდა ნათელი გამოააშკარავებს მის მიერ დამალულს. პავლე გვეუბნება: „ყველაფერი სინათლით მჟღავნდება, ვინაიდან რაც გამომჟღავნდა, უკვე ნათელია“ (ეფეს. 5:13).

ღმერთს არ სურს, რომ მის წინაშე შიშის ზარი გვეცემოდეს, არამედ მისი მოშიშება და კრძალვა გვქონდეს. პავლე წერს: „არ მოგვცა ჩვენ ღმერთმა სიმხდალის სული“,(2 ტიმ. 1:7), ხოლო იოანე ამბობს: „სიყვარულში არ არის შიში, არამედ სრული სიყვარული სდევნის შიშს, ვინაიდან შიშში ტანჯვაა, მშიშარა კი სრული არ არის სიყვარულში“ (1 იოან. 4:18). ეს კაცები ძრწოლის სულზე ლაპარაკობენ და არა უფლის მოშიშებაზე, რადგან ახალი აღთქმის ავტორები გვეუბნებიან, რომ „შიშითა და თრთოლვით ვიღვაწოთ ჩვენს სახსნელად“ (ფილ. 2:12). ასევე პავლე გვეუბნება, რომ „გამოვიჩინოთ მადლიერება, რომლითაც ვემსახურებით ღმერთს სათნოდ, მოწიწებითა და მოშიშებით. რადგან ჩვენი ღმერთი შთანმთქმელი ცეცხლია“ (ებრ. 12:28-29). პეტრე კიდევ უფრო ხისტად ამბობს: „დაწერილია: „იყავით წმიდა, რადგან წმიდა ვარ მე“. თუ მამას უწოდებთ იმას, ვინც მიუკერძოებლად, ყველას საქმეთა მიხედვით განიკითხავს, მაშინ მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო“ (1 პეტრ. 1:16-17). ამ განცხადებების კითხვისას ვრწმუნდებით, რომ ღვთის შიშს, როგორც არსებით ნაწილს, ახალი აღთქმის ქრისტიანობიდან ვერ გამოვრიცხავთ.

ყურადღება მიაქციეთ, რა უთხრა მოსემ ხალხს, როცა ღვთის თანდასწრება მოვიდა: „მისი შიში გქონდეთ და არ შესცოდოთ!“ ღვთის სიყვარული კი არა, მისი შიში გიცავთ ცოდვისგან. პავლე ამბობს, „შიშით და თრთოლვით იღვაწეთ თქვენს გადასარჩენად“. მას არ უთქვამს: „სიყვარულით და სიკეთით“. სხვა წერილში ასე გვარიგებს ღვთის თანდასწრების აღთქმის მქონეთ: „განვიწმიდოთ ხორცისა და სულის ყოველგვარი სიბილწისგან და ღვთისმოშიშებით აღვასრულოთ სიწმიდე“ (2 კორ. 7:1). ისევ მიაქციეთ ყურადღება, რომ პავლე არ ლაპარაკობს „ღვთის სიყვარულზე“.

არასოდეს დამავიწყდება ცნობილ მსახურთან სტუმრობა, რომელიც ციხეში თაღლითობისთვის იჯდა. მე ვკითხე:

– როდის უღალატეთ იესოს სიყვარულს?

მან შემომხედა და ყოყმანის გარეშე მითხრა:

– არ მიღალატია.

შეფიქრიანებულმა ვუთხარი:

– მაშ, თაღლითობასა და მრუშობაზე რას იტყვით?

მან მიპასუხა:

– ჯონ, ღმერთი ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ მისი შიში დავკარგე.

და შემდეგ ისეთი რამ მითხრა, რამაც ჩემი ყურადღება მიიპყრო:

– ჯონ, ამერიკაში მილიონობით ჩემნაირი ქრისტიანია. ისინი იესოს მხსნელს ეძახიან და უყვართ იგი, მაგრამ არ ეშინიათ მისი, როგორც უზენაესი უფლისა.

ამ მომენტში სინათლე აინთო ჩემს გულში. მივხვდი, რომ შესაძლებელია გვიყვარდეს „იესოს“ ხატება, რომელიც ჩვენს წარმოდგენასა და გაგებაში შევიქმენით, მაგრამ იგი არ არის ნამდვილი იესო. წერილი გვეუბნება, რომ უფლის შიში ღვთის ახლოს გაცნობის სათავეა (იხილეთ იგ. 1:7; 2:5). გავაცნობიერე, რომ ამ ადამიანს იესოს დამახინჯებული სახება უყვარდა.

„ოჰ, ნეტავ, ჩემი შინეგოდათ!“

მოსემ ნათლად თქვა: სწორედ უფლის შიში გიცავთ ცოდვისგან, ხოლო ცოდვა ღმერთთან სიახლოვისგან გაშორებთ. უფალმა მასთან აღთქმაში მყოფ ხალხს უთხრა: „თქვენი ურჯულოება გახდა გამყოფი თქვენსა და თქვენს ღმერთს შორის, თქვენმა ცოდვებმა დაფარეს მისი სახე თქვენგან!“ (ეს. 59:2). ნახეთ ესაია ამბობს, რომ ღმერთი კი არ დაგვშორებია, არამედ ჩვენმა ცოდვებმა დაგვაშორა მას. იგი მის საკუთრებაზე ლაპარაკობს და არა წარმართებზე. ჩვენ თავად გამოვეყავით ღმერთთან სიახლოვეს, ხოლო ამის მიზეზი წმიდა შიშის ნაკლებობაა.

ღვთის წინაშე შიშის ზარით მდგარი ადამიანისგან განსხვავებით, უფლის მოშიშს დასამალი არაფერი აქვს. მან იცის,

რომ მისი ცხოვრება უფლის წინაშე გადაშლილი წიგნია. ის ღვთის სურვილებს ყველაფერზე მაღლა აყენებს. მისთვის ღვთის ნება მეგობრების, ოჯახისა და საკუთარი სამშვინველის სურვილებზეც კი წონადია. იგი აცნობიერებს, რომ ღვთის მორჩილება ყველაზე მეტად ავსებს. მან თავი უარყო, თავისი ჯვარი აიღო და იესოს მიჰყვება. იგი ღვთისთვის ცხოვრობს.

ეს მოსეს ცხოვრებას აღწერს. მას ღვთის ეშინოდა, ისრაელს კი – არა. ისინი თავიანთ გულისთქმებს, საჭიროებებსა და კომფორტს ღვთის სურვილებზე მაღლა აყენებდნენ. ისინი მას არ ენდობოდნენ, თუმცა ხმამაღლა კი ლაპარაკობდნენ, რომ ასე იყო. ისინი გამუდმებით ეჭვობდნენ, თუმცა სხვაგვარად ლაპარაკობდნენ. ისინი ღვთის სიტყვას, სურვილებს ან მითითებებს ყველაფერზე მაღლა არ აყენებდნენ და იმის გამო, რომ ღვთის შიში არ ჰქონდათ, სინამდვილეში, არც კი უყვარდათ იგი. რატომ? მათ არასოდეს განუცდიათ ღვთის რეალური გამოცხადება. სწორედ ამიტომ გაეცალნენ მის თანდასწრებას. არსებობდა მისი სახის სინათლისგან დასამალი საკითხები. მათ რაღც დონეზე იცოდნენ, რომ ეს ნათელი დაფარულ საკითხებს წამოწევდა და არჩევანის წინაშე დააყენებდა, თუ ვის უნდა მომსახურებოდნენ.

ისრაელმა უკან დაიხია, ხოლო მოსე კიდევ უფრო მიუახლოვდა. ახლა მან უფალს უნდა უთხრას, რომ ხალხს, რომელიც მან ასე ძალმოსილებით და საოცარი გზებით გაათავისუფლა მონობიდან და თავისთან მოიყვანა, აღარ სურს მასთან მიახლოება. მოსე თრთოლვით ელოდა ამ მომენტს, მაგრამ ღმერთმა უკვე იცოდა და გააკვირვა ის თავისი პასუხით:

> „ვისმინე ამ ხალხის ლაპარაკი, შენ რომ გელაპარაკებოდა. ყველაფერი კარგია, რაც ილაპარაკეს“ (2 რჯ. 5:28).

წამომიდგენია, როგორი ელდანაცემი სახე ჰქონდა მოსეს. ის მიხვდა, რომ არ იცოდა, ღმერთს თუ ესმოდა მათი ნათქვამი სიტყვები (განა საოცარი არ არის, რომ გვავიწყდება მისი ყოვლისმცოდნეობა?). კიდევ უფრო გასაკვირი ის გახლდათ, რომ ისრაელიანები, თურმე, მართალს ამბობდნენ! ალბათ, მოსემ რაღაც ამდაგვარი ამოღერღა: „რატომ არ შეუძლიათ შენთან მოახლოება?“

ღვთის ხმაში ადვილად შენიშნავთ ნაღველს, როცა მოსეს უხსნის, თუ რატომ არ შეუძლიათ ისრაელიანებს მასთან *ახლოს მოსვლა*:

> ნეტავ ისეთი გული ჰქონოდათ, რომ შინებოდათ ჩემი და მუდამჟამს დაეცვათ ჩემი ყოველი მცნება (2 რჯ. 5:29).

ამ პასუხით ღმერთმა სრულიად გამჭვირვალე გახადა ორი საკითხი: პირველი, შეუძლებელია მასთან მიახლოება, თუ ადამიანს წმიდა შიში აკლია და მეორე, ღვთის შიშის არსებობაზე მისი მცნებების მორჩილება მეტყველებს. ისრაელის ძეებმა კარგად იცოდნენ, როგორ ელაპარაკათ და თავი სათანადოდ წარმოეჩინათ, მაგრამ მათი გულები დაცლილი იყო ღვთის შიშისგან. მოშიშება ყოველთვის გულში იწყება და ჩვენი მორჩილებით ვლინდება!

ამის შემდეგ უფალი ყველაზე ტრაგიკულ განცხადებას აკეთებს ძველ აღთქმაში. იგი ხალხისთვის სათქმელს მოსეს აბარებს:

> „წადი და უთხარი მათ: დაბრუნდნენ თავიანთ კარვებში!“ (2 რჯ. 5:30)

რამდენად გულგატეხილი იყო ღმერთი და რა გულდამძიმებული – მოსე, როცა უკან ბრუნდებოდა. ახლაც კი გრძნობს ჩემი გული ამ ნათქვამის წონას. ღმერთმა ისინი ეგვიპტიდან ერთადერთი მიზნით გამოიყვანა, რომ თავისთან დაეახლოებინა, ისინი კი ამ მიზანს აცდნენ (იხილეთ გამ. 19:4). ეს იყო მისი ღვთაებრივი სურვილი ამ დიდებულ ხსნაში. თუმცა მასთან შეხვედრის შესაძლებლობა რომ მიეცათ, უკან დაიხიეს, ვერ გაჩერდნენ მის თანდაწრებაში, რადგან უფლის შიში არ ჰქონდათ. ისრაელიანები კარვებში უნდა დაბრუნებულიყვნენ, მისი თანდასწრებისა და ხმისგან შორს. ღმერთმა მათ დაახლოება შესთავაზა, მაგრამ ამაზე უარი თქვეს საკუთარი გადაწყვეტილებით.

უფალთან მეგობრობა

მეორე მხრივ, მოისმინეთ სიტყვები, რომლებიც ღმერთმა მოსეს უთხრა კარვებში დაბრუნების მითითების შემდეგ:

„ხოლო შენ აქ დადექი ჩემთან და გეტყვი!“ (2 რჯ. 5:31)

ოჰო! „აქ დადექი ჩემთან და გეტყვი!“ რა აღტკინებაა! რა სრულყოფილი სიხარულია! რა განუზომელი პრივილეგიაა! მოსეს დარჩენა და ღვთის გულისნადების გაგება შესთავაზეს. ამაზე კარგი არაფერია მთელ სამყაროში! ღვთის თანდასწრებაში დარჩენა, რომელიც უსაზღვრო სიყვარულის, სიბრძნის, ცოდნისა და ძალის წყაროა. მის გვერდზე დგომა, ვისაც მთელი ზეცა თაყვანს სცემს და ესწრაფის. მოსეს ასეთი მოპატიჟება ჰქონდა!

მოსემ ღვთის შიში შეიძინა, ამიტომ მასთან ახლო ურთიერთობა შეძლო, ამის დასტურს მეფსალმუნის სიტყვებში ვხედავთ: „აუწყა თავისი გზები მოსეს, ისრაელის ძეთ - თავისი საქმენი“ (ფს. 103:7). მოსემ ხშირად იცოდა, რას გააკეთებდა ღმერთი იქამდე, სანამ რამეს მოიმოქმედებდა, რადგან იგი თავის გულისნადებს უზიარებდა გვერდზე მყოფს, რაზეც ისრაელიანებმა უარი თქვეს.

ისრაელი ღმერთს იცნობდა ლოცვებზე პასუხებით. მათ არ იცოდნენ ღვთის განზრახვა, სურვილები, გეგმები ან კიდევ უფრო ღრმა რამ – მისი გული. ისინი ხედავდნენ მის საქმეებს, მაგრამ ვერ ხვდებოდნენ, თუ რატომ მოიქცა ასე. მოსე იცნობდა ღმერთს, რადგან იცოდა, რა იყო ნათქვამი საიდუმლო ადგილას. ეს არის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი მუხლი:

საიდუმლო უფლისა მისი მოშიშებისთვისაა და თავის აღთქმას აუწყებს მათ. (ფს. 25:14)

შინაარსის შეუცვლელად ასე შეიძლება ვთქვათ: „უფლის გულის საიდუმლოებანი მის მოშიშთათვის არის და მათ აჩვენებს მისი დაპირებების გზებს“. ყველას გვაქვს საიდუმლოებანი (და

ყველა მათგანი ცუდი როდია), მაგრამ ნაცნობებს არ ვუზიარებთ, არამედ ყველაზე ახლო მეგობრებს ვანდობთ. ამისთვის კარგი მიზეზი არსებობს: დარწმუნებული ვართ, რომ ისინი ამ მშვენიერ საკითხებს არასოდეს გამოიყენებენ ჩვენს გულსატკენად ან სარგებლობის მისაღებად. ვიცით, რომ ჩვენთვის შესანიშნავს მოუფრთხილდებიან. ჩვენს გაზიარებულს არც არასწორად განმარტავენ და არც დაამახინჯებენ გამორჩენის მიზნით. მათ იციან ჩვენი გულის ნადები და საუკეთესო სურვილები ამოძრავებთ.

ღმერთიც ასეთია. იგი საიდუმლოს არ ეტყვის მას, ვინც მეტისმეტად ზრუნავს საკუთარ სიამოვნებასა და კეთილ-დღეობაზე. იგი საიდუმლოს ისეთ ადამიანს გაანდობს, ვინც მის გულს იცნობს და სიცოცხლეს არ დაინანებს მათთვის, რომელთაც მეგობრებს უწოდებს. ერთ-ერთი თარგმანი ამას შემდეგი მუხლით ამოწმებს: „უფლის მეგობრობა მისი მოშიშებისთვისაა, რომელთაც თავისი აღთქმების საიდუმლოებებს უზიარებს“ (ფს. 25:14 NLT).

აბრაჰამი, ღვთის მეგობარი

არის კაცი, რომელსაც ღვთის მეგობარი ეწოდა ძველ აღთქმაში. მისი სახელია აბრაჰამი. რატომ იყო ის ღვთის მეგობარი? პასუხი იმ უდიდეს გამოცდაშია, რომელიც ოდესმე ჰქონია ცხოვრებაში. ის ოცდახუთი წელი ელოდა ღვთის აღთქმას: მას და მის უნაყოფო მეუღლეს, სარას ძე შეეძინათ. კარგა ხნის შემდეგ, როცა შვილოსნობის ასაკს გადაცილებული იყვნენ, ღმერთმა მათ ძე მისცა. სახელად ისაკი დაარქვეს, რაც *სიცილს* ნიშნავს. ამ პატარამ მათ ოჯახში წარმოუდგენელი სიხარული შეიტანა.

ღმერთი ყურადღებით აკვირდებოდა ამ ოჯახს, თუ როგორ იზრდებოდა გულითადი სიყვარული აბრაჰამსა და მის ნანატრ ისაკს შორის. დადგა გამოცდის დრო და ღმერთმა აბრაჰამს უთხრა: „წაიყვანე შენი ერთადერთი ძე ისაკი, რომელიც ძალიან გიყვარს; წადი მორიას მხარეში და სრულადდასაწველ მსხვერპლად შესწირე ერთ მთაზე, რომელსაც გაჩვენებ!“ (დაბ. 22:2, *ავტორისეული ხაზგასმა*).

წარმოგიდგენიათ აბრაჰამის ელდა ამ ბრძანების გაგონებაზე? ის აღთქმის შვილი იყო; სწორედ მას ელოდა ოცდახუთი წლის მანძილზე. ისმაელი უკვე სახლიდან გაუშვა და ცარიელი რჩებოდა! რატომ ახლა, როცა ასე გამყარდა მათ შორის სიყვარულის კავშირი? რატომ ელოდა ღმერთი ამდენ ხანს? რატომ არ მოსთხოვა ვაჟი, როცა ჯერ კიდევ ჩვილი იყო? ბიბლიის ბევრი კომენტატორი ფიქრობს, რომ ისაკი იმ დროს ოცდაცამეტი წლის იქნებოდა.

წარმოგიდგენიათ ის ღამე? აბრაჰამის გულში ვნებები ბობოქრობდა. როგორ შეეძლო ღმერთს მისთვის ამის თხოვნა? ყველაფერი ხომ გეგმის მიხედვით ვითარდებოდა! ერთ დღესაც ისაკი დაქორწინდებოდა და მისი შთამომავალნი ერებსა და ღვთისგან აღთქმულ მეფეს შობდნენ. რატომ მოითხოვა ღმერთმა მისი სიცოცხლე ასე ადრე? გესმით კითხვები, რომლებიც სულს უღრღნიდნენ აბრაჰამს? – *საერთოდ რატომ მაჩუქა ისაკი? რატომ მომცემდა, თუ მის წართმევას აპირებდა? მასაც ისე უყვარს ისაკი, როგორც მე? მის ნაცვლად ჩემი სიცოცხლე რატომ არ წაიღო?*

აბრაჰამში რაღაცამ გადასძალა ყველა ეს კითხვა და აზრი: უფლის შიშმა, რომელიც გულში ჰქონდა. ღმერთი ელაპარაკა და ისიც უნდა დამორჩილებოდა. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ადგა აბრაჰამი *დილაადრიანად*, შეკაზმა სახედარი და თან წაიყვანა თავისი ორი მსახური და ისაკი, თავისი ძე. დააპო შეშა სრულადდასაწველისთვის და იმ ადგილისკენ გაეშურა, რომელზეც ღმერთმა მიანიშნა“ (დაბ. 22:3, *ავტორისეული ხაზგასმა*). ყურადღება მიაქციეთ სიტყვას *დილაადრიან*. ოდესმე მოგისმენიათ ნათქვამი: „ღმერთი ბოლო რამდენიმე თვეა გულში ამ საკითხზე მელაპარაკება, მაგრამ ჯერ კიდევ არ გადამიწყვეტია“? ადამიანები ასე გამოხატავენ უფლის შიშის ნაკლებობას.

უფლის შიში მისი სიტყვის წინაშე თრთოლაზე მეტყველებს. ეს ნიშნავს, რომ ღმერთს მაშინაც ვემორჩილებით, როცა ამის მიზეზს ან სარგებელს ვერ ვხედავთ. ვემორჩილებით მაშინაც, როცა არაფერი გვესმის. ვემორჩილებით მაშინ, როცა გვტკივა! ჩვენ, როგორც სახარების მაცნეები, დათვურ სამსახურს ვუწევთ ქრისტეს სხეულს. ძალიან ხშირად ვავითარებთ მორჩილე-

ბის დამოკიდებულებას იქ, სადაც სარგებელი სახეზეა. ასე ვლაპარაკობთ ხოლმე: „თუ გასცემთ, ღმერთიც ...“ ან „თუ ილოცებთ, ღმერთი ...“ ან „თუ დაემორჩილებით, ღმერთი ...“. ეს იგივეა, რაც „მოდი იესოსთან, რომ მიიღო“. მწამს, რომ ის მაკურთხებელია? სრულიად! და მაინც, უფლის მსახურების მოტივად კურთხევა არ უნდა იქცეს. უნდა ვემსახუროთ იმისთვის, რასაც უფალი წარმოადგენს და არა იმისთვის, რის გაკეთება შეუძლია ჩემთვის.

აბრაჰამის მორჩილება მეყსეული იყო და სამი დღე მიემართებოდა მთისკენ, რომელიც ღმერთმა აჩვენა. რატომ არ აირჩია ღმერთმა უფრო ახლო ადგილი? რა საჭირო იყო სამდღიანი მოგზაურობა? დარწმუნებული ვარ, რომ ღმერთმა აბრაჰამს მოსაფიქრებელი დრო და უკან დაბრუნების საშუალებაც კი მისცა. ერთია, დაიძრა ღვთის ნების შესასრულებლად, როცა მის ხმას მოისმენ და მეორეა, საქმის ბოლომდე მიყვანა. რა მოხდება სამი დღის შემდეგ, როცა ღმერთი დუმს და მთას უკვე მიადექით, სადაც თქვენს ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი პიროვნება სასიკვდილოდ უნდა გაწიროთ?

როგორც არ უნდა ყოფილიყო, აბრაჰამმა მთის მწვერვალს მიაღწია, სამსხვერპლო ააგო, ისაკი შეკრა და დანა აღმართა. მოულოდნელად უფლის ანგელოზმა აბრაჰამს დაუძახა:

> „ნუ აღმართავ ხელს ამ ყრმაზე, ნურაფერს დაუშავებ, რადგან ახლა ვიცი, რომ ღვთისმოშიში ხარ და არ დაზოგე შენი ძე, ერთადერთი, ჩემთვის!“ (დაბ. 22:12, *ავტორისეული ხაზგასმა*)

საიდან მიხვდა ღმერთმა, რომ აბრაჰამს მისი ეშინოდა? იმით, რომ დაემორჩილა მაშინ, როცა ვერაფერი გაეგო; მაშინ, როცა სტკიოდა და არც არაფერი სარგებელი ჰქონდა. ღმერთი უყურებდა, როგორ აამაღლა აბრაჰამმა ყველაფერზე მეტად უფლის სურვილი. ამის შემდეგ ღმერთმა თქვა: „ეს არის კაცი, რომელსაც თავს გავუცხადებ და ჩემს გულისნადებს გავუზიარებ“.

ღვთის გამოვლენილი მხარე

აბრაჰამმა მყისვე აღაპყრო თვალები, დაინახა ბარდებში გახლართული ცხვარი და გულიდან აღმოხდა, „იაჰვე ირე!“ (რაც ნიშნავს, „უფალი უზრუნველყოფს“). ის იყო პირველი ადამიანი, რომელმაც გაიცნო ღმერთი, როგორც იაჰვე ირე. უფალმა განუცხადა მისი არსების ეს მხარე, რაც დედამიწის ზურგზე არავინ იცოდა და ეს აბრაჰამის მოკრძალებისა და მორჩილების გამო მოხდა.

შესაძლოა, თქვენ მიცნობთ, როგორც „წიგნების ავტორ ჯონ ბევირს“. ზოგიერთი ალბათ, „მქადაგებელ ჯონ ბევირსაც“ იცნობს. თუმცა არის ერთი ადამიანი, სახელად ლიზა, რომელიც მიცნობს, როგორც „მეუღლე ჯონს“. ის ჩემი ძალზე ახლო მეგობარი და ცოლია. მას ისეთ საიდუმლოებებს ვუზიარებ, რაც არავინ იცის. მყავს ვაჟები, რომლებიც მიცნობენ, როგორც „მამა ჯონს“. ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, როგორსაც მხოლოდ მამა-შვილი იზიარებს. თქვენც გყავთ ასეთი ადამიანები. ღმერთიც ასეთია.

იგი აბრაჰამს ისეთ რამეს ეუბნებოდა, რაც სხვამ არ იცოდა. უფალმა მას თავისი გეგმები გაუზიარა და ლაპარაკში ჩართვის უფლებაც კი მისცა. ისინი ამ საკითხზე ერთად მსჯელობდნენ. ერთი ასეთი ვითარება სოდომსა და გომორას ეხებოდა. ღმერთმა თქვა: „დავუმალო აბრაჰამს, რის გაკეთებას ვაპირებ?“ (დაბ. 18:17). უფალი აბრაჰამს მიუახლოვდა, რომ ეს ვითარება ერთად განეხილათ და ღმერთმა მისი ჩარევა დააფასა და გაითვალისწინა. ახლა შესაძლებელი გახდა სოდომის გადარჩენა, თუ მასში ათი მართალი კაცი აღმოჩნდებოდა. სამწუხაროდ, იქ ათიც არ აღმოჩნდა!

ღვთის გეგმების უმეცარი

საოცარია, რომ აბრაჰამის ძმიშვილი ლოტი, რომელსაც ბიბლია „მართალს“ უწოდებს (იხილეთ 2 პეტრ. 2:7), მისგან ასე განსხვავდებოდა. ლოტი ხორციელი იყო და ღვთის შიში არ ჰქონდა. მისი ამბავი სრულიად განსხვავებულია. მან

აბრაჰამთან ერთად დაიწყო, მაგრამ სადაც ხორცი სულთან ერთად მკვიდრობს, იქ კონფლიქტი გარდაუვალია. აბრაჰამს უფრო მეტად ღვთიური საქმეები აინტერესებდა და არა ის, რასაც ქვეყნიერებაზე მიიღებდა, ამიტომ ლოტს არჩევანი შესთავაზა. ის კი ლოტისგან დაწუნებულს დაიტოვებდა. არცერთმა არ იცოდა, რომ საბოლოოდ ეს ყველაზე ნაყოფიერი მიწა აღმოჩნდებოდა, სადაც რძე და თაფლი მოედინებოდა.

ბიბლიაში ვკითხულობთ: „აღაპყრო თვალები ლოტმა და დაინახა ... იორდანეს მთელი ტაფობი“ (დაბ. 13:10). ეს ადგილი იმ დროისთვის ყველაზე სასურველი და ნაყოფიერი გახლდათ. რა საჭირო იყო თვალების აპყრობა? მან იცოდა, რომ სოდომისა და გომორას ქალაქები ბოროტებით იყო სავსე. ეს ხანგრძლივი დაკვირვება, ალბათ, დაფიქრებისთვის სჭირდებოდა, მოახერხებდა თუ არა იმ სიუხვით ტკბობას ისე, რომ მისი ზეგავლენის ქვეშ არ მოქცეულიყო. მან კარვების გაშლა სოდომის დაბლობზე გადაწყვიტა და შიგ ქალაქში არ დასახლდა. ამ გზით მას შეეძლო მანძილი დაეტოვებინა სოდომის ბოროტების ეპიცენტრამდე და ამავდროულად, იმ ტერიტორიის სიუხვით ესარგებლა. ბიბლიაში ვკითხულობთ: „ლოტი ტაფობის ქალაქებში დამკვიდრდა და სოდომამდე დასცა კარვები“ (დაბ. 12:12). და მაინც, რაც არ უნდა კარგად დაგეგმო ცოდვისგან მოშორებით ყოფნა, საბოლოოდ, ღვთის შიშის გარეშე მაინც მას მიეწებები. ასე მოხდა ლოტის შემთხვევაში; მან ტაფობზე კარვის გაშლით დაიწყო და ექვსი თავის შემდეგ სოდომის კარიბჭეების შიგნით სახლში აღმოჩნდა (იხილეთ დაბ. 19:2).

სოდომი ყვაოდა. მის მკვიდრებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მიწის პირისგან აღგვას საათები აშორებდათ. ამან არ უნდა გაგვაკვირვოს. ის უფრო საგანგაშოა, რომ ლოტმა ამის შესახებ არაფერი იცოდა. ღმერთი მის გასაფრთხილებლად ანგელოზებს, მოწყალების მაცნეებს აგზავნის. ამის საპირისპიროდ, ღვთისმოშიშმა აბრაჰამმა ღვთის საბოლოო გადაწყვეტილება იცის მანამ, სანამ სისრულეში იქნება მოყვანილი. ლოტი ისევ უმეცრებაშია სოდომის ცოდვილების მსგავსად. აბრაჰამი ღვთის მეგობარია, რადგან მისი შიში და კრძალვა აქვს!

მიახლოება

ნამდვილი იესო?

ახლა, როცა მოსესა და აბრაჰამის ცხოვრება მიმოვიხილეთ უფლის შიშის თვალსაზრისით, კიდევ უფრო გავაფართოოთ ჩვენი განსაზღვრება. უფლის შიში ასევე მოიცავს იმის სიყვარულს, რაც ღმერთს უყვარს და იმის სიძულვილს, რაც მას სძულს. მისთვის მნიშვნელოვანი, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი ხდება და რაც მისთვის ნაკლებ მნიშვნელოვანია, ჩვენც ნაკლებად გვაინტერესებს. ღვთის პრიორიტეტებსა და სურვილებს ვითავისებთ. უფლის შიშის გამოვლინება მისი სურვილებისა და ნების ურყევი მორჩილება გახლავთ.

წერილის თანახმად, როცა უფლის შიშით ავივსებით, ის დაგვიახლოვებს. როცა ღმეერთს ასე ახლოს შევხვდებით, მის მიმართ ჩვენი სიყვარულის ინტენსიობა გაიზრდება. ჩვენ გვიყვარს გაცხადებული ჭეშმარიტება და ცოცხალი ღმერთი და არა მარტო მისი აღქმა. უფლის ღრმა და ჩვენში დამკვიდრებული შიშის გარეშე ბაგეებით ვაღიარებთ მის სიყვარულს, თუმცა მასთან ახლო ურთიერთობის შემეცნება არ გვაქვს. ვიცით ინფორმაცია მის შესახებ, მაგრამ არ ვიცნობთ მას. ამიტომ ჩვენი სიყვარული მიმართულია „იესოს“ ხატებისკენ, რომელიც წარმოსახვაში შევქმენით და არა რეალური უფლისკენ, რომელიც მამის მარჯვნივ ზის.

ეს შეიძლება შევადაროთ ჰოლივუდის ვარსკვლავების ან დიდი სპორტსმენების მიმართ მათი თაყვანისმცემლების დამოკიდებულებას. მათ მოსწონთ იმიჯი, რომელსაც მედია ხატავს ცნობადი სახეების შესახებ ინტერვიუებისა და საგაზეთო სტატიების მეშვეობით. მათი სახელები ყველა ამერიკელმა ოჯახმა იცის. ამ თაყვანისმცემლების ლაპარაკიც კი მომისმენია, თითქოს მათი მეგობრები იყვნენ. მინახავს მათი ემოციები ვარსკვლავების პირადი ცხოვრების თაობაზე, თითქოს მათი ოჯახის წევრი იყოს. თუმცა მათთან შეხვედრისას შეიძლება აღმოაჩინონ, რომ ნამდვილი ადამიანი საზოგადოებისთვის შექმნილი სახისგან ძალიან განსხვავდება. ცნობად ხალხსა და მათ „ფანებს“ შორის ურთიერთობა ცალმხრივია. შეხვედრისას საერთო ნაკლებად ექნებათ და კიდევ უფრო ნაკლებს ილაპარაკებენ, რადგან ერთმანეთს კარგად არ იცნობენ.

იგივე დინამიკა ეკლესიაშიც შემინიშნავს. მრავალნი ლაპარაკობენ უფალზე, თითქოს მასთან ძალიან ახლოს იყვნენ, მაგრამ მათი საუბრის მოსმენისას ხვდები, რომ ისინი ლაპარაკობენ პიროვნებაზე, რომლის შესახებაც გაუგიათ, მაგრამ ახლოს არ იცნობენ. მათ იციან მისი ნათქვამი, მაგრამ ხმა არ მოუსმენიათ; იციან საქმეები, მაგრამ არა – მისი გზები; იციან, რა თქვა მან, მაგრამ არა – რას ამბობს ახლა.

ამის რადიკალური მაგალითი გასულ წელს ვნახე. მე და ჩემი ოჯახი ჰავაიზე ვისვენებდით. ადრე ავდექი დროის სარტყელში სხვაობის გამო. იმ დილას სანაპიროზე ვლოცულობდი, როცა მამაკაცი მომიახლოვდა და ლაპარაკი გამიბა. ისე იყო მოხიბლული კუნძულით, რომ თითქმის მაშინვე ამოთქვა: „აქ მშვენიერი გოგონები არიან; ძალიან მეგობრულები და გულღიები“. მან განაგრძო იმ საღამოს შესახებ მოყოლა, რომელზეც ამას წინათ იყო და სხვა ხორციელი საკითხებიც განიხილა. მთელი მისი ლაპარაკი ამქვეყნიურობით იყო გაჟღენთილი.

შემდეგ მკითხა: რა იყო ჩემი პროფესია? და მეც ვუთხარი. როცა გაიგო, რომ ღვთისმსახური ვიყავი, აღფრთოვანდა და უფალზე დამიწყო საუბარი. გამიზიარა თავის ეკლესიაში ბაიკერებთან სამახარებლო მსახურებაში მონაწილეობაზე და მწყემსზეც ილაპარაკა. მომიყვა, როგორ მოვიდა იესოსთან და ტრაქტატიც კი მომცა, რომელიც თან ჰქონდა. შემდეგ ცოლ-შვილის შესახებ მიამბო, რომელსაც სასტუმროში ეძინა (გონებამ მაშინვე გაიხსენა კუნძულის გოგოებით მისი წელანდელი აღტაცება). გული დამწყდა. ადამიანი ცხადად ამტკიცებდა, რომ უფალს იცნობდა, თუმცა მისი ცხოვრება სხვას ამბობდა. სწორედ ამიტომ თქვა იესომ, რომ მორწმუნეები მათი ნაყოფებით ანუ ცხოვრების სტილით შეიცნობიან და არა სიტყვებით ან მსახურებით (იხილეთ მათ. 7:20-23).

ეს ერთია იმ უამრავი მაგალითიდან, რომლის მოყვანა შეიძლია. დარწმუნებული ვარ, თქვენც გინახავთ ასეთი შთამბეჭდავი შემთხვევები. ყველა ამ შემთხვევაში „მაღიარებელი ქრისტიანის“ ცოდნა ღვთის შესახებ არაფრით აღემატება ფანების ცოდნას თავიანთ სუპერვარსკვლავზე. ამის დანახვაზე ნაღველი მიპყრობს. არიან ადამიანები, რომელთაც გადარჩენა სურთ, თუმცა ქვეყნიერება უყვართ და საკუთარ სიამოვნებას, განრიგს და გეგმებს ღვთის სურვილებზე მაღლა აყენებენ.

ასევე არიან ნამდვილად დახსნილი ადამიანები, მაგრამ ლოტის მსგავსად ხორციელობასა და ქვეყნიერების საქმეებში იხლართებიან. მათ ღვთის მსახურება სურთ, მაგრამ თავიანთი გაუმაძღრობის მონები ხდებიან. ისინი ჯვარცმას მათი ხორცის მოკვდინების უფლებას არ აძლევენ და ღვთის გამწმენდ შრომას ეწინააღმდეგებიან. ისინი მგზნებარებით არ ეძებენ უფლის ნებას და სასუფევლის გავრცელებას. გადარჩენილები კი არიან, მაგრამ მასთან სიახლოვე არ აქვთ. ისინი კვლავ გარე ეზოში ცხოვრობენ; საკუთარი ხორცის ფარდით დაბრკოლებულებს არ შეუძლიათ ღმერთთან მიახლოება ახალი და ცოცხალი გზით. ისინი ახლოს და მაინც შორს არიან მისი თანდასწრებისგან.

გარე ეზოში მცხოვრებთ ჯერაც ვერ გაუგიათ, რატომ იხსნა ღმერთმა ქვეყნიერების ჩაგვრისგან. ისინი აცდნენ ღვთის უმაღლესი მოწოდების მიზანს, რომ ძალზე ახლოს გაეცნოთ უფალი. მათ მოსწონთ ღვთის სიყვარულის, კურთხევის, დაცვის, უზრუნველყოფისა და სიუხვის ამსახველი სიტყვები – და ეს ყველაფერი ჭეშმარიტია, მაგრამ მათთვის უცხოა საკითხები, რომლებიც გულს შეეხება. მათ ის საგნები არჩიეს, რაც სისრულეს ვერ მოუტანს და მიატოვეს მათ საკუთარ გულში დამკვიდრებული ცოცხალი წყლის წყარო.

ცნობილი უნდა გავხადოთ, რომ ღმერთს ჩვენთან ძალზე ახლო ურთიერთობა სურს და მის სიწმიდეს აბუჩად ვერ ავიგდებთ. მან დიდი საფასური გადაიხადა, რომ თავისთან მოვეყვანეთ და როგორ შეგვიძლია ისევ ქვეყნიერების მეგობრად დავრჩეთ? იაკობი თავის შეგონებამდე გვეუბნება: „ნუთუ არ იცით, რომ ქვეყნიერების მეგობრობა ღვთის მტრობაა?“ (იაკ. 4:4). ის განაგრძობს, რომ ამ წუთისოფლის მისწრაფებების მიყოლით ღვთის მტერი ვხდებით! გახსოვდეთ, რომ ის მორწმუნეებს ელაპარაკება. პავლე არცთუ გაურკვეველ ტერმინებს იყენებს: „ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, რომელიც ყველა ადამიანის მხსნელია, რომელიც გვასწავლის, რომ უარვყოთ უღმერთობა და ამქვეყნიური გულისთქმანი, და გონივრულად, სიმართლითა და ღვთისმოსაობით ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში“ (ტიტ. 2:11-13). კვლავ ვიმეორებ, რომ პავლე სწორედ ამ მიზეზით მოგვიწოდებს, შიშსა და თრთოლაში ვიღვაწოთ ჩვენს სახსნელად.

იესოს მეგობრები

ხშირად გვესმის ქადაგებები, რომ იესოს მეგობარი ხდება ყველა, ვინც მას მიიღებს. იმედია, უკვე მიხვდით, რომ ღმერთი იაფფასიანი ჯგუფის მეგობარი არ გახლავთ. ერთხელ ლოცვაში მან შესძახა: „ჰკითხე ჩემს ხალხს, უნდათ თუ არა ისეთივე ერთგული ვიყო, როგორიც ჩემს მიმართ არიან?“ იესო არ მოდის როგორც მხსნელი, რომ ყველას შეეძლოს „ხელახლა შობილთა კლუბში“ გაწევრიანება. იგი ესწრაფის ურთიერთობას, მათთან, ვისაც იგი უყვარს ისე, როგორც მან შეიყვარა. სწორედ აქ ვიპოვით მის მეგობრობას. ეს მისივე სიტყვებით დასტურდება:

> „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ“ (იოან. 15:14).

იესოსთან მეგობრობას თავისი პარამეტრები აქვს. მას არ უთქვამს, „თუ ირწმუნებთ, რომ ქრისტე ვარ, ჩემი მეგობრები იქნებით“. მან ასე თქვა: „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ“. ამ თავში ვიმსჯელეთ, რომ ქრისტეს მცნების შესრულების ძალა უფლის შიშში იპოვება.

იესომ ეს განცხადება მაშინ გააკეთა, როცა იუდა მის გასაცემად წავიდა. ტექსტის კითხვას თუ გავაგრძელებთ, ვნახავთ, რომ იესო დარჩენილ თერთმეტს ეუბნება: „მონებს აღარ გიწოდებთ“ (იოან. 15:15). „აღარ“ ნიშნავს, რომ ერთ დროს მათ მონებს უწოდებდა, მაგრამ ახლა ისინი ახალ საფეხურზე ავიდნენ. ამ განცხადების შემდეგ, ის აგრძელებს:

> მონამ არ იცის, რას აკეთებს მისი ბატონი. არამედ მეგობრები გიწოდეთ, რადგან ყველაფერი გამცნეთ, რაც მამაჩემისგან მსმენია (იოან. 15:15).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ბატონის მეგობრებმა იციან, რას აკეთებს იგი. მათთვის ნაცნობია ბატონის გზები! რატომ ეწოდათ მეგობრები ახლა და არა ურთიერთობის დასაწყისში? იმიტომ,

რომ დაუმტკიცეს თავიანთი ერთგულება და მორჩილება, როცა მის გვერდით იყვნენ განსაცდელებსა და რთულ პერიოდებში და მასთან ერთად ხარობდნენ სასწაულებრივითა და კარგით. მათი ერთგულება მათივე მორჩილებით დადასტურდა.

მისი განცხადება ვრცელდება ყველაზე, ვინც მის სახელს მოუხმობს: „თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ იმას აკეთებთ, რაც გამცნეთ“. ყურადღება მიაქციეთ, რომ მან ეს მარტივად გამოხატა. მეგობრობა განკუთვნილია მისთვის, ვინც ემორჩილება. ეს ფსალმუნთა წიგნში ამოკითხულს ასახავს: „უფალთან მეგობრობა მის მოშიშთათვის არის შესაძლებელი.“

რატომ ინახავს უფალი მეგობრობას? დარწმუნებული ვარ, რომ ამით ჩვენი დაცვა სურს. შეიძლება გავაუბრალოოთ და ფამილარული დამოკიდებულების საფრთხის ქვეშ აღმოვჩნდეთ. გაიხსენეთ აჰარონის ძეები და მათი მამა აჰარონის მიმართ დარიგება: „წმინდად უნდა მომეპყრას, ვინც *მომიახლოვდება*.“

იგივე მოხდა ახალ აღთქმაშიც, რომ ერთი კაცი და მისი ცოლი წმიდა უფლის თანდასწრებას არაჯანსაღი მოურიდებლობით მიუახლოვდნენ. ისინი მის თანდასწრებაში გარდაიცვალნენ (იხილეთ საქმ. 5:1-11). „დიდი შიში“ დაეცა ეკლესიას, როცა ყველა მორწმუნემ გაიაზრა მოკრძალების უქონლობის სერიოზული შედეგები. ისევ ვიმეორებ, რომ „ღმერთი წმიდად უნდა შეირაცხოს მის ირგვლივ მყოფთა მიერ.“

გასულ წელს საოცარი საიდუმლო აღმოვაჩინე. ლოცვის ჟამს სიტყვებისგან თავი შევიკავე და ზეციერი მამის საოცარ ბრწყინვალებასა და დიდებულებაზე ჩავფიქრდი. გამახსენდა იესოს ძალმოსილი ბრძოლა, რითაც მან თავის საკუთრებად გამომისყიდა. ვფიქრობდი მის საკვირველ სულსა და ფაქტზე, რომ ჩემთან ცხოვრება არჩია. ამ ყველაფერმა ამავსო!

ამის გაკეთებისას, სანამ ერთ სიტყვასაც კი წარმოვთქვამდი, უფლის თანდასწრება შემომეგება. შევფიქრიანდი, რომ ასე ადვილად შევედი მის თანდასწრებაში და სულიწმიდას მიზეზი ვკითხე. იგი ჩემს გულს დაელაპარაკა:

– შვილო, რა უთხრა იესომ მოწაფეებს, როცა მათ ლოცვის სწავლება სთხოვეს? საუფლო ლოცვა გავიმეორე: „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი“. გავშეშდი და შემდეგ სიხარულით შევძახე: „ეს არის, ეს არის“.

დიახ, ის თავიდანვე წმიდად უნდა შეირაცხოს: „წმიდა იყოს სახელი შენი“. მის წინაშე წმიდა მოწიწებით უნდა წარვდგეთ! რამდენჯერ მითქვამს ეს ლოცვა და არ გამიაზრებია, რაზე ლაპარაკობდა იესო სინამდვილეში!

ცხოვრების საგანძურების გასაღები

უფლის შიში მასთან დაახლოების გასაღები და ცხოვრების საძირკველია. ესაია გვეუბნება:

> ამაღლებულია უფალი, რადგან სიმაღლეში მკვიდრობს, მან აავსო სიონი სიმართლითა და სამართლიანობით. დაგიდგება უსაფრთხო ჟამი, ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის სიუხვეში; და ღვთისმოშიშებაში - რომელიც მისი საგანძურია. (ეს. 33:5-6).

წმიდა მოშიშება ხსნის, სიბრძნისა და ცოდნის საგანძურს ხსნის. რატომ? იმიტომ, რომ ეს არის ღმერთთან ახლო ურთიერთობის საფუძველი და სწორედ ამ ადგილას იხსნება მისი საგანძურები. ღვთის სიყვარულის გარდა ის ცხოვრების საძირკველს გიმზადებთ. შეუძლებელია გულით გვიყვარდეს ღმერთი და მასთან ახლო ურთიერთობით გავიხაროთ, თუ მისი შიში არ გვაქვს.

მიახლოება

კითხვები შესწავლისთვის

1. როგორ აღწერდით თქვენი სიტყვებით, რას ნიშნავს ღვთის შიში, ღვთის წინაშე ძრწოლის საპირისპიროდ?

2. ამ თავში აბრაჰამი – „ღვთის მეგობარი“ შედარებულია მის ძმიშვილ ლოტთან, რომელსაც „მართალი“ ეწოდა. როცა ლოტი სასურველ მიწებს ათვალიერებდა ბოროტეული ქალაქების, სოდომისა და გომორას მიმართულებით, ცხადია რომ სურდა მათი სიუხვით ესარგებლა ისე, რომ მათი გავლენის ქვეშ არ მოხვედრილიყო. ოდესმე გქონიათ ამგვარად ფიქრის ცდუნება? როგორ შეიძლება აღკვეთოს უფლის შიშმა ასეთი მცდარი აზროვნება?

3. ავტორი ჰავაის პლაჟზე ერთ მამაკაცს შეხვდა. ოდესმე გქონიათ მსგავსი შეხვედრა? როგორ გაართვით თავი?

   მიუხედავად იმისა, თქვენი შემთხვევა ზემომოყვანილივით რადიკალური იყო თუ არა, ხომ არ აღმოჩნდით იმ მამაკაცის როლში, როცა თქვენმა საუბარმა და მოქმედებამ გასცა თქვენი გულის ფარული ზრახვები იმ დროისთვის? რა ისწავლეთ აქედან? ახლა ხომ არ სწავლობთ რაიმეს იმ წარსული შეხვედრებიდან?

4. ფს. 25:14-ის ფონზე („უფალთან მეგობრობა მისი მოშიშებისთვის ინახება“) ავტორი მიუთითებს, რომ ღმერთი თავის მეგობრობას აკავებს, რომ მის მიმართ მოურიდებელი დამოკიდებულებისგან დაგვიცვას.

   რაში მდგომარეობს „ფამილარობის საფრთხე“?

MessengerX

თქვენი აპლიკაცია ყოველდღიური დამოწაფეზისთვის

სრულიად უსასყიდლოდ!

უბრალოდ ჩამოტვირთეთ
პორტატულ მოწყობილობაზე და
დაიწყეთ!
ან ისარგებლეთ ვებრესურსით:

MessengerX.com

120+ ენაზე და მეტია მოსალოდნელი

- იხილეთ და ჩამოტვირთეთ თარგმნილი მასალა 120-ზე მეტ ენაზე.
- რესურსები მეგობრებს გაუზიარეთ ან სასწავლო ჯგუფები შექმენით.
- მუდმივად ემატება ახალი მასალები

უყურეთ! წაიკითხეთ! უსმინეთ!

აღმოაჩინეთ მდიდარი ბიბლიოთეკა: სასწავლო პროგრამები, ელექტრონული და აუდიო-წიგნები, მოკლემეტრაჟიანი ფილმები და მრავალი სხვა.



იპოვე ყველაზე მნიშვნელოვანი

იპოვე შემდეგი თემები: ოჯახური დინამიკა, ჯანსაღი ურთიერთობები, ცხოვრებისეული მიზნის პოვნა, პორნოგრაფიისაგან თავისუფალი ცხოვრება, რწმენის ზრდის საშუალებები, ღმერთის ხმის მოსმენა, წინამძღოლობა ბიზნესში და მრავალი სხვა.

ზრდის ხელშემწყობი მოგზაურობა

MessengerX - მზადაა დაგეხმაროთ მომდევნო ნაბიჯების გადადგმაში. ამრიგად, ჩვენ დავამუშავეთ დამოწაფების მოგზაურობა მძლავრი ინსტრუმენტების გამოყენებით სწორი მიმართულების შესანარჩუნებლად.

შესანიშნავი ფუნქციები, რომლებიც მოგეწონებათ!

- მარტივი და ადვილად გასაზიარებელი ინსტრუმენტები სიტყვის გასავრცელებლად.
- Chromecast და AirPlay თქვენს რჩეულ სმარტ-ტელევიზორზე.
- შეინახეთ ადრე წარმოებული მოქმედებები ნებისმიერ მოწყობილობაზე. რჩეულები შეინახეთ ბიბლიოთეკაში ადვილი წვდომისათვის.
- ჩამოტვირთეთ საკუთარ მოწყობილობაში კავშირის არქონის დროს დასათვარიელებლად.
- მძლავრი საძიებო სისტემა და ფილტრაცია სასურველის საპოვნელად.
- აუდიო წიგნების თანმიმდევრულ თავებზე ავტომატურად გადასვლა, აუდიო ბიბლია და ქება-თაყვანისცემა თქვენს ენაზე.

MessengerX- ადვილია, როგორც 1-2-3!



1 ჩამოტვირთეთ **MessengerX -** ის აპლიკაცია Apple Store-დან ან Google Play-დან.

2 შექმენით ანგარიში და გადაიყვანეთ თქვენს ენაზე.

3 დაათვარიელეთ, წაიკითხეთ, უყურეთ, უსმინეთ, ჩამოტვირთეთ და გააზიარეთ სასურველი რესურსები.

იყავი დამოწაფებული და დაიმოწაფე სხვები!

თქვენ, როგორც **MessengerX**-ის ნაწილი, თარგმნილ რესურსებს მთელი მსოფლიოს გაუზიარებთ.

რადგან ყველა იმსახურებს ცოდნას!

MessengerX.com

Download on the App Store

GET IT ON Google Play

Available on all browsers

თავი მეშვიდე

რა აბრკოლებს ნამდვილ სიახლოვეს?

მოტყუებულები ნუგეშისცემას ისეთი ღვთის ცოდნაში ჰპოვებენ, როელიც უბრალოდ არ გააჩნიათ.

უფლის შიში ღმერთთან სიახლოვის საფუძველია. ეს ნათლად ჩანს იგავთა წიგნის დასაწყისში. აქ ვკითხულობთ: „უფლის შიში სიბრძნის სათავეა [საფუძველი]“ (იგ. 1:7). რა სახის სიბრძნეზეა ლაპარაკი? ამას ავტორი რამდენიმე მუხლის შემდეგ გვეუბნება:

> შვილო, თუ ჩემს სიტყვებს მიიღებ
> და ჩემს მცნებებს გულში დაიუნჯებ,
> სიბრძნეს ყურს მიაპყრობ და გონიერებისკენ
> მიმართავ გულს, თუ საზრიანობას მოუხმობ და
> გონიერებისთვის აიმაღლებ ხმას, თუ ვერცხლივით
> მოიძიებ მას და დაფარული განძივით დაუწყებ
> ძებნას, მაშინ ჩაწვდები უფლის მოშიშებას და
> *ღვთის შემეცნებას* მოიპოვებ. (იგ. 2:1-5)

მიახლოება

სიტყვა *შემეცნება* ბიბლიური ენების ლექსიკონში ასე განიმარტება: „ინფორმაცია პიროვნებაზე, სადაც მკვეთრად ხაზგასმულია მასთან ურთიერთობა“. *Vines Expository Dictionary*-ის თანახმად, შემეცნება ნიშნავს „ახლო ურთიერთობით და გამოცდილებით მიღებულ ცოდნას ღვთის შესახებ“. შემდეგ ის აგრძელებს და ამბობს, „დადებითი კუთხით ღვთის ცოდნა მის შიშს უტოლდება“.

წინა მუხლში დაინახავთ, რომ უფლის შიში მისი მცნებების გაფრთხილებაა. როცა ღვთის მცნებები გეძვირფასებათ, მის სიტყვას ყურს უგდებთ სრული მზადყოფნით, რომ დაემორჩილოთ ნებისმიერი გარემოების მიუხედავად. ახლო ურთიერთობის საპირისპირო მდგომარეობა იმ ადამიანების ხვედრია, რომელთაც წმიდა შიში აკლიათ, რადგან იაკობი გვეუბნება, რომ საკუთარ თავს ვატყუებთ (იაკ. 1:22), როცა ღვთის ნება ვიცით და მაინც თავს ვიკავებთ მისი მორჩილებისგან. ტყუილში ცხოვრება საშინელი რამაა, რადგან მოტყუებულებს სჯერათ, რომ სწორ გზაზე დგანან, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. მოტყუებულები ნუგეშისცემას იმ ღვთის ცოდნაში ჰპოვებენ, რომელიც უბრალოდ არ გააჩნიათ.

უფლის დამახინჯებული სახება

უფლის შიშის გარეშე, რეალურად, ღმერთს არც კი ვიცნობთ. ვითარდება არასწორი სახე, რომელიც ფორმას იძენს და იძერწება თქვენს სამშვინველში ან წარმოსახვაში. მიუხედავად იმისა, რომ უფალთან ურთიერთობას ვაღიარებთ და ბაგეებით პატივს მივაგებთ, ჩვენი გული მასთან ახლოს არ არის და არც ჩვენი ცხოვრება ეთანხმება მის სურვილებს. ეს ცხადია ისრაელიანთა შემთხვევაში.

როგორც წინა თავებში ვთქვით, მოსემ ისინი ღმერთთან შესახვედრად წაიყვანა სინაის მთაზე და მაინც, „*მოშორებით* იდგა ხალხი, მოსე კი *მივიდა* ნისლთან, სადაც ღმერთი იყო“ (გამ. 20:21). რა სამწუხაროა, რომ ახლოს მისვლა არ მოინდომეს ამ ნანატრ და დიდებულ შეხვედრაზე. ვინ იცის, რა მოხდებოდა? მათ შესაძლებლობა ჰქონდათ, რომ პირდაპირ ღვთისგან მოესმინათ მისი ხმით ნათქვამი სიტყვები! და მაინც,

როგორც უკვე განვიხილეთ, ისრაელიანებმა ვერ აიტანეს მისი თანდასწრება, რადგან გულში არ ჰქონდათ მისი მოშიშება და შესაბამისად, არც მისი მცნებების დაცვა შეეძლოთ (2 რჯ. 5:29).

დანაღვლიანებულმა ღმერთმა შუამავალი დააყენა მასსა და ხალხს შორის. იგი მოსეს მიმართავს: „ჩადი და *ამოიყვანე* აჰარონი (გამ. 19:24, *ავტორისეული ხაზგასმა*). ღმერთმა მოსესა და აჰარონს უხმო შუამავლებად. ისინი ისმენდნენ ხალხისთვის განკუთვნილ სიტყვებს და გადასცემდნენ მათ. ძალიან დიდი იყო სხვაობა ამასა და თავდაპირველად დაგეგმილ სიახლოვეს შორის.

მიუხედავად ამისა, გამოსვლის წიგნის კითხვისას აღმოვაჩენთ, რომ მოსე მთაზე ავიდა, ხოლო აჰარონი ბანაკში დარჩა. როგორც ჩანს, თავიდან კი დაიწყო ასვლა, მაგრამ შემდეგ უკან, ხალხთან გაბრუნდა. რატომ? მან ხალხის გარემოცვაში უფრო კომფორტულად იგრძნო თავი ვიდრე ღვთის თანდასწრებაში. მას აკლდა უფლის შიში. ადამიანების მეტი ხათრი ჰქონდა და მათ ემსახურებოდა. საბოლოოდ, ის მისცემს ისრაელიანებს, რასაც ითხოვდნენ და როგორც სულ მალე ვნახავთ, ამას დიდი დრო არ დასჭირდება.

მოსე ამ დროს მთაზეა თითქმის ორმოცი დღის განმავლობაში. ბიბლიაში ვკითხულობთ:

> დაინახა ხალხმა, რომ აყოვნებდა მოსე მთიდან ჩამოსვლას, შეიკრიბნენ აჰარონთან და უთხრეს: „ადექი, გაგვიკეთე ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან არ ვიცით, რა შეემთხვა იმ კაცს, მოსეს, რომელმაც გამოგვიყვანა ეგვიპტის ქვეყნიდან!“. უთხრა მათ აჰარონმა: „ჩამოხსენით ოქროს საყურეები თქვენს ცოლებს, ძეებსა და ასულებს და მოიტანეთ ჩემთან!“ (გამ. 32:1-2).

აჰარონს წინამძღოლობის ნიჭი ჰქონდა, რაც გარკვეულ თვისებებს მოიაზრებს. ერთ-ერთი გახლდათ ადამიანების მაგნიტივით მოზიდვა. ეს უნარი ადამიანებს ნიჭიერი ლიდერის გარშემო კრებს მიუხედავად იმისა, არის ეს პიროვნება ღმერთთან თუ არა. ეს ხსნის, თუ როგორ არის შესაძლებელი ღვთის

თანდასწრებისგან დაცლილი ეკლესიის არსებობა, სადაც მისი სურვილები არასწორად არის გაგებული. ხშირად წინამძღოლი, რომელსაც უფლის მოშიშება აკლია, ღვთივბოძებულ ნიჭს ხალხის სურვილების შესასრულებლად იყენებს და არა უფლის საამებლად.

ისრაელიანებმა აჰარონი დაარწმუნეს, „ადექი, გაგვიკეთე ღმერთი, რომელიც ჩვენი წინამძღოლი იქნება, რადგან არ ვიცით, რა შეემთხვა იმ კაცს, მოსეს“. ყურადღება მიაქციეთ, რომ მათ არ უთქვამთ: „არ ვიცით, რა შეემთხვა ღმერთს“. მათ არ უარყვეს უფალი. უბრალოდ, მოსე დაიწუნეს.

ღვთაება თუ ღმერთი?

ბიბლიური ტექსტების დედანის შესწავლისას დავინტერესდი, მთარგმნელებმა რაღაც ხომ არ გამოტოვეს იქედან, რაც რეალურად იქნა ნათქვამი. ინგლისურში მათ გამოიყენეს სიტყვა *gods*, თუმცა მისი ებრაული შესატყვისი გახლავთ *ელოჰიმ*. ეს სიტყვა 2606-ჯერ გვხვდება ძველ აღთქმაში; აქედან თითქმის 2350 შემთხვევაში (90 %-ზე მეტი) ლაპარაკია ყოვლიშემძლე ღმერთზე, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. ის მარტო დაბადების პირველ თავში 35-ჯერ არის გამოყენებული და ყოველთვის უფალზეა საუბარი. მაგალითად, ბიბლიის პირველივე მუხლში ვკითხულობთ: „დასაწყისში ღმერთმა [*ელოჰიმ*] შექმნა ცა და მიწა“ (დაბ. 1:1). აქ *ელოჰიმ* თარგმნილია როგორც „ღმერთი“.

ძველი აღთქმის, დაახლოებით, 250 შემთხვევაში სიტყვა ცრუ ღვთაებებს აღწერს. ამიტომ ყოველთვის კონტექსტის გათვალისწინებით უნდა წავიკითხოთ, რომ გავარჩიოთ სწორი მნიშვნელობა.

აჰარონმა ასე უთხრა ხალხს: „ჩამოხსენით ოქროს საყურეები თქვენს ცოლებს, ძეებსა და ასულებს და მოიტანეთ ჩემთან!“ (გამ. 32:2). ისინი ასეც მოიქცნენ: „აიღო მათი ხელიდან აჰარონმა, გამოკვეთა საჭრეთელით დარჯაგი და ხბო ჩამოასხა“ (32:4).

გამოადნო თუ არა ხბო, ყველამ შესძახა: „ესაა შენი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა!“ (გამ. 32:4).

ღვთის აღმნიშვნელი ებრაული სიტყვა გახლავთ *ელოჰიმ*. ხალხმა ასე თქვა: „ესაა შენი *ელოჰიმი*, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა!“. ხედავთ რა ხდება?! მოდით, კითხვა გავაგრძელოთ, რომ დავრწმუნდეთ, რას გულისხმობს ეს ხალხი სინამდვილეში?!

> ეს რომ დაინახა აჰარონმა, სამსხვერპლო ააგო მის წინ და თქვა: „უფლის დღესასწაულია ხვალ!“ (გამ. 32:5, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ებრაული სიტყვა *უფალი* ამ მუხლში გახლავთ *იაჰვე*. იაჰვე ყველაზე წმიდა სიტყვაა ძველ აღთქმაში. ეს არის ჭეშმარიტი ღმერთის საკუთარი სახელი. ის არასოდეს შეგხვდებათ ბიბლიაში ცრუ ღმერთის აღსანიშნავად. სიტყვა იმდენად წმიდა იყო, რომ ებრაელი მწიგნობრები მას საერთოდ არ წერდნენ, ხმოვნებს აცლიდნენ და მხოლოდ *იჰვჰ* რჩებოდა. იუდეველი მწიგნობრებისთვის ეს გახლდათ წმიდა ტეტრაგრამატონი – გამოუთქმელი ოთხი ასო. მისი ხსენება აკრძალული იყო. ამ წმიდა სახელს უდიერი გამოყენებისგან იცავდნენ ისრაელის ცხოვრებაში.

არსებითად, აჰარონმა და ისარელიანებმა ხბო ჩამოასხეს, მასზე მიუთითეს და თქვეს: „ესაა იაჰვე, შენი ნამდვილი ღმერთი, ისრაელო, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოგიყვანა!“ მათ არ უთქვამთ: „აი ბაყალი, ვინც ეგვიპტიდან გამოგვიყვანა!“ არც რომელიმე ცრუ ღმერთს მიაწერეს თავიანთი ხსნა. მათ ხბოს უფლის სახელი უწოდეს.

თაყვანისცემა შემდგომი მიტევებით

იქ არ იყო ღვთის უხეში უარყოფა, არამედ მისი დიდებულების დაკნინება და ჩამოსხმული ხბოს დონემდე დაყვანა. ისინი მოტყუებული იყვნენ მის შემეცნებაში. ისინი ისევ იაჰვეს აღიარებდნენ ეგვიპტის მონობიდან მხსნელად და განმათავისუფლებლად. არც მისი განმკურნებელი ძალა უარუყვიათ. უბრალოდ, მისი პიროვნების სახე შეცვალეს! კითხვის გაგრძელებისას ვხედავთ:

ადგნენ მეორე დღეს დილაადრიანად, სრულადდასაწველი შესწირეს და სამშვიდობო მსხვერპლიც მიიტანეს; დასხდა ხალხი საჭმელად და სასმელად, მერე ადგნენ და გამართეს ცეკვა-თამაში. (გამ. 32:6)

ყურადღება მიაქციეთ, რომ მსხვერპლები მიიტანეს. რატომ მსხვერპლები? იმის საპატივცემულოდ, ვისი მსახურებაც აღიარეს – იაჰვეს! აღსავლენისა და თაყვანისცემის შემდეგ თამაში გამართეს და თავიანთი ხორციელი სურვილები დაიკმაყოფილეს. NIV ბიბლია ასე ამბობს: „წამოდგნენ და თავაშვებულებას მიეცნენ“.

შესაძლებელია თუ არა იგივე მოხდეს დღეს? არიან ადამიანები, რომლებიც უფლის გადამრჩენელმა მადლმა ქვეყნიერების ბორკილებიდან დაიხსნა, თუმცა ღვთის შიში აკლიათ და თავიანთ წარმოსახვაში დახატულ იესოს მოუხმობენ? ისინი ეჭიდებიან ხელახლა შობის განცდას, იესოს იღებენ და უფლად აღიარებენ, ეკლესიაში მოდიან, გალობენ დახსნასა და თავისუფლებაზე, ქადაგებებს ისმენენ, შესაწირს გასცემენ, მაგრამ ქვეყნიერებაზე გადიან და პროდუქციის გასაყიდად ტყუილს ამბობენ და თან ამოწმებენ, როგორ აკურთხა ღმერთმა მათი ბიზნესი; შესაძლოა, მწყემსებსა და სხვებზეც ჭორაობენ და ასამართლებენ: „აი, ეს არის სინამდვილე და სხვებმაც იციან ამის შესახებ“; გარყვნილებას და სხვა სამარცხვინო საქმეებს სჩადიან და ამას იმით ამართლებენ, თითქოს დახსნის მიუხედავად ჯერ კიდევ ხორცში ცხოვრობენ და საჭიროებები აქვთ“. სია თითქმის ამოუწურავია.

იცნობენ კია იესოს? ჰკითხეთ მათ; ისინი აღტაცებით გიპასუხებენ, „დიახ“! არიან მოტყუებულები? იმას აღიარებენ, ვინც მამის მარჯვნივ ზის ზეცაში თუ იესოს, რომელიც საკუთარ გონებაში შექმნეს და იმას აძლევს, რაც მოუნდებათ? ამაზე უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი კითხვა: აქ სადმე საკუთარ თავს ხომ არ ვხედავთ?

აღმოაჩენთ, რომ ადამიანები უფალს მოუხმობენ, თუმცა მისი შიში ნაკლებად აქვთ და ხორციელი სურვილების ასრულებას ესწრაფვიან, ხორცი კი ღვთის მტერია, რადგან მის უზენაეს ნებას არ ემორჩილება (იხილეთ რომ. 8:5-7). ისინი უფლის მითითებებს ეურჩებიან მიუხედავად იმისა, რომ მის სახელს

მოუხმობენ, მის შემეცნებას აღიარებენ და დარწმუნებული არიან, რომ მათ ქცევას იწონებს. მორჩილების ნაკლებობა მათი გულიდან მომდინარეობს, სადაც უფლის შიში არ არის; ყოველგვარი დაუმორჩილებლობის ფესვი და დანაშაული „იესოს ცნობის“ ტყუილშია შეფუთული.

არაფერია დაფარული

ეს კარგად ჩანს მთელ ბიბლიაში. ცოდვით დაცემის შემდეგ დიდი დრო არ დაჭირვებია ამის გამოაშკარავებას და ადამის ძით, კაენით დაიწყო. როცა კაენის მშობლებმა ედემის ბაღში შესცოდეს, უმეცრებით ლეღვის ფოთლებით შეიმოსეს თავი, რაც მიწის ნაყოფი იყო. ღმერთმა მათ აჩვენა მისი ნება. ეს იყო ცხოველის შეწირვა. მან პირველი მშობლები ცხოველის ტყავით შემოსა და დარწმუნებული ვარ, ეს კრავი იყო.

კაენი უმეცარი გამოდგა. მან დედ-მამისგან იცოდა, რომ ღვთისთვის სასურველი ცხოველის შეწირვა იყო და არა მიწის ნაყოფისა. და მაინც, ასე ვკითხულობთ: „გავიდა ხანი და მიართვა *უფალს* კაენმა მიწის ნაყოფთაგან შემდგარი ძღვენი“ (დაბ. 4:3, *ავტორისეული ხაზგასმა*). რასაკვირველია, ის ღვთის მსახურებას ცდილობდა. არსად წერია, რომ მან რომელიმე ცრუ ღმერთს მსხვერპლი შესწირა. კაენი გულმოდგინედ შრომობდა, რომ ღვთისთვის შესაწირი მიერთმია, თუმცა ეს მაინც აშკარა დაუმორჩილებლობა გახლდათ.

რა არის დაუმორჩილებლობის ფესვი? არაფერი, გარდა უფლის შიშის ნაკლებობისა. ეს ნათლად გამოჩნდა, როცა ღმერთი კაენის მიერ მოკლული ძმის ადგილსამყოფელით დაინტერესდა. მისი პასუხი უტიფრობით გამოირჩეოდა: „არ ვიცი. განა ჩემი ძმის დარაჯი ვარ?“ (დაბ. 4:9). ისევ ხედავთ, რომ ისრაელისა და ხბოს არ იყოს, უფლის შიშის ნაკლებობამ ღვთის სახე დააკნინა და მისი მსახურების გზები შეცვალა. მოტყუებული კაენი ახლა იმასაც ფიქრობს, რომ შესაძლებელია მას რამე დაუმალოს, როგორც ვინმე ადამიანს. ღვთის ხატება მის თვალში ადამიანის დონემდე დავიდა. პავლე დიდად გვაფრთხილებს, რომ უკანასკნელ დღეებში ამგვარი ქმედების ნიმუშს უხვად ვიხილავთ: „რადგან შეიცნეს ღმერთი და არ

ადიდეს, როგორც ღმერთი ... და უხრწნადი ღმერთის დიდება გაცვალეს ხრწნადი ადამიანის, ფრინველთა, ოთხფეხთა და ქვეწარმავალთა ხატების მსგავსებაში“ (რომ. 1:21-23). ისევე როგორც კაენის შემთხვევაში, ღვთიური შიშის ნაკლებობის გამო მოტყუვდნენ და დაიჯერეს, რომ ღმერთი ვერ შეამჩნევდა მათ თავნება გზებს.

კაენის პასუხი ცხადყოფს. რომ მას დაავიწყდა ღვთის ყოვლისმცოდნეობა. ღმერთი კაცი არ არის; იგი ხედავს და ყველაფერი იცის. როცა უფლის შიშს ვკარგავთ, სულიერად საღ აზროვნებას ვამცირებთ, რადგან უკანასკნელმა ცოდვილმაც იცის, რომ ღმერთი საქმის კურსშია მისი ამბოხების შესახებ. ვისაც მხოლოდ ღვთის შესახებ ცოდნა აქვს, მაგრამ მისი მოშიშება აკლია, თავს იმით ინუგეშებს, რომ „ვერაფერს ხედავსო უფალი“ (ეზეკ. 9:9) ან თუ ხედავს, ნამდვილად გაუგებს. წინამძღოლებიც არ წარმოადგენენ გამონაკლისს. ღმერთი ამბობს: „ხომ ნახე, ძეო კაცისავ, რას აკეთებენ ისრაელის ტაძრის უხუცესნი დაფარულში ... ვინაიდან ამბობენ: უფალი ვერ გვხედავს; დატოვა უფალმა ეს ქვეყანა“. (ეზეკ. 8:12).

ნუთუ დაგვავიწყდა იესოს მნიშვნელოვანი სიტყვები, რომ ღვთის შიში გვქონოდა? ვინაიდან, ასე ამბობს იგი: „არაფერია დაფარული, რომ არ გაცხადდეს და დამალული, რომ არ გამჟღავნდეს“ (ლუკ. 12:2). თუმცა ღვთის შიშის დაკარგვისას, იგი ჩვენს დონემდე დაგვყავს და საბოლოოდ, ვფიქრობთ, რომ მისგან რაიმეს დამალვას შევძლებთ. როცა ასეთებს ღვთის ყოვლისმყოფელობასა და ყოვლისმცოდნეობაზე ჰკითხავთ, უყოყმანოდ და დაბეჯითებით დაგეთანხმებიან, მაგრამ გულის სიღრმეში დაკარგეს ღვთის შიშისმომგვრელი საკვირველების გაცნობიერება. ასე რომ არ ყოფილიყო, არ შეეცდებოდნენ რაიმეს დაფარვას. თუმცა ხშირად წარმატებით ახერხებენ ღვთისმოსავი ხალხისგან ამ ყველაფრის დამალვას, მაგრამ ავიწყდებათ, რომ „ყველგანაა უფლის თვალები, ხედავს ბოროტთა და კეთილთ“ (იგ. 15:3).

რწმენა, რომ მორჩილებაში ხართ, თუმცა ასე არ არის

ზემოხსენებული განხილვა აქ არ მთავრდება. თავის მოტყუების მომდევნო ნაბიჯია რწმენა, რომ მორჩილებით ცხოვრობთ, თუმცა სინამდვილეში ასე არ არის. სამაგალითოდ დავითის ერთ-ერთი შთამომავლის, მეფე ყუზიას ამბავი გამოგვადგება. როცა ყუზია თექვსმეტი წლის შესრულდა, მამამისი ამაცია გარდაიცვალა და ყმაწვილი იუდას ტახტზე დაჯდა. როცა თექვსმეტი წლისა მეფე გახდები, თუ საკმარისი ჭკუა გაქვს, უფლის რჩევა უნდა ეძებო და ყუზია ასეც მოიქცა. შედეგად, დიდად წარმატებული გახდა. მრავალი წლის განმავლობაში ტკბებოდა სიუხვითა და წინსვლით. შემდეგ ვკითხულობთ: „შორს განითქვა მისი სახელი, რადგან საკვირველი შეწევნა ჰქონდა, ვიდრე არ გაძლიერდა“ (2 ნეშტთ. 26:15).

როცა ყუზია თავის გულში გაძლიერდა, სიამაყემ შეიპყრო. სიამაყე და ღვთის შიში ერთმანეთს ეწინააღმდეგება. როცა გულს წმიდა მოშიშება აკლია, იქ სიამაყე აღმოცენდება. დაკვირვებით წაიკითხეთ, რა მოხდა:

> როცა გაძლიერდა, გაუამაყდა გული თავის დასაღუპად, უღალატა უფალს, თავის ღმერთს და სამსხვერპლოზე საკმევად შევიდა უფლის ტაძარში. უფლის ოთხმოც მამაც მღვდელთან ერთად შეჰყვა მას ყაზარია მღვდელი. გადაეღობნენ მეფე ყუზიას და უთხრეს: „შენ არ გეკუთვნის, ყუზია, უფლისთვის კმევა, არამედ მღვდლებს, აჰარონის ძეთ, რომლებიც კმევისთვის არიან დადგენილნი; გადი საწმიდრიდან, რადგან უმართლოდ მოიქეცი და არ გექნება პატივი ღვთისგან!“. განრისხდა ყუზია, ხელში კანდელი ეპყრა საკმევლად; აჰა, მღვდლებზე განრისხებისას კეთრი გამოაჩნდა შუბლზე მღვდლების წინაშე, უფლის სახლში, საკმევლის სამსხვერპლოსთან.
> (2 ნეშტთ. 26:16-19)

ახლა ასეთი კითხვა უნდა დავსვათ: როცა ყუზიას გული გაამაყდა, ის მეტად სულიერი გახდა თუ ნაკლებად? როცა

ამ კითხვას მსმენელს დაუსვამთ, პასუხი იქნება, „ნაკლებად სულიერი“. თუმცა ეს მთლად ასე არ არის, რადგან ტაძარში *თაყვანისცემისთვის* შევიდა. სინამდვილეში, იგი უფრო მეტი მოშურნეობით შეეცადა ღვთის სამსახურს. ხშირად ნახავთ გვერდიგვერდ მავალ და ერთმანეთის გადამფარველ სუპერსულიერ ქცევასა და სიამაყეს. ეს უკანასკნელი ხელს უშლის ადამიანს საკუთარი რელიგიურობის აღიარებაში, ხოლო რელიგია სიამაყეს ფარავს მისთვის დამახასიათებელი სულიერი მანერიზმით. ორივე მათგანს აკლია უფლის შიში და ნამდვილი თავმდაბლობა!

ყურადღება მიაქციეთ, რომ ყუზია განრისხდა, როცა ჭეშმარიტებას შეეჯახა. სწორედ ეს დაემართა კაენსაც, როცა სიმართლის წინაშე აღმოჩნდა. წერილი გვეუბნება: „დიდად გაბრაზდა კაენი და მოეღუშა სახე“ (დაბ. 4:5). ის ღმერთს გაუბრაზდა! როცა დაუმორჩილებლობაში მცხოვრებ ადამიანებს ჭეშმარიტებას დაუპირისპირებთ, მაშინვე განრისხდებიან წმიდა მოშიშების ნაკლებობის გამო. რატომ? ისინი დარწმუნებული არიან თავიანთ სიმართლეში! ისინი მოტყუებული გახლავან და ტყუილში ცხოვრება არის საკუთარი სიმართლის რწმენა მაშინ, როცა მცდარ გზაზე ხართ.

მაშ, რატომ განრისხდებოდა ყუზია მღვდლებზე, დარწმუნებული რომ არ ყოფილიყო საკუთარ სიმართლეში? ის ტაძარში თაყვანისცემისთვის შევიდა, მაგრამ აჰარონის ორი ძის მსგავსად უგულებელყო ღვთის დადგენილების პატივისცემა და მისი სახება დააკნინა. იგი სრულიად შეუსაბამო მდგომარეობაში იყო დაუმორჩილებლობის გამო. ღმერთთან დაახლოებას ეძებდა და ასეც ჩანდა, მაგრამ სინამდვილეში უფრო მეტად შორდებოდა მას, ვისი თაყვანისცემაც განეზრახა.

პასუხობს თუ არა ეს განმარტება მრავალი ადამიანის არსებობას ეკლესიაში, რომლებიც ღმერთთან სიახლოვეს აღიარებენ, მაგრამ მის უზენაეს სურვილებს აცდენილი არიან? ჩვენს მიერ განხილული პრინციპების გააზრების გარეშე დაბნეულობა მოგიცავთ, როცა დაინახავთ, თუ როგორ საუბრობენ ადამიანები ღვთიურ გამოცხადებაზე, რომელიც წმიდა წერილის ჭეშმარიტებას ეწინააღმდეგება. როგორ შეუძლიათ მათ ლოცვიდან გამოსვლის შემდეგ

ლიდერები აკრიტიკონ, ვისი პატივისცემის მცნებაც ღმერთმა დაუდო? თუ გაბედავთ და ეტყვით, რას ამბობს ამაზე წმიდა წერილი, მაშინვე გაბრაზდებიან. ისინი აქეთ დაგდებენ ბრალს შეუსაბამობასა და არასულიერობაში, როცა რეალურად, თავად ეწინააღმდეგებიან ღვთის გზებს.

როგორც წინამძღოლს, არაერთხელ მქონია საუბარი ადამიანებთან, რომლებიც მათი აზრით, ღვთის გამოცხადებას მიზიარებენ, მაგრამ შინაგანი წუხილი მიგრძვნია. მართალია, ისინი სრულიად დარწმუნებული არიან, რომ სიტყვა ღვთისგან მოისმინეს, მაინც არაფრით არ სურთ ჩემგან ბიბლიის მუხლების გაგება იმ კონკრეტულ საკითხზე. ამას მარტო ჩემთან კი არ აკეთებენ, არამედ ყველასთან, ვინც მათ დახმარებას შეეცდება. ისინი კონტექსტიდან ამოვარდნილ სხვა ადგილებს იშველიებენ, რომ თავიანთი მოსაზრება გაამართლონ და შემდგომ მსჯელობაზე უარს ამბობენ. ამის შემდეგ თავს შორს იჭერენ და მათი დახმარების მსურველებს გამოეყოფიან, რადგან მათ თვალში სულიერები აღარ ვართ. დრო გადის და მათი გზების ნაყოფი ააშკარავებს, რომ ღვთის ნებას ეწინააღმდეგებიან ან მათი მოლოდინი არ გამართლდა. შესაძლებელია, რომ საკუთარი წარმოსახვის ხმა მოესმინათ და არა იესოსი? ნუთუ მხოლოდ იმიტომ სურდათ ღმერთთან დაახლოება, რომ სიცრუეში გახვეულიყვნენ?

ღმერთთან მიახლოება კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულებით

არსებობს ამ საშინელი ტყუილის არიდების გზა და ის ისევ ღვთის შიშში იპოვება. როცა ღვთის შიში გვაქვს, მას გულის ნეიტრალური მდგომარეობით უნდა მივუახლოვდეთ და მზად ვიყოთ მითითებების ან შესწორებების მისაღებად. არც ჩვენს გაგებას ან ეგოისტურ სურვილებს არ უნდა დავეყრდნოთ და მთელი გულით ვეძიოთ მისი ნება.

მწველი სურვილით ღმერთთან მიახლოება მის ნებას არ შეესაბამება, როცა ჩვენთვის უკვე ცნობილია მისი გადაწყვეტილება. ეს ყველაზე უგუნური და საშიში საქმეა, რადგან სხვა დონის სიცრუეში აღმოვჩნდებით, რომელიც

კიდევ უფრო მეტ სიფხიზლეს მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში ღმერთი თავად დაუშვებს იმას, რაც გინდათ:

> იყო უფლის სიტყვა ჩემდამი: „ძეო კაცისავ! ამ კაცებმა კერპები დაიდგეს თავიანთ გულებში და საკუთარი ურჯულოება დაიდეს დაბრკოლებად. როგორ ვუპასუხო მათ საჭიროებას? (ეზეკ. 14:2-3)

უფალი დანაღვლიანდა, როცა მისი ხალხი მიმართულების, რჩევის ან სიბრძნის საკითხავად მოვიდა მასთან, მაგრამ მათ გულში მალული კერპები იყო. ნათლად არ ჩანს, გაცნობიერებული ჰქონდათ თუ არა თავიანთი მდგომარეობა; თუმცა ჭეშმარიტება დაფარული იყო მათ თვალთაგან. კერპებმა ისინი ურჯულოებაში ჩააგდო. ურჯულოების შესატყვისი ებრაული სიტყვა გახლავთ *ავონ* და ღვთის ნების საწინააღმდეგო დანაშაულს ნიშნავს, ნებსით იქნება თუ უნებლიეთ.

ღმერთს არ უთქვამს, რომ კერპები თავიანთ ეზოებში ან საცხოვრებელ და საწოლ ოთახებში აღმართეს. კერპთაყვანისცემა მათ გულში იყო დაბუდებული. გახსოვდეთ, რომ ეს არ შემოიფარგლება უცხო ღმერთის სახელის ხსენებით. როგორც ადრე ვთქვი, კერპთაყვანისცემის ერთ-ერთი ფორმაა ღვთის სახების დაკნინება; იმის ხატებამდე დამდაბლება, ვინც საკუთარ გულისთქმებს დაგვიკმაყოფილებს. ნახავთ, რომ ყოველგვარი კერპთაყვანისცემის ფესვი ანგარებაა. ამას ახალი აღთქმაც ადასტურებს:

> მაშ, მოაკვდინეთ თქვენი მიწიერი ასოები: სიძვა, უწმიდურება, ვნება, ბოროტი გულისთქმა და *ანგარება, რაც კერპთმსახურებაა*, რომელთა გამოც ღვთის რისხვა მოდის ურჩობის ძეებზე. (კოლ. 3:5-6, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ეფესელთა 5:5-ში პავლე კვლავ იმეორებს, რომ ანგარებიანი კაცი კერპთაყვანისმცემელია. ნათელია, რომ კერპთაყვანისცემა განისაზღვრება, როგორც ანგარება. მაშ, მოდით, განვმარტოთ

რა არის *ანგარება?! უებსტერის* ლექსიკონის თანახმად, ეს გახლავთ „სავარაუდო სიკეთის მოპოვებისა და ფლობის ძლიერი სურვილი“. ლოცვაში უფალს ვკითხე მისი მნიშვნელობის შესახებ. მან ასე მიპასუხა: „ანგარება არის სარგებლის ნახვის წყურვილი“.

ეს სულაც არ შემოფარგლავს ანგარებას მხოლოდ ფულის მიღების წყურვილით. ამაში შედის საკუთრება, პოზიცია, კომფორტი, მოწონება, სიამოვნება, ძალაუფლება, სქესობრივი გულისთქმა და ა.შ. ანგარება არის მდგომარეობა, როცა არსებულით კმაყოფილი არ ვართ. კიდევ ვიღწვით, რადგან არ გვაქვს ღვთისგან მოცემული მშვიდობა და მოსვენება. გააზრებულად თუ უმეცრებით ვეწინააღმდეგებით მის გეგმას ან ცხოვრებისეულ მიმართულებას. ამიტომ გვეუბნებიან: „ვერცხლისმოყვარენი ნუ იქნებით; დასჯერდით იმას, რაც გაქვთ, რადგან თქვა: „არ მიგატოვებ და არ დაგაგდებ“ (ებრ. 13:5). როცა დავდივართ იმის გაცნობიერებით, რომ „სიხარულის სისავსეა შენი სახის წინაშე, შენს მარჯვნივ ყოფნა ნეტარებაა უკუნისამდე“ (ფს. 16:11), აღარ ვეძებთ დაკმაყოფილებას მისი თანდასწრების ან ჩვენი ცხოვრებისთვის განსაზღვრული გეგმის მიღმა.

ანგარება ფორიაქში ბუდობს და დაუცხრომელი სურვილით არის ანთებული. ეს სრულყოფილად აღწერს ისრაელის შვილების მდგომარეობას ეგვიპტიდან გამოსვლისას. ისინი გამუდმებით ითხოვდნენ, რაც მათი აზრით საუკეთესო იყო მაშინაც კი, როცა ღმერთმა თავისი ნება გაუცხადა. არ მოეწონათ ღვთისგან შერჩეული პროცესი აღთქმული მიწის დასამკვიდრებლად და განუწყვეტლივ წუწუნებდნენ: პირობებზე, წყალზე, საკვებზე და ა.შ. მათ აკლდათ წმიდა შიში და მათი გულები მომწიფებული იყო ანგარების აღმოსაცენებლად. როცა ღმერთმა თავი გააცხადა, რეალური მდგომარეობის დამალვას შეეცადნენ, რომ ღვთის წყურვილს სიამოვნებისა და სარგებლის მიღების ფარული გულისთქმა ერჩივნათ.

როცა უფალი და მოსე ერთად წავიდნენ, ხალხმა ღმერთი ჩამოასხა იმ ხატების თანახმად, რომელიც მათ სასურველს მისცემდა. ძალზე საინტერესოა, რომ ყველაფერი ოქროს ირგვლივ ტრიალებდა. ფულის სიყვარული ცხადად ჩანდა

უფლის ნებით დაკმაყოფილების ნაკლებობის გამო. ახლა ისინი სიცრუის დიდ ნისლში გახვეულნი მოქმედებდნენ.

(შენიშვნის სახით გეტყვით, რომ ანგარება კერპთაყვანისცემის სხვა ფორმების ფესვიცაა. მთელი კაცობრიობა შექმნილია ღვთის თაყვანისცემის თანდაყოლილი სურვილით. და მაინც, ბევრს არ უნდა ჭეშმარიტ შემოქმედს დაემორჩილოს. ამიტომ თავისთვის ცრუ ღმერთები შექმნეს, მაგრამ ვინ დგას ამ კერპების ფესვთან? პასუხი ერთია – ვინც ისინი შექმნა ანუ ადამიანი. ახლა ადამიანი ამ ცრუ ღმერთს ემსახურება, რომლისგანაც საბოლოოდ სასურველს მიიღებს. ვიმეორებ, რომ ფესვი ანგარებაა.)

საბოლოო ჯამში, რა ფორმაც არ უნდა ჰქონდეს, ყველა კერპი წყაროს წარმოადგენს. ისინი იმ ადგილს იკავებენ, რომელიც მხოლოდ ღმერთს ეკუთვნის. კერპი მოგემსახურებათ, როგორც ბედნიერების, კომფორტის, მშვიდობის, უზრუნველყოფისა და სხვათა წყარო. ღმერთი ამბობს: „არ გაიკეთოთ კერპები!“ (ლევ. 26:1). ჩვენ ვართ, ვინც კერპებს ვიკეთებთ. კერპია ყველაფერი, რასაც ჩვენს ცხოვრებაში ღმერთზე წინ დავაყენებთ. ეს ის არის, რაც გვიყვარს, მოგვწონს, ვენდობით, გვინდა ან უფალზე მეტ ყურადღებას ვაქცევთ. კერპი ისაა, რისგანაც ენერგიას იღებთ ან პირიქით, აძლევთ. მორწმუნე კერპთაყვანისცემაში მაშინ ვარდება, როცა უკმაყოფილებას გულის ამღვრევის საშუალებას აძლევს და სისრულეს მისი ცხოვრებისთვის ღვთის ნების მიღმა ეძებს. საბოლოოდ, ამას ანგარებასთან მივყავართ.

ანგარების შესაბამისი პასუხი

თუ დავუბრუნდებით ღვთის სიტყვებს ეზეკიელის წინასწარმეტყველებაში, ვნახავთ, რომ იგი ნაღვლობს თავის ერზე, რომელიც გულით მიენდო კერპებს. მათ სურდათ ღვთისგან მიეღოთ ის, რაც მათ ეგოისტურ სურვილებს დააკმაყოფილებდა და ნაკლებად ეძებდნენ მის ნებას. ეს არაფრით განსხვავდება მოზარდების აზროვნებისგან, როცა მათ სასურველის მიღება სურთ, მაგრამ მშობლების სიბრძნეს არ ითვალისწინებენ და ვერც ხვდებიან, რომ მათზე მეტი გამოცდილება აქვთ და მათთვის საუკეთესო სურთ.

ეზეკიელის მიმართ ღვთის პასუხი საგანგაშოც არის და გამომაფხიზლებელიც. იგი არაორაზროვნად ეუბნება ეზეკიელს, რომ საკუთარი ხალხი მასთან ანგარებიანი გულით მოდის, „მე, უფალი, მისი კერპების სიმრავლის მიხედვით გავცემ პასუხს!“ (ეზეკ. 14:4) ახალი ამერიკული სტანდარტული ბიბლია ასე ამბობს: „მე, უფალი თავად გავცემ პასუხს ამ საკითხზე კერპების სიმრავლის გათვალისწინებით“. ეს შეიძლება ასეც ითქვას: „მე, უფალი თავად გავცემ პასუხს ამ საკითხზე მისი ანგარებიანი სურვილების გათვალისწინებით.“

გზასაცდენილი ღვთისკაცი

ეს შემთხვევა ცხადი გახდა ბილყამის ცხოვრებიდან. ის იაჰვეს და არა რომელიმე ცრუ ღმერთის დიდი წინასწარმეტყველი იყო, სწორედ იმ უფლისა, რომელსაც ჩვენ ვემსახურებით. მისი წინასწარმეტყველური მსახურება იმდენად ძალმოსილი გახდა, რომ მეფეთა ყურამდეც კი მივიდა. ერთი-ერთი მათგანი, კერძოდ, ბალაკი, მოაბისა და მიდიანის მეფე იყო.

მოაბისა და მიდიანის ერები დაფრთხნენ, რადგან ისრაელმა მიწასთან გაასწორა მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა, ეგვიპტე და ახლა მოაბის ველებზე დაბანაკდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ეგვიპტის ასე იოლად განადგურების შემდეგ ხელს არაფერი შეუშლიდა, რომ მათ ქვეყანასაც ასე მოქცეოდნენ. შიშმა იმძლავრა და სამეფო სასახლემდეც მიაღწია.

მეფემ გეგმა დასახა. მას ესმოდა, რომ ამ დიდი წინასწარმეტყველის, ბილყამის მიერ კურთხეული ნაკურთხი იქნებოდა, ხოლო დაწყევლილი დაიწყევლებოდა. მან ბილყამს მთავრები აახლა დიდი ძღვენით და შეევედრა, რომ წამოყოლოდა და მეფის გვერდით მდგარს ისრაელი დაეწყევლა მოაბის მაღლობებიდან.

ბილყამი შეფიქრიანდა: „აქ გაათიეთ ეს ღამე და გაგცემთ პასუხს, როგორც მეტყვის უფალი!“ (რიცხვ. 22:8). მისი პასუხი ძალიან ჰგავს მორწმუნეთა უმრავლესობის ნათქვამს: „ნება მომეცი, ვილოცო ამ საკითხზე და მოვისმინო: რას იტყვის უფალი?!“

უფალი ბილყამთან მოდის და ეკითხება: „ვინ არიან ეს კაცები?“ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამაზე ლოცვა რა საჭიროა? მათ ჩემთან აღთქმა არ დაუდიათ, თუმცა აღთქმის ხალხის დაწყევლას ითხოვენ! რატომ მთხოვ ამას?“

ამაში ყველა ჩვენგანისთვის საჭირო სიტყვა ჩანს: არსებობს საკითხები, რომლებზეც არც კი უნდა ვილოცოთ! წინასწარ უნდა ვიცოდეთ ღვთის სურვილი, სანამ ვითხოვდეთ. არ მომწონს, როცა ჩემი მოზარდი ვაჟები ისეთ რამეს მთხოვენ, რაზეც იციან, რომ „არა“-ს ვეტყვი. „რა საჭიროა კითხვა?“ ჩემთვის ვბუტბუტებ მათთვის პასუხის გაცემის შემდეგ, რაც გულის სიღრმეში ისედაც იცოდნენ. ასე იმიტომ აკეთებენ, რომ ჩემი სიტყვა მთთვის კანონი ანუ აკრძალვა უფროა ცხოვრების იმ სფეროში, ვიდრე სიამოვნება.

რაც შეეხება ბილყამს, წარმოვიდგინე ის უზარმაზარი ძღვენი და საპატიო ადგილი, რომელსაც მოაბელთა და მიდიანელთა შორის დაიმკვიდრებდა. ფულისა და პატივის წყურვილმა ხომ არ დაუბრმავა მას თვალები, რომ ვერ გაეაზრებინა ჯანსაღი სიბრძნე?

მოწყალე ღმერთი, ალბათ, ასე ფიქრობდა: *კარგი, ბილყამ, რახან აქამდე ვერ გაიგე ან არ გინდა გაიგო, ჩემს ნებას ძალზე მკაფიოდ გამოვხატავ*. შემდეგ ის ეუბნება: „არ წაჰყვე მათ და არ დაწყევლო ის ხალხი, რადგან კურთხეულია იგი!“ (მ. 12). ახლა ნათელია შენთვის? ხშირად შემინიშნავს, რომ ღმერთი ზუსტად და ნათლად ლაპარაკობს; ეს ჩვენ ვამღვრევთ და ვართულებთ ყველაფერს.

ბილყამი ემორჩილება და მომდევნო დილას ემისრებს უკან გზავნის: „წადით თქვენს ქვეყანაში, რადგან *არ უნდა* უფალს, რომ გამოგყვეთ!“ (მ. 13, *ავტორისეული ხაზგასმა*). ამ მორჩილების მიუხედავად მის ნათქვამში მაინც იგრძნობა უხალისობა, განსაკუთრებით სიტყვებში: *არ უნდა!*. წარმოიდგინეთ ასეთი სურათი: მოზარდ გოგონას საცეკვაოდ იწვევს ძალზე პოპულარული, მაგრამ ცუდი რეპუტაციის მქონე ბიჭი. გოგონას ჟრუანტელი უვლის ცნობილი ბიჭის მოპატიჟებაზე და გახარებული მამას ნებართვას სთხოვს. მამა რბილად ეუბნება უარს ამ სათხოვარზე ქალიშვილისადმი სიყვარულის და მზრუნველობის გამო. გოგონა განადგურებულია

და ახალგაზრდას ასე ეუბნება: „არ შემიძლია წამოსვლა, მშობლები არ მიშვებენ!“. ამით ის ამბობს: „ჩემმა მშობლებმა კი თქვეს უარი, მაგრამ მე დაგთანხმდებოდი“. ეს მშობლები არ იძლევიან ნებართვას. მას კი უნდა წასვლა, მაგრამ მშობლების სიტყვა აკავებს სურვილის ასრულებისგან. სამწუხაროდ, თუ გოგონა უფროსების რჩევას არ გაითვალისწინებს, ბოლოს მაინც იპოვის იმ ახალგაზრდასთან შეხვედრის გზას და მეტი შანსია, რომ უსიამოვნო შედეგებამდე მივიდეს.

ბილყამი ფულისადმი არაჯანსაღი ლტოლვის მქონე წინასწარმეტყველი გახლდათ. მის გულში ანგარების ცეცხლი გიზგიზებდა. მას ცხოვრების გამლამაზებელი საგნები და მაღალი სოციალური მდგომარეობა მოუნდა. მართალია, ღმერთს დაემორჩილა, მაგრამ უხალისოდ. ღვთის სიტყვა მისთვის აკრძალვას ნიშნავდა და არა სიამოვნებას და მისთვის სასურველის მიღებაში ხელი ეშლებოდა.

გულისთქმით გატაცებული

მოაბისა და მიდიანის მთავრები მეფე ბალაკთან დაბრუნდნენ და მოახსენეს, „ბილყამი წამოსვლაზე უარს ამბობს“. ამან მეფე არ დააბრკოლა. მან მაშინვე გაგზავნა კაცები ბილყამთან უფრო დიდი სტატუსისა და პატივის შეთავაზებით, რასაც დიდძალი ფულიც ახლდა.

რატომ მოიქცა ასე ბალაკი? დარწმუნებული ვარ, რომ დემონურმა ძალებმა უკარნახეს. რატომ მგონია ასე? ბიბლია გვიხსნის: „ყოველი ცდუნდება *თავისი გულისთქმით*, რომელიც წარიტაცებს და *აცდუნებს* მას“ (იაკ. 1:14, *ავტორისეული ხაზგასმა*). ყურადღება მიაქციეთ ორ რამეს! პირველი, სიტყვებს: *თავისი გულისთქმით*. ნებისმიერი ძლიერი სურვილი, რომელიც ღვთის ნების საწინააღმდეგოდ გვაქვს, ანგარებაა, რაც კეპრთაყვანისცემას უტოლდება. მეორე, *ცდუნება*. ეს მტრის სამოქმედო ნაწილია – იგი აცდუნებს. ეკლესიის ხალხის უმეტესობას ნარკოტიკები რომ შესთავაზოთ, არც კი იყოყმანებენ უარის სათქმელად. რატომ? იმიტომ, რომ ამის სურვილი არ აქვთ. ვერ შეძლებთ ადამიანის ცდუნებას იმით, რის სურვილიც არ აქვს. სამაგიეროდ, ცდუნდებით

გულისთქმებით, რომლებიც ჯვარცმისთვის არ გადაგიციათ! იმით ვცდუნდებით, რის მიღებაც გვინდა; ან უფრო ზუსტად, რის მიღებაც *ძალიან გვინდა*.

მტერმა იცოდა, რომ ამ წინასწარმეტყველს მეტისმეტად უყვარდა ფული და აღიარება, ამიტომ ურჯულო მეფეს ორივე საშუალების უხვად გაგზავნა ურჩია. ახალ წარმომადგენელთა ჯგუფს ბალაკისგან მიცემული ჰქონდა ძალაუფლება, რომ ნებისმიერი რამ შეეთავაზებინა: „ყველაფერს, რასაც მეტყვი, გავაკეთებ“. ოჰო, რა წინადადებაა! ერთია, თქვენი მეზობლის შემოთავაზება და სულ სხვაა მეფის დაპირება, რომ ნებისმიერ რამეს აგისრულებთ, განსაკუთრებით თუ სისუსტეს იჩენთ იმ სფეროებში, რაც მეფის ძლიერი მხარეა. და მაინც, მოისმინეთ ბილყამის პასუხი”

> „თუნდაც ოქრო-ვერცხლით ავსებული მთელი თავისი სახლი მომცეს ბალაკმა, მაინც *ვერ გადავალ* უფლის, ჩემი ღმერთის ბრძანებას. ვერც პატარა საქმეს გავაკეთებ და ვერც დიდს. (რიცხვ. 22:8, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ბევრი აღფრთოვანდებოდა ბილყამის მორჩილებით. თუმცა ყურადღება მიაქციეთ სიტყვების შერჩევას, *ვერ გადავალ*. მას ისევ აკავებდა უფლის სიტყვა იმისგან, რაც რეალურად უნდოდა. ბილყამმა იცის ის, რაც იცის ადამიანთა უმრავლესობამ, რომელიც ეკლესიის ზღურბლს გადმოაბიჯებს. *არ შეიძლება ნებსით ეურჩო უფლის სიტყვას და კურთხეული დარჩე*! შესაძლოა, მან ეკლესიის წევრების ნახევრის მსგავსად ესეც იცოდა: ნებსით დაუმორჩილებელს სასჯელი ელოდება. თუმცა ეს ინფორმაცია საკმარისია, რომ გასაჭირში ჩავარდეთ – თუ ერთი მიმართულებით ვერ შეძელით ღვთის ნებისთვის გვერდის ავლა, აუცილებლად მოძებნით სხვა გზას, რომელიც „ღვთის ნების“ პარამეტრებში ჯდება. განმარტებისთვის ბილყამის სხვა განცხადება გამოიკვლიეთ:

> გთხოვთ, დარჩით აქ ეს ღამე და გავიგებ, კიდევ რას მეტყვის უფალი! (რიცხვ. 22:19)

გესმით? „ ... კიდევ რას მეტყვის უფალი“. ნუთუ ფიქრობს, რომ მეტი ფული ღმერთს აზრს შეუცვლის? ნუთუ ჰგონია, რომ თავდაპირველი ნათქვამი: „არ წაყვე მათ!“– უფრო უკეთესი შემოთავაზების მიღებას ემსახურებოდა?

რატომ დასჭირდა ამ საკითხზე ხელახალი ლოცვა? ხედავთ, რომ ის ისევ ეძებს სასურველის მიღების გზებს? მისმა გულისთქმამ ნებისმიერ საღ აზრზე გაიმარჯვა. ეს არაფრით განსხვავდება მოზარდი გოგონას საქციელისგან, რომელიც მამას თავს აბეზრებს, სანამ იმ პოპულარულ ბიჭთან საცეკვაოდ წასვლის ნებართვას არ მიიღებს. ბილყამი ჯიუტია და არ სურს ღვთის სურვილის სიხარულით მიღება, რადგან ეს მისი ანგარებიანი გულის წინააღმდეგ იბრძვის. თუ სჯობს ასე ვთქვა, კერპთაყვანისმცემელი გული? წმიდა წერილი ამ აზრს ეთანხმება: „ერთი ცოდვაა ... კერპთაყვანისმცემლობა და თვითნებობა“ (1 სამ. 15:23). მოისმინეთ, რა უპასუხა ღმერთმა ბილყამს:

> „თუ შენს დასაძახებლად მოვიდნენ ეს კაცები, ადექი და გაჰყევი მათ; ოღონდ, რასაც მე გეტყვი, იმას გააკეთებ!“ (რიცხვ. 22:20).

კაცებმა დილით დაუძახეს ბილყამს, რადგან მასთან დარჩნენ იმ იმედით, რომ გაყვებოდა. არსებითად, ღმერთი ამბობს: „როცა კაცები დაგიძახებენ, გაყევი, მაგრამ მხოლოდ იმას ილაპარაკებ, რასაც მე გეტყვი!“. ოჰო! იქნებ ვცდებოდით შეფასებაში? დააკვირდით, რომ წერილი არ ამბობს: „სატანა მივიდა ბილყამთან ღამით და უთხრა, „ადექი და გაყევი მათ“. არც ეს წერია: „მივიდა მაცდური სული ბილყამთან ღამით და უთხრა ...“. ადრე ამაზე ვიხუმრე, მაგრამ ისე ჩანს, თითქოს აქამდე ღმერთი აკავებდა, რომ ბილყამს მეტი ფული მიეღო, რადგან ახლა თავად ეუბნება: „წადი!“

იმის მიღება, რაც გვსურს

ახლა წინასწარმეტყველს უკვე აქვს ღვთის სიტყვა წასვლის შესახებ. ის დილით ადრე დგება, რომ უფლისგან მიღებული მითითება შეასრულოს და ნახეთ, რა ხდება!

ადგა ბილყამი დილით, შეკაზმა თავისი ვირი და გაჰყვა მოაბელთა მთავრებს. *აღინთო ღვთის რისხვა, მისი წასვლის გამო* (რიცხვ. 22:21-22, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ერთი წუთით! ახლა უფალი განრისხდა, რომ ბილყამი იმას აკეთებს, რაც წინა ღამით უთხრა! ვიცით, რომ ღმერთი ბრძენია. მაშ როგორ ავხსნით ამას? პასუხი ჩანს ღვთის სიტყვაში ეზეკიელის მიმართ. გაიხსენეთ, რას ამბობს ღმერთი მასთან შესაკითხად მოსულ ხალხზე, რომელთაც გულში კერპები აქვთ: „მე, უფალი თავად გავცემ პასუხს მათი ანგარებიანი სურვილების შესაბამისად“.

ბევრმა ეკლესიამ სწორედ ეს არ იცის ან ვერ ხვდება. თუ გულში მწველი სურვილი გვაქვს და არ ცხრება მიუხედავად იმისა, რომ უფალმა უკვე გაგვიცხადა მისი ნება, სრულიად შესაძლებელია, რომ მოგვცეს სასურველი მისი ნების საწინააღმდეგოდ, თუმცა ამისთვის მოგვიანებით დავისჯებით!

ამ ეტაპზე, შესაძლოა, საგონებელში ჩავარდეთ, მაგრამ გაიხსენეთ ისრაელი! მათ მეფე უნდოდათ. სამუელმა უფალთან მიიტანა მათი სათხოვარი და ნათლად გაიგო, რომ არ უნდოდა ისრაელს მეფე ჰყოლოდა. მან მსაჯულს უთხრა, რომ მეფე ხალხის საუკეთესო შვილებს, ასულებს, მიწებს, ვენახებსა და ბაღებს წაიღებდა და თან დაბეგრავდა.

სამუელმა უფლის სიტყვა ისრაელიანებს გადასცა; წაიკითხეთ მათი პასუხი: „არ მოუსმინა ხალხმა *სამუელს*.“ დააკვირდით, რომ მათ უარი არ თქვეს უფლის ხმის მოსმენაზე. ისევე როგორც მოსეს შემთხვევაში, მხოლოდ მაცნე დაიწუნეს და *უფალზე შექმნილი საკუთარი წარმოდგენა* შეინარჩუნეს, რომ სასურველი მიეღოთ. ღმერთმა ცალკე ანუგეშა სამუელი. „შენ კი არა, მე უარმყვეს თავიანთ მეფედ“ (იხილეთ 1 სამ. 8).

პასუხად ღმერთმა ხალხს მეფეები მისცა. მან თავად შეარჩია ისინი, რომელთაგან პირველი საული გახლდათ. როგორც ნაწინასწარმეტყველები იყო, მეფეებმა ისრაელიანთა საუკეთესო მიწები, ძეები და ასულები წაიღეს და გადასახადებითაც დაბეგრეს. შემდეგ იგივე მეფეებმა, საბოლოოდ, ბაბილონის ტყვეობაში ამოაყოფინეს ხალხს თავი. ღმერთმა მისცა მათ, რაც გულით უნდოდათ!

რა აბრკოლებს ნამდვილ სიახლოვეს?

გაიხსენეთ ისრაელი უდაბნოში. ისინი საუკეთესო საკვებს მიირთმევდნენ, რომელიც ადამიანს ოდესმე ეჭამა, მანნას. ელიამ მხოლოდ ორი ნამცხვარი შეჭამა და ორმოცი დღე და ღამე მირბოდა! ეს ენერგიით დამუხტული საკვებია!

თუმცა ისრაელს მობეზრდა მანნა და ხორცი ინატრა. მათ უფლისგან ხორცი მოითხოვეს და როგორც ვკითხულობთ, „შეუსრულა თხოვნა“ (ფს. 106:15). ისევ თავიანთ გულისთქმებს მიეცნენ. ფაქტობრივად, უფალმა სასწაულებრივად უზრუნველყო ისინი:

> აღძრა აღმოსავლეთის ქარი ზეცაზე და
> თავისი ძალით წარმართა სამხრეთის ქარი.
> მტვერივით აწვიმა მათზე ხორცი და ზღვის
> ქვიშასავით - ფრთოსანი ფრინველი.
> მათი ბანაკის შუაგულში, მათი საცხოვრებლის
> გარშემო ჩამოყარა. (ფს. 78:26-28)

ხალხმა ითხოვა და ღმერთმა სასწაულებრივი გზით დააკმაყოფილა მათი თხოვნა („თავისი ძალით“); მან უდაბნოში იმდენი მწყერი მოყარა, რომ სამი მილიონი ადამიანი გააძღო! ოჰო, რა საკვვირველი სასწაულია, რადგან მწყერი უდაბნოში არ ცხოვრობს! არა მარტო ეს, ისრაელიანებს თოფები ან ძაღლებიც კი არ ჰყავდათ! და მაინც, აი, რა მოხდა:

> ჭამეს და გაძღნენ მეტისმეტად, შეუსრულა
> სურვილი მათი. მაგრამ ჯერ კიდევ არ
> გამძღარიყვნენ, ჯერ კიდევ პირში
> ჰქონდათ საჭმელი, რომ ღვთის რისხვა
> აღიძრა მათზე, ამოხოცა მათ შორის
> ძლიერნი და დაამხო ისრაელის
> ჭაბუკნი. (ფს. 78:29-31, *ავტორისეული ხაზგასმა*)

უფალმა სასწაულებრივად შეასრულა მათი სურვილი, მაგრამ სასჯელი ჭამის დასრულებამდე მოვიდა. მან ხალხს თავიანთი მწველი გულისთქმების შესაბამისად უპასუხა.

იფიქრეთ ამაზე: ახალგაზრდა კაცი ქალიშვილს ხვდება. მშობლები შეშფოთებული არიან: „შვილო, გვაწუხებს თქვენი ურთიერთობა, გვინდა, რომ მასთან შეხვედრა შეწყვიტო!“ ახალგაზრდების მწყემსიც ამას ეთანხმება: „მინდა, მშობლების სიტყვები გავიმეორო. როცა ამაზე ვლოცულობდი, გულში დიდი მღელვარება მქონდა. ნამდვილად უნდა შეწყვიტო იმ გოგონასთან შეხვედრა!“ ახალგაზრდა კაცი მათ მოსაზრებას ეწინააღმდეგება: „არაერთხელ მილოცია და ღმერთმა მითხრა, რომ მასზე დაქორწინება შემიძლია“. ისინი დაოჯახდნენ და მოგვიანებით, კაცი გაკვირვებული იყო, რატომ ჰქონდათ ამდენი პრობლემა.

იფიქრეთ ამაზე: მამაკაცი ცოლს ეუბნება, რომ კონკრეტული სამუშაოსთვის ლოცულობს. ცოლი პასუხობს: „რაღაც არ მომწონს ეს ადგილი. მისი დაკავებით წელიწადში ორას დღეზე მეტი მოგზაურობაში უნდა გაატარო. ვერც ეკლესიის მსახურებებს დაესწრები თვეში ერთ ჯერზე მეტად და გამოტოვებ ყველა იმ სიტყვას, რომელსაც ღმერთი მწყემსს გულში ჩაუდებს, რომ აღარაფერი ვთქვათ თაყვანისცემასა და მსახურებაზე ...“. მწყემსიც იგივეზე ღელავს, მაგრამ ქმრის გადაწყვეტილება მტკიცეა და მანამ აგრძელებს ლოცვას, სანამ არ დააწინაურებენ. ერთი წლის შემდეგ კაცს უკვირს, როგორც აღმოჩნდა სასტუმროს ნომერში უცხო ქალთან ერთად და როგორ ძალიან დაშორდა თავის ოჯახს.

სია დაუსრულებელია. უნდა გავიაზროთ, რომ ღვთის ნების საწინააღმდეგო სურვილის დაუფლების შემთხვევაში ღმერთი ხშირად გვაძლევს მას; იგი გვპასუხობს ჩვენს გულში დაბუდებული კერპების მიხედვით. საბოლოო ჯამში, ამის მიზანია ჩვენი გულების მოპოვება მის სამკვიდრებლად.

> მე, უფალი, მისი კერპების სიმრავლის მიხედვით გავცემ პასუხს, რომ დავიბრუნო ისრაელის ტაძრის გული, რომელიც თავისი კერპების გამო გამიუცხოვდა! (ეზეკ. 14:4-5).

NIV ასე ამბობს: „ამას გავაკეთებ, რომ დავიბრუნო ისრაელი ერის გული“. უფალს დაშურებით სწადია ჩვენი დაახლოება, რომ მისი გულისცემა გვესმოდეს. გაიხსენეთ, რომ ჩვენ გვე-

ძებს და ჩვენთან სიშორის გამო ნაღვლობს. მართალია, მისი სურვილია, რომ არავინ აცდეს სწორს გზას, მაგრამ ის არც შეურაცხყოფილი არ დარჩება. მისი გული იმ ადამიანებს ეკუთვნით, რომლებიც თავიანთ გულს სრულად გადასცემენ ღმერთს. ამ მიზეზით მას ჩვენი გულების დაბრუნება სურს, რომ დაიცვას ანგარების ნებისმიერი მახისგან, რაც მათში ფარულად დაბუდებული კერპთაყვანისცემაა.

როცა უძღებმა ძემ მამას მემკვიდრეობა სთხოვა, მასთან მივიდა როგორც ძე, მისი ოჯახის წევრი და არა როგორც უცხო ან მონა. ნათელია, რომ ეს ახალგაზრდა მამის გულს ვერ ცნობდა და ეგოისტური მოტივები მართავდა. მამას თხოვნაზე უარი არ უთქვამს, თუმცა იცოდა, რომ შვილი არასწორად მოეპყრობოდა მიღებულ ქონებას. მან მაინც მისცა ძეს მოზრდილი თანხა და ეს უკანასკნელი, საბოლოოდ, დიდად გაიტანჯა, რაც მამამ წინასწარვე იცოდა. კარგი ამბავი ის გახლავთ, რომ ძემ თავისი თავი იპოვა და მამას დაუბრუნდა. ამ ხელახალ კავშირში მან ისე კარგად გაიცნო მამის გული, როგორც არასდროს.

ღმერთი იმედოვნებს, რომ ბოლოს ყველა თავის შვილს დაიბრუნებს, რომელიც გზას აცდა წმიდა მოშიშების უქონლობის გამო. სამწუხაროა, რომ ზიგიერთები ბილყამის მსგავსად ვერასოდეს მიდიან სწორ გადაწყვეტილებამდე, რომ უფლის გული კარგად გაიცნონ. ბილყამის ამბავს ბოლომდე თუ წაიკითხავთ, ნახავთ, რომ ის თავისი ანგარებიანი გულის წადილს მიჰყვა და მახვილით დაისაჯა.

ეს შედარება ახალ აღთქმაშიც ჩანს, როცა აწმყოში ადამიანებს არ აქვთ ღვთის შიში. ისინი ისრაელიანების, კაენისა და ბილყამის კატეგორიებად იყოფიან (ამ თავში ყველა მათგანზე ვიმსჯელეთ). აი, რა გაფრთხილებას ვკითხულობთ!

> მინდა, შეგახსენოთ, თუმცა ეს ყველაფერი იცით, რომ უფალმა ჯერ იხსნა ხალხი ეგვიპტის ქვეყნიდან და შემდეგ დაღუპა ურწმუნონი! (იუდ. 5).

შემდეგ იუდა აღწერს ახალი აღთქმის მორწმუნეებს, რომლებიც ღვთის მადლს აღიარებდნენ, მაგრამ გადაუხვიეს ანგარებით, გულისთქმითა და დაუმორჩილებლობით ცხოვრების გზაზე:

> აი მათ, რადგან კაენის გზით მიდიან, საზღაურისთვის აჰყვნენ ბილყამის ცდომილებას და სიჯიუტით იღუპებიან, როგორც კორახი! ისინი ლაქებად ჩანან თქვენი სიყვარულის სერობებზე; თავხედურად ნადიმობენ თქვენთან ერთად და მასპინძლობენ საკუთარ თავს (იუდ. 11-12)

დაუკვირდით, რომ ისინი ლაქებად არიან სიყვარულის სერობებზე, რასაც დღეს შეიძლება საეკლესიო მსახურებები ვუწოდოთ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იესო საპატარძლოსთვის (მისი გულის შეყვარებულისთვის) მოდის, რომელმაც უბიწოდ შეინახა თავი ქვეყნიერების გულისთქმებისგან. თუმცა იუდა ამბობს, რომ ეს „მაღიარებელი“ ქრისტიანები „თავხედურად ნადიმობენ თქვენთან ერთად და მასპინძლობენ საკუთარ თავს“. მათ კურთხევები და უფალთან სიახლოვეც კი სურთ, მაგრამ ღვთის შიში აკლიათ. ისინი მოტყუებული არიან და ეს სიცრუე მხოლოდ იზრდება, თუ ღვთისკენ არ მობრუნდებიან წმიდა შიშით და სიყვარულით.

გააფრთხილეთ სწავლებასთან ერთად

ნება მომეცით, ეს საკითხი გავშალო! ებრაელთა წერილის ავტორი ამბობს: „ჩვენ კი უკან მიქცეულთაგანნი კი არა ვართ დასაღუპად“ (ებრ. 10:39). დარწმუნებული ვარ, რომ ახლა ამ წიგნს კითხულობთ და საკუთარი გულის გამოცდა გსურთ, რადგან არა მარტო ღმერთთან დაახლოებას ესწრაფით, არამედ მთელი გულით გინდათ მისთვის სიამოვნების მინიჭება საქმითა და ჭეშმარიტებით და არა მარტო განზრახვით და სიტყვით. ამ მიზეზის გამო გვეუბნებიან:

> ამიტომ, ჩემო საყვარელნო, როგორც ყოველთვის, იყავით მორჩილნი, არა მარტო მაშინ, როცა მანდ ვარ, არამედ უფრო მეტად ახლა, როცა მანდ არა ვარ. *შიშითა და ძრწოლით* იღვაწეთ თქვენს სახსნელად, რადგან ღმერთი ბადებს თქვენში სურვილსაც და მოქმედებასაც მისი სათნოებისამებრ. (ფილ. 2:12-13, *ავტორისეული ხაზგასმა*)

წმიდა შიშით მოსიარულე ადამიანები ღმერთს ემორჩილებიან, მიუხედავად იმისა, გრძნობენ ღვთის თანდასწრებას თუ არა. ისინი მტკიცედ დგანან მაშინაც, როცა გარემოებებიდან ისე ჩანს, თითქოს ღმერთმა მიატოვა, თუმცა ეს არასოდეს მოხდება! უფალი მათკენ ისწრაფვის, ვინც წმიდა შიშით დადის და ძალას აძლევს, რომ არა მარტო ისურვონ, არამედ კიდეც გააკეთონ მისთვის საამებელი საქმეები. იგი არ გვარიგებს, რომ სიყვარულით და სიხარულით ვიღვაწოთ სახსნელად, არამედ შიშით და თრთოლვით. ვიმეორებ, რომ უფლის შიში მნიშვნელოვანია და ჩვენს გულებში უპირობო მორჩილებას წარმოქმნის შესაბამის მოქმედებებთან ერთად.

უნდა გამოგვაფხიზლოს იმან, რაც ამ თავში დავწერე, მაგრამ პავლე გვეუბნება, რომ სწავლებასთან ერთად გაფრთხილებაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველა მორწმუნე სრულყოფილი წარვადგინოთ ქრისტეს წინაშე (კო. 1:28). შესაძლოა, ერთი შეხედვით გაფრთხილება დადებითად არ გამოიყურებოდეს, მაგრამ საბოლოოდ, სიცოცხლის მხსნელი და ნაყოფის მომტანი იქნება მისი გათვალისწინების შემთხვევაში. მიხარია სიხარულით სავსე და ოპტიმისტური სიტყვების მოსმენა, მაგრამ იმასაც ვაცნობიერებ, რომ ბევრი მიმართავს მსახურებს სამსჯავროს დღეს და შესძახებს: „რატომ არ გამაფრთხილე?“ თუ ეს მსახურები მაძიებელზე მორგებულ და ყურის საამებელ სიტყვას ქადაგებდნენ, ძრწოლა შეიპყრობთ და ბოლოს მათ ხელებზე სხვისი სისხლი აღმოჩნდება.

ერთხელ მსახურებაზე ასეთი კომენტარი გავაკეთე. დასასრულს ერთი მწყემსი გაბრაზებული მოვიდა ჩემთან. მან თქვა: „როგორ ბედავ თქმას, რომ ჩვენს ხელებზე ვინმეს სისხლი იქნება? ეს ძველი აღთქმის საკითხია და არა მადლის“. ბიბლია გადავშალე და მივუთითე პავლეს სიტყვებზე:

> ამიტომ გიმოწმებთ თქვენ ამ დღეს, რომ უბრალო ვარ ყველა სისხლისგან. რადგან არაფერი დამიკავებია და ღმერთის სრული ნება განგიცხადეთ. მაშ, გაუფრთხილდით საკუთარ თავსაც და თქვენს მთელ სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც დაგაყენათ სულიწმიდამ, რათა მწყემსოთ ღმერთის ეკლესია, რომელიც მან საკუთარი სისხლით შეიძინა. (საქმ. 20:26-28)

მიახლოება

არასოდეს დამავიწყდება მის სახეზე აღბეჭდილი გაოგნება, როცა ეს სიტყვები წაიკითხა. ის კაცი მსახური იყო და ეს ადგილი არაერთხელ ჰწონდა გადაკითხული, მაგრამ იმ დღეს პირველად გაეცხადა. მან სერიოზულად მომიბოდიშა და რამდენიმე წუთი კიდევ ვილაპარაკეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, არ ჩავვარდეთ ცალმხრივი ქადაგების მახეში, როცა ყოველთვის დადებით ან თუნდაც უარყოფით მხარეს გამოვკვეთთ. ჩვენი სიტყვა აუცილებლად უნდა დაბალანსდეს როგორც „მითითებით“, ისე „გაფრთხილებით“.

ახლა ის დროა, რომელზეც იესო გვეუბნებოდა – შესაძლებელია, რჩეულნიც კი შეცდნენ. მან თქვა, რომ საცდური მრავლად იმატებს. მტკიცედ უნდა ვიდგეთ, რომ არ დავეცეთ. უფალს მისი მოშიშებით სავსე გულით უნდა მივუახლოვდეთ. უდარდელობა საცდურის იოლ სამიზნედ გვაქცევს. მოსიყვარულე ზეციერი მამა ჩვენს მხარესაა და ყველაფერი მოგვცა, რაც სიცოცხლისა და ღვთისმოსაობისთვის გვჭირდება. მისგან მოვიდა მადლი უფალ იესოს მეშვეობით, რომ მისი ნების მორჩილებაში ვიცხოვროთ და მხოლოდ ამ წმიდა მოშიშების მეშვეობით შევძლებთ მასთან ნამდვილ სიახლოვეს!

კითხვები შესწავლისთვის

1. მოყვანილ იქნა მტკიცებულება, რომ „უფლის შიშის გარეშე ... მისი არასწორი სახება გვიყალიბდება სამშვინველში თუ წარმოსახვაში“. როცა თქვენს რწმენას გადახედავთ აქამდე, ყოფილა თუ არა პერიოდი, როცა ღმერთზე არასწორი შეხედულება გქონდათ? თუ ასეა, რა მხრივ იყო ის დამახინჯებული?
2. ავტორი მიუთითებს, რომ ღვთის ნების საწინააღმდეგო გულისთქმის ქონის შემთხვევაში იგი ხშირად გვაძლევს სასურველს. გულწრფელად რომ გადავხედოთ ჩვენს ლოცვით ცხოვრებას, არის რაღაც ისეთი, რითაც გამუდმებით მივდივართ ღმერთთან, თუმცა შესაძლებელია სწორედ ანგარებიან სურვილთან გვქონდეს საქმე? ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ისეთი შემთხვევა, როცა მწველი სურვილი დაიკმაყოფილეთ, თუმცა ბოლოს სანანებლად გექცათ?
3. პირველი თავის ბოლოს პირველ შეკითხვაში დავინტერესდით, რის გამო დაიწყეთ ამ წიგნის კითხვა. იმის გათვალისწინებით, რაც აქამდე გაიგეთ, რა გამოწვევები დადგა თქვენს წინაშე? რა ცვლილებებს ხედავთ ღმერთზე თქვენს წარმოდგენაში და რას ნიშნავს მისთვის სიამოვნების მინიჭება საქმით და ჭეშმარიტებით?

თავი მერვე

ნამდვილი თაყვანისცემა

„რელიგიური სული ჩემს სიტყვას იყენებს მისი ნების აღსასრულებლად“.

საცდური მოელის მას, ვისაც უფლის შიში აკლია, ხოლო მასთან სიახლოვე ელის ყველას, ვინც მოშიშებით უახლოვდება. ამის გარეგნული გამოხატულება გახლავთ ღვთის ნების უპირობო მორჩილება; არა მარტო უნდა დავემორჩილოთ, არამედ გულით უნდა გვინდოდეს მისი ნების შესრულება. ეს არაერთხელ გვინახავს იმ ადამიანების ცხოვრებაში, რომლებიც ღმერთთან დადიოდნენ.

ენოქის მოწმობა ის იყო, რომ ღმერთს აამა. კიდევ უფრო მეტ სიღრმეს ვხედავთ ადრეული ეკლესიის მამის, კლიმენტის ნაშრომებში. კლიმენტი რომაელი პირველ საუკუნეში ცხოვრობდა და პეტრე და პავლე მოციქულების თანამშრომელი იყო. მან დაწერა: „მაგალითისთვის ავიღოთ ენოქი, რომელიც *მართლად* შეირაცხა *მორჩილების* გამო, წაყვანილ იქნა და სიკვდილი არ უხილავს“. ამრიგად, ღვთის წინაშე ენოქის განმასხვავებელი ნიშანი მისი მორჩილება გახლდათ.

მიახლოება

მომდევნო კაცი წმიდა წერილიდან, რომელიც ღმერთთან ახლო ურთიერთობაში დადიოდა, იყო ნოე. *The New Living Translation* მეტ სიღრმეს გვაწვდის მისი ცხოვრების შესახებ:

> ეს არის ნოესა და მისი ოჯახის ამბავი. მართალი, უმწიკვლო კაცი იყო ნოე თავის თაობაში; იგი *მუდამ მიჰყვებოდა ღვთის* ნებას და მასთან ახლო ურთიერთობით ხარობდა. (დაბ. 6:9, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ენოქის მსგავსად, ნოეს ცხოვრებაც ღვთის ნების განუწყვეტელი შესრულებით ხასიათდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი ღვთის სურვილებს ემორჩილებოდა. ისინი ბილყამის საპირისპირო ადამიანებს წარმოადგენენ, რომელიც უფალს მხოლოდ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით ემსახურებოდა. ის ხვდებოდა, რომ ადამიანი ვერ იკურთხება და საბოლოოდ, აშკარა დაუმორჩილებლობისთვის განისჯება. ბილყამმა ღვთის სიტყვა დაამახინჯა ისე, რომ მორჩილებაშიც დარჩენილიყო და სარგებელიც ენახა. მის გულში არ იყო უფლის ნების მოშურნეობით შესრულების წყურვილი. ღვთის ნება მისი გულის სურვილს კი არა, ამკრძალავ კანონს წარმოადგენდა.

ეს სრულიად არ ახასიათებდა დავითს. წმიდა წერილი ასე ამბობს მისი ცხოვრების შესახებ:

> მეფედ დავითი აამაღლა მათთვის, რომლის შესახებ თქვა დამოწმებით: ვპოვე დავითი, ძე იესესი, ჩემი გულის სანდომი კაცი, რომელიც შეასრულებს ყველა ჩემს ნება-სურვილს. (საქმ. 13:22)

უფლის შიში იმაში მდგომარეობს, რომ არა მარტო ვემორჩილებით, არამედ მის ყოველ სურვილს ვასრულებთ. ისე ვცდილობთ მისი ნების შესრულებას, თითქოს ჩვენი გულის საწადელი იყოს. მისი გულისნადებს ვითავისებთ. აი, ეს არის ნამდვილი მორჩილება.

რელიგიური სული

რასოდეს დამავიწყდება, როცა თაყვანისცემისას უფალი ფაქიზად დაელაპარაკა ჩემს გულს:

– ჯონ, იცი რა არის რელიგიური სული?

ახლა უკვე ვიცი, რომ ღმერთი კითხვას იმიტომ არ გვისვამს, რომ ჩვენგან ინფორმაციის გაგება სურს. მისი კითხვა ერთ მიზანს ემსახურება – რაღაც არ ვიცით ან მის შესახებ ნაწილობრივი გამოცხადება გვაქვს. რელიგიური პიროვნების ქცევაზე დამიწერია და მილაპარაკია კიდეც, მაგრამ უფლის მიმართ ჩემი პასუხი ასეთი იყო:

– უფალო, არ ვიცი. რა არის რელიგიური სული?

იგი ჩემს გულს ისევ დაელაპარაკა:

– რელიგიური სული მოქმედებს, როცა ადამიანი ჩემს სიტყვას იყენებს საკუთარი ნების აღსასრულებლად.

მისი სიტყვების გამოძახილი რამდენიმე დღე ისმოდა ჩემს გულში და ბევრ კითხვაზე პასუხი მოჰქონდა.

სწორედ ეს გააკეთა ბილყამმა. მას დამორჩილება უნდოდა, თუმცა საკუთარი ინტერესებისთვის; ნაკლებად ფიქრობდა ღვთის გულის სურვილების განხორციელებაზე. ამ მიზეზით უთხრა მას უფლის ანგელოზმა: „*უკუღმართია* შენი გზა ჩემს თვალში“ (რიცხვ. 22:32, *ავტორისეული ხაზგასმა*). *უებსტერის* ლექსიკონის განმარტებით სიტყვა *უკუღმართი* ნორმისგან აცდენილს, დამახინჯებულს ნიშნავს. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეს გახლავთ ღვთის სიტყვის გამრუდება და დამახინჯება და მისი გამოყენება საკუთარი სარგებლობისთვის.

ნამდვილი თაყვანისცემა

თუ აბრაჰამის, მოსეს, იეშუას, დავითის, ესთერის, დანიელისა და წმიდა წერილის სხვა გმირების ცხოვრებას განიხილავთ, ნახავთ, რომ ისინი ახლოს იყვნენ უფალთან და მათი ცხოვრება ამ საერთო ნიშნით ხასიათდებოდა. ღმერთთან სიახლოვის არსი მისი სურვილების ნამდვილ და გულით განცდილ მორჩილებაში მდგომარეობს. ასეთია ღვთის ღაღადი

ყველა ადამიანისთვის, ვისთანაც ის აღთქმით ურთიერთობაში იყო ძველი აღთქმის პერიოდში:

> რადგან ვაფრთხილებდი თქვენს მამებს ეგვიპტიდან მათი გამოყვანის დღიდან დღემდე, ყოველი დღის განთიადიდანვე ვაფრთხილებდი, ისმინეთ-მეთქი ჩემი ხმა (იერ. 11:7, *ავტორისეული ხაზგასმა*).

უფალი გლოვობდა, რადგან მისი ხალხი არ ემორჩილებოდა და საკუთარი გულის სურვილებს მისდევდა. ისინი უფლის გულს არ იცნობდნენ და მისი ნათქვამით იზღუდებოდნენ. შედეგად ისეთ გზებს ეძებდნენ, რომ საკუთარი სურვილები დაეკმაყოფილებინათ მათივე წარმოსახვაში არსებული საზღვრების ფარგლებში, სადაც ღმერთი მომთმენი იქნებოდა და მასთან მოზიარეობის საჭიროებაც არ დადგებოდა. სრულ მორჩილებას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება დაახლოებაში. ახალ აღთქმაში იესო გვეუბნება:

> მაგრამ დგება ჟამი და დადგა კიდეც, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი სულითა და ჭეშმარიტებით სცემენ მამას თაყვანს, რადგან მამაც სწორედ ასეთ თაყვანისმცემლებს *ეძებს* თავისთვის. ღმერთი არის სული და მისი თაყვანისმცემლებიც სულითა და ჭეშმარიტებით უნდა სცემდნენ თაყვანს“. (იოან. 4:23-24, *ავტორისეული ხაზგასმა*)

რა სიღრმეა ამ რამდენიმე წინადადებაში! პირველი, დააკვირდით, რომ ზეციერი მამა ასეთებს *ეძებს* თაყვანისცემისთვის. გაიხსენეთ ერთ-ერთი წინა თავი, სადაც ვიმსჯელეთ, თუ რა დაშურებით სურს და დაეძებს ჩვენთან მოზიარეობას. იესოს განცხადება იგივეს ამბობს.

მეორე, იგი ეძებს ადამიანებს, რომლებიც თაყვანს სცემენ სულით და ჭეშმარიტებით. მოდით, თაყვანისცემაზე ვიმსჯელოთ. არასოდეს დამავიწყდება დრო, როცა ბიბლიას ვკითხულობდი და სულიწმიდამ ჩემს გულში შესძახა: „თაყვანისცემა

წყნარი საგალობელი არ არის!“ ამან მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება.

ბევრს ეს მიაჩნია თაყვანისცემად: წყნარი გალობა. დაკვირდით ტიპურ ევანგელურ მსახურებას: შეკრებებზე მოვდივართ და ვიწყებთ ქებას, რომელსაც თაყვანისცემა მოსდევს. შემდეგ განცხადებები და შესაწირია, რასაც მოყვება ქადაგება და ახალმოსულების მოხმობა. ტრადიციული ეკლესიები ბიულეტენებს ბეჭდავენ, ხოლო ჩვენ, ევანგელური ეკლესიები, უბრალოდ, ვიმახსოვრებთ, თუმცა ვტრაბახობთ, რომ სულიწმიდით სავსე და თავისუფალი ვართ. რაც შეეხება თაყვანისცემას, ადამიანთა იმ მცირე ჯგუფისთვის, რომელმაც არ იცის განსხვავება ქებასა და თაყვანისცემას შორის, ვიტყვით, რომ ქება უფრო ჩქარი გალობაა, ხოლო თაყვანისცემა – ნელი. ეს მართლაც სასაცილოა; საეკლესიო ჰიმნების კრებულიდან ვაწვდით საგალობლებს, რომ მიჯაჭვული ვიყოთ დიდ პროექტორებზე. ამრიგად, როცა სიტყვა *თაყვანისცემას* ახსენებთ, მორწმუნეთა უმრავლესობას თავში აზრად მოსდის წყნარი საგალობლები დისკზე, მუსიკალურ ვიდეოებსა თუ მსახურებებზე.

როცა უფალმა ეს მითხრა, მაშინვე უკან გავწიე ბიბლია და ვუთხარი:

– უფალო, არ ვიცი, რა არის თაყვანისცემა?! გთხოვთ, ზუსტად ამიხსნა!

შემდეგ მან მტკიცედ თქვა:

– ეს არის ცხოვრება!

მან მაშინვე მომიყვანა მაგალითი. ასე მითხრა:

– შვილო, იფიქრე ამაზე: დილით დგები და ლიზას დახმარება სჭირდება, რომ ბავშვები სკოლაში გაუშვას, მაგრამ შენ ეუბნები, რომ არ გცალია. მცირე დროის შემდეგ მას ისევ დასჭირდა მოხმარება, მაგრამ შენ ახლაც უარზე ხარ. მოგვიანებით, ლიზამ ლანჩის მომზადებაში დახმარება გთხოვა, მაგრამ შენ ისევ მოუცლელი ხარ. შუადღეზე გეუბნება, რომ ბავშვების სკოლიდან წამოყვანაა საჭირო, მაგრამ ამაოდ. შენი პასუხი იგივეა. ლიზა ისევ გთხოვს სადილის მომზადებასა და შემდეგ დალაგებაში დახმარებას მხოლოდ იმიტომ, რომ შენგან ისევ უარი მიიღოს.

მან განაგრძო:

– იმ საღამოს, როცა ბავშვები დასაძინებლად გაემართნენ, რაღაც მოგინდა ლიზასგან, კერძოდ, თანაცხოვრება. მას უახლოვდები და ნაზი ხმით ჩასჩურჩულებ: „ძვირფასო, ძალიან მიყვარხარ!“

შემდეგ უფალმა მკითხა:

– რა იქნება მისი პასუხი შენს სიყვარულის სიტყვებსა და სექსუალური კავშირის შეთავაზებაზე?

მე ვუპასუხე:

– ის, ალბათ, მეტყვის „გზას ეწიე, ჯეკ!“

შემდეგ მან მითხრა:

– მართალი ხარ, და რატომ გეტყვის ასე?

მე ვუპასუხე:

– იმიტომ, რომ ინტიმური სიახლოვე დილიდან იწყება და საღამოს დაგვირგვინდება სქესობრივი კავშირით.

უფლის ნათქვამზე ვფიქრობდი და მივხვდი, რომ ცოლის მიმართ სიყვარულის აღიარება ცარიელი სიტყვა იქნებოდა და არა საქმე და ჭეშმარიტება. ქმარი, რომელიც გამუდმებით ასე იქცევა თავის ცოლთან, თავს იტყუებს.

შემდეგ უფალმა მითხრა:

– შვილო, ბევრი სხვა შვილი მყავს, რომელთა ყურადღების მიპყრობას ვცდილობ მთელი კვირის განმავლობაში, მაგრამ ისინი უგულებელმყოფენ. მინდა მეზობლად მცხოვრებ პიროვნებას მოემსახურონ, მაგრამ არ მისმენენ ან ჩემს მითითებას ახშობენ, რადგან მოუცლელები არიან ან თავიანთი დაგეგმილი სიამეებით გახარება სურთ. ისინი ყურს არ მიგდებენ, როცა ვთხოვ შესაწირის გაღებას, თავიანთ ეკლესიებში მსახურებას, საზოგადოებისა და ოჯახის წევრების მომსახურებას და ა. შ. შემდეგ ეკლესიებში მოდიან და რაღაცას მთხოვენ, კერძოდ, *კურთხევას* და იწყებენ გულშიჩამწვდომი სიმღერების გალობას, თუ როგორ ვუყვარვარ მათ და ამას თაყვანისცემას ეძახიან. ეს არ არის თაყვანისცემა. ეს არის, უბრალოდ, წყნარი სიმღერა!

გავშეშდი. მივხვდი, რომ ჩემი კონცეფცია თაყვანისცემაზე გამრუდებული იყო. მოგვიანებით, რაღაც საოცარი აღმოვაჩინე,

რომელიც მანამდე არ შემინიშნავს. ნება მიბოძე, მკითხველო, რომ კითხვა დაგისვა: პირველად სად არის ბიბლიაში ნახსენები სიტყვა *თაყვანისცემა?* ეს კითხვა მნიშვნელოვანია. ვისწავლე, რომ წიგნის წერისას ახალი ტერმინის შემოტანას, რომელიც უმრავლესობისთვის უცნობია, თან უნდა სდევდეს სამიდან ერთი რამ: განსაზღვრება; მაგალითი, სადაც თვალსაჩინოდ არის გადმოცემული მისი მნიშვნელობა; ან სიტყვის ისე გამოყენება, რომ მნიშვნელობა ცხადი გახდეს. პირველად ბიბლიაში სიტყვა *თაყვანისცემას* შეხვდებით დაბადების წიგნის

22-ე თავში. აქ ვკითხულობთ:

> უთხრა აბრაჰამმა მსახურებს: „თქვენ სახედართან დარჩით, მე და ჩემი ვაჟი კი წავალთ, *თაყვანს ვცემთ* და მოვბრუნდებით“ (დაბ. 22:5, *ავტორისეული ხაზგასმა*).

აბრაჰამი სულაც არ აპირებდა ისაკთან ერთად მთაზე ასვლას ნელი სიმღერის ღიღინით. იგი ზემოთ ადიოდა, რომ მისი ცხოვრების უძვირფასესი საგანძური სასიკვდილოდ გაეწირა მხოლოდ იმიტომ, რომ ღმერთმა ასე უთხრა! როგორც ხედავთ, თაყვანისცემა *მორჩილებით ცხოვრებაა*. ეს ხსნის, თუ რატომ ელაპარაკება ღმერთი გულისწყრომით თავის ხალხს, რომელიც მას უმღერის:

> მომაშორეთ თქვენი სიმღერების ხმაური, თქვენი ქნარების ხმის მოსმენა აღარ მსურს. მაგრამ წყალივით იდინოს სამართალმა და სიმართლემ - დაუშრეტელ ნაკადულივით. (ამოს. 5:23-24)

ბევრ მსახურებაზე ვყოფილვარ, სადაც მუსიკა განვითარებადი და მშვენიერი იყო, მაგრამ უფლის თანდასწრების გამოვლინება არსად ჩანდა. ასეთ ვითარებებში პირველად ჩემს გულს ვამოწმებ და დაბეჯითებით ვეკითხები სულიწმიდას: „ხომ არ გაწყენინე ან შევცოდე?“ უმრავლეს შემთხვევაში გულის სირღმეში მაქვს დამოწმება, რომ ასე არ არის. ამიტომ ვხვდები, რომ დაბრკოლება ხალხშია. შემდეგ გაბედულებით

ვქადაგებ უფლის შიშსა და მორჩილებაზე. ამგვარ ატმოსფეროში ქადაგების დასასრულს თითქმის ყოველთვის ვხდები ხალხის 50 %-ზე მეტის მონანიების მოწმე. შემდეგ მომდევნო მსახურებაზე მოვდივარ იგივე თაყვანისცემის საგალობლებით და იგივე გუნდით, მაგრამ იქ უკვე იგრძნობა ღვთის თანდასწრების შესანიშნავი გამოვლინება. რატომ არის ასე? ნამდვილი თაყვანისცემა მორჩილებაში ცხოვრებაა და ასეთი ცხოვრებიდან თაყვანისცემის საგალობლები იღვრება, რომლებიც ღვთის გულს სიამოვნებს და არ აღიზიანებს, როგორც ზემომოყვანილ მონაკვეთშია. ეს იგივეა, რომ ჩემს ცოლთან სიახლოვე მქონდეს ღამით, როცა მთელი დღის განმავლობაში მიყვარდა და არ უგულებელვყოფდი მის სათხოვრებს.

თაყვანისცემა ჭეშმარიტებაში

იესო გვეუბნება, რომ ზეციერი მამა ეძებს სულით და ჭეშმარიტებით თაყვანისმცემლებს. მომდევნო თავებში ფართოდ განვიხილავ *სულით* თაყვანისცემას, ახლა კი ჭეშმარიტებით *თაყვანისცემაზე* ვიმსჯელოთ. *ჭეშმარიტების შესატყვისი ბერძნული სიტყვა გახლავთ* ალეთეია. *Vine's* ლექსიკონი მას ასე განმარტავს: „გარეგნული მხარე, რომელსაც რეალობა უდევს საფუძვლად; საქმის ნამდვილი არსის გამოვლენა“.

მომწონს ეს განსაზღვრება, რადგან იესოს ნათქვამს შესანიშნავად ამდიდრებს. უფალი გვაჩვენებს, რომ ჭეშმარიტი თაყვანისცემა ადამიანის არსების უკიდურეს სიღრმეში იბადება, რომელიც მისი გულია. მეტი სიცხადისთვის ნება მიბოძეთ, წარმოგიდგინოთ და განვსაზღვრო კომუნიკაციის სამი დონე.

პირველი გახლავთ სიტყვიერი კომუნიკაცია, რომელიც უმდაბლესი დონეა. იესო ამაზე მიუთითებს მამის მაგალითით, რომელიც ორ ვაჟს ვენახში სამუშაოდ გზავნის (მათ. 21:28-31). ერთი ძე პასუხობს: „წავალ, მამა“, მაგრამ არ მიდის, ხოლო მეორე ეუბნება: არ წავალ“, მაგრამ მიდის. შემდეგ იესო განმარტავს, რომ მამის ნება იმან შეასრულა, ვინც თავდაპირველად უარი განაცხადა და არა იმან, რომელიც

თანახმა იყო. ამრიგად ვხედავთ, რომ რეალური მოქმედება სიტყვიერ კომუნიკაციას აღემატება.

იაკობიც გვაჩვენებს, რომ სიტყვიერი კომუნიკაცია ყველაზე დაბალი დონეა: „თუ ძმა ან და შიშველია და დღიური საზრდო აკლია, რომელიმე თქვენგანი კი ეტყვის მას, მშვიდობით წადი, გათბი და ისაზრდოვეო, სხეულისთვის საჭიროს კი არას მისცემს, რა სარგებელია?“ (იაკ. 2:15-16). იოანე მოციქული ამ ჭეშმარიტებას შემდეგი ნათქვამით ამოწმებს: „ვისაც ამქვეყნიური ქონება აქვს, მაგრამ ძმას გაჭირვებაში ხედავს და გულს იკეტავს, როგორ დარჩება მასში ღვთის სიყვარული?“ (1 იოან. 3:17).

მაგალითისთვის უამრავი სცენარის მოყვანა შეიძლება. ერთ-ერთია კაცი, რომელიც ცოლს სიყვარულს უმტკიცებს, მაგრამ დროს მასთან ერთად არასოდეს ატარებს ან ქალი, რომელიც ქმარს სიტყვიერად პატივს სცემს, მაგრამ არასოდეს ითვალისწინებს მის რჩევას, რომ შეწყვიტოს საკრედიტო ბარათებზე არსებული თანხის ხარჯვა ლიმიტის ამოწურვამდე. ვფიქრობ, იცით, რომ სია თითქმის უსასრულოა. იოანე ასე აგრძელებს თავის წერილში:

> შვილებო, გვიყვარდეს არა სიტყვით და არა ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით! (1 იოან. 3:18)

ბიბლიის გავრცობილი თარგმანი გვეუბნება: „პატარა შვილებო, გვიყვარდეს [არა მარტო] ... სიტყვებით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით.“ ჩვენ მართლაც უნდა გვიყვარდეს სიტყვით, მაგრამ ეს ფარისევლობა იქნება, თუ სიყვარულის ენით გამოხატვა საქმეებით და ჭეშმარიტებით არ დამტკიცდება. დააკვირდით, რომ მოციქული ახსენებს „საქმესა და ჭეშმარიტებას“. ეს აღწერს კომუნიკაციის უფრო მაღალ დონეს.

მომდევნო დონე არის *საქმე* ანუ მოქმედება. და მაინც, ეს არ გახლავთ კომუნიკაციის უმაღლესი დონე და შესაძლოა, შეცდომაში შეგიყვანოთ. მოქმედება ჭეშმარიტების საწინააღმდეგო შეიძლება იყოს. პავლე ამბობს: „მთელი ჩემი ქონება რომ დავარიგო და ჩემი სხეული დასაწვავად გავწირო,

ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არაფერი სარგებელი მაქვს“ (1 კორ. 13:3). მოქმედებები, რომლებიც ამ მუხლში აღიწერება, სიყვარულის უმაღლეს გამოვლინებად გვეჩვენება, მაგრამ მოციქულის აზრით, ეს თითქოსდა დიდებული საქმენი არაფერია გულში ღვთიური სიყვარულის გარეშე.

ამას კომუნიკაციის უმაღლეს დონემდე, *გულამდე* მივყავართ. ეს გახლავთ ადამიანის საბაზისო დონე. მას იოანე და იესო *ჭეშმარიტებად* მოიხსენიებენ. გულის ფიქრები და ზრახვები ჩვენი თაყვანისცემის ჭეშმარიტობაზე მოწმობენ და მათი გარჩევა შეუძლებელია ღვთის სიტყვის გარეშე. მოგვიწოდებენ, რომ გული დავიცვათ მთელი გულმოდგინებით, რადგან მისგან მოედინება სასიცოცხლო ძალები. თუ ამას უგულებელვყოფთ, ადვილად ვცდუნდებით. თავის ნებაზე მიტოვებული გული, რომელსაც ღვთის სიტყვა და მისი სული არ კვებავს, ყველაფერზე მეტად წამხდარი და სიცრუით სავსეა.

ღმერთი თავის ხალხს ეუბნება: „თუ მოინდომებთ და შეისმენთ, მიწის დოვლათს შეჭამთ (ეს. 1:19, *ავტორისეული ხაზგასმა*). დააკვირდით, რომ აქ არ წერია მხოლოდ შესმენა, არამედ მონდომება და შემდეგ *შესმენა* ანუ მორჩილება. მონდომება ჩვენი გულის დამოკიდებულებას შეეხება. თუ ჩემს ვაჟს რამეს ვთხოვ, შეიძლება მაშინვე დამემორჩილოს და გარეგნულად დაქვემდებარებასთან მქონდეს საქმე, მაგრამ გულში უკმაყოფილოდ დუდღუნებდეს. რეალობა ის გახლავთ, რომ ის ჭეშმარიტებით არ მემორჩილება, არამედ თავს მაჩვენებს. იოანე გვეუბნება, რომ ღმერთი და კაცობრიობა უნდა გვიყვარდეს საქმით და ჭეშმარიტებით, რაც გულის დონეზე ხორციელდება: „ამით გავიგებთ, რომ ჭეშმარიტებისგან ვართ და დავიმშვიდებთ გულს მის წინაშე“ (1 იოან. 3:19).

არასოდეს დამავიწყდება, როგორ დამიპირისპირდა ღმერთი ამის გამო. ძალზე ბეჯითად ვშრომობდი, რომ ნებისმიერი სახის წუწუნისთვის თავი ამერიდებინა. გავაცნობიერე, რომ წუწუნი ღვთის ბუნების შეურცხაყოფაა, რადგან ამგვარად მოქმედი ადამიანი ღმერთს ეუბნება: „არ მომწონს, რასაც აკეთებ და შენს ადგილას რომ ვიყო, სხვაგვარად მოვიქცეოდი.“ ეს არის წმიდა შიშის ნაკლებობა და ღმერთს ეს სძულს. ფაქტობრივად, დრტვინვამ მოუსპო ისრაელიანებს აღთქმულ მიწაზე შესვლის

შესაძლებლობა. ამრიგად, კარგა დიდი ხნის განმავლობაში სიტყვიერად არ დამიწუწუნია და ამით ვამაყობდი კიდეც. და მაინც, ერთ დილას სულიწმიდამ გაღვიძებისას მტკიცედ მითხრა: „გავიგონე შენი გულის დრტვინვა!“ ადგილზე გავშეშდი. ელდანაცემი წამოვჯექი და გავიაზრე, რაოდენ ვცდებოდი, როცა ვამაყობდი. ღვთისადმი ჩემი თაყვანისცემა არ იყო ჭეშმარიტებით და გულის ცდომილების გამოაშკარავებას მისი გამომასწორებელი სიტყვა დასჭირდა. სასწრაფოდ მოვინანიე და შვებას მგვრის ფაქტი, რომ იმის შემდეგ შესწორება აღარ დამჭირვებია. მადლობა ღმერთს მისი მადლისთვის!

ნათქვამის ფონზე ნახეთ *Vine's* განსაზღვრება ჭეშმარიტებაზე. ის გვეუბნება, რომ ჭეშმარიტება მიუთითებს გარეგნობის მიღმა არსებულ საფუძველზე და არის საქმის ნამდვილი არსის გამოვლენა. რა ადვილია ჭეშმარიტებიდან გადაცდომა! ამის მაგალითს მოგიყვანთ. შეგვიძლია ღმერთი ვადიდოთ და ვუგალობოთ, მაგრამ ერთი სიტყვაც კი არ გამოდიოდეს ჩვენი გულიდან. ვგალობთ და თან ვფიქრობთ, როგორ გვშია, როგორ იკამათეს დილით ბავშვებმა, რა დიდებული დღე გველოდება მსახურების შემდეგ და ა. შ. შეგვიძლია ვილოცოთ და ვთქვათ: „უფალო, მადლიერი ვარ შენი“. და მაინც, დღეების განმავლობაში ვწუწუნებთ, თუ რა მძიმე მდგომარეობაში ვიმყოფებით. მართლა მადლიერი ვართ თუ გულის სიღრმეში უფალს ვადანაშაულებთ, რომ ისე არ მოქმედებს ჩვენს ცხოვრებაში, როგორც საჭიროა? ოჰ, ეს სია დაუსრულებელია!

ღვთის თაყვანისცემა ჭეშმარიტებაში, არა მარტო მისი მორჩილებაა, არამედ იმით გახარება, რის გაკეთებასაც გვთხოვს. მას ის უნდა ელაპარაკოთ, რაც რეალურად გაქვთ გულში და არა ის, რაც სწორად მიაგჩნიათ. საჭირო არ არის მის წინაშე ორპირობა. მომწონს დავითის სიტყვები:

> მას მიენდეთ ყოველჟამს, ხალხნო,
> *თქვენი გულები გადმოღვარეთ*
> *მის წინაშე*! ღმერთია ჩვენი
> თავშესაფარი. (ფს. 62:8, *ავტორისეული ხაზგასმა*)

აღმოვაჩინე, რომ უფალთან სრული გულწრფელობისას ის კიდევ უფრო მიახლოვდება. თუ რაიმეს ვფარავ, მეწინააღმდეგება და ლოცვა ამაოა. ძალიან ვიტანჯები, რადგან მასთან შეერთებული არ ვარ. იგი ეძებს ადამიანებს, რომლებიც მასთან ახლოს მივლენ გულის სიწრფელით და არა თავის მოკატუნებით. ზოგჯერ, როცა ადამიანებს ვაკვირდები და ვუსმენ, როგორ შესძახიან: „მადლობა იესო! ... ჰალელუია! ... დიდება ღმერთს!“, მაინტერესებს, „ქრისტიანულ ფრაზეოლოგიას“ იმეორებენ თუ გულის სიღრმიდან ლაპარაკობენ. ეს არაფრით განსხვავდება იმ ქმრის საქციელისგან, რომელიც ცოლს ზედაპირულად ეუბნება, „მიყვარხარ, ძვირფასო!“. მისი ნათქვამი ახლა სრულიად განსხვავებულია ნიშნობის პერიოდის ღრმა და წრფელი გულის ამოძახილისგან – „მიყვარხარ!“

ნამდვილი თაყვანისცემით ცხოვრება, რაც არის გულის სიღრმიდან მორჩილება, თაყვანისცემის გალობად იღვრება. ქრისტეს სხეულში არიან მამაკაცები და ქალები, რომლებიც დაჯილდოებულ არიან ქებისა და თაყვანისცემის საგალობლების წერის ნიჭით. ისინი თანამედროვე მეფსალმუნეები არიან. ზოგიერთი მათგანი ჭეშმარიტი თაყვანისცემისთვის დამახასიათებელი ცხოვრებით ცხოვრობს, ხოლო სხვები ხორციელები და შეგრძნებებზე ორიენტირებულები არიან. შინაგანად გაჭუჭყიანებულებს მაინც მოაქვთ საოცარი საგალობლები, რადგან ნიჭი აქვთ, მაგრამ გალობისას აკლიათ უფლის წმიდა თანდასწრება. წმიდებს ღვთის დიდებული თანდასწრება მოჰყვებათ, როცა უფალს და მის ხალხს გულით ემსახურებიან.

იესოს აღთქმა, რომ თავად გამოეცხადება

ღვთის თაყვანისცემა ჭეშმარიტებაში ნიშნავს მის თაყვანისცემას გულის სიწრფელით. ეს გახლავთ მისი მოშიშება და მოკრძალება ჭეშმარიტი გაგებით. მეფსალმუნე ამბობს:

> ნეტარია ხალხი, რომელიც სცნობს საზეიმო შეძახილს;
> შენი სახის სინათლეში ივლიან ისინი, უფალო! (ფს. 89:15)

ღმერთი ეძებს ადამიანებს, რომლებიც მისგან თაყვანისცემით ცხოვრების მოწოდებას მოისმენენ. ამის მოსწრაფე ხალხი მის თანდასწრებაში დადის. ისინი მას ძალზე ახლოს იცნობენ, რადგან თვითონ უცხადებს თავს. იესო ასე ამბობს:

> კიდევ ცოტაც და წუთისოფელი ვეღარ მიხილავს, თქვენ კი მიხილავთ; ... ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, ის არის ჩემი მოყვარული, ჩემს მოყვარულს კი მამაჩემიც შეიყვარებს; მეც შევიყვარებ მას და *მე თვითონ გამოვეცხადები*“ (იოან. 14:19-21, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ჭეშმარიტებით თაყვანისმცემელი ადამიანები არიან ისინი, ვისაც მისი მცნებები აქვთ და იცავენ მათ. გაიხსენეთ, რომ *გამოცხადება* ნიშნავს უხილავის სააშკარაოზე გამოტანას, უცნობის ნაცნობად ქცევას. New American Standard Bible- ში ხსენებული მუხლი ასეა წარმოდგენილი: „მეც შევიყვარებ მას და თავს გავაცნობ“. გაფართოებულ თარგმანში ვკითხულობთ:

> კიდევ ცოტა და ქვეყნიერება ვეღარ მიხილავს, მაგრამ თქვენ მიხილავთ ... ვისაც ჩემი მცნებები აქვს და იცავს მათ, [ნამდვილად] ვუყვარვარ; და ვისაც [ნამდვილად] ვუყვარვარ, მას მამაჩემიც შეიყვარებს. მეც შევიყვარებ და ჩემს თავს ვაჩვენებ (გავუცხადებ, გამოვუვლენ). *[ისე გავაკეთებ, რომ ნათლად მიხილონ და მათთვის რეალური გავხდები].* (იოან. 14:19,21, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ვინც უფალს ჭეშმარიტებაში სცემს თაყვანს, *ნამდვილად* იცნობს მას. ასეთები მისი ძვირფასი მეგობრები არიან და თავს უცხადებს მათ. ამან მოციქულები გააკვირვა და ერთ-ერთმა ასე ჰკითხა მას:

> იუდამ, არა ისკარიოტელმა, ჰკითხა: „უფალო, რას ნიშნავს, რომ ჩვენ გამოგვეცხადები და არა წუთისოფელს?“ მიუგო იესომ და უთხრა: „ვისაც [ნამდვილად] ვუყვარვარ, ის დაიცავს ჩემს სიტყვას – *დაემორჩილება ჩემს სწავლებას*

– და მამაჩემიც შეიყვარებს მას, ჩვენც მივალთ და მასში დავიდებთ ბინას (განსაკუთრებულ სამკვიდრებელს). ვისაც [სინამდვილეში] არ ვუყვარვარ, არ იცავს ჩემს სიტყვებს და არ ემორჩილება ჩემს მოძღვრებას. (იოან. 14:22-24, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ამგვარად, ეს ყველაფერი მორჩილებამდე დადის. გაიხსენეთ, თუ როგორ დაიქუხა ღმერთმა ჩემს გულში: „თაყვანისცემა ღვთის გულის სასურველისადმი მორჩილებაში ცხოვრებაა!“ როცა გულით გვიყვარს, ჩვენთან მოდის არა დასახედად, არამედ ბინის დასადებად, რომ თავი გაგვიცხადოს.

მრავალი ადამიანია დაჯილდოებული ნიჭით ღვთის სულისგან, მაგრამ მთელი გულით არ იცავენ ბატონის სიტყვებს. ესენი არიან ყველაზე ადვილად საცდუნებელი ადამიანები. ამის მიზეზია უფლის თანდასწრების შეგრძნება მათი ნიჭიერების დონემდე, როგორიცაა ქადაგება, სიმღერა, ლოცვა ან მსახურების სხვა რომელიმე ფორმა. ეს არაფრით განსხვავდება ბილყამის შემთხვევისგან, რომელსაც წინასწარმეტყველების დიდი ნიჭი ჰქონდა და ამის შედეგად უფლის თანდასწრებასაც განიცდიდა გარკვეულ დონეზე, როცა ამ ნიჭში მოქმედებდა, მაგრამ შორს იყო ღვთის გულისგან.

სიცრუე იმაში მდგომარეობას, რომ ასეთი ადამიანებისთვის მათ მსახურებაზე არსებული უფლის თანდასწრება, შეცდომით მასთან სიახლოვედ აღიქმება. იგივე წარმატებით, კარგი ადამიანის მიერ დაქირავებულმა მუშამ შეიძლება შეცდომით ჩათვალოს, რომ დამქირავებელს ძალიან ახლოს იცნობს, რახან ის ყოველდღე მოდის მის სამუშაო ადგილას. იცით, ეს არასწორი ვარაუდი იქნებოდა! იესომ თქვა, რომ ბევრი მისი მაღიარებელი მორწმუნე ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდება:

როცა სახლის პატრონი წამოდგება და კარს დაკეტავს, მაშინ თქვენ, გარეთ მდგომნი, დაიწყებთ კარზე კაკუნს და ეტყვით: უფალო, უფალო, გაგვიღე! მაგრამ ის პასუხად მოგიგებთ: არ გიცნობთ, საიდან ხართ! მაშინ ეტყვით: შენ წინაშე ვჭამდით და ვსვამდით, და ჩვენს ქუჩებში ასწავლიდი. მაგრამ ის მოგიგებთ: გეუბნებით,

> არ გიცნობთ, საიდან ხართ! გამშორდით, ყოველნო მოქმედნო უსამართლობისა! (ლუკ. 13:25-27, *ავტორისეული ხაზგასმა*)

თუ ამ მონაკვეთს მათეს აღწერას შეადარებთ (მათ. 7:21-23), ნახავთ, რომ გარეთ მდგომნი სწორედ ის ადამიანები არიან, რომლებიც იესოს სახელით სასწაულებს ახდენდნენ. ისინი ნიჭით იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ ნიჭის მოქმედებისას გამოვლინებული ღვთის თანდასწრება მასთან სიახლოვის დასტურად მიიჩნიეს. ალბათ, ხედავთ, მაღიარებელი მორწმუნეების გაოგნებას, რომლებიც თავს დებდნენ უფლის შეცნობაზე, მაგრამ სინამდვილეში ასე არ აღმოჩნდა. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ვიცოდეთ განსხვავება მის დამკვიდრებულ თანდასწრებასა და მსახურების თანმხლებ თანდასწრებას შორის.

ზემომოყვანილ მუხლში დააკვირდით იესოს პასუხს იუდას (არა ისკარიოტელის) მიმართ, რომ ჭეშმარიტებით თაყვანისმცემლები ისინი არიან, რომლებსაც უფალი ეძებს მათში დასამკვიდრებლად. აღსანიშნავია, რომ იგი მის დამკვიდრებულ თანდასწრებაზე ლაპარაკობს. ძალიან მომწონს მის მიერ გამოყენებული სიტყვები: *სახლი, ბინა, სამკვიდრებელი*. ამ სიტყვებში დევს მნიშვნელოვანი სხვაობა ძველი აღთქმისა და ახალი აღთქმის წმიდანებს შორის. ძველი აღთქმის წმიდანებს არ ჰქონდათ პრივილეგია, რომ ღვთის სამკვიდრებელი ყოფილიყვნენ. იმ დროს ღმერთი კარვის ან ტაძრის „წმიდათა წმიდაში“ იყო დავანებული. და მაინც, აქ გარკვეულ ანალოგიასაც ვხედავთ. ღვთის თანდასწრება იშვიათი და თითქმის შეუმჩნეველი იყო კარავში ყელის მსაჯულობისას, რადგან ხალხი ანგარებიანი გზებით დადიოდა. როცა ადამიანები გულმოდგინებით ემორჩილებოდნენ ღმერთს, მისი თანდასწრებაც ძლიერდებოდა.

დღესაც ასე ხდება. თუ მორწმუნეები სულით და ჭეშმარიტებით სცემენ თაყვანს ანუ ანთებული გულებით ემორჩილებიან, ღვთის დამკვიდრებულ თანდასწრებას განიცდიან. უფალიც სწორედ ასეთებს ირჩევს. ო, რა დიდებული მოზიარეობა გველოდება! როგორ შეუძლია რომელიმე მორწმუნეს, რომ

ითამაშოს დაუმორჩილებლობითა და ხორციელობით, როცა წინ ასეთი საგანძური გვაქვს?

იგი შეგვპირდა, რომ ბინას, სახლს და სამკვიდრებელს ჩვენში შეიქმნიდა და ამის გაკეთებით საკუთარ თავსაც გამოგვივლენდა, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში. ო, რა დიდებული დაპირებაა და ეს არ არის დადგენილი შორეული მომავლისთვის, არამედ აწმყოსთვის! ჩემი უსაყვარლესი სიტყვებია მთელ ბიბლიაში, რომ დიადმა მეფემ „თავის გაცხადება“ გადაწყვიტა პირადად გაცნობისთვის. სხვა თავებში სიხარულით აღმოვაჩენთ, თუ როგორ აკეთებს ამას. თუმცა მომდევნო თავში პირველად განვიხილავთ კიდევ ერთ არსებით და საჭირო თვისებას, რომელსაც იგი დასამკვიდრებელ ადამიანებში ეძებს.

კითხვები შესწავლისთვის

1. როცა დააკვირდებით ენოქის, ნოეს, აბრაჰამის, მოსეს, დავითის, ესთერის, დანიელისა და სხვების ცხოვრებას წმიდა წერილიდან, აღმოაჩენთ, რომ მათ საერთო მახასიათებელი ჰქონდათ – ღვთის სურვილების გულითადი მორჩილება საკუთარზე მეტად. რა მოხდება თქვენს ცხოვრებაში, როცა იგივე სახის მორჩილებას დღეს გამოიჩენთ?
2. როცა ავტორის, ცოტა არ იყოს, სასაცილო ნათქვამზე ფიქრობდით, „ქება-დიდება ჩქარი სიმღერებია, ხოლო თაყვანისცემა – ნელი“, თავი გააიგივეთ ამ შეფასებასთან? სიტყვა, რომელიც მან ბოლოს უფლისგან მიიღო, ასეთია: „ეს არის ცხოვრება“. რა ზეგავლენას მოახდენს ეს განცხადება თქვენი ცხოვრებისთვის საჭირო ცვლილებებზე?
3. როცა ფიქრობთ, რა თქვა იესომ ლუკ. 13:25-27-სა და მათ. 7:21-23-ში, როგორ აღწერთ განსხვავებას ღვთის დამკვიდრებულ თანდასწრებასა და საეკლესიო მსახურების თანმხლებ თანდასწრებას შორის?

თავი მეცხრე

ვისში ივანებს ღმერთი

ცათა სამეფოს ძალმოსილი წყვილია
უფლის შიში და *თავმდაბლობა.*

ამ თავში კიდევ ერთ ელემენტზე ვილაპარაკებთ, რომელიც აუცილებელია ჩვენთან გულითადი მოზიარეობის მსურველ ღმერთთან დაახლოებისთვის. ჩვენი წამყვანი მუხლი წმიდა წერილიდან ასე გვეუბნება: „ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ“. მოდით, გამოვიკვლიოთ, რას წავიკითხავთ ამ საოცარი მოპატიჟების წინ და შემდეგ!

> ამიტომაც ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“... ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. ... დამდაბლდით უფლის წინაშე და ის აგამაღლებთ თქვენ! (იაკ. 4:6-10, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ღვთის გულის ძახილი თავმდაბლობის ორ დარიგებას შორის არის მოქცეული; და ამას კარგი მიზეზი აქვს, რადგან ღმერთი ამბობს:

> სე ამბობს მაღალი და ამაღლებული, ის, ვინც მარადიულია და წმიდაა მისი სახელი: „მაღალ და წმიდა ადგილზე ვმკვიდრობ მე, თუმცა ტანჯულთან და *სულით მორჩილთან* ვარ, რათა გამოვაცოცხლო *თავმდაბალთა* სული და მწუხარეთა გული. (ეს. 57:15, *ავტორისეული ხაზგასმა*)

იაკობი ამბობს, რომ ღვთის წინაშე თავის დამდაბლების შემთხვევაში, ის აგვამაღლებს. სად აგვამაღლებს? ამას ღმერთი ესაია წინასწარმეტყველის მეშვეობით გვამცნობს: *მაღალ და წმიდა ადგილზე*! იგი ეძებს ადამიანებს, რომლებსაც კი არ ეწვევა, არამედ მათში დამკვიდრდება. იაკობი მოპატიჟება მონახულებაზე მეტს გულისხმობს. ღმერთი გვიწვევს, რომ განუწყვეტლივ მის თანდასწრებაში ვიყოთ და როგორც ესაია ამბობს, ეს მხოლოდ თავმდაბლებისთვის არის შესაძლებელი.

ჩვენი უმეცრება თავმდაბლობის შესახებ

ქრისტეს სხეულის ბევრ ასოს წარმოდგენა არ აქვს თავმდაბლობასა და მის ძალაზე. ისინი ამ თვისებას სისუსტედ, უნებისყოფობად, უნიათობად და რელიგიურობადაც კი მიიჩნევენ. და მაინც, ფაქტია, რომ ნამდვილად თავმდაბალ ადამიანს ხშირად შეცდომით ქედმაღლადაც თვლიან! გაიხსენეთ დავითი, როცა მამის თხოვნით უფროსი ძმების მოსანახულებლად მიდის, რომლებიც ფილისტიმელების წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდნენ. ის ადგილზე ჩადის და ამჩნევს, რომ მეომრები მისი ძმების ჩათვლით, უცნაურ საბრძოლო პოზიციაზე დგანან: ყველანი კლდეს ეფარებიან გოლიათის შიშით. დავითი იგებს, რომ ასე გრძელდება ორმოცი დღე. შემდეგ ის კაცებს ეკითხება არცთუ უწყინარი ტონით: „ვინ არის ეს წინადაუცვეთელი ფილისტიმელი, რომ ცოცხალი ღმერთის მხედრობას ლანძღავს?!“ (1 სამ. 17:26)

ეს აბრაზებს მის უფროს ძმას, ელიაბს. სავარაუდოდ, ის ასე ფიქრობს: *ჩემი უმცროსი ძმა არა მარტო უზრდელია, არამედ ამაყიც*. ამიტომ მიუბრუნდება დავითს და ეუბნება: „ვიცი შენი სიამაყისა და ბოროტი გულის ამბავი“. (1 სამ.

17:28, *ავტორისეული ხაზგასმა*). NIV ასე აღწერს: „ვიცი შენი თვითკმაყოფილების ამბავი“.

მოიცათ, ვინ არის ამაყი? სულ რაღაც ერთი თვის უკან წინასწარმეტყველი სამუელი იესეს ესტუმრა, რომ მომავალი მეფე ეცხო და ეს პირმშო ძმა დაიწუნა. იესეს და სამუელსაც ეგონათ, რომ სწორედ ელიაბი იქნებოდა არჩეული, როგორც ყველაზე მაღალი, ძლიერი და ჭკვიანი იესეს შვილებიდან, მაგრამ ღმერთმა მტკიცედ განაცხადა: „მე უარვყავი იგი“ (1 სამ. 16:7). ღმერთი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო უარყოფს ადამიანს და ეს სიამაყე გახლავთ. ამაყი ელიაბი იმაში სდებს დავითს ბრალს, რაშიც თავად სცოდავს, ხოლო ღმერთი დავითის თავმდაბლობით იკვეხნის და მისი გულის სანდომ კაცს უწოდებს (საქმ. 13:22). დავითი ძალზე შორს იყო სისუსტის, უნებისყოფობისა და უნიათობისგან.

ის ყურადღებას არ აქცევს ამ სიტყვიერ შეურაცხყოფას და გოლიათს დიდი გაბედულებით ხვდება იმის შესატყობინებლად, რომ მისი აღსასრული მოახლოვდა. შემდეგ ის მტრის ბანაკისკენ გარბის, გოლიათს კლავს და მისი მოკვეთილი თავით უკან ბრუნდება.

ნება მომეცით, კიდევ ერთი მაგალითით დაგარწმუნოთ, რაოდენ ხშირად ვცდებით თავმდაბლობის შეფასებაში. რიცხვთა წიგნი *ხუთწიგნეულად* წოდებულ ჯგუფში შედის და ერთ-ერთია ბიბლიის პირველი ხუთი წიგნიდან. მასში ვკითხულობთ:

> ყველაზე თავმდაბალი კაცი იყო მოსე დედამიწის ზურგზე. (რიცხვნი 12:3)

ოჰო, რა განაცხადია! გულწრფელად რომ ვთქვათ, გაგვიხარდებოდა, ეს რომ ჩვენზე ეთქვათ, მაგრამ თავად ამის მტკიცებას ვერ გავბედავდით! რატომ? მხოლოდ ამაყ ადამიანს შეუძლია ამის თქმა საკუთარ თავზე. ახლა, ვინ დაწერა რიცხვთა წიგნი? პასუხია: „მოსემ“. ოჰო!

არასოდეს ჩავთვლიდით ადამიანს თავმდაბლად, რომელიც საკუთარ თავზე ამბობს, თავმდაბალი ვარო, არათუ ყველაზე

თავმდაბლად დედამიწის ზურგზე! წარმოგიდგენიათ ქრისტიანულ კონფერენციაზე ხალხის წინაშე მდგარი მსახური, რომელიც ამბობს: „ყველას მოგმართავთ! მე თავმდაბალი კაცი ვარ და მინდა, იცოდეთ ამის შესახებ!“ ალბათ, მას აბუჩად აიგდებდნენ და დასცინებდნენ, თუმცა მოისმინეთ, რას ამბობს იესო:

> მოდით ჩემთან, ყოველნო მაშვრალნო და ტვირთმძიმენო, ... და *ისწავლეთ ჩემგან*, რადგან მშვიდი და გულით *თავმდაბალი* ვარ, და ჰპოვებთ თქვენი სულის სიმშვიდეს. (მათ. 11:28-29, *ავტორისეული ხაზგასმა*)

არსებითად, თავმდაბლობის სწორი მნიშვნელობა არ ვიცით. ჩვენი აზრით, საკუთარ თავზე ამის შესახებ არ უნდა ვილაპარაკოთ და უღირს ჭიაღუასავით ვიცხოვროთ, თუმცა ასეთი მიდგომა ძალზე შორს არის ჭეშმარიტებისგან.

თავმდაბლობის განსაზღვრება

თავმდაბლობას სამი მხარე აქვს. პირველია ჩვენი მორჩილება ღვთის წინაშე; მეორეა ჩვენი სრული დამოკიდებულება ღმერთზე და მესამე გახლავთ ჩვენი ხედვა საკუთარ თავზე. მოდით, მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი!

პირველი, ჩვენი მორჩილება; როგორც კი იაკობი თავმდაბლობაზე წერს, მაშინვე ამბობს: „ამრიგად, დაემორჩილეთ ღმერთს!“ (4:7). ეს მორჩილებასა და თავმდაბლობას ერთმანეთთან აკავშირებს. უფალი ყოველთვის აძლევს თავის ხალხს აღთქმებსა და გეგმებს. „მე ვიცი ზრახვანი, რაც თქვენზე განვიზრახე, ამბობს უფალი, სასიკეთო და არა საბოროტო ზრახვანი, რომ მომავალი და იმედი მოგცეთ“ (იერ. 29:11). ეს დაპირებები მისი ნებაა და მომავლის წინასწარმეტყველურ სურათს გვიხატავს. გულით გვწადია მათი შესრულება, რადგან სწორედ ღმერთი დებს ჩვენში ამ სურვილებს (იხილეთ ფს. 37:4). გულით ვავლებთ თვალს, თუ საით მივყავართ მას და ჩვენი გაგება ლოგიკურ

გზას განსაზღვრავს მის კვალზე სავალად. ისეც ხდება, რომ უფალი სულ სხვა მიმართულებას გვაძლევს, რომელიც ლოგიკას სრულიად ეწინააღმდეგება. ნამდვილი თავმდაბლობა აღიარებს, რომ ღვთიური სიბრძნე და მითითებები ჩვენსას ბევრად აღემატება და მორჩილებას არჩევს, თუნდაც გაუგებარ მდგომარეობაში იყოს. იგ. 3:5 ამბობს: „მთელი შენი გულით მიენდე უფალს და შენს გონიერებას ნუ დაეყრდნობი.“

აბრაჰამი წლები ელოდა დაპირებული ისაკის გამოჩენას. დრო გადიოდა და მისი ქორწინება და შვილების ყოლის შედეგი ლოგიკურად ვითარდებოდა. აბრაჰამს შეეძლო, თვალი გადაევლო მრავალთა მამად გახდომის დაპირებისთვის. თუმცა ღმერთმა ერთ ღამეს ყველაფერი შეცვალა, როცა მას სამი დღის სავალზე წასვლა და ისაკის შემოწირვა უბრძანა! ამას აზრი არ ჰქონდა! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ მისი შინაგანი ბრძოლა დასამორჩილებლად? ეს მითითება მეტისმეტად მტკივნეული იყო და აღთქმის გათვალისწინებით უაზროც კი ჩანდა! და მაინც, აბრაჰამმა მორჩილება არჩია, თუმცა ვერაფერი გაეგო.

ბიბლიაში კიდევ ბევრი მაგალითია, როცა ღმერთი ისეთ მითითებებს იძლევა ან გარემოებებს უშვებს, რომლებიც მთლიანად ეწინააღმდეგება მის მიერ ადრე ნაჩვენებს, მაგრამ თუ დავემორჩილებით, აღთქმა განუხრელად შესრულდება ჩვენი გაგების გარეშეც.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲦᲛᲔᲠᲗᲖᲔ

მეორე, თავმდაბლობა შეიძლება განისაზღვროს, როგორც სრული და საბოლოო დამოკიდებულება ღმერთზე. დავითი ამაყი ჩანდა, მაგრამ მან იცოდა, რომ ყოველგვარი უნარი ღვთისგან ჰქონდა მიღებული. ეს მისი სიტყვებია: „უფალი, რომელმაც ლომისა და დათვისგან მიხსნა, ამ ფილისტიმელისგანაც მიხსნის!“ (1 სამ. 17:37). მისი ძმები საკუთარ ძალას ეყრდნობოდნენ, რადგან დავითთან შედარებით უფროსებიც იყვნენ და ძლიერებიც. დავითის ძალა მის რწმენასა და მორჩილებაში გახლდათ.

იგივეს ვხედავთ ხალებისა და იეშუას შემთხვევაში. ისინი იმ თორმეტ წინამძღოლში შედიოდნენ, რომელიც აღთქმული მიწის

დასაზვერად გაგზავნეს. ორმოცი დღის შემდეგ დაბრუნდნენ და მოსესა და ისრაელიანებს ანგარიში წარუდგინეს. ათი წინამძღოლის სიტყვები ასეთი იყო: „მივედით იმ ქვეყანაში, სადაც მიგვავლინე, ნამდვილად მოედინება იქ რძე და თაფლი: აი, მისი ნაყოფები. მაგრამ ძლიერია ხალხი იმ ქვეყანაში რომ ცხოვრობს, ქალაქები ფრიად დიდია და გამაგრებული“ (რიცხვ. 13:27-28).

ამ კაცების ლაპარაკის შემდეგ მთელი ხალხი ახმაურდა. ხალებმა ხალხი დააწყნარა და მთელი სიმტკიცით შეაგონა. „წავიდეთ და დავიმკვიდროთ ის ქვეყანა, რადგან ძალგვიძს მათი ძლევა“ (მ. 30).

სხვა წინამძღოლებმა მაშინვე უკან დაიხიეს, „ვერ შევძლებთ იმ ხალხის წინააღმდეგ გასვლას, რადგან ჩვენზე ძლიერია იგი“ (მ. 31).

შემდეგ წმიდა წერილი გვეუბნება: „და თქვა მთელმა თემმა: „ქვებით ჩავქოლოთ ესენი!“ (რიცხვ. 14:10).

ამ ხალხის თვალში ხალები და იეშუა თავდაჯერებული და თვითკმაყოფილი ადამიანები იყვნენ. ის წინამძღოლები, რომლებმაც განაცხადეს, რომ ქვეყანას ვერ დაიპყრობდნენ, რეალისტები იყვნენ. მათ სიტუაცია აწონ-დაწონეს და მიხვდნენ, რომ ყოფილი მონებისთვის შეუძლებელი იქნებოდა ასე ძლიერ და გამაგრებული ქალაქების მფლობელ ქვეყანასთან გამკლავება. ბოლოს და ბოლოს, ისინი ხომ თავიანთ ცოლ-შვილს იცავდნენ (იხილეთ რიცხვ. 14:3). ათი ლიდერი თავმდაბალი და ერზე მზრუნველი ხალხი ჩანდა, რაც უხუცესებისა და სუსტების დაცვასაც მოიაზრებდა, ხალები და იეშუა თავიანთ თავზე დიდი წარმოდგენის მქონე ადამიანებად გამოჩნდნენ, რომელთაც უმწეოთა კეთილდღეობა არ აღელვებდათ.

და მაინც, მოისმინეთ, საიდან მოდიოდა მათი გაბედულება: „ოღონდ ნუ ამბოხდებით უფლის წინააღმდეგ და იმ ქვეყნის ხალხისა ნუ გეშინიათ, რადგან ჩვენი ნადავლია იგი! ვინაიდან განერიდა მათ მფარველი, ჩვენს შორის კი თავად უფალია, ნუ გეშინიათ!“ (რიცხვ. 14:9). იეშუა და ხალები სრულად იყვნენ დანდობილი ღვთის ძალაზე და არა საკუთარ შეძლებაზე. მათ იცოდნენ, რომ აღთქმული მიწის დაპყრობა უზენაესის ნება იყო. შესაძლოა, თვითკმაყოფილებიც ჩანდნენ, მაგრამ

სხვა წინამძღოლები რეალისტები იყვნენ. სწორედ ღმერთმა გამოაცალკევა თავმდაბლები ამაყებისგან.

თავმდაბლობა ანუ ღვთის მადლზე სრული დანდობა პავლეს ცხოვრებაში ჩანს. იგი ასე ამბობს თავის თავზე:

> არა იმიტომ, რომ საკუთარ თავებს ვთვლით რამის შემ-ძლეებად, არამედ იმიტომ, რომ ღვთის მიერ არის ჩვენი შემძლეობა; (2 კორ. 3:5)

და ისევ:

> და მითხრა: „საკმარისია შენთვის ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა“. ამიტომ უფრო ხალისით დავიკვეხნი ჩემს უძლურებებში, რათა ქრისტეს ძალა დამკვიდრდეს ჩემში! (2 კორ. 12:9-10)

ეს თვისება თანდათან ვითარდებოდა პავლეს ცხოვრებაში; რაც უფრო დიდხანს ცხოვრობდა, მით მეტად დამოკიდებული ხდებოდა ღვთის მადლზე და ნაკლებად ენდობოდა საკუთარ ძალას, ნიჭსა და უნარს. რაც უფრო დაიცარიელებდა თავს ქრისტეს დასამორჩილებლად, მით მეტად გაბედული და მტკიცე გახდებოდა თავის გადაწყვეტილებაში, რომ ქრისტე განედიდებინა.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲕᲮᲔᲓᲐᲕᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ?

ამას თავმდაბლობის მესამე ასპექტამდე მივყავართ, თუ როგორ ვხედავთ საკუთარ თავს. როცა პავლემ ხსნა მიიღო, თავი დაიმდაბლა და ყველა თავისი მიღწევა და სტატუსი უარყო, რაც ქრისტესთან შეხვედრამდე ჰქონდა. ამ ყველაფერს ნაგავი უწოდა. მრავალი ადამიანისთვის ძნელი როდია ქრისტემდე ცხოვრების ნაგვად ჩათვლა.

და მაინც, რას იტყვით იმ მიღწევებზე, რომლებიც ქრისტეში გვაქვს გადარჩენის შემდეგ? ეს ხშირად სრულიად განსხვავებული ისტორია ხდება. ამ ღვაწლის შესახებ პავლე ასე

აცხადებს: „ძმებო, არ მიმაჩნია, რომ უკვე მივაღწიე, არამედ ერთს ვაკეთებ - ვივიწყებ, რაც უკან დარჩა *[რაც ღმერთმა მის ცხოვრებაში გააკეთა გადარჩენის შემდეგ]* და იმას ველტვი, რაც ჩემს წინაა“ (ფილ. 3:13, *ავტორისეული ხაზგასმა*).

მოქცევიდან წლების შემდეგ პავლე მოციქულად აკურთხეს (იხილეთ საქმ. 13:1-4). მას უხვდა მიეცა სულიერი გამოცხადებები და სიბრძნე, რაც კიდევ უფრო მეტის მიღწევის შესაძლებლობას უქმნიდა. მან დააფუძნა ეკლესიები მთელ აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში. მის თავმდაბლობაზე ჩვ. წ.-ით 56 წელს შეიძლება ვიმსჯელოთ კორინთოს ახალდანერგილი ეკლესიისადმი გაგზავნილი წერილით. სიკვდილამდე მხოლოდ ათი წელი ჰქონდა დარჩენილი იესოს მსახურების ხანდაზმულ ვეტერანს. და მაინც, მოუსმინეთ მის სიტყვებს:

> უმცირესი ვარ მოციქულთა შორის და მოციქულად წოდების ღირსიც არა ვარ. (1 კორ. 15:9)

ხედავთ თავმდაბლობას მის სიტყვებში? მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ცრუ თავმდაბლობა. ყალბმა თავმდაბლობამ იცის, როგორ გამოიყენოს პოლიტკორექტული სიტყვები, რომ თავი თავმდაბლად მოგაჩვენოთ, თუმცა ეს თვისება არ არის ასეთის გულსა და გონებაში. ის მატყუარა და ცრუა. თუმცა სულიწმიდის შთაგონებით დაწერილ წერილში ვერ იცრუებთ! პავლეს ამის დაწერის უფლება არ მიეცემოდა, მართლა ასე რომ არ დაენახა საკუთარი თავი. ამრიგად, როცა თავს მოციქულთა შორის უმცირესი უწოდა, ეს არ გახლდათ საზოგადოებისთვის მისაღები ენა, არამედ ნამდვილი თავმდაბლობა.

მოდით, პავლეს სხვა განცხადებას გადავხედოთ! – „ყველა მათგანზე მეტი ვიშრომე“ (1 კორ. 15:10). ვინ არის ყველა? პასუხია, დანარჩენი მოციქულები! მოიცათ, ნუთუ პავლე ტრაბახობს? ისე ჩანს, თითქოს აქ გულწრფელი არაა და იმას არ ამბობს, რასაც ფიქრობს. როგორ შეეძლო ეთქვა, რომ ყველა სხვა მოციქულზე უმცირესია და შემდეგ ეს დაეყოლებინა? – „ყველა მათგანზე მეტი ვიშრომე“. მისი სიტყვები სიამაყედ მოგეჩვენებათ, თუ პირველ ნათქვამში სხვა რამეს გულისხმობდა, მაგრამ სინამდვილეში საქმე ასე

არ გახლავთ. ის წინ უძღვის პავლეს დამოკიდებულების სხვა განაცხადს:

> არა მე, არამედ ღვთის მადლმა, რომელიც ჩემთანაა. (1 კორ. 15:10)

იგი მიჰყვებოდა თავის, როგორც ყველაზე მცირის შეფასებას იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერს ღვთის მადლით აკეთებდა. მან შეძლო საკუთარი თავის გამოცალკევება მისი მიღწევებისგან; ის სრულად აცნობიერებდა, რომ ყველაფერი, რაც გაუკეთებია, მასში მოქმედი ღვთიური უნარის მეშვეობით ხორციელდებოდა.

პავლეს თვითშეფასება, რომ „მოციქულთა შორის უმცირესი“ იყო, ძნელი გასაგებია. ის ერთ-ერთ უდიდეს მოციქულად არის მიჩნეული მისი ცხოვრების წლებში და ეკლესიის ისტორიის მანძილზე. ახლა ვიფიქროთ, რა უთხრა პავლემ ეფესელებს შვიდი წლის შემდეგ ჩვ. წ.-ით 63 წელს, სიკვდილამდე სამი თუ ოთხი წლით ადრე. კორინთელებისადმი წერილის მიწერის შემდეგ შვიდი წელი გავიდა. მან ამ ხნის მანძილზე კიდევ ბევრი რამ გააკეთა. აი, როგორც აღწერს საკუთარ თავს:

> მე, ყველა წმიდას შორის უმცირესს, მომეცა ეს მადლი, რათა წარმართთათვის მეხარებინა ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრე (ეფეს. 3:8, *ავტორისეული ხაზგასმა*)

შვიდი წლის წინ მან თავს „უმცირესი მოციქული“ უწოდა და ახლა საკუთარ თავს ასე აღწერს: „ყველა წმიდას შორის უმცირესი“. რა?! თუ ვინმეს კვეხნა შეეძლო, ეს სწორედ პავლე იქნებოდა და გახსოვდეთ, რომ წმიდა წერილის წერისას მოტყუება გამორიცხული იყო. ვერაფრით დაწერდით რელიგიურად გამართლებული ენით. ის მართლა ასე ფიქრობდა საკუთარ თავზე!

ამ საკითხში მისი შინაგანი აღქმა კიდევ უფრო ვითარდებოდა და ვხედავთ, რას წერს ტიმოთეს სიკვდილის წინ:

ქრისტე იესო მოვიდა ქვეყნიერებაზე ცოდვილთა გადასარჩენად, რომელთა შორის პირველი მე ვარ. (1 ტიმ.1:15)

არა მარტო უმცირეს მოციქულად ან თუნდაც უმცირეს წმიდანად ხედავს თავს პავლე, არამედ – ცოდვილთაგან უმცირესად. ყურადღება მიაქციეთ, რომ მას არ უთქვამს, „პირველი ვიყავი“. ის ახლაა „პირველი“ ცოდვილთა შორის. და ეს ის კაცია, რომელმაც ქრისტეში სრულიად ახალი ქმნილების გამოცხადება მიიღო; ძველმა განვლო, ახლა ყოველივე ახალია! (იხილეთ 2 კორ. 5:17). მისი თვალთახედვიდან არასოდეს გამქრალა, თუ რაოდენ დიდი იყო მხსნელისთვის გადასახდელი ვალი.

რაც მეტად მსახურობდა პავლე, მით ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა საკუთარ თავზე, რადგან მისი თავმდაბლობა პროგრესულად ვითარდებოდა. იქნებ ეს არის მიზეზი, რომ ღვთის მადლი ასაკის მატების პროპორციულად იზრდებოდა მასში? იაკობი გვეუბნება, რომ ღმერთი „მადლს ანიჭებს თავმდაბლებს“ (იაკ. 4:6). შეიძლება ეს იყოს მიზეზი, რის გამოც ღმერთი ასეთ სიახლოვეში უმხელდა პავლეს თავის გზებს, რაც პეტრეს ძალიან აფიქრიანებდა? ღმერთი ესაის პირით ამბობს, რომ თავმდაბლებს კი არ მოინახულებს, არამედ მათში დამკვიდრდება. როცა მასში ვმკვიდრდებით, ისიც გვიახლოვდება.

ძალმოსილი წყვილი

ახლა იმ ადგილამდე მივედით, სადაც ცათა სამეფოს ძალმოსილ წყვილს შევხვდებით; ესენია *უფლის შიში* და *თავმდაბლობა*. გაიხსენეთ, რომ წინა თავებში საფუძვლიანად განვიხილეთ, რომ უფლის შიში ღვთის სიღრმისეულად შემეცნების საწყისია. ახლა ვხედავთ, რომ იგივე ხდება თავმდაბლობის შემთხვევაში. მეფსალმუნე აცხადებს:

თავმდაბალთ სამართალში მიუძღვის და თავის *გზას* ასწავლის მორჩილთ. (ფს. 25:9, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ღმერთი თავმდაბალს თავის გზას უცხადებს და სულ რაღაც, რამდენიმე მუხლის შემდეგ ვპოულობთ:

> ვინ არის კაცი *მოშიში უფლისა*? მას უჩვენებს *გზას*, რომელიც უნდა აირჩიოს. (ფს. 25:12, *ავტორისეული ხაზგასმა*)

არსებითად, უფლის მოშიშები ნამდვილად თავმდაბლები არიან, ხოლო ნამდვილად თავმდაბლებს უფლის ეშინიათ. გაიხსენეთ, რომ მოსემ ღვთის გზები იცოდა, ხოლო ისრაელი იმით იცნობდა ღმერთს, თუ როგორ პასუხობდა მის ლოცვებს, რაც უფლის საქმეები გახლდათ. მოსეს ღვთისაც ეშინოდა და თავმდაბალიც იყო. ხედავთ კავშირს? ისრაელს აკლდა როგორც ღვთის შიში (2 რჯ. 5:29), ისე თავმდაბლობა (რაც ზემოთ იეშუასა და ხალების მაგალითზე დავინახეთ).

მეფსალმუნე თითქმის მოუშორებლად აკავშირებს უფლის შიშსა და თავმდაბლობას. ამას არაერთხელ ვხედავთ წმიდა წერილში. ერთი მაგალითი ეს იქნება:

> *უფლის შიში* სიბრძნეს ასწავლის კაცს; და დიდებას წინ *მორჩილება* უსწრებს. (იგ. 15:33, *ავტორისეული ხაზგასმა*)

სიბნელის სამეფოსაც აქვს თავისი ძალმოსილი წყვილი. ისინი *უფლის შიშისა* და *თავმდაბლობის* სრულიად საწინააღმდეგოა. ეს გახლავთ *ამბოხება* და *სიამაყე*. მათ დაპირისპირებას იგავთა წიგნში ვხედავთ:

> *თავმდაბლობის* და *უფლის შიშის* საზღაური: სიმდიდრე, პატივი და სიცოცხლეა. *უკუღმართს* (ინგ. AMP: *ჯიუტს და თავნებას*) გზაზე ეკლები და ხაფანგები ხვდება, ის კი, ვინც საკუთარ თავს უფრთხილდება, შორს უვლის მათ. (იგავ. 22:4-5, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ხედავთ, როგორ არის დაკავშირებული თავმდაბლობა და უფლის შიში და შედარებულია სიამაყესა და ამბოხებასთან? იესომ რომელიმე ადამიანზე ან ანგელოზზე მეტად დაიმდაბლა თავი, ამიტომ ღმერთმა სხვებზე მეტად აღამაღლა იგი (იხილეთ ფილ. 2:8-9). იგი სხვა სათნოებებზე მეტად უფლის შიშით ხარობდა და ღვთის სულიც მასთან და მასზე იყო განუზომლად (იხილეთ ეს. 11:2-3; იოან. 3:24).

ამის საპირისპიროდ, ლუციფერი, რომელიც ცხებული ქერუბი გახლდათ და სატანის სახელითაა ცნობილი, გულით გაამაყდა და ამბოხდა მის წინ და შემდეგ არსებულ ნებისმიერ ქმნილებაზე მეტად. ამრიგად, იგი ჩამოგდებულ იქნა „ქვესკნელში, შავეთის ჯურღმულებში“ (იხილეთ ეზეკ. 28:14-17; ეს. 14:12-15).

გაითვალისწინეთ, რომ წმიდა წერილი არაერთხელ გვაჩვენებს ღვთის სამკვიდრებელს მაღალ ადგილებში, ხოლო დემონური ძალების სამკვიდრებელი უმდაბლეს ადგილებშია. ბიბლიაში მრავლად ნახავთ მუხლებს, სადაც სიამაყე და ამბოხება სიმდაბლესთან იგივდება, ხოლო თავმდაბლობა და უფლის შიში – სიმაღლესთან. ამაღლება ნიშნავს ღმერთთან ძალზე ახლოს დამკვიდრებას!

ვის ეძებს ღმერთი?

ღმერთი ამპარტავნებსა და მეამბოხეებს ეწინააღმდეგება (იაკ. 4:6), მაგრამ იზიდავს მისი მოშიშები – ნამდვილად თავმდაბალი ადამიანები. ძველ აღთქმაში იყო ხალხის ჯგუფი, რომელიც ღმერთს წმიდა წერილის მითითებისამებრ ემსახურებოდა და თაყვანს სცემდა. მათ მოჰქონდათ კრავი და ხარი მსხვერპლად, საკმეველი – წმიდაში და მარცვლეული შესაწირი. და მაინც, ღმერთმა უთხრა, რომ მათი მსხვერპლები ისეთივე იყო, თითქოს კაცი დაეკლათ; მათი შესაწირი ღორის სისხლის შეწირვას ჰგავდა, ხოლო საკმეველი, რომელიც ლოცვისა და ქების პირველსახეა, კერპების კურთხევას დაემსგავსა! შემდეგ მათ ასეთ რამეს ეუბნება:

> მეც ავარჩევ მათთვის სასჯელებს და რისიც ეშინიათ, იმას მოვუვლენ, რადგან ვეძახდი და არ იყო პასუხის გამცემი, ვლაპარაკობდი და არავის ესმოდა, ბოროტებას სჩადიოდნენ ჩემს თვალში და რაც არ მახარებდა, იმას ირჩევდნენ!“ (ეს. 66:4)

რა არ ახარებდა უფალს? მსხვერპლები, რომლებსაც მორჩილება არ ახლდა! (იხილეთ 1 სამ. 15:22). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თაყვანისცემის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ღვთის შიშისგან დაცლილი იყო.

უფალი მაგრად დაჰკრავს ამ „თაყვანისცემლებს“. ფეხები მოეკვეთებათ. წარმოგიდგენიათ იმ ადამიანების ელდა? ისინი ფიქრობენ, რომ ღმერთს ემსახურებიან და თაყვანს სცემენ, სინამდვილეში კი აღმოაჩენენ, რომ უფალს განიზიდავს მათი თაყვანისცემა. რაც შეეხება ღვთის ერს, იგი არასოდეს დაფუძნდება იქ, სადაც დანერგვა არ სურს და არასოდეს დაანგრევს იქ, სადაც აშენებას არ იზრახავს. ამრიგად, უფალი გვამხნევებს და გვეუბნება, რაც იზიდავს მას:

> აი, ვის მივაპყრობ მზერას: თავმდაბალს და სულით მოდრეკილს, ჩემს სიტყვაზე რომ თრთის. (ეს. 66:2)

„მიპყრობის“ ებრაული შესატყვისი გახლავთ *ნაბათ*. სტრონგის ლექსიკონი ასე განსაზღვრავს ამ სიტყვას: „ყურადღებით დაკვირვება; კავშირშია სიამოვნებასთან, კეთილგანწყობასა და ზრუნვასთან.“ არსებითად, ღმერთი ამბობს: „ეს არის პიროვნება, რომელსაც სიამით და კეთილგანწყობით ვუყურებ და ყურადღებით ვაკვირდები“. უფრო მარტივად რომ გადმოვცეთ, იგი გვეუბნება: „ამ ადამიანს ვუთვალთვალებ და მივყვები“. ტომი ტენის, თანამედროვე ავტორსა და მასწავლებელს აქვს წიგნი, რომელსაც ჩემი აზრით საუკეთესო სათაური აქვს ჩვენი თაობისთვის – *ღვთის მდევრები*. ეს სრულყოფილად აღწერს იმ ადამიანთა გულებს, რომელთაც ღმერთი უყვართ. ერთია, მიჰყვებოდე ღმერთს და სრულიად სხვაა, როცა ღმერთი მოგყვება! და მაინც, ღმერთი სწორედ ამას ამბობს.

გავიხსენოთ დავითი! ღმერთი მითითებას აძლევს ისრაელის მთავარ წინასწარმეტყველს, სამუელს, რომ იესეს სახლს ესტუმროს. სამუელი ეწინააღმდეგება საულის შიშის გამო. ღმერთი მაინც გზავნის იქ, ვინაიდან იესეს ერთ-ერთ შვილს მიჰყვება. წინასწარმეტყველი მასპინძლის ყველა უფროს ძეს ათვალიერებს და ბოლოს უფალი მოკლედ ეუბნება მას: „არა სამუელ, უფროსი ვაჟები კი არა, ის პატარა გარუჯული ბიჭი, რომელიც მინდორში ფარას მწყემსავს; ზუსტად მას ვეძებ!“ (ავტორის პარაფრაზი).

რატომ მიჰყვებოდა ღმერთი დავითს და არა მის უფროს ძმებს ან საერთოდ ვინმეს ისრაელში? პასუხი ზემოხსენებულ მუხლშია. იგი კეთილგანწყობით უყურებს და კვალდაკვალ მიჰყვება თავმდაბალს, სულით მორჩილს, რომელიც თრთის მისი სიტყვის წინაშე. სულით მოდრეკილები არიან ადამიანები, რომლებიც სწრაფად ინანიებენ, რომ განაახლონ ღვთიური ძალაუფლების მორჩილებისადმი თავის მიძღვნა. ბიბლიის სხვა თარგმანი ამბობს: „სიამეს მანიჭებენ თავმდაბლები და მონანიენი, რომელთაც ჩემი შიში აქვთ და მემორჩილებიან“ (TEV). მოდრეკილი სული ნამდვილი თავმდაბლობისა და უფლის შიშის კიდევ ერთი ფორმაა. არსებითად, უფალი გვეუბნება, რომ თავმდაბლებსა და მის მოშიშებს ეძებს, რომლებიც ცათა სამეფოს ძალმოსილი წყვილის სათნოებაში დადიან! სწორედ ამიტომ გვეუბნება წერილი:

> დამცინავთ დასცინის, თავმდაბალთ კი მადლს ანიჭებს. (იგ. 3:34)

და კიდევ:

> რაოდენ დიდია სიკეთე შენი, რომელსაც შენს მოშიშთათვის ინახავ ... შენ იფარავ მათ შენი პირის საფარველქვეშ. (ფს. 31:19-20)

სწორედ ამიტომ გვეუბნება ახალი აღთქმა: „თავმდაბლობა შეიმოსეთ!“ (1 პეტრ. 5:5) და „მოშიშებით გაატარეთ თქვენი ხიზნობის დრო!“ (1 პეტრ. 1:17). ღმერთი, წმიდა სული ამ სიტყვებით შეგვაგონებს პეტრეს მეშვეობით, რომ მასთან

ტკბილ მოზიარეობაში შევიდეთ, რაც გულით სურს ჩვენთვის, მისი ძვირფასი შვილებისთვის.

არჩევანი ჩვენზეა. ღმერთმა გზა მოგვიმზადა, რომ მასთან ერთად იაროს და ამისთვის საჭირო მადლიც მოგვცა. რა შესანიშნავ ღმერთსა და მამას ვემსახურებით! ახლა ჩვენზეა, რომ მოვისმინოთ და მივყვეთ მასთან დაახლოების მოწოდებას, სადაც ის თავს გაგვიცხადებს. მომდევნო რამდენიმე თავში ვიმსჯელებთ, თუ როგორ აკეთებს ამას!

კითხვები შესწავლისთვის

1. ამ თავში გამოითქვა მოსაზრება, რომ თავმდაბლობა შეცდომით არის გაგებული, როგორც სისუსტე, უნებისყოფობა და უნიათობა, სინამდვილეში კი ნამდვილად თავმდაბალ ადამიანებს ამაყებად თვლიან. როცა ამაზე ფიქრობთ, შეგიძლიათ იმ პიროვნებების გახსენება, რომლებიც ამაყები გეგონათ, მაგრამ საკმაოდ თავმდაბლები აღმოჩდნენ? თუ ასეა, რა ისწავლეთ იმ არასწორი შეფასებიდან?
2. იფიქრეთ თავმდაბლობის სამ ასპექტზე – ღვთის მორჩილებაზე, მასზე სრულ დამოკიდებულებასა და საკუთარი თავის შეფასებაზე. თითოეული მათგანისთვის მოიყვანეთ შესაბამისი მუხლი. ამ სამიდან თქვენთვის ყველაზე რთულის აღიარება რომ მოგიწიოთ, რომელი იქნებოდა?
3. ესაიას 66-ე თავში ხალხის ჯგუფი ღმერთს ემსახურება და თაყვანს სცემს რჯულის თანახმად – მოაქვთ სათანადო მსხვერპლები, სათანადო საკმეველი და სხვა შესაწირები. და მაინც, უფალს არ სიამოვნებს მათი თაყვანისცემა, რადგან მორჩილებას არ იჩენენ. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ჩვენი თაყვანისცემა ღვთისთვის უსიამო, თუნდაც მას ნიჭიერი, ცხებული წინამძღოლები წარმართავდნენ?

თავი მეათე

სულიწმიდასთან სიახლოვე

დარწმუნებული ვარ, რომ სულიწმიდა ერთ-ერთი ყველაზე მეტად უგულებელყოფილი პიროვნებაა ეკლესიაში.

ახლა მივაღწიეთ წიგნის იმ ნაწილს, რომელზე მსჯელობასაც მოუთმენლად ველოდი. რეალურად, როგორ გვიახლოვებს ღმერთი? უპირველესად, მინდა ხაზგასმით გავიმეორო, რომ მას გაცილებით ძლიერად სურს ეს, ვიდრე თქვენ. გაიხსენეთ მოსეს სიტყვები: „ვინაიდან ეჭვიანია უფლის სახელი და ეჭვიანია იგი“ (გამ. 34:14).

ამას წინათ ლოცვაში ჩავიძირე და სანამ სრულად გავაცნობიერებდი, რას ვამბობდი, შევძახე: „უფალო, თუ არ შემიძლია ძალზე ახლოს ვიყო შენთან დედამიწაზე, ზეცაში წამიყვანე!“ მუხლები მიკანკალებდა, რადგან ჩემი სიტყვები გულის სიღრმიდან მოდიოდა. ვიცოდი, რომ სწორედ იმას ვგულისხმობდი, რასაც ვამბობდი, თუმცა ჩემმა გონებამ მაშინვე

წამოიყვირა: „რა ითხოვე ახლა?“ ჩემმა საღმა აზროვნებამ ეჭვი შეიტანა, შემეძლო თუ არა ამ საკითხის თხოვნა.

რამდენიმე საათის შემდეგ თვითმფრინავში ვიჯექი, რომელიც არიზონას შტატში, ფენიქსის რეისს ასრულებდა. ჩანთიდან ბიბლია ამოვიღე და გაუცნობიერებლად გადავშალე. პირველივე მუხლი, რომელიც თვალში მომხვდა, ასეთი იყო:

> შენ მოგიხმობ უფალო, სიმაგრევ ჩემო!
> ნუ დადუმდები! ვაი, თუ დადუმდე და
> საფლავში ჩასულს დავემგვანო!
> (ფს. 28:1)

კინაღამ წამოვხტი ჩემი ადგილიდან. რა შანსი არსებობდა იმისა, რომ შემთხვევით მიმეგნო ხსენებული მუხლისთვის? ის სწორედ იმ საკითხს პასუხობდა, რომლითაც რამდენიმე საათის წინ დავინტერესდი. ვიცოდი, რომ ეს ღვთისგან იყო, რადგან ჩემი გული სიხარულით ხტოდა.

დავითი ამბობს, რომ ჯოჯოხეთისკენ მიმავალი ცოდვილისგან არაფრით განვსხვავდებით, თუ ღმერთი არ გველაპარაკება. *New Living Translation* ყოველთვის თან დამაქვს, ამიტომ გადავშალე და ჩავხედე: „თუ დადუმდები, მეც დავნებდები და მოვკვდები“. ეს ზუსტად ის იყო, რაზეც ღმერთს შევევედრე. მრავალჯერ წამიკითხავს ეს ადგილი, მაგრამ ამ კუთხით ადრე არასოდეს დამინახია.

მყისვე გავიაზრე, რომ ღვთის ნების საწინააღმდეგოდ არ მილოცია, არამედ წმიდა სული დამეხმარა. ამან კიდევ ერთ-ხელ დამიდასტურა, რომ ღმერთს არ სურს, ჩუმად იყოს ჩვენ-თან; მას გულით სწადია კომუნიკაციის დამყარება. დავითის კალამს ეკუთვნის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ადგილი წმიდა წერილიდან:

> შენ უთხარი ჩემს გულს: ეძიეთ ჩემი სახე! შენს სახეს
> მოვძებნი, უფალო! (ფს. 27:8)

გესმით ღვთის გულის ამოძახილი? იგი ყველას გვეპატიჟება: „ახლოს მოდით, თქვენთან კომუნიკაცია მსურს, ჩემი გულისნადები მინდა გაგიმხილოთ და საოცარი საიდუმლოებები გაგანდოთ, რაც აქამდე არ იცოდით!“ ყოველი მორწმუნის ცხოვრებას უნდა ახასიათებდეს „ღმერთთან ახლოს მისვლა“ და თუ ასე მოვიქცევით, პირობას გვაძლევს, რომ „ისიც მოგვიახლოვდება“. სიახლოვის დონეს ჩვენ განვსაზღვრავთ და არა უფალი. მან უკვე გაგვიღო თავისი პირადი ოთახის კარი. იგი გველოდება და გვეძახის, რომ შევიდეთ. პასუხი ჩვენზეა. რაც უფრო მეტად მივუახლოვდებით, მით მეტად გაგვიცხადებს თავს და საკუთარ სურვილებს. და მაინც, გადახედეთ იაკობის სიტყვებს, ამ დიდი მოწოდების წინ რომ თქვა:

> ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი?“ (იაკ. 4:5)

სულს ჩვენთან ერთობა სწადია მთელი დაშურებით. ბოლო რამდენიმე თავში ვნახეთ, რომ უფალს გასაყოფი არაფერი აქვს ამქვეყნიურ ანგარებიან გულისთქმებთან. ამ მიზეზით ამბობს იაკობი: „განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა? ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება!“ (იაკ. 4:4). ეს არაფრით განსხვავდება ვითარებისგან, როცა ცოლი მოღალატე ქმარს ეუბნება: „შეუძლებელია, შენს გვერდით ვიყო შენს საყვარელთან ერთად; ამიტომ ამოირჩიე! თუ მას ამჯობინებ, ამით მე უარმყოფ და სახლიდან წავალ.“ უფალსაც ასეთი დამოკიდებულება აქვს. იგი ქვყნიერებას არ გაუყოფს ჩვენს თავს. უფალი უნდა იყოს ჩვენი გულის წადილი, თორემ საკუთარ თავს არ გაგვიცხადებს.

დაშურებით სწადია ჩვენში დავანებულ სულს

ადრე ვრცლად განვიხილეთ, თუ როგორ სწადია მას, მაგრამ ახლა ყურადღებას გავამახვილებთ სიტყვაზე *სული*. ყველაზე მნიშვნელოვანია, რაზეც წმიდა წერილი გვეუბნება: „შურს იწვევს ჩვენში დავანებული სულის წადილი ...“ ყურადღება

მიაქციეთ, რომ ის არ ამბობს: „ჩვენში დავანებული იესოს წადილი ...“. იესო აქ არ არის დედამიწაზე. იგი დიდების მარჯვნივ ზის სიმაღლეებში და ასე გრძელდება უკვე ორი ათასი წელია. იესოს ამაღლების დღეს ანგელოზებმა მის მოწაფეებს უთხრეს: „გალილეველო კაცებო, რას დგახართ და შეჰყურებთ ზეცას?! ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, ისევ მოვა იმგვარადვე, როგორც იხილეთ ზეცად აღმავალი“. (საქმ. 1:11) იგი ფიზიკურად ამაღლდა და თვალს მიეფარა. მისი უკან დაბრუნების აღთქმა გვაქვს ისევე, როგორც ზეცად ამაღლდა.

ახლა არასწორად არ გამიგოთ. ჩვენს ძვირფას მხსნელ იესოსაც სწადია ჩვენთან ურთიერთობა, მაგრამ მისი ამაღლებიდან მალევე მოვიდა წმიდა სული, რომელიც დღემდე ჩვენს შორისაა და ზემოხსენებულ მუხლში განსაზღვრული კონკრეტული პიროვნება გახლავთ ღმერთში. და მაინც, იგი მრავალმხრივ უგულებელყოფილია მათ მიერ, ვინც იესოს სახელს მოუხმობს. ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ სულიწმიდა ერთ-ერთი ყველაზე მეტად უარყოფილი პიროვნებაა ეკლესიაში. იფიქრეთ ამაზე! ბევრჯერ ყოფილა, რომ მანქანაში სხვა ადამიანთან ერთად მჯდომს მისთვის ხმა არ გაგიციათ მთელი მგზავრობის მანძილზე? თუმცა სულიწმიდასთან სწორედ ასე ვიქცევით. ავტომობილის მართვისას ვფიქრობთ იმ დღეზე, ვუსმენთ ქრისტიანულ მუსიკას ან რადიოგადაცემას და ხშირად არც კი ვაცნობიერებთ, რომ ის ჩვენს გვერდითაა. ვერ ვიაზრებთ მის თანამგზავრობას სახლში, ოფისში და უამრავ სხვა ადგილას, რომელიც ჩვენს დროს იკავებს; თუმცა კარგად თუ ჩავეძიებით, ვაღიარებთ მის არსებობას და ჩვენს გულებში მის დავანებას.

სულიწმიდაზე ჩვენი შეხედულება

მისი თანდასწრებისა და კომპანიონობის ამოცნობაში მარცხის ერთ-ერთი მიზეზია ჩვენი შეხედულება სულიწმიდაზე. მასზე ისე ვწერთ და ვქადაგებთ, როგორც რაღაც მისტიურზე. ფაქტობრივად, ყოველ ჯერზე ერთი დოლარი რომ მომცენ, როცა სულიწმიდას პიროვნებად არ მოიხსენიებენ, მეტისმეტად გავმდიდრდებოდი. სამწუხაროდ, ბევრი მას „წმიდა არსებად“

მიიჩნევს, და არა უწმიდესად, რომელსაც თქვენი ახლო მეგობრობა სურს. უბრალოდ, წმიდა წერილის გარკვეულ ადგილებზე რომ დავფიქრდეთ, მივხვდებით, რომ მას აქვს გონება (რომ. 8:27), ასევე – ნება (1 კორ. 12:11) და ემოციები, რომლებიც აღწერილია ჩვენდამი სიყვარულით (რომ. 15:30). იგი ლაპარაკობს (ებრ. 3:7); ფაქტობრივად, ამას ძალზე მკაფიოდ აკეთებს (1 ტომ. 4:1). იგი ასწავლის (1 კორ. 2:13), ნაღვლიანდება (ეფეს. 4:30), განაწყენდება (ებრ. 10:29) და შეიძლება ეცრუონ კიდეც, როგორც რომელიმე ადამიანს.

მასზე პირველი შთაბეჭდილება, როგორც წესი, მტრედთან ასოცირდება. რატომ არის მტრედის სახით გამოხატული? მას არასოდეს გაუმჟღავნებია თავი მტრედად! ოთხივე სახარებაში აღწერილია, რომ იოანე ნათლისმცემელმა დაინახა ღვთის სული „მტრედივით“ გადმომავალი და დაივანა იესოზე (მათ. 3:16; მარკ. 1:10; ლუკ. 3:22; იოან. 1:32). ეს არ ნიშნავს, რომ ის მტრედია. მომისმენია მამაკაცებსა და ქალებზე ნათქვამი, მაგალითად, „ის ქარივით დაქრის“ ან „ის ხარივით ძლიერია“. ეს არ ნიშნავს, რომ რომელიმე ქალი ქარია ან კაცი – ოთხფეხა პირუტყვი. ისინი ადამიანები არიან.

ვიღაცამ შეიძლება თქვას: „დიახ, მაგრამ იოანე მოციქულმა დაინახა სულიწმიდა, როგორც ცეცხლოვანი სასანთლე, როცა ღვთის ტახტი იხილა.“ დიახ, მართალია, რომ დაწერა: „ტახტის წინ შვიდი ცეცხლოვანი ლამპარი ანთია, რომლებიც შვიდი სულია ღვთისა“ (გამოცხ. 4:5). თუმცა იგივე იოანემ დაწერა: „შევხედე და, აჰა, ტახტსა ... და უხუცესებს შორის დგას კრავი, როგორც დაკლული ... და ოცდაოთხი უხუცესი ... გალობენ ახალ საგალობელს და ამბობენ: „შენ ღირსი ხარ, აიღო წიგნი და ახსნა მისი ბეჭდები, ვინაიდან დაიკალი და შენი სისხლით გამოგვისყიდე ღვთისთვის ყოველი ტომისა და ენისგან, ხალხისა და ერისგან“ (იხილეთ გამოცხ. 5:6-9). სრულიად ნათელია, რომ ის იესოზე ლაპარაკობს და ჩვენც არ აღვიქვამთ მას ცხოველად! დანამდვილებით ვიცით, რომ იესო პიროვნებაა, რომლის ხატად ვართ შექმნილი; ჩვენც არ გვაქვს ცხოველის სახება!

სულიწმიდა პიროვნებაა და ჩვენ მის ხატად ვართ შექმნილი. ო, დიახ, მის ხატად! დაბადების წიგნში ვკითხულობთ: „და

თქვა ღმერთმა, შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსად“ (დაბ. 1:26). აქ არ წერია: „შევქმნი კაცს ჩემს მსგავსად“. არა, ზეციერმა მამამ, ძემ და სულიწმიდამ ერთობლივად შექმნეს ადამიანი. ძალიან კარგად ვიცით მამისა და ღვთის ძის როლი სამყაროს შექმნაში, მაგრამ წმიდა წერილი ცხადად ამბობს: „ღმერთის სულმა შემქმნა“ (იობ. 33:4) და კიდევ, „წარგზავნი შენს სულს — წარმოიქმნებიან“ (ფს. 104:30). ამრიგად, როცა ღმერთმა თქვა: „შევქმნათ კაცი ჩვენს ხატად“, იქ სულიწმიდაც იყო ჩართული. ჩვენ ვართ მამის, ძისა და სულიწმიდის ხატება. სულიწმიდა პიროვნებაა, სამების მესამე პირი და არა – მისტიური ქარი ან მოლივლივე ჩიტი.

როგორ შეძლებდა მარიამი სულიწმიდისგან დაორსულებას, თუ მის ხატად არ ვიყავით შექმნილი? და მაინც, წერილი ამბობს: „ვიდრე შეუღლდებოდნენ ისინი, აღმოჩნდა რომ ორსულად იყო სულიწმიდისგან“ (მათ. 1:18). მოგვიანებით უფლის ანგელოზი იოსებს ეუბნება: „ვინც მასშია ჩასახული, სულიწმიდისგან არის“ (მათ. 1:20). სულიწმიდა „საგანი“ რომ იყოს, როგორ შეძლებდა ადამიანის ფორმირებას მარიამში? იგი სულიწმიდისგან დაორსულდა. ნორმალური შთამომავლის დაბადებისთვის საჭიროა ერთი და იგივე ხატების მქონე ორი არსება.

ვიმედოვნებ, დარწმუნდით, რომ სულიწმიდა პიროვნებაა და ფაქტობრივად, ყველაზე საოცარი პიროვნება! ამ მიზეზით პავლე მორწმუნეებს ეუბნება:

> უფალ იესო ქრისტეს მადლი, ღვთის სიყვარული და *სულიწმიდის ზიარება* ყველა თქვენგანს, ამინ! (2 კორ. 13:14, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყურადღება მიაქციეთ მის ნათქვამს! – „სულიწმიდის *ზიარება* ყველა თქვენგანს“. წლების მანძილზე ვსწავლობდი სიტყვა *ზიარებას*, რადგან ღვთის ახლოს გაცნობა ჩემი დიდი მისწრაფება იყო. ყველა ბერძნულ ლექსიკონში მოვიძიე, რაც კი ხელში ჩამივარდა. ქვემოთ მოყვანილია მთავარი განსაზღვრებები:

- გულზიარობა
- თავშეყრა ანუ სოციალური შეხვედრა
- პარტნიორობა ანუ თანამონაწილეობა
- მჭიდრო ურთიერთკავშირი
- სიახლოვე

სხვა განმარტებებიც არსებობს, მაგრამ ისინი ზემო-მოყვანილებს წააგავს, ამიტომ ესენი შევარჩიე. მოდით, სათი-თაოდ განვიხილოთ და ვიფიქროთ, ყოველ მათგანზე!

გულზიარობა

პირველი სიტყვა *გულზიარობა* უებსტერის ლექსიკონში განხილულია როგორც *კომპანიონობა* ან *კომპანია*. ის ასევე განისაზღვრება როგორც *თანამეგობრობის ხარისხი ან მდგომარეობა*. არასოდეს მოძებნით ისეთ კომპანიონებს, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობისგან თავს შეიკავებენ და არ შეთანხმდებიან ამჟამინდელ თუ სამომავლო გეგმებზე. ისინი ამხანაგობენ და მათ შორის განუწყვეტელი კომუნიკაციაა. სულიწმიდასა და მის მსახურებს შორის ურთიერთობის არაერთ მაგალითს ვხედავთ საქმეთა წიგნში. ქვემომოყვანილი ერთ-ერთია პავლეს განცხადებებიდან:

> და აჰა, ახლა სულში შეკრული მივდივარ იერუსალიმში და არ ვიცი, იქ რა შემემთხვევა. მხოლოდ სულიწმიდა მიმოწმებს და მეუბნება *ყველა ქალაქში*, რომ ბორკილები და ჭირი მელის. (საქმ. 20:22-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

მისი სიტყვებიდან ხედავთ, რომ პავლესა და სულიწმიდას შორის განუწყვეტელი კომუნიკაცია იყო. ისინი მეგობრები იყვნენ ცხოვრებაში, მოგზაურობასა და მსახურებაში.

იგივე ჭეშმარიტია ყოველი უფლის მსახურისთვის ახალ აღთქმაში. მნიშვნელობა არ ჰქონდა, სად მიდიოდნენ ისინი. სულიწმიდა ყოველთვის მათთან იყო და ელაპარაკებოდა, როცა მიმართავდნენ. ის მათი კომპანიონი გახლდათ. ფილიპე, სხვა

მოწაფე, ქალაქის შეკრებიდან უდაბნოსკენ გაემართა, მაგრამ მარტო არ იყო და ისიც იცოდა, რა უნდა გაეკეთებინა, რადგან „მაშინ უთხრა სულმა ფილიპეს: „მიდი, ახლოს დაუდექი მაგ ეტლს!“ (საქმ. 8:29).

პეტრე საგონებელში ჩავარდა, რადგან ნანახი ხილვა წმიდა წერილის მისეულ ცოდნას არ შეესაბამებოდა, ამიტომ ღვთის სულმა უთხრა: „რაც ღმერთმა განწმიდა, უწმიდურად ნუ მიიჩნევ!“. ამას შემდგომი მითითება მოჰყვა: „*უთხრა* მას *სულმა*: „აი, სამი კაცი გეძებს. ადექი, ჩადი და ყოყმანის გარეშე გაჰყევი მათ, რადგან მე გამოვგზავნე ისინი!“ (საქმ. 10:19-20, *ავტორისეული ხაზგასმა*).

თქვენ ხედავთ სულიწმიდისა და პავლეს მთლიან გუნდს, როგორც ლუკა აღწერს: „გაიარეს ფრიგია და გალატიის ქვეყანა, მაგრამ *სულიწმიდამ აუკრძალა* სიტყვის ქადაგება აზიაში. მივიდნენ მისიამდე და ბითვინიაში აპირებდნენ გამგზავრებას, მაგრამ *არ გაუშვა ისინი იესოს სულმა*“ (საქმ. 16:6-7, *ავტორისეული ხაზგასმა*).

კიდევ რამდენიმე მაგალითის მოყვანა შემიძლია. თუმცა იმის ხაზგასმა მინდა, რომ ახალი აღთქმის მსახურები კარგად აცნობიერებდნენ ღვთის სულის გამუდმებულ კომპანიონობას. მასთან ურთიერთობას არასოდეს შეუყვანია ისინი ცდუნებაში და არც რაიმე უჩვეულო შემთხვევიათ. მოწაფეები მოელოდნენ მის ჩართულობას, როგორც ჩვენ ველით კონკრეტული ადამიანის ჩართვას ჩვენს ცხოვრებაში, რომელთანაც 24/7-ზე ვცხოვრობთ.

ადამიანები მეუბნებიან, ვიღლები თუ არა უამრავი მოგზაურობისას სასტუმროს ნომრებში ცხოვრებით. მე ვპასუხობ: „გულწრფელად გეტყვით, რომ არასოდეს მბეზრდება“. უნდა გითხრათ, რომ მსოფლიოს ულამაზეს ქალაქებში ვყოფილვარ და არასოდეს გამჩენია ღირსშესანიშნაობების დათვალიერების სურვილი, რადგან ჩემს კომპანიონთან ურთიერთობით იმდენად ვტკბები, რომ დროის დაკარგვა არ მინდა. წარსულში სანამ რეალურად გავაცნობიერებდი და გამოვცდიდი სულიწმიდის თანამგზავრობას, ყველაზე უბედურად ვგრძნობდი თავს მარტოდ ყოფნისას. გამუდმებით მინდოდა ხალხის წრეში ტრიალი. ახლა კი მარტოობას ვეძებ, რომ ადვილად მოვუსმინო და ველაპარაკო სულიწმიდას.

მას დაშურებით სწადია თქვენთან კომუნიკაცია! ერთი წუთით დახუჭეთ თვალები და იფიქრეთ, რომ სულიწმიდა თქვენი კომპანიონი ან ამხანაგია! ვინაიდან ღვთის სიტყვა ამბობს: „სულიწმიდის *მოზიარეობა* ყოველ თქვენგანთან!“ ან ამაზე იფიქრეთ: „დაე, გქონდეთ სულიწმიდასთან *გულზიარობა!*“ ან „დაე, სულიწმიდა იყოს თქვენი *კომპანიონი!*“ დაე, ეს სიტყვები განივრცოს თქვენს გულში, რომ გაიხსნას ახლო ურთიერთობის კარი თქვენსა და თქვენს შემოქმედს შორის!

თავშეყრა

მეორე განსაზღვრება გახლავთ *თავშეყრა ანუ სოციალური შეხვედრა*, რომელიც აზრებისა და გრძნობების გაცვლას აღწერს. ყველაზე სასიამოვნო ჩემი მეგობრების ვიწრო წრისთვის ის დროა, როცა ერთად შევიყრებით სასაუბროდ და ერთმანეთს გულისნადებს ვუზიარებთ. ამ დროს უფრო მგრძნობიარეები ვხდებით და გარეშე პირმა რომ გვისმინოს, შეიძლება არასწორად გაგვიგოს ან დაგვცინოს კიდეც. თუმცა ვიცით, რომ ჩვენი უძვირფასესი მეგობრები ასე არ მოიქცევიან, რადგან ჩვენს გულს იცნობენ და სწორად გაიგებენ, რასაც ერთმანეთს ვუზიარებთ. პავლე სულიწმიდასთან ანალოგიური ურთიერთობის მაგალითს იძლევა, როცა წერს: „ჭეშმარიტებას ვლაპარაკობ ქრისტეში, არ ვცრუობ, ჩემი სინდისი მიმოწმებს *სულიწმიდაში*“ (რომ. 9:1). სულიწმიდა იცნობდა პავლეს გულს, ისევე როგორც პავლე იცნობდა მის გულს. ეს იყო სიახლოვე, რომელიც მათი სანუკვარი აზრებისა და ემოციების გაცვლის შედეგად განვითარდა.

სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი უფლის შიში. იგი გულის იდუმალ აზრებს იმ ადამიანებს არ გაუზიარებს, რომლებიც მათ არ აფასებენ. ზუსტად ასევე არ გადავუგდებთ მარგალიტებს სხვებს, ვინც მათ უდიერად მოეპყრობა. მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის ძვირფას აზრებს არ ვანდობთ ადამიანებს, რომლებიც კარგად არ გვიცნობენ; ღმერთიც ასეთია.

ძველი აღთქმის წმიდანები ღაღადებენ: „ნუთუ გამოიკვლევ ღვთის სიღრმეებს?“ (იობ. 11:7). თუმცა სულიწმიდასთან

მოზიარეობის გახსნილი კარის გამო, რაც ახალმა აღთქმამ მოიტანა, პავლე აღტაცებული ამბობს: „ჩვენ კი *თავისი სულით* გაგვიმხილა ღმერთმა; ვინაიდან სული ყოველივეს იკვლევს, ღვთის *სიღრმეებსაც*“ (1 კორ. 2:10, *ავტორისეული ხაზგასმა*). ყურადღება მიაქციეთ, რომ ეს სულის მეშვეობით ხორციელდება! ის არის სამების ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც ღვთის სიღრმეებს გვიზიარებს! ოჰო, ნუთუ ეს არ გახარებთ?!

ისევ დაფიქრდით, თვალები დახუჭეთ და გაიაზრეთ ფაქტი, რომ სულიწმიდას ასეთი სახის სიახლოვე სურს. მას გულით უნდა თავისი სანუკვარი აზრებისა და გრძნობების გაზიარება და თქვენი მოსმენა. ღვთის სიტყვა ასე აცხადებს: „სულიწმიდის აზრებისა და გრძნობების მოზიარეობა იყოს თქვენთან“.

პარტნიორობა ანუ თანამონაწილეობა

მესამე განსაზღვრება გახლავთ *პარტნიორობა* ანუ *თანამონაწილეობა*, რაც მშვენივრად არის ნაჩვენები პირველი ეკლესიის წინამძღოლების დამოწმებებით. ისინი ასე წერენ წერილში:

> მართებულად მიიჩნია სულიწმიდამ და ჩვენც. (საქმ. 15:28).

ისინი ხაზგასმით განარჩევენ სულიწმიდისა და საკუთარ შეხედულებას. ეს გახლდათ თანამონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში. ისინი ღვთის სამეფოს საქმის პარტნიორები იყვნენ. იგივეს ვხედავთ ძველ აღთქმაში, როცა ღმერთი აბრაჰამთან მივიდა და სოდომის შესახებ გეგმები გაუზიარა. პატრიარქს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის საშუალება მიეცა და მასთან მოთათბირების შემდეგ ღმერთმა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო.

იგივე ჩანს მოსეს შემთხვევაშიც. განრისხებისას უფალი მზად იყო ისრაელი ერის გასანადგურებლად, მაგრამ გადაიფიქრა მოსეს შუამდგომლობის შემდეგ. მან ღმერთს გაახსენა მისი აღთქმები და სახელი; ერთ ასეთ შემთხვევაში მოსეს ჩარევის

შემდეგ ვკითხულობთ: „გადაიფიქრა უფალმა და აღარ დაატეხა უბედურება, რომლის გაკეთებასაც უპირებდა თავის ხალხს“ (გამ. 32:14). მოსე და აბრაჰამი ღვთის პარტნიორები იყვნენ, თუმცა მათ მაინც არ ჰქონდათ ის განუწყვეტელი მოზიარეობა, როგორიც დღეს მოგვეცა ახალი აღთქმის პირობებით; ამაღელვებელია ამაზე ფიქრი.

პავლეს მიერ ეფესელი წინამძღოლებისთვის მიწერილ ეპისტოლეში სულიწმიდის, როგორც ჩვენი უფროსი პარტნიორის როლის აშკარა მოწმობას ვხედავთ:

> მაშ, გაუფრთხილდით საკუთარ თავსაც და თქვენს მთელ სამწყსოსაც, რომლის მეთვალყურედაც დაგაყენათ *სულიწმიდამ*, რათა მწყემსოთ *ღვთის* ეკლესია, რომელიც მან *საკუთარი სისხლით* შეიძინა. (საქმ. 20:28, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ამ მუხლში გარკვევით ჩანს სამების სხვადასხვა პირები, რომლებიც ერთმანეთთან სრულყოფილ ერთობაში არიან. *სულიწმიდა* პირველია ნახსენები და სწორედ ის გახლავთ უხუცესების დამყენებელი ეკლესიაში. შემდეგ ნახსენებია ზეციერი მამა ფრაზაში *ღვთის ეკლესია* და ბოლოს ვხედავთ ძის როლს, რომელმაც *საკუთარი სისხლით* შეგვიძინა. სამი სხვადასხვა პიროვნება, მაგრამ ერთი ღმერთი. ძნელი გასააზრებელია, თუმცა გვაქვს ფიზიკური მაგალითი, რომელიც წუთში აგიხსნით ამას. ვიცით, რომ წყალს სამი სხვადასხვა ფორმა გააჩნია: ყინული, სითხე და ორთქლი – თუმცა სამივეს ერთნაირი მოლეკულური სტრუქტურა აქვს. ამრიგად, ღმერთში არის სამი სხვადასხვა, მაგრამ სრულყოფილ ერთობაში მყოფი პიროვნებები.

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ სწორედ სულიწმიდა იყო სამების ის პიროვნება, რომელმაც უხუცესები დააყენა თავიანთ პოზიციებზე. ასევე აშკარად ჩანს მისი როლი სხვა ეკლესიის, ანტიოქიის უხუცესთა შემთხვევაში, როცა უფლის სახეს ეძებდნენ. „უთხრა მათ სულიწმიდამ: „გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმისთვის, რისთვისაც მოვუწოდე“. მათ ილოცეს, ხელები დაასხეს და შემდეგ ვკითხულობთ: „გაუშვეს

სულიწმიდის მიერ მივლინებულნი“ (საქმ.13:2-4, *ავტორი-სეული ხაზგასმა*). ღვთის სწორედ ეს პიროვნება შრომობდა ამ კაცებთან იესოს განსადიდებლად.

ამ რამდენიმე მაგალითიდან ვხედავთ განსაზღვრულ თანამშრომლობას, სადაც სულიწმიდა წინამძღოლი და უფროსი პარტნიორია. ისევ მინდა ხაზი გავუსვა: ეს მისი სურვილია, რომ მე და თქვენ მისი თანამშრომლები ვიყოთ. დიახ, მისი პარტნიორები! ამას ნათლად ვკითხულობთ პავლეს წერილში კორინთელთა მიმართ: „ვინაიდან ჩვენ ღვთის თანამშრომელნი ვართ“ (1 კორ. 3:9). თანამშრომელი ნიშნავს ამხანაგს ანუ თანამონაწილეს. მეფე იაკობის ვერსია კიდევ უფრო ნათლად გადმოსცემს ამ აზრს: „ჩვენ ვართ ღმერთთან ერთად მშრომელნი“. ოჰო! ისევ ვსვამ კითხვას: გაგიგონიათ ისეთი მეგობრების შესახებ, რომლებსაც ურთიერთობა და ერთად შრომა არ სურთ?

რამდენიმე წუთით დაფიქრდით სულიწმიდის სურვილზე, რომ იყოს თქვენი უფროსი პარტნიორი. ვინაიდან ღვთის სიტყვა აცხადებს: „სულიწმიდასთან თანამშრომლობა იყოს ყველა თქვენგანთან!“ ან „სულიწმიდასთან ერთობლივი თანამონაწილეობა გქონდეთ ყველა საქმეში!“

მჭიდრო ურთიერთკავშირი

მომდევნო განსაზღვრება გახლავთ *მჭიდრო ურთიერთკავშირი*. ამგვარი დამოკიდებულება საუკეთესოდ აღიწერება ღვთის დიდ მამაკაცებთან და ქალებთან ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილების გადმოცემით. ვიხსენებ იმ დროს, როცა პირველად შევხვდი დ-რ დევიდ ჩოს, რომელიც სამხრეთ კორეაში, სეულში მწყემსავს მსოფლიოში ერთ-ერთ უდიდეს ეკლესიას. მაშინ ის პირველად ეწვია ჩემს ეკლესიას. იმ დროისთვის მწყემსის თანაშემწე ვიყავი და სტუმრის ტრანსპორტით მომსახურება ჩემს მოვალეობაში შედიოდა ამ ვიზიტის ფარგლებში. ამ საქმიანობას რამდენი წელი ვეწეოდი და იქამდე თითქმის ასიოდე მსახური მიტარებია, რადგან ჩვენ ეკლესიას ბევრი სტუმრობდა. ეს შემთხვევა განსხვავებული იყო, რადგან მისი ჩაჯდომისთანავე ჩემი

ავტომობილი ღვთის თანდასწრებამ აავსო. თითქმის მაშინვე ცრემლები მომადგა და სახეზე ჩამომედინა. წყნარად ვიყავი, რადგან არ მინდოდა მისი შეწუხება მსახურების დაწყებამდე, თუმცა მასთან დალაპარაკების სურვილი არ მასვენებდა. მშვიდად და დაბალი ხმით ვუთხარი: „დ-რო ჩო, ღმერთი აქ არის, მანქანაში“. მან გამიღიმა და თავი დამიქნია.

მოგვიანებით ვფიქრობდი, თუ რამდენს წერენ და ქადაგებენ ამ ადამიანის მოზიარეობაზე სულიწმიდასთან, რომლითაც ის ხარობს. შემდეგ სხვები გავიხსენე, რომლებიც წლების მანძილზე ავარჩიე სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ასამდე სტუმარს მოვმსახურებივარ, მათგან რამდენიმე თუ იქნებოდა ისეთი, ვისთან შეხვედრის დროსაც მყისვე აღმოვჩნდი სულიწმიდასთან კონტაქტში. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ქ-ნი ჯინ უილკერსონი, რომელმაც წლები გაატარა შუამდგომლობით ლოცვაში და ახლა უკვე უფალთან არის გადასული. როცა ჩვენი შეხვედრისას პირველად ამოვიდა ეკლესიის ავტომობილში, მოწიწებისგან პირი ღია დამრჩა მთელი მგზავრობის განმავლობაში. ძალიან გამიჭირდა ტარებაზე ყურადღების გამახვილება. მივხვდი, რომ ისეთ ქალთან ერთად ვიყავი, რომელმაც არა მარტო იცოდა ღვთის შესახებ, არამედ მასთან ძალზე ახლოს იყო. მან ბევრი რამ ილაპარაკა სულიწმიდით და ღვთის თანდასწრება ცხადი და ძლიერი იყო ყოველთვის, როცა მასთან მოვხვდებოდი.

ამას წინათ ოთხიათასკაციან ეკლესიაში ვიქადაგე შეერთებული შტატების შუა დასავლეთ ნაწილში. კვირა დილის მსახურებაზე სულიწმიდის შესახებ ვილაპარაკე და როცა საღამოს დავბრუნდით, სცენა უნდა დამეკავებინა მსახურების ორმოცდახუთი წუთის განმავლობაში. თუმცა ისე მოხდა, რომ მიკროფონი მსახურების დასრულებიდან ორი საათის შემდეგ ძლივს ჩავიგდე ხელში, რადგან სულიწმიდას სულ სხვა გეგმები ჰქონდა. იგი ბევრს მოემსახურა და ეს საოცარი იყო! ბოლოს, როცა პლატფორმა მწყემსს დავუთმე, რომელიც სუსტი კაცი ნამდვილად არ არის (წოლით ხუთასფუნტიანი შტანგის აწევა შეუძლია), ის მომიახლოვდა და ტირილით მითხრა:

– ჯონ, რვა წელია ამ ეკლესიას ვმწყემსავ და ასე ძლიერად არასოდეს მიგვრძნია ღვთის თანდასწრება!

მაშინვე ვუპასუხე:

– ამას თავისი მიზეზი აქვს. ასე იმიტომ მოხდა, რომ დილის მსახურებაზე სულიწმიდის შესახებ ვილაპარაკეთ და სადაც მასზე ლაპარაკობენ, იქ ყოველთვის ავლენს თავს.

ასეთი მჭიდრო ურთიერთკავშირი ქორწინებაში გვხვდება. არიან მამაკაცი მსახურები, რომლებიც ხშირად ლაპარაკობენ თავიანთ ცოლებზე. ისინი გამუდმებით რთავენ მათ ქადაგებებში ან საუბრებში, როცა მეორე ნახევრები იქ არ იმყოფებიან. ისინი მუდამ ერთად ჩნდებიან არა მარტო პირად სივრცეში, არამედ საჯაროდაც. ამრიგად, როცა მსახურზე ფიქრობ, ძალაუნებურად, მისი ცოლიც გახსენდება (იგივე ხდება, როცა მსახურია ქალია). ხშირად მეკითხებიან ლიზას შესახებ, როცა ჩემთან ერთად არ არის, რადგან მასზე ხშირად ვლაპარაკობ და ვწერ. თუმცა არიან დაოჯახებული მსახურები, რომლებიც იშვიათად ახსენებენ ცოლებს და უმეტეს შემთხვევაში ვერც ერთად დაინახავთ. როცა ამ მსახურებს ახსენებთ, მათი ცოლები ნამდვილად არ გაგახსენდებათ.

ანალოგიურად ხდება სულიწმიდასთანაც. არიან ღვთის შვილები, რომელთაც ახლო და ორმხრივი ურთიერთობა აქვთ ღვთის სულთან. როცა მათზე საუბრობ, მაშინვე სულიწმიდა გახსენდებათ, რადგან ეს მამაკაცები და ქალები გაცნობიერებით მსახურობენ, როგორც სულიწმიდის უმცროსი პარტნიორები, განუწყვეტლივ აღიარებენ მას და ისიც თავს ავლენს მათ მსახურებებზე. ამის შედეგად იესო კიდევ უფრო განდიდებულია, რადგან ღვთის სული მას განადიდებს.

სულიწმიდას მჭიდრო ურთიერთობა სურს თქვენთან. თუ მას პატივს მიაგებთ, თავს გამოავლენს, მაგრამ თუ ასე არ მოიქცევით, არაფრით განსხვავდებით მამაკაცისგან, რომელსაც ცოლთან ახლო ურთიერთობა არ აქვს, თუმცა მასზე წლებია დაქორწინებული. ასეთები არა მარტო ცოლისგან არიან შორს, არამედ ხალხის თვალშიც ასე ჩანან. ამიტომ იფიქრეთ ამაზე: „სულიწმიდასთან მჭიდრო ურთიერთობა იყოს ყოველ თქვენგანთან!“

სიახლოვე

ზემოხსენებული სიის ბოლო განსაზღვრება გახლავთ *სიახლოვე*. ეს სიტყვა საუკეთესოდ აღწერს მოზიარეობას, რადგან აჯამებს აქამდე განხილულ ოთხ კატეგორიას. ფაქტობრივად, *მოზიარეობის* ერთი უებსტერისეული განმარტება ასეთია: *მოზიარეობა არის ძალზე ახლო გულზიარობა ანუ შეხმატკბილება: კომუნიკაცია*. სიახლოვის განვითარება მხოლოდ კომუნიკაციის გაძლიერებით შეიძლება, რომელიც მტკიცე მეგობრობისკენ მიმავალ გზას წარმოადგენს. ახალი აღთქმის ერთ-ერთი ვერსია გვეუბნება: „სულიწმიდის ძალზე ახლო მეგობრობა ყველა თქვენგანთან!“ (*The Message*).

ვიმეორებ, რომ ეს ყველაფერი მეგობრობამდე დადის; ეს გახლავთ მოზიარეობის საბოლოო მიზანი. ღვთის სულს თქვენთან მეგობრობა სურს. მას გულით სწადია თქვენთან მოზიარეობა; ყველაფრის სწავლება უნდა, რაც იცის, ხოლო მისი ცოდნა განუსაზღვრელია! ის ღმერთია; არაფერია მასში დაფარული ან იდუმალი. არ არსებობს ცოდნა, რომელიც მას არ გააჩნდეს. როგორც ესაია ამბობს:

> „ვინ მომართა უფლის სული? ვინ განასწავლა იგი თავისი რჩევით? ვისთან თათბირობდა, ვინ მისცა გონიერება? ვინ ასწავლა სამართლის ბილიკი და ვინ ჩააგონა გზა ცოდნისა და გონიერებისა?“ (ეს. 40:13-14, *ავტორისეული ხაზგასმა*)

პასუხია: არავინ, იმიტომ, რომ იგი ღმერთია!

ისევ ვიმეორებ: იგი ღმერთია! მისი სიბრძნე, ცოდნა და გაგება უსაზღვროა და ისწრაფვის, რომ ეს ცოდნა თქვენ გადმოგცეთ. იფიქრეთ ამაზე! როცა რაღაც ფასეული იცით, გულში საყვარელი და ახლობელი ადამიანებისთვის მისი გაზიარების მწველი სურვილი ანთია. ისიც არ არის განსხვავებული. მას სურს, თავისი ცოდნა გაგიზიაროთ! ხედავთ, რა არის თქვენთვის შესაძლებელი? დაგიკარგავთ რამე იმის გამო, რომ არ მიჰყევით სულიწმიდას, რომელიც თქვენში მკვიდრობს? ოდესმე გიცდიათ იესოსთან ურთიერთობის განვითარება სულიწმიდის გარეშე?

ეკლესიაში ბევრი ცდილობს იესოსთან მიახლოებას სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობის გარეშე. ამას წინათ ვფიქრობდი ამ საკითხზე და ასეთი აზრი დამებადა: იესოს მიწიერი მსახურების დროს მრავალი იუდეველი ცდილობდა ღმერთთან ურთიერთობას იესოს გარეშე. ისინი ასე აცხადებდნენ: „ჩვენ სიძვით შობილნი როდი ვართ ... ერთი მამა გვყავს – ღმერთი“ (იოან. 8:41) და „ჩვენ მოსეს მოწაფეები ვართ. ჩვენ ვიცით, რომ ღმერთი მოსეს ელაპარაკებოდა“ (იოან. 9:28-29). ისინი გაბედულად ამტკიცებდნენ, რომ ღმერთთან ურთიერთობა ჰქონდათ, სინამდვილეში კი ასე არ იყო. მათი გაბედულება ღვთის სიტყვის (წმიდა წერილის) ცოდნიდან მოდიოდა, რომელიც მოსემ მისცა მათ. თუმცა, ნამდვილად იცოდნენ? მათ უარი თქვეს ხორცშესხმული სიტყვის მიღებაზე, რომელიც მათ შორის ცხოვრობდა.

დღესაც ბევრ მორწმუნეს სურს იესოსთან ურთიერთობა სულიწმიდის გვერდის ავლით. თუმცა ის ჩვენს შორისაა და იესოსთან ვერავინ მივა მის გარეშე. საქმე კიდევ უფრო რომ გავართულოთ, უნდა ითქვას, რომ ღვთის სულის უგულებელყოფა გაცილებით ადვილია, ვიდრე იესოსი იუედეველთა მიერ, რადგან ის იესოს მსგავსად ხორცისა და სისხლისგან არ შედგება.

იესომ თქვა: „მე რომ მიცნობდეთ, მამაჩემიც გეცნობებოდათ“ (იოან. 14:7). იესო უბრალოდ ამბობს: „ზეციერი მამა აქ არ არის, იგი ზეცაშია, მაგრამ თუ მე გამიცნობთ, მამაც გეცნობებათ, რადგან ჩვენ ერთი ვართ“. იგივე ჭეშმარიტებაა სულიწმიდის შემთხვევაშიც. იესო აქ აღარ არის, იგი ზეცაშია, მაგრამ თუ სულიწმიდას გაიცნობთ, იესოსაც გაიცნობთ, რადგან ისინი ერთნი არიან! სწორედ ამიტომ არის სულიწმიდა ცნობილი „ქრისტეს სულის“ სახელით (1 პეტრ. 1:11; რომ. 8:9).

მეორე ჩემი მსგავსი

ამაღლების წინ იესომ მოწაფეებს უთხრა:

თუ მე გიყვარვართ, დაიცავთ ჩემს მცნებებს. მე მამას

> შეევეედრები და ის სხვა ნუგეშისმცემელს მოგივლენთ, რათა თქვენთან იყოს საუკუნოდ. ჭეშმარიტების სულს, რომლის მიღებაც არ შეუძლია წუთისოფელს, რადგან ვერ ხედავს და არც იცნობს მას; თქვენ კი იცნობთ, რადგან თქვენთან რჩება და თქვენში იქნება. ობლად არ დაგტოვებთ, მოვალ თქვენთან. (იოან. 14:15-18)

რამდენი რამ დევს ამ მცირე მონაკვეთში. უპირველესად, ყურადღება მიაქციეთ, რომ იესო მორჩილებაზე ლაპარაკობს: „დაიცავთ ჩემს მცნებებს“, რასაც მოყვება სიტყვები „მე მამას შეევეედრები და ის მოგივლენთ ...“ სულიწმიდის კომპანიონობას. იგი სულიწმიდის მიღებას პირდაპირ უკავშირებს სიტყვის მორჩილებას და შესაბამისად, ღვთის შიშსაც. პეტრე ამას ადასტურებს ნათქვამით, „ამ სიტყვების მოწმენი ვართ ჩვენ და სულიწმიდა, რომელიც *უბოძა ღმერთმა მის მორჩილთ*“ (საქმ. 5:32, *ავტორისეული ხაზგასმა*). (ისევ მიაქციეთ ყურადღება, რომ ორი სხვადასხვა მოწმეა ნახსენები – მოწაფეები და სულიწმიდა). პეტრე ამბობს, რომ ღმერთმა სულიწმიდა მისცა *მის მორჩილთ*. ისევ ვიმეორებთ, სიახლოვის საფუძველი უფლის შიშია. რატომ არ ვქადაგებთ ამას მეტი მონდომებით ჩვენს სიტყვაში?

დავუბრუნდეთ იოანეს მე-14 თავს. იესო ამბობს, რომ მამა მის მოშიშებს „*სხვა* ნუგეშისმცემელს მოუვლენს. სიტყვა *სხვა-ს* სათარგმნელად ახალ აღთქმაში ორი ბერძნული სიტყვა არსებობს. მათი გამოკვლევით უფრო მეტს გავიგებთ სულიწმიდაზე. პირველი ბერძნული სიტყვა გახლავთ – *ალოს*, რაც ნიშნავს: „სხვა იგივენაირს“. მეორე გახლავთ – *ჰეტეროს*, რაც ნიშნავს: „სხვას, მაგრამ პირველისგან განსხვავებულს“.

ამ განსხვავების თვალსაჩინოებისთვის შემდეგი მაგალითი გამოგვადგება: დავუშვათ, მოითხოვეთ რაიმე ხილი, ვთქვათ – ატამი. მისი შეჭმის შემდეგ კიდევ ითხოვთ ერთს, მაგრამ მე ვაშლი მოგეცით. სინამდვილეში, მეორე ხილი მართლაც მოგეცით, თუმცა ეს სხვაგვარი ხილია. კიდევ ერთი ატამი რომ მომეცა, მაშინ ერთი სახეობის ორ ხილს მიიღებდით. ზუსტად ისეთივე იქნებოდა, რომელიც პირველად მოგეცით. ეს კარგად განმარტავს განსხვავებას *ჰეტეროს-სა* და *ალოს-ს* შორის.

ბერძნული სიტყვა, რომელსაც იესო იყენებს, გახლავთ: *ალოს* – სხვა, მაგრამ *იგივენაირი*. იესო ამბობს: „სულიწმიდა ზუსტად ჩემნაირია“. ფაქტობრივად, ბერძნული სიტყვა დამხმარის აღსანიშნავად, გახლავთ *პარაკლეტოს*. ეს სიტყვა ორი სხვადასხვა ნაწილისგან შედგება: *პარა* ნიშნავს „გვერდზე მყოფს“, ხოლო *კალეო* – „სასამართლოში გამოძახებას“. ამრიგად, სიტყვა – *პარაკლეტოს* აღნიშნავს პიროვნებას, რომელიც გამოძახებულია სხვა პიროვნების მხარდაჭერისთვის. სიტყვა თავდაპირველად იურისპრუდენციაში გამოიყენებოდა იმ ოფიციალური დამხმარის აღსანიშნავად, რომელსაც დაცვისთვის უხმობდნენ ანუ ეს იყო ადვოკატი. შემდეგ მან ზოგადი დატვირთვა შეიძინა და ახლა სხვის მხარდამჭერს, შუამდგომელს და დამცველს ნიშნავს. საკმაოდ საინტერესოა, რომ ეს სიტყვა მხოლოდ ერთხელ გამოიყენება წერილებში და იქაც იესოზეა ლაპარაკი (1 იოან. 2:1). ამრიგად, როგორც იესო ცოცხლობს ჩვენი დაცვისა და შუამდგომლობისთვის, ისე სულიწმიდაც მხარს გვიჭერს. იგი მოწოდებულია ჩვენს დასახმარებლად.

იესო მოწაფეებს მიმართავს: „როგორც მე ვიყავი თქვენთან, ზუსტად ისე იქნება სულიწმიდაც“. ხშირად მესმის ხალხის ნათქვამი: „ოჰ, ნეტა, იესოსთან ერთად სიარულის შესაძლებლობა მქონოდა, რამდენ კითხვას დავუსვამდი!“ ნეტა, მართლა აქვთ კითხვები? ამგვარი განცხადების გაკეთების ფაქტი მეტყველებს, რომ სულიწმიდასთან სიახლოვის ნაკლებობას აქვს ადგილი. თუ მათ სულიწმიდასთან მოზიარეობა არ სურთ, რა აფიქრებინებთ, რომ იესოსთან სხვაგვარად მოიქცევიან? ფაქტობრივად, იესომ საოცარი რამ განაცხადა:

„ჭეშმარიტებას გეუბნებით“ (იოან. 16:7).

სანამ მის განცხადებას დავასრულებდე, ნება მომეცით, აგიხსნათ, რომ მისი განაცხადის ასეთი შესავალი ყოველთვის მაკვირვებდა. იგი მათთან ერთად დადიოდა სამწელიწადნახევარი. არასოდეს ერთი ტყუილი ან მაცდუნებელი აზრიც კი არ უთქვამს. ყველაფერი, რასაც წლების მანძილზე მოწაფეებს ეუბნებოდა, ახდა. და მაინც, მას იმდენად გასაოცარი რაღაცის

თქმა სურს, რომ შესავალი უნდა გააკეთოს: „მეგობრებო, რის თქმასაც ახლა ვაპირებ, ჭეშმარიტია და არა სიცრუე!“ ამრიგად, გავაგრძელოთ და ვნახოთ, რაში მდგომარეობს ეს საარაკო ამბავი:

> თქვენთვის უმჯობესია, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავედი, ნუგეშისმცემელი ვერ მოვა თქვენთან. თუ წავალ, მე მოგივლენთ მას. (იოან. 16:7)

ოჰო! შეჩერდით და იფიქრეთ ამ სიტყვებზე! იესომ თქვა, რომ მისი წასვლა სჯობს. სწორედ ამიტომ იყო საჭირო შესავალი: „მეგობრებო, სიმართლეს გეუბნებით!“ მოწაფეებთან ყოფნისას მან საფუძვლიანი ჭეშმარიტებები ასწავლა ცათა სამეფოს შესახებ, რაც კი ოდესმე ადამიანს გაუგონია. მან განკურნა სნეულები, აღადგინა მკვდრები, განდევნა მტანჯველი სულები, გადაიხადა ხარკი და ბაჟი და ეს მხოლოდ დასაწყისი იყო. ახლა კი ამბობს, რომ მისი წასვლა უმჯობესია! რატომ? მისი პასუხი ასეთია: თუ წავა, სხვა დამხმარეს გამოგზავნის.

იფიქრეთ ამაზე! იესო დედამიწაზე რომ დარჩენილიყო და მასთან მოზიარეობა ან კითხვების დასმა მოგვსურვებოდა, თელ-ავივის რეისზე ბილეთი უნდა შეგვეძინა, მანქანა დაგვექირავებინა, გალილეის მხარეში წავსულიყავით და იქ გვეპოვნა. ეს ალბათ, ძნელი არ იქნებოდა, რადგან მის ირგვლივ ათასობით ადამიანს აღმოვაჩენდით. თუმცა იქ ლოდინი მოგვიწევდა, სანამ ჩვენს წინ მყოფი ადამიანები წავიდოდნენ და მასთან მიღწევას შევძლებდით. თუმცა ამ შემთხვევაშიც კი მოგვიწევდა დაყოვნება, რადგან პეტრე ლაპარაკის მოყვარული კაცია და ყველა დიალოგში მონაწილეობს. გარდა ამისა, იქ არიან იაკობი და იოანე, ქუხილის ძეები; სიწყნარით არც ისინი გამოირჩევიან. სხვა მოციქულებიც ხომ ელოდებიან შესაძლებლობას, რომ ჰკითხონ, რაც გულში აქვთ? გარდა ამისა, იესოს 6-8 საათი მაინც უნდა ეძინოს ღამით, დაიკმაყოფილოს პირადი საჭიროებები და პერიოდულად ჭამოს.

ამრიგად, სულიწმიდის ჩვენში დამკვიდრების მშვენიერება იმაში მდგომარეობას, რომ არ იძინებს. მასთან დღისა და ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეგიძლიათ საუბარი და არ მოგიწევთ

სხვა ადამიანების ლოდინი, სანამ თქვენი რიგი მოაღწევს. თქვენს ხელთაა სულიწმიდის სრული და განუყოფელი ყურადღება ყველა დროს. ფაქტობრივად, ათიათასობით ადამიანს ერთდროულად შეუძლია მასთან ახლო ურთიერთობა! მას ყველა მწყურვალთან პირადი ურთიერთობის ქონის უნარი აქვს. ამით ყველაფერი არ ამოიწურება; საქმე უკეთესობისკენ მიდის, ვინაიდან იესო განაგრძობს:

> კიდევ ბევრი რამ მაქვს თქვენთვის სათქმელი, მაგრამ ვეღარ იტვირთავთ. მაგრამ როცა მოვა იგი, ჭეშმარიტების სული, შეგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში, რადგან თავისით კი არ ილაპარაკებს, არამედ იმას ილაპარაკებს, რასაც ისმენს, და მომავალს გამოგიცხადებთ. იგი მე განმადიდებს, ვინაიდან ჩემგან მიიღებს და თქვენ გამოგიცხადებთ. ყველაფერი, რაც მამას აქვს, ჩემია. ამიტომ გითხარით: ჩემგან მიიღებს და თქვენ გაუწყებთ-მეთქი. (იოან. 16:12-15)

როცა სულიწმიდა გვესაუბრება, არსებითად, იესო გველაპარაკება, რომელიც არის ზეციერი მამის სიტყვა ჩვენთვის. ო, დიახ! მიუხედავად იმისა, რომ ისინი სამ განსხვავებულ პიროვნებას წარმოადგენენ, თავიანთი გონებით, ნებით და ემოციებით, აბსოლუტურად ერთნი გახლავან. ვერასოდეს ნახავთ, რომ მათ განსხვავებული აზრი ჰქონდეთ. ისინი ყოველთვის ერთი მიზნის, გეგმისა და ნების განხორციელებისკენ მიდიან. გაიხსენეთ წმიდა წერილის ნათელი განაცხადი: „ისმინე, ისრაელ, უფალი, ჩვენი ღმერთი - ერთი უფალია!“ (2 რჯ. 6:4).

ურთიერთობის სამი დონე

ზემომოყვანილ მონაკვეთში იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ მათთვის ბევრი რამის გაცხადება სურდა, მაგრამ ვერ იტვირთავდნენ. მათ იმ დროისთვის ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ღვთის იდუმალი საგნების აღქმა ბუნებრივი შეგრძნებების მეშვეობით.

გაიხსენეთ, რა მოხდა იესოს მკვდრეთით აღდგომის შემდეგ: იგი ათ მოწაფეს ეჩვენა; თომა მათ შორის არ იმყოფებოდა. მას შემდეგ, რაც სხვებმა დაამოწმეს იესოს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, თომამ თქვა: „სანამ მის ხელებზე ნალურსმნევს არ ვნახავ და ნალურსმნევში თითს არ ჩავყოფ, მის ფერდში კი - ხელს, არ ვიწამებ!“ (იოან. 20:25).

მოგვიანებით, იესო ყველა მათგანს ეჩვენა. მან მაშინვე შესთავაზა თომას ნალურსმნევ ხელსა და ფერდში ხელის ჩაყოფა და რწმენის ქონაზე მიუთითა. თომამ შეჰყვირა: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ შემდეგ იესომ რაღაც უთხრა თომას, რასაც კარგა ხნის მანძილზე ვერ ვიგებდი:

> „შენ მირწმუნე, იმიტომ, რომ მიხილე. ნეტარ არიან ისინი, ვისაც არ ვუნახივარ და მირწმუნეს“ (იოან. 20:29).

ადრე ვფიქრობდი, რომ იესო, ცოტა არ იყოს, მკაცრი იყო თომას მიმართ, რადგან დიდი იმედი არ მიუცია მონანიებისა და შეძახილის შემდეგ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ ჩემი მოსაზრება არასწორი იყო უმეცრებისა და არასწორი გაგების გამო. მოგვიანებით, სულიწმიდამ გონება გამინათა იესოს ნათქვამის თაობაზე. იგი სულაც არ იყო მკაცრი თომას მიმართ; უბრალოდ, ფაქტი აღნიშნა. იესომ მარტივად თქვა, რომ ვინც მას მხოლოდ ფიზიკური გრძნობების მეშვეობით იცნობს, ვერასოდეს ჩაწვდება მის სიღრმეებს ისე, როგორც სულით შეცნობის მოსურნენი, ამიტომ ეს უკანასკნელნი უფრო მეტად კურთხეულნი არიან.

დააკვირდით პავლე მოციქულს. მას არასოდეს უვლია იესოს გვერდით პეტრესა და სხვათა მსგავსად, მაგრამ იესო სულიწმიდის გამოცხადებით შეიცნო. მან დაწერა:

> ხოლო გაუწყებთ თქვენ, ძმებო, რომ სახარება, რომელსაც ვახარებ, ადამიანური არ არის. ვინაიდან არც მე მიმიღია და მისწავლია იგი ადამიანისგან, არამედ იესო ქრისტეს გამოცხადებით. რადგან გსმენიათ ჩემი წინანდელი მიმოსვლა იუდევლობაში, რა სასტიკად ვდევნიდი და ვარბევდი ღვთის ეკლესიას. მრავალ ჩემი ასაკის

> თანატომელს აღვემატებოდი იუდეველობაში, რადგან მამების გადმოცემების დიდად მოშურნე ვიყავი. ხოლო როცა კეთილინება ღმერთმა, რომელმაც გამომარჩია დედის საშოდან და მომიწოდა თავისი მადლით გამოეცხადებინა ჩემში თავისი ძე, რათა წარმართებისთვის მეხარებინა იგი; მყისვე როდი ვეთათბირე ხორცსა და სისხლს. არც იერუსალიმში ავსულვარ ჩემს წინამორბედ მოციქულებთან, არამედ არაბეთში წავედი და კვლავ დავბრუნდი დამასკოში (გალ. 1:11-17).

დრო გადიოდა და პავლე ისეთ ღრმა ურთიერთობაში შევიდა უფალთან, როგორიც არც ერთ თავდაპირველ მოციქულს არ ჰქონია. პეტრემ ეს წერილობითაც აღნიშნა.

> და ჩვენი უფლის სულგრძელობა ხსნად მიიჩნიეთ, როგორც ჩვენმა საყვარელმა ძმამ პავლემაც მოგწერათ მისთვის მინიჭებული სიბრძნით; ამის შესახებ ლაპარაკობს იგი ყველა წერილში, რომლებშიც *ზოგი რამ ისე ძნელად გასაგებია*. (2 პეტრ. 3:15-16, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ოჰო! პეტრე მოძღვართან ერთად ხორციელად დადიოდა სამწელიწადნახევრის განმავლობაში, რის შესაძლებლობაც პავლეს არ ჰქონია, მაგრამ ამ უკანასკნელმა იმდენად ღრმად გაიცნო იესოს ბუნება და გზები, რომ პეტრეს გაგება გაუჭირდა. რატომ? როგორც ჩანს, მოციქული გამუდმებით მეხსიერებას ეყრდნობოდა, რაც ნანახი და გაგონილი ჰქონდა, მაგრამ ხელს უშლიდა იესოსთან მეტად დაახლოებაში. სწორედ ამიტომ თქვა იესომ: „ოჰ, რამდენი რამის თქმა მინდა კიდევ, მაგრამ ახლა ვერ იტვირთავთ. როცა მოვა ჭეშმარიტების სული, ის გაგიძღვებათ ყოველ ჭეშმარიტებაში.“

ამის შედარებით სუსტი მაგალითია (გთხოვთ, გაიაზროთ, რომ ეს არ არის სრული მიზეზი, მაგრამ გარკვეულწილად სინათლეს მოჰფენს საკითხს) ინტერნეტით პიროვნების შეყვარება, რომელიც არასოდეს უნახავთ. ასე ხშირად ხდება და ისეთივე ძლიერი სიყვარული ყალიბდება, როგორიც ნაცნობი და პირადი შეხვედრების მქონე ადამიანების შემთხვევაშია.

ფაქტობრივად, იმის საჩვენებლად, თუ რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს წარმოშობილი გრძნობა, ნება მომეცით, ოჯახის დანგრევის ერთი მაგალითი წარმოგიდგინოთ. მახსოვს ერთ საღამოს მსახურების შემდეგ ერთ მამაკაცთან მივედი, რომელიც დანაღვლიანებული ჩანდა. მას ხელში ორი პატარა ბავშვი ეჭირა. შეფიქრიანებულმა ვკითხე:

– ყველაფერი რიგზეა?

მან მიპასუხა:

– არა, ამას წინათ ცოლმა მიმატოვა და ინტერნეტით გაცნობილ კაცთან გაიქცა.

შემდეგ მან მიამბო, რომ ქალმა არ მარტო ის, არამედ ექვსი შვილიც დატოვა მამაკაცის გამო, რომელიც პირადად არასოდეს უნახავს. მათ ინტერნეტით შეუყვარდათ ერთმანეთი და ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ შვილებიც კი მიატოვა.

დავბურუნდეთ ამ საკითხის დადებით ასპექტს. გარკვეული დროის შემდეგ დავაკვირდი, რომ შორი მანძილიდან ურთიერთობა ხშირად დასრულებულა ღრმა სიახლოვის გრძნობით რეგულარული შეხვედრების მქონე ადამიანებისგან განსხვავებით. ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მათ ფიზიკური საზღვრები გადალახეს და ერთმანეთს სულიერად დაუახლოვდნენ. მრავალჯერ ისე ხდება, რომ პირადი შეხვედრებისას ადამიანებზე ფიზიკური მხარეები ახდენს გავლენას და სილამაზე ან გარეგნული მანერები ფარავენ რეალურ პიროვნებას.

როგორც წინა თავებში ვთქვი, კომუნიკაციის სამი დონე არსებობს: ვერბალური, მოქმედება და გული. ასევე არსებობს ურთიერთობის ანუ ერთმანეთის ცნობის სამი დონე. აქედან უმდაბლესია ფიზიკური დონე. სამწუხაროდ, სწორედ ამის საფუძველზე იქმნება მრავალი ოჯახი და როცა გარეგნული მხარე თავის მომხიბვლელობას კარგავს, ორ ადამიანი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ხდება. კაცი უფრო მეტად იძირება სპორტში, ჰობებში, მსახურებაში და ა. შ. ქალს იზიდავს შოპინგი, მეგობრები, მსახურება და სხვა. ერთი სიტყვით, საქმე სახარბიელოდ არ არის.

მიახლოება

შემდეგი იქნება სამშვინველის დონე ანუ პიროვნული გაგება. ეს ის დონეა, რომელზეც დავითსა და იონათანს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ. ბიბლიაში ვკითხულობთ: „შეეკრა იონათანის სული დავითის სულს“ (1 სამ. 18:1). დავითი ასე გოდებდა იონათანის სიკვდილის გამო: „ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავ ჩემთვის, საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი, ქალის სიყვარულზე აღმატებული“ (2 სამ. 1:26). დავითს არასდროს ყვარებია იონათანი გაუკუღმართებული გზით. მათ შორის არ ყოფილა ფიზიკური მიმზიდველობა. ისინი ერთმანეთს ფიზიკურზე უფრო მაღალ დონეზე შეეკრნენ და სწორედ ეს გამოიხატა განცხადებით, რომ იონათანის სიყვარული ქალის სიყვარულზე ძლიერი იყო. ისინი ერთმანეთს ღრმა პიროვნულ დონეზე იცნობდნენ. როცა ამგვარ პიროვნულ ურთიერთობას გავიაზრებთ, მაშინ ვხვდებით, რატომ ტოვებენ ადამიანები ოჯახებს და გარბიან სხვებთან, ვისაც მხოლოდ ტელეფონით, მიმოწერით ან ინტერნეტით იცნობენ.

თუმცა პიროვნების გაცნობის უმაღლესი დონე სულიერია. ამიტომ ამბობს პავლე:

> რომელმა ადამიანმა იცის, რა არის ადამიანში, გარდა ადამიანის სულისა, რომელიც მასშია? ასევე ღვთისაც არავინ იცის, გარდა ღვთის სულისა. ჩვენ კი მივიღეთ არა წუთისოფლის სული, არამედ სული ღვთისგან, რათა ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული. (1 კორ. 2:11-12)

პავლემ სწორედ ამ დონეზე გაიცნო იესო. მიუხედავად იმისა, რომ პეტრეც იცნობდა უფალს იგივე დონეზე, ჩანს მოგვიანებით უკან დაიხია და ისევ მოგონებებში აცოცხლებდა მის შემეცნებას ურთიერთობის სხვა დონეებზე, როცა მასთან ერთად ხორციელად დადიოდა. ამ მიზეზის გამო პავლე მკაფიო ხაზგასმას აკეთებს:

> ამიტომ ამიერიდან აღარავის ვიცნობთ ხორციელად; და თუ ხორციელად ვიცნობდით კიდეც ქრისტეს, ახლა აღარ ვიცნობთ. (2 კორ. 5:16)

თუ გვსურს ღვთის სიღრმისეულად შეცნობა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ მის მიერ ბოძებული ყველაზე დიდი კურთხევა სულაც არ არის მისი ხორციელად გაცხადება, არამედ მისი სულის მეშვეობით მიღებული გამოცხადება.

ოჰო! ისევე აღფრთოვანებული ხართ როგორც მე? რა საოცარ უფალს ვემსახურებით! მას გულით სწადია, რომ სირღმისეულად გაგვიცხადდეს. ის არის ამ სიახლოვის ინიციატორი. ნუთუ თქვენი გული არ ილტვის იგივესკენ?

კითხვები შესწავლისთვის

1. ოდესმე გილოციათ „გთხოვ-ზეცაში-წამიყვანე-რომ-შენთან-ვიყო“ ლოცვით? რა გარემოებებში აღმოგხდათ მსგავსი ლოცვა?
2. ეკლესიაში ბევრი ცდილობს იესოსთან მიახლოებას სულიწმიდასთან ახლო ურთიერთობის გარეშე, თუმცა კარგად უწყის, რომ იესოს ვერავინ გაიცნობს სულიწმიდის გარეშე. რატომ? ოდესმე მიმხვდარხართ ცხოვრებაში, რომ ეს ჭეშმარიტებაა?
3. როცა სულიწმიდის პარტნიორობაზე ფიქრობთ, რა გავლენას ახდენს მისი თანდასწრება თქვენს გაბედულებაზე, რომ გული ღმერთს გადაუშალოთ? ნუთუ მართლა არსებობს რამე, რისი დაფარვაც შეგიძლიათ?

თავი მეთერთმეტე

მამის აღთქმა

ვერასოდეს მიიღებთ კურთხევას იქედან,
რისიც არ გჯერათ.

1979 წელს იესო მხსნელად მივიღე პერდიუს უნივერსიტეტის სტუდენტურ სათვისტომოში. როგორც კი ძველი გზები მივატოვე და იესო ქრისტე ჩემს უფლად ვაღიარე, მაშინვე ვიცოდი, რომ ღვთის სამეფოში ვიშვი. წერილი გვეუბნება: „თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად, რადგან ამბობს წერილი: „ყოველი მისი მორწმუნე არ შერცხვება“ (რომ. 10:9-11).

ეჭვი არ მქონდა, რომ გადარჩენა მივიღე. ჩემი გული მემოწმებოდა და წერილი მიდასტურებდა. და მაინც, ახალ ცხოვრებაში თითქოს რაღაც მაკლდა და რამდენიმე თვის მანძილზე ხელიდან მისხლტებოდა, თუ რა იყო ეს. უფალი ძალზე შორეული ჩანდა, თუმცა ვიცოდი, რომ მისი შვილი ვიყავი. ბიბლიის კითხვისას ბურუსი მფარავდა; ძნელი იყო სიტყვის აღქმა და ჩემი გაგება შეზღუდული გახლდათ, თუმცა

გულმოდგინედ კი ვკითხულობდი. ასევე მაკლდა გამარჯვებით სიარული ჩემი ცხოვრების მტრულ გარემოებებში და ჩანდა, რომ სრულიად უმწეო ვიყავი ჩემი თანატოლების ძლიერი ზეწოლის წინააღმდეგ, რომელიც უნივერსიტეტის სტუდენტობისას მოვიდა.

დრო გადიოდა და დავიწყე იმ ადამიანებთან დაახლოება, რომლებიც ჩემსავით უფალში დადიოდნენ. ისინი მასზე მშვენივრად ლაპარაკობდნენ, თითქოს პირადად იცნობდნენ. შევფიქრიანდი. რას აკეთებდნენ ისინი ისეთს, რასაც მე არ ვაკეთებდი? რატომ აძლევდა ღმერთი მათ ასეთ სიახლოვეს, რომელიც მე ვერ მეპოვნა? ჩანდა, რომ ამ ადამიანებმა კარგად უწყოდნენ უფლის გზები და მტკიცედ იდგნენ ამაში, რაც მე არ შემეძლო. გავაგრძელე ბიბლიის შესწავლა და ვიმედოვნებდი, რომ მასში ვიპოვიდი უფალთან შეხვედრას, რომელიც აქამდე არ განმეცადა.

ზეციერი მამის აღთქმა

მოდით, ვნახოთ, რა აღმოვაჩინე წმიდა წერილში! იესოს ზეცად ამაღლების წინა მომენტზე ვკითხულობთ:

> შეკრიბა ისინი და *დააავალა*: „იერუსალიმს ნუ გაშორდებით, არამედ დაელოდეთ მამის მიერ აღთქმულს, ჩემგან რომ მოისმინეთ; რადგან იოანე წყლით ნათლავდა, თქვენ კი, არცთუ მრავალი დღის შემდეგ, მოინათლებით სულიწმიდით“. ამიტომ შეკრებილნი ეკითხებოდნენ მას: „უფალო, ამ დროს ხომ არ აღუდგენ ისრაელს სამეფოს?“ (საქმ. 1:4-6, *ავტორისეული ხაზგასმა*)

იესომ მის მორწმუნეებს უთხრა, რომ არსად წასულიყვნენ საქადაგებლად, ეკლესიების დასანერგად ან თავიანთი მოწოდების აღსასრულებლად, სანამ „მამის აღთქმულს“ არ მიიღებდნენ, რაც უფლისავე სიტყვებით, სულიწმიდით ნათლობა იყო. სიტყვა *ნათლობა*, რომელსაც იესო ამ მუხლში იყენებს, წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან *ბაპტიზო* და

ნიშნავს „შთაფლობას, ჩაშვებას, გადავსებას“. იესო მათ ეუბნებოდა, რომ მოვიდოდა სულიწმიდაში ჩაფლობა, რომელიც აქამდე არ ჰქონიათ; მიუხედავად იმისა, რომ სწამდათ მისი აღდგომა, აღიარებდნენ მისი უფლობას და ზეცასთან შეკრული ერთგული მიმდევრები იყვნენ.

პირველი, რაც თვალში მომხვდა, იყო ფაქტი, რომ სულიწმიდით ნათლობა რჩევას, ერთ-ერთ ვერსიას ან რეკომენდაციას არ წარმოადგენდა, არამედ ეს გახლდათ *დავალება*! დავალება გვეძლევა ჩვენდა სასიკეთოდ, დაცვისა და ცათა სამეფოს სარგებლისთვის. მის მითითებებს ზედაპირულად არ უნდა მოვეკიდოთ, როგორც ჩვენი, ისე ცათა სამეფოს გულისთვის.

მამის აღთქმა, რომ მათთვის აქამდე უცნობი რამ უნდა მიეღოთ, იესოს ამაღლებიდან ათი დღის შემდეგ უნდა ასრულებულიყო. საინტერესოა, რომ იესო ხუთას მორწმუნეს ეჩვენა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ (1 კორ. 15:6), მაგრამ აღთქმის მოლოდინში ზემო თვალში მხოლოდ ას ოცი მოწაფე შეიკრიბა. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ თავიდან ხუთასივე ელოდებოდა, მაგრამ დრო გადიოდა და ხალხი შეთხელდა მოუთმენლობის, ეჭვების, ურწმუნოების ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, სანამ რაღაც ნაწილი არ დარჩა. სამწუხაროა, რომ ყოველი ხუთი ადამიანიდან თითქმის ოთხმა არ გაითვალისწინა იესოს მითითება.

დარჩენილები შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ისინი მოკვდნენ საკუთარი გეგმებისთვის. ეს მოწაფეები გულარხეინად არ მოეპყრნენ იესოს დავალებას და არც სხვადასხვა მიზეზით თავის მართლება უცდიათ. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ მათი დამოკიდებულება იმდენი ხნით დალოდებაში მდგომარეობდა, რამდენიც საჭირო იქნებოდა, რახან მოძღვარმა ასე თქვა. მას შემდეგ, რაც ღმერთმა დატოვა იესოს მოთითების სერიოზულად მიმღები ხალხი, ბიბლია გვეუბნება:

> ორმოცდამეათე დღის ზეიმმა რომ მოაწია, ყველანი ერთად იყვნენ. მოულოდნელად ხმაური გაისმა ზეციდან, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო, და აავსო მთელი სახლი, სადაც ისხდნენ. და ეჩვენათ მათ გაყოფილი

ენები, როგორც ცეცხლოვანნი და სათითაოდ დაივანა თითოეულ მათგანზე. ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ. (საქმ. 2:1-4)

იმ დღეს „ორმოცდამეათე დღე“ ეწოდა, რომელიც არ არის ახალი აღთქმიდან წამოსული ტერმინი, არამედ ისრაელის მთავარი დღესასწაულია. ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი *აივსნენ* და *მოინათლნენ* სულიწმიდით, როგორც იესომ წინასწარ უთხრა. ეს იყო მამის აღთქმა, რასაც თან ახლდა *სხვადასხვა ენებზე* ლაპარაკი.

ზოგიერთისთვის სიტყვა *ენები* დამაბნეველი ან სულაც მისტიკურია მათი უმეცრების გამო. როცა წერილი *ენებზე* ლაპარაკობს, რასაც მეც ვაპრაქტიკებ, ეს მხოლოდ უცნობ ენაზე ლაპარაკია, რომელიც თქვენი აღქმისთვის გაუგებარია. ამ სიტყვას ბიბლიური საუბრების მიღმაც ვიყენებთ. თუ ინგლისურად მოლაპარაკე უცხოელთან ხართ და დაინტერესდით, რომელია მისი *მშობლიური ენა*, ამ სიტყვას იყენებთ. კითხვის დასმის მიზანი გახლავთ იმ ენის გაგების სურვილი, რომელზეც მშობლებმა ეს ადამიანი აღზარდეს.

ძლიერი ქარის დაბერვა იყო სულიწმიდის თავდაპირველი შესვლა ტაძრებში, რომლებში დამკვიდრებასაც მუდამ ესწრაფვოდა. ისევ ვიმეორებ, რომ სულიწმიდა არ არის ქარი; ქარი მისი შესვლის გამოვლინება გახლდათ.

საწინააღმდეგო გზები

ამ მომენტისთვის მინდა ერთი საინტერესო დაკვირვება გაგიზიაროთ. სატანა და მისი კოჰორტა ყოველთვის ღვთის გზების საწინააღმდეგოდ ან მათ დასამახინჯებლად მოქმედებს. როცა სულიწმიდა პირველად მოვიდა, ისე გააკეთა, რომ ეს არაფერში არეოდათ. ადამიანები *ხედავდნენ* და *ესმოდათ* მისი გამოვლინება, როცა სულით ივსებოდნენ. საქმეთა წიგნში სხვა მსგავს აღწერილობასაც ვხედავთ. თუმცა, როცა სულიწმიდა მიდის, ამას ძალიან წყნარად აკეთებს. გაიხსენეთ დალილასა

და სამსონის ამბავი. როცა ქალმა სამსონს შესძახა, რომ ფილისტიმელები მოვიდნენ, იგი წამოხტა და თქვა:

> „წინანდებურად გავალ და დავიხსნი თავს“. არ იცოდა, რომ განშორდა უფალი. (მსაჯ. 16:20, *ავტორისეული ხაზგასმა*)

სამსონმა არ იცოდა, რომ უფალმა მიატოვა, რადგან ღვთის სული ყოველთვის წყნარად მიდის. დემონების შემთხვევაში პირიქით ხდება. ისინი ჩუმად შედიან, მაგრამ წასვლისას სხვადასხვა სახის გამოვლინებით მიდიან (ამას სახარებაში მრავლად ნახავთ).

აღთქმა ყველასთვისაა

მოდით, ისევ ორმოცდამეათე დღეს დავუბრუნდეთ! იერუსალიმში სადღესასწაულოდ შეკრებილი იყვნენ ებრაელები დედამიწის ყველა ერიდან. როცა ქალაქში ძლიერი ქარის ხმაური გაისმა, მრავალი მოვიდა იქ, სადაც მოწაფეები იყვნენ. მნახველები გაოგნებული უსმენდნენ მოწაფეებს, რომლებიც სხვადასხვა ენებით ლაპარაკობდნენ ღვთის დიდებულ საქმეებზე. გაოცებული ხალხი კითხულობდა: „ეს რას უნდა ნიშნავდესო?“

პეტრემ დაძლია ელდა და წამოდგა ყველა იქ მყოფისთვის იესოს სახარებლად. სიტყვის დასასრულს ასე თქვა:

> ეს იესო აღადგინა ღმერთმა, რისი მოწმენიც ვართ ჩვენ ყველანი. ამგვარად ამაღლდა იგი ღვთის მარჯვნივ, მამისგან სულიწმიდის აღთქმა მიიღო და მოჰფინა იგი, რასაც თქვენც *ხედავთ* და *ისმენთ*. (საქმ. 2:32-33, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყურადღება მიაქციეთ, რომ სულიწმიდის აღთქმა იყო ის, რისი *დანახვა* და *მოსმენა* შესაძლებელი გახლდათ. თქვენთვის თქვით: „დანახვა და მოსმენა“ მნიშვნელოვანია, რომ ეს დავიმახსოვროთ მომდევნო მუხლების განხილვისთვის.

შეკრებილ ხალხს გულზე მოხვდა მისი ნათქვამი და იკითხა, რა უნდა ექნა. პეტრემ უპასუხა:

> ხოლო პეტრემ უთხრა მათ: „მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს. რადგან თქვენ გეკუთვნით *აღთქმა*, და თქვენს შვილებს, და *ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი, ჩვენი ღმერთი*“ (საქმ. 2:38-39, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ყურადღებით დააკვირდით, რომ აღთქმა, რომლის *დანახვა* და *მოსმენა* შეიძლება, ეკუთვნის *ყველა შორეულს, ვისაც კი მოუხმობს უფალი, ჩვენი ღმერთი*. ის, რაც ზემო თვალში მოწაფეებმა მიიღეს, ეკუთვნის ყველას, ვისაც კი უფალი მოუხმობს, ჩემი და თქვენი ჩათვლით!

ამ დროისთვის მინდა, მოკლედ მიმოვიხილოთ ყველა შემთხვევა, როცა ადამიანები სულიწმიდას იღებდნენ ახალ აღთქმაში. არსებობს ოთხი სხვა მაგალითი, მოინიშნეთ ორი რამ! პირველი, ერთის გარდა ყველა შემთხვევაში ეს იყო ქრისტეს, როგორც უფლის მიღებისგან განცალკევებული შემთხვევა. მეორე, ყველა შემთხვევაში იქ მყოფებს შეეძლოთ სულიწმიდით ავსების გამოვლინების *დანახვა* და *მოსმენა*.

სამარია

ფილიპე სამარიაში მივიდა და იესოზე ახარა. მრავალი მოვიდა მის მოსასმენად. ბევრი სასწაული მოხდა. „მრავალი დაკავებულისგან ყვირილით გამოდიოდნენ არაწმიდა სულები; ბევრი დავრდომილიც და კოჭლიც იკურნებოდა“ (საქმ. 8:7). საოცარი ძალით ხდებოდა სახარების ქადაგება და ქალაქში დიდი სიხარული იყო. შემდეგ ვკითხულობთ:

> ერწმუნენ რა ფილიპეს, რომელიც ღვთის სამეფოსა და იესო ქრისტეს სახელს ახარებდა, ინათლებოდნენ როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცებიც. სიმონმაც ირწმუნა და მოინათლა. (საქმ. 8:12-13)

ხალხმა ირწმუნა იესო ქრისტეს სახარება და წყალში მოინათლა. წერილის თანახმად, ისინი ხელახლა იშვნენ ღვთის სამეფოში. თუმცა კითხვის გაგრძელებისას ვხედავთ შემდეგს:

> იერუსალიმში მყოფმა მოციქულებმა რომ გაიგეს, სამარიამ ღვთის სიტყვა მიიღოო, პეტრე და იოანე გაგზავნეს მათთან, რომლებიც ჩავიდნენ და ილოცეს მათთვის, რომ მიეღოთ სულიწმიდა. რადგან ამ დრომდე არც ერთ მათგანზე არ იყო გადმოსული, მხოლოდ ინათლებოდნენ უფალ იესოს სახელით. (საქმ. 8:14-16)

უფრო მეტი ინფორმაცია არის გადმოცემული ზეციდან შობილ ადამიანებზე, რომლებიც „უფალ იესოს სახელით მოინათლნენ“. კითხვა აღარ ჩნდება, რომ ისინი სიბნელის სამეფოდან ღვთის ოჯახში გადმოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელახლა უკვე იშვნენ,

ჯერ კიდევ არ იყვნენ სულიწმიდით მონათლულები.

ალბათ, იკითხავთ, როგორ იყო ეს შესაძლებელი, როცა წერილი ნათლად ამბობს: „და არავის შეუძლია, თქვას: „უფალია იესო“ - თუ არა სულიწმიდით. (1 კორ. 12:3) ეს მართალია. არ შეგვიძლია იესოს უფლობის აღიარება სულიწმიდის ზეგავლენის გარეშე, მაგრამ ეს სრულიად განსხვავდება მისით ავსებისგან. მოქცევის დროს ვიწმინდებით, ვიბეჭდებით და ვმკვიდრდებით სულიწმიდის მიერ (იხილეთ 1 პეტრ. 1:2; ეფეს. 1:13; რომ. 8:9-11), თუმცა მისი თანდასწრებით არ ვივსებით, სანამ მამას არ ვთხოვთ იესო ქრისტეს სახელით. წერილი ამბობს:

> ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა იცით თქვენი შვილებისთვის კეთილ მისაცემთა მიცემა, მითუმეტეს ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს (ლუკ. 11:13).

სიტყვებიდან „ზეციერი მამა“ ვხედავთ, რომ სულიწმიდის აღთქმა მხოლოდ მას ეკუთვნის, ვინც უკვე გახდა ღვთის შვილი. ამასთანავე, იესო მოგვიანებით ამბობს, რომ „წუთისოფელს არ შეუძლია“ ჭეშმარიტების სულის მიღება (იოან. 14:17). იესოს

სიტყვებიდან ვხედავთ, რომ ეს ცათა სამეფოში ხელახლა შობისგან განსხვავებული განცდაა.

მოდით, გავაგრძელოთ სამარიელების ამბავი!

> დაასხეს მათ ხელები და მათაც მიიღეს სულიწმიდა. სიმონმა რომ დაინახა, მოციქულთა ხელდასხმით ეძლევათო სულიწმიდა, ფული მიუტანა მათ. უთხრა: „მეც მომეცით ძალაუფლება, რომ ვისაც ხელს დავასხამ, მიიღოს სულიწმიდა“. (საქმ. 8:17-19, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ამ მორწმუნეებმა მიიღეს სულიწმიდა გადარჩენის შემდეგ. აქ ხაზგასმით არ არის ნათქვამი, რომ ადამიანები ენებზე ალაპარაკდნენ, მაგრამ რატომ შესთავაზებდა სიმონი ფულს? წერილი ამბობს, რომ მან *დაინახა*, რომ ხალხმა სულიწმიდა მიიღო. ცხადი იყო მისი გამოვლინება და სხვა რა შეიძლება იყოს, თუ არა ენებზე ლაპარაკი. ეს დასკვნა ეთანხმება ახალ აღთქმაში აღწერილ სხვა, სულით ავსების მაგალითებს.

განვიხილეთ რა სამარიის შემთხვევა, უპირველესად დავინახეთ, რომ ღვთის სულით ავსება ღვთისკენ მოქცევისგან განსხვავებული განცდაა და მეორე, თვითმხილველებმა *დაინახეს* გარეგნული გამოვლინება.

ეფესო

პავლე მოციქული და მისი გუნდი ეფესოში მოვიდნენ და იქ რამდენიმე მოწაფე იპოვეს. პირველი კითხვა, რომელიც მათ დაუსვეს, ასეთი იყო:

> „როცა ირწმუნეთ, თუ მიიღეთ სულიწმიდა?“ (საქმ. 19:2)

ეს უნდა იყოს პირველი კითხვა, რომელსაც ახალმოქცეულებს დავუსვამთ. რატომ უნდა ცხოვრობდნენ ადამიანები უფალთან ერთობის და იესოს შესახებ დამოწმების ძალის გარეშე თუნდაც ერთი საათით? (იხილეთ საქმე. 1:8)

ამ მოწაფეებს არაფერი სმენოდათ სულიწმიდის შესახებ და მხოლოდ წყლით იყვნენ მონათლული იოანეს ნათლობით. ამრიგად, პავლემ და მისმა თანამგზავრებმა ახარეს იესო ქრისტეს მეშვეობით ხსნის მიღებაზე. შემდეგ ვკითხულობთ:

> ეს რომ გაიგეს, უფალ იესოს სახელით მოინათლნენ. (საქმ. 19:5)

ახლა წერილის თანახმად, ისინი ნამდვილად იშვნენ ცათა სამეფოში, რადგან იესოს უფლობა აღიარეს და წყლით მოინათლნენ. ამის შემდეგ ვკითხულობთ:

> როცა ხელები დაასხა მათ პავლემ, გადმოვიდა მათზე სულიწმიდა, ენებზე ალაპარაკდნენ და წინასწარმეტყველებდნენ. (საქმ. 19:6)

ისინი ენებზე ამეტყველდნენ და წინასწარმეტყველებდნენ სულიწმიდით ავსების მომენტში. თვითმხილველებმა ისევ *დაინახეს* და *გაიგონეს* მამის აღთქმულის გამოვლინება მათში, რომლებმაც იგი მიიღეს.

წინასწარმეტყველება „ღვთიური შთაგონებით ლაპარაკს“ ნიშნავს. პეტრე წინასწარმეტყველებდა სულთმოფენობის დღეს, როცა ბრწყინვალე სიტყვა წარმოთქვა. მისი ქადაგების მეშვეობით ათასობით ადამიანი შეუერთდა ცათა სამეფოს. ის წინასწარ არ მომზადებულა და არც რამე სასწავლო კვლევა ჩაუტარებია. მისი სიტყვა ღვთის შთაგონებით წარმოითქვა. ამ ადამიანებმა ბევრი არაფერი იცოდნენ ღვთის გზებზე, სანამ სულიწმიდით აივსებოდნენ, ახლა კი ისინი ღვთის სულის შთაგონებით ლაპარაკობენ.

იგივე დაემართა ყოველ ადამიანს, ვინც ღვთის სულით აივსო. *მოძღვარი* ჩვენში ცხოვრობს და ღვთიური საკითხები უფრო ნათელი ხდება. სულიწმიდით ნათლობამდე ღვთის სიტყვა და გზები ჩემთვის ბუნდოვანი იყო. მას შემდეგ კი ყველაფერი შეიცვალა; ბიბლია პირადად გამეხსნა. არაერთხელ ვყოფილვარ იმ ადამიანთა ნათქვამის მოწმე, რომლებიც კარგა

ხნის მანძილზე სულიწმიდით ვერ მოინათლდნენ და შემდეგ როცა მისით აივსნენ, ასე თქვეს: უამრავი შეკითხვა მქონდა და ახლა ყველაფერს პასუხი გაეცა“, ასევე – „ბიბლია გაცილებით ნათელი გახდა ჩემთვის.“

იგივე მომისმენია წმიდა წერილის ბეჯითად მკვლევარებისგან, რომლებიც ხელახლა შობილი ქრისტიანები იყვნენ, მაგრამ სულიწმიდით არ მონათლულან, ამიტომ სულით სავსე ქრისტიანების ცოდნაზე შენიშვნები ჰქონდათ. შეიძლება ასეთებმა სამჯერ მეტად იკვლიონ ბიბლია, მაგრამ ვერასდროს დაეწევიან სულით ავსილი მორწმუნეების გაგებას. მათი კომენტარების მოსმენის შემდეგ უბრალოდ ვპასუხობ: „ეს მარტივია. ვინც სულით ავსებული არ არის, გონება სრულად არ აქვს განათებული სულიწმიდის მიერ.“ თუმცა შესაძლებელია, მათ ცხოვრებაშიც დადგეს ეს დღე, რადგან ღვთის აღთქმა ეკუთვნის ყველას, ვინც მოუხმობს უფლის სახელს! ღმერთი დიდად მოწყალეა ჩვენს მიმართ!

ამრიგად, სამარიელების მსგავსად, ეფესელმა მორწმუნეებმა ღვთის სული მიიღეს, როგორც მოქცევისგან განცალკევებული განცდა და თვითმხილველებმა აქაც *დაინახეს* გარეგნული გამოხატულება.

პავლე მოციქული

საქმ. 9-ში სავლე, რომელსაც პავლედ ვიცნობთ, დამასკოს გზაზე მიდიოდა იქაური მორწმუნეების დევნისთვის. ქალაქთან მიახლოებისას მას ბრწყინვალე ნათელი ეჩვენა ზეციდან და უფლის ხმა გაიგონა, რომელმაც ჰკითხა:

– სავლე, სავლე, რად მდევნი მე?

სავლე მაშინვე დაინტერესდა, ვინ ელაპარაკებოდა, ხოლო უფალმა უპასუხა:

– მე ვარ იესო.

საულმა ჰკითხა:

– უფალო, რა გინდა რომ გავაკეთო?

მას ქალაქში შესვლა ებრძანა, სადაც შემდგომ მითითებებს მიიღებდა.

დარწმუნებული ვარ, რომ ამ მომენტში მან ზეციდან შობა მიიღო. ამ მოსაზრებას ორმაგი მიზეზი უმაგრებს ზურგს. პირველი, იესოს ნათქვამის შემდეგ: „მე ვარ იესო“, სავლემ ის „უფლად“ აღიარა. მეორე, სავლე სამი დღე მარხულობდა და ლოცულობდა, რის შემდეგაც მასთან ანანია მივიდა და ნათლად უთხრა:

„*ძმაო*, სავლე, უფალმა გამომგზავნა, იესომ, რომელიც გზაზე მიმავალს გეჩვენა, რომ თვალი აგეხილოს და *აღივსო სულიწმიდით*“. (საქმ. 9:17, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყურადღება მიაქციეთ სიტყვა *ძმას*. სავლე იესო ქრისტეს მორწმუნე იყო და იგი უფლად აღიარა. ასევე სამი დღე ილოცა. უკვე ზეციდან შობილთან მივიდა ანანია, რომ სულიწმიდით ავსებისთვის ელოცა.

აქ არ არის ნათქვამი, რომ სავლე ენებით ალაპარაკდა, თუმცა ის თავად ამბობს ამის შესახებ კორინთელთა წერილში: „ვმადლობ ჩემს ღმერთს, რომ ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით“ (1 კორ. 14:18). როდის დაიწყო ენებზე ლაპარაკი? როცა ანანიამ ხელები დაასხა და ილოცა (საქმ. 9:17).

კორნელიუსი და მისი სახლეული

იყო ერთი, კორნელიუსად წოდებული რომაელი ოფიცერი. ის, მისი სახლეული და მეგობრები გახდნენ პირველი ზეციდან შობილი მორწმუნეები წარმართთაგან. კორნელიუსი ხშირად მარხულობდა და ლოცულობდა. ერთ შუადღეს ანგელოზი ეჩვენა და უთხრა, რომ პეტრეს მოსაყვანად ხალხი გაეგზავნა.

როცა პეტრე რამდენიმე დღის შემდეგ მივიდა, კორნელიოსმა ახლობელი ადამიანები მოიხმო და ყველა გაემზადა მოციქულის სიტყვის მოსასმენად. პეტრემ იესოზე იქადაგა და სანამ დაასრულებდა, ასე ვკითხულობთ:

> პეტრე ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, რომ სულიწმიდა გადმოვიდა ყველაზე, ვისაც ეს სიტყვა ესმოდა. მორწმუნენი წინადაცვეთილთაგან, რომლებიც პეტრეს მოჰყვნენ, გაოცდნენ, რომ წარმართებსაც მოეფინათ სულიწმიდის ნიჭი, რადგან ესმოდათ, როგორ ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს (საქმ. 10:44-46).

ებრაელებს წარმართებთან არაფერი ესაქმებოდათ რელიგიური და მით უმეტეს სოციალური ურთიერთობის კუთხით. მათთვის უცხო იყო აღთქმის დაპირებები, არ გააჩნდათ იმედი და ღვთის გარეშე ცხოვრობდნენ (იხილეთ ეფეს. 2:12). და მაინც, იქ მომხდარმა გააოგნა ყველა იუდეველი, ვინც პეტრეს ახლდა. ისინი გაოცდნენ, რომ წარმართებმაც მიიღეს ხსნა და სულიწმიდა.

ეს ბიბლიაში ერთადერთი ადგილია, სადაც ადამიანებმა ერთდროულად მიიღეს გადარჩენა და სულიწმიდით ნათლობა. შეიძლება შემეწინააღმდეგოთ, მაგრამ პირადად მე დარწმუნებული ვარ, რომ ასე ღმერთმა მოაწყო. მან იცოდა, რომ იუდეველები კორენლიუსისა და მისი ახლობლების გამო არც იესოს და არც სულიწმიდისთვის მიღებისთვის არ ილოცებდნენ, რადგან ყველა ეეჭვებოდა მათი გადარჩენის შესაძლებლობა. იფიქრეთ ამაზე! არ არსებობს პირდაპირი სასწაულებრივი გარეგნული მოწმობა მათი ზეციდან შობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები პეტრეს ნაქადაგებ სიტყვას მიიღებდნენ და იესოს აღიარებდნენ, ებრაელები არ დაიჯერებდნენ, რომ მათი მოქცევა შესაძლებელი იქნებოდა.

თუმცა ღმერთმა ისინი სულიწმიდით აავსო და ენებზე ლაპარაკი დაიწყეს ისევე, როგორც იქ მყოფმა ებრაელებმა, ამიტომ აღარ შეეძლოთ უარყოფა, რომ ღმერთმა წარმართებზეც გადმოღვარა ხსნა.

ეს შემთხვევა ყოველგვარი ეჭვის გარეშე გვაჩვენებს, რომ ენებზე ლაპარაკი სულიწმიდის სისავსის მანიშნებელია. ბიბლიის სხვა თარგმანი გვეუბნება: „წარმართებზეც გადმოიღვარა სულიწმიდის ნიჭი, რადგან ესმოდათ, როგორ ლაპარაკობდნენ ენებზე და ადიდებდნენ ღმერთს“ (საქმ. 10:45). როგორ გაიგეს? „რადგან ესმოდათ ...“ მათ დაინახეს და გაიგონეს მამის აღთქმული!

ენები შეწყდება

შესაძლოა, კითხვა გაგიჩნდეთ: დიახ, მართალია პირველი მოწაფეების შემთხვევაში ასეც მოხდა, მაგრამ ბიბლია ხომ გვეუბნება, რომ ენები გაუქმდება, როცა სრულყოფილი მოვა? დიახ, ასეც იქნება. თუმცა სრულყოფილი მოვიდა? ზოგიერთები იტყვიან: „დიახ, სრულყოფილი ბიბლია იყო და ახლა, რაკი ის გვაქვს, ენები აღარ გვჭირდება“. რახან ასეა, გადავხედოთ წმიდა წერილს და ვნახოთ, სწორია თუ არა ასეთი განმარტება. პავლე წერს:

> სიყვარული არასოდეს მთავრდება; წინასწარმეტყველებანი გაუქმდება, *ენები შეწყდება* და ცოდნა გადაივლის. რადგან ჩვენ ნაწილობრივ ვიცით და ნაწილობრივ წინასწარ ვმეტყველებთ. და როცა სრულყოფილი მოვა, ნაწილობრივი განქარდება. (1 კორ. 13:8-10, *ავტორისეული ხაზგასმა*)

უპირველესად, გვეუბნებიან, რომ სრულყოფილის მოსვლასთან ერთად არა მარტო ენები შეწყდება, არამედ ცოდნაც (უფრო ზუსტად, *გაცხადებული ცოდნა*) გადაივლის. ეს ჯერ არ მომხდარა. ამრიგად, გავაგრძელოთ კითხვა, რომ გავიგოთ, რა პერიოდს ეხება „სრულყოფილის მოსვლა“.

> ახლა ბუნდოვნად ვხედავთ, როგორც სარკეში, მაშინ კი პირისპირ ვიხილავთ. ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ კი ისე შევიცნობ, როგორც მე ვარ შეცნობილი, ღვთის მიერ (1 კორ. 13:12, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ორჯერ ამბობს „მაშინ კი“. მოციქული მიუთითებს დროზე, როცა სრულყოფილი მოვა. ამ დროს ორი რამ განსაზღვრავს. პირველი, უფალს პირისპირ ვიხილავთ. ახლა ხედავთ მას პირისპირ? ხედავთ მის აღმდგარ სხეულს, მის თვალებს, რომელიც ცეცხლივით ელავს და მატყლივით თეთრ თმას ან მზესავით ბრწყინვალე სახეს? მეორე

მანიშნებელია, „ისე შევიცნობ, როგორც მე ვარ შეცნობილი“. იცნობთ მას ისე, როგორც ის გიცნობთ თქვენ? ამ კითხვებზე სრულიად ცხადი პასუხია, „არა“! პავლე ლაპარაკობს დროზე, როცა უფალთან ერთად ვიქნებით ჩვენი განდიდებული სხეულებით. აი, სწორედ მაშინ მოვა სრულყოფილი.

ამ დროიდან მოყოლებული, სანამ სრულყოფილი არ მოსულა, ენებიც ვერ შეწყდება. შემდგომ თავებში გაჩვენებთ, რომ ენებზე ლაპარაკის მთავარი მიზანი ღმერთთან უფრო მეტი სიახლოვეა ამ დედამიწაზე!

ყველანი ლაპარაკობენ ენებით?

შესაძლოა, ვინმემ ასეთი კითხვა დასვას: „მჯერა ენებზე ლაპარაკის, მაგრამ ყველა მორწმუნე როდი იღებს მას. წერილი გვეკითხება, „ყველანი ლაპარაკობენ ენებით?“ და ამ კითხვაზე პასუხია ‚არა’“. ეს კიდევ ერთი გაუგებრობაა პავლეს ნათქვამთან დაკავშირებით. ჯერჯერობით დავტოვოთ ეს კითხვა, რომელმაც ბევრი მორწმუნე გაძარცვა ღვთის აღთქმის დამკვიდრებისგან და თავდაპირველად განვიხილოთ ენებზე ლაპარაკის ოთხი კატეგორია, რომელთაც ახალ აღთქმაში ვხედავთ. ორი მათგანი განკუთვნილია საჯარო მსახურებისთვის, ხოლო დარჩენილი ორი — ღმერთთან პირადი მოზიარეობისთვის. მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული, რომ შესაბამისი პასუხი გავცეთ კითხვას: *არის თუ არა ღვთის ნება, რომ მისი ყველა შვილი ლაპარაკობდეს ენებით*?

ენები, რომლებიც ნიშანია ურწმუნოთათვის

ენების პირელი კატეგორია განკუთვნილია *საჯარო* მსახურებისთვის. *საჯაროს* ხსენებისას ვგულისხმობ სხვა ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მომსახურებას. პავლე მათ შესახებ წერს:

> ენა მორწმუნეებისთვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნოთათვის. (1 კორ. 14:22)

ამგვარი გამოვლინება ხდება მაშინ, როცა სულიწმიდა ჩვენი გონებრივი შესაძლებლობების მიღმა გვაძლევს დედამიწაზე არსებულ რომელიმე ენაზე ლაპარაკის უნარს, რომელიც აქამდე არ ვიცოდით და არც გვისწავლია. ეს სულის ნებისამებრ გვეძლევა. საკუთარი გადაწყვეტილებით ვერ დავიწყებთ მასზე ლაპარაკს და ზოგჯერ მაშინაც ვერ ვხვდებით, როცა ვლაპარაკობთ. ის კი ვიცით, რომ ენებით ვმეტყველებთ, მაგრამ ვერ ვაცნობიერებთ, არის თუ არა ეს დედამიწაზე ცნობილი რომელიმე ენა.

ნება მომეცით, მაგალითი მოვიყვანო. ამას წინათ, მსახურებაზე ვქადაგებდი კოლორადოს ერთ დიდ ეკლესიაში. ჩემი გუნდის ერთ-ერთი წევრი უკანა რიგებში იჯდა. ეს ქალბატონი ლოცვისა და შუამდგომლობის მსახურებას ეწევა და რაღაც მომენტში იგრძნო უფლის ბიძგი, რომ ჩემთვის ელოცა, როცა სიტყვით გამოვდიოდი. მთელი ამ მსახურების მანძილზე მას ეგონა, რომ წყნარად ლოცულობდა უცნობ ენებზე (რასაც მალე განვიხილავ). მსახურების შემდეგ მის წინა სკამზე მჯდარი ბატონი შემოუბრუნდა და უთხრა:

– თქვენ ძალიან კარგი ფრანგულით ლაპარაკობთ, სრულყოფილი აქცენტით.

მან უთხრა, რომ არასდროს ულაპარაკია ფრანგულად.

გაოცებულმა კაცმა უპასუხა:

– მე ფრანგულის ინტრუქტორი ვარ და თქვენ მთელი ქადაგების განმავლობაში იმ ადამიანისთვის ლოცულობდით სრულყოფილი ფრანგულით. ლოცვაში ადგილები მოგყავდათ წმიდა წერილიდან და როცა კი რომელიმე მუხლს ახსენებდით, მქადაგებელი თავის სიტყვაში ბიბლიის გადაშლას გვთხოვდა ზუსტად იმ ადგილზე, რომელსაც ლოცვაში ამბობდით!

ზედმეტია იმის თქმა, რომ მამაკაცის გულს დიდად შეეხო ეს ამბავი, ხოლო ქალი აღფრთოვანებული დარჩა. ეს ნიშანი გახლდათ ამ ადამიანისთვის, რომ ქადაგება ნამდვილად ღვთის სიტყვიდან მოდიოდა.

იგივე ენები გამოვლინდა მოწაფეების მიერ ორმოცდამეათე დღეს. წერილი ამბობს:

> და იმყოფებოდნენ მაშინ იერუსალიმში იუდეველნი, ღვთისმოშიში კაცები, ცისქვეშეთში მყოფი ყველა ერიდან. როცა ეს ხმაური გაისმა, ბევრმა მოიყარა თავი და შეშფოთდა, რადგან თითოეულს ესმოდა, როგორ მეტყველებდნენ ისინი მის საკუთარ ენაზე. ყველანი გაოცდნენ და გაკვირვებულნი ამბობდნენ: „განა ეს ყველანი, ვინც ლაპარაკობენ, გალილეველები არ არიან? როგორღა გვესმის თითოეულ ჩვენგანს საკუთარ ენაზე, რომელშიც ვიშვით?... [აქ მოცემულია ერების ჩამონათვალი, რომელიც გამოვტოვე] ... ვუსმენთ, ჩვენი ენებით რომ ლაპარაკობენ ღვთის დიდ საქმეებზე“. (საქმ. 2:5-11)

ვიმეორებ, რომ ენები ნიშანია ურწმუნოთათვის. ის ნიშანი იყო ფრანგულის მასწავლებლისთვის და ყველა იმ განათლებული ადამიანისთვის წმიდა წერილიდან, ვინც მთელი მსოფლიოდან ჩამოვიდა დღესასწაულზე. ამ ნიშანმა მათი ყურადღება მიიპყრო და გული გაუხსნა ღვთის სიტყვის მისაღებად.

არაერთხელ გამიგონია, რომ მორწმუნეები ადამიანებს ღვთის სიტყვას ელაპარაკებოდნენ უცხო ენებზე, რომელიც არასოდეს უსწავლიათ და ეს ღვთის სიყვარულის სიტყვის დამადასტურებელი ნიშანი იყო. ყოველ ასეთ შემთხვევაში ამ საოცარი ნიშნის გამოვლინების შედეგად საოცარ მსახურებას ვიღებთ.

ენები განმარტებისთვის

ენების მეორე კატეგორია ასევე საჯარო მსახურებისთვის არის განკუთვნილი. ესენია ზეციური ენები და არა რომელიმე დედამიწაზე გავრცელებული დიალექტი. იგივე ჭეშმარიტია ყველა სხვა კატეგორიისთვის, რომელთა განმარტებასაც ვაპირებ.

ახლა, ალბათ, დაგაეჭვებთ ის ფაქტი, რომ ზეცაში ერთზე მეტი ენა თუ დიალექტია. იფიქრეთ ამ შესაძლებლობაზე: გამოცხადების წიგნი გვეუბნება, რომ იესო პირადად მისცემს გამარჯვებულის „თეთრ ქვას და ქვაზე დაწერილ ახალ სახელს, რომელიც მიმღების გარდა არავინ იცის“ (გამოცხ. 2:17). ასევე,

თავად იესოზე გვეუბნებიან: „მისი თვალები მსგავსია ცეცხლის ალისა, თავზე მრავალი დიადემა ედგა და ზედ ეწერა სახელი, რომელიც მის გარდა არავინ იცის“ (გამოცხ. 19:12). ამრიგად, თუ მიმღებთა გარდა სხვამ არავინ იცის ეს სახელები, ზეცაში მრავალი ენა ყოფილა.

ეს ენები სულიწმიდის ნიჭების ცხრა კატეგორიაში შედის, რომელიც კორინთელთა მიმართ პირველი წერილის მეთორმეტე თავშია ჩამოთვლილი. აქ ვკითხულობთ.

> ... ზოგს - სხვადასხვა ენები, ზოგს - ენების განმარტება (1 კორ. 12:10)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ამ ენებს განმარტება უნდა ახლდეს და არა თარგმანი. რატომ? იმიტომ, რომ ენები ზეციურია და ფიზიკური სამყაროსთვის ცნობილი არ არის.

ერთი შეკრება მახსენდება სინგაპურში. იმ ერში ერთ-ერთი უდიდესი ეკლესიის მსახურებისთვის მომიწვიეს და ეს პირველი გახლდათ რამდენიმე სტუმრობიდან. სანამ სცენაზე საქადაგებლად დამიძახებდნენ, დიდი რაოდენობით მსმენელი ჩუმად იყო თაყვანისცემის მშვენიერი საგალობლების შესრულების შემდეგ. მოულოდნელად ერთი კაცი ადგა და ზეციურ ენაზე ლაპარაკი დაიწყო. ეს იმდენად ხმამაღლა და მკაფიოდ ხდებოდა, რომ მიკროფონიც არ იყო საჭირო. ეს ადამიანი უზარმაზარი დარბაზის იარუსზე იდგა და ყველას ესმოდა მის ხმაში გაჟღერებული სიმკვეთრე და ძალაუფლება. თითქოს ზეცა აძლიერებდა მას.

იმ ადამიანის ლაპარაკისას ჩემი შინაგანი კაცი სიხარულით ხტოდა, ხოლო გარეგანი მოკრძალებით გაშეშდა. ჩემი ხელ-ფეხის ყველა ბეწვი „სწორებაზე“ შემართულიყო, ხოლო გული გამალებით ცემდა ამ წმიდა ატმოსფეროში. როცა მან დაასრუ-ლა, განმარტება მოვიდა და უფლის სიტყვა, რომელიც ენებით და განმარტებით გადმოიცა, ზუსტად იმ საკითხს შეეხებოდა, რის ქადაგებასაც იმ საღამოს მსახურებაზე ვაპირებდი. გაოცებული დავრჩი. ღმერთმა არა მარტო მე, არამედ მთელ მრევლს დაუმოწმა, რომ ჩემი სიტყვა მისგან იყო მოსული.

ასეთი ენების განმარტება წინასწარმეტყველების ტოლფასია. ამ მიზეზით თქვა პავლემ: „ვინც წინასწარმეტყველებს, ენებით მოლაპარაკეზე მეტია, თუ არ განმარტავს კიდეც, რათა აშენდეს ეკლესია“ (1 კორ. 14:5). ამ მუხლში ხედავთ, რომ ეს ენები საჯარო მსახურებისთვის არის მოცემული და იმ კატეგორიას მიეკუთვნება, რომელზეც პავლე კითხვას სვამდა: „ყველანი ლაპარაკობენ ენებით?“ მოდით, ეს მუხლი წავიკითხოთ შესაბამის კონტექსტში:

> და დააყენა ღმერთმა ეკლესიაში, პირველად მოციქულები, მერე წინასწარმეტყველნი, მერე მოძღვრები; შემდეგ ძალნი, განკურნების ნიჭი, შეწევნა, მართვა და სხვადასხვა ენები. ყველა მოციქულია? ყველა წინასწარმეტყველია? ყველა მოძღვარია? ყველას აქვს ძალთა მოქმედება? ყველას აქვს განკურნების ნიჭი? ყველანი ლაპარაკობენ ენებით? ყველანი განმარტავენ? (1კორ. 12:28-30)

მიაქციეთ თუ არა ყურადღება, რომ პავლე მსახურების ნიჭებზე ლაპარაკობს, რომელიც ღმერთმა ეკლესიას უბოძა? მართლაც, *ყველა როდია* მოციქული ან წინასწარმეტყველი ან მასწავლებელი ან მწყემსი. ყველას *არ აქვს* სასწაულმოქმედებისა და განკურნების ნიჭი და ყველას არ მიეცა ენებზე ლაპარაკის ან ზეციური ენების განმარტების უნარი. რას ნიშნავს ეს? პასუხს შემდეგ მუხლებში ვპოულობთ:

> ენა *[ენა, როგორც ნიშანი]* მორწმუნეებისთვის კი არ არის ნიშანი, არამედ ურწმუნოთათვის. ... თუ მთელი ეკლესია ერთად შეიკრიბება და ყველანი ენებით *[ენა განმარტებისთვის]* ილაპარაკებენ, უვიცნი ან ურწმუნონი რომ შემოვიდნენ, არ იტყვიან, შეშლილები ხართო? (1 კორ. 14:22-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

სანამ ჩვენს კითხვას ვუპასუხებდეთ, ნება მომეცით, აღვნიშნო, რომ ეს ორი მუხლი მკაფიოდ მიჯნავს საჯარო მსახურებისთვის განკუთვილ ორ სხვადასხვა ენას. პირველი ამბობს, რომ ენები ნიშანია ურწმუნოთათვის. ეს გახლავთ

დედამიწაზე არსებულ რომელიმე ენაზე ლაპარაკი, რომელიც მანამდე არ გვისწავლია. ურწმუნო, რომელმაც ეს ენა იცის, ნათლად ხედავს, რომ მასზე უფლის სასწაულებრივი ჩარევის გარეშე ვერ ვილაპარაკებდით. ამრიგად, ის ნიშანია ურწმუნოთათვის.

შემდეგ პავლე მთლიანი ეკლესიის შეკრებაზე საუბრობს, სადაც ენებზე ლაპარაკი ხდება. ეს აშკარად ის ენებია, რომლებიც ზეციდან არის შთაგონებული. საიდან ვიცი ეს? ორმოცდამეათე დღეს ყველა მოციქული სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობდა, რომლებიც დედამიწაზე ცნობილია და ამით ღვთის საქმეებს ადიდებდნენ. მათი განმარტება საჭირო არ იყო, რადგან ურწმუნოებს ესმოდათ ის ენა. თუმცა პავლე ზემოხსენებულ მუხლში ლაპარაკობს მთელი ეკლესიისთვის განკუთვნილ ზეციურ ენაზე, რომელსაც განმარტება სჭირდება. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერავინ გაიგებდა. როგორც ხედავთ, არ არსებობს საჭიროება, რომ ყველამ ილაპარაკოს ამ ენებზე, თორემ უცოდინარები და ურწმუნოები გიჟებად ჩაგთვლიან.

ამრიგად, პასუხი კითხვაზე, „ყველანი ლაპარაკობენ ენებით?“, რაც ბევრს არასწორად ესმის, ძალზე მარტივია. ღმერთი არჩევს, ვის მისცეს ნიჭი, როცა საქმე საეკლესიო მსახურებას ეხება, რადგან ყველას არ სჭირდება იმ ნიჭში მოქმედება. თუმცა ის *მიკერძოებული* არ არის და ვიმეორებ, *არ განარჩევს* მორწმუნეებს, როცა ნიჭს პირადი ღვთისმოსაობისთვის გვაძლევს. მომდევნო ორი კატეგორია მოიცავს ენების ნიჭს მასთან პირადი მოზიარეობისთვის.

ენები პირადი ლოცვისთვის

მომდევნო ორი კატეგორია პირადი ლოცვებისთვის გამოიყენება და ზეციერმა მამამ ეს ყველა მორწმუნე ქრისტიანისთვის გაითვალისწინა. ამას ვხედავთ შემდეგ მუხლებში:

> ვინაიდან, ენით რომ ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, გონება კი უნაყოფოა. მაშ, რა ვქნა? ვილოცებ სულით და ვილოცებ გონებითაც; ვიგალობებ სულით და ვიგალობებ გონებითაც. (1 კორ. 14:14-15)

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ხაზგასმულია ენებზე ლაპარაკი ლოცვისთვის და არა ეკლესიის მსახურებისთვის. იგივე თავი გვეუბნება, რომ „ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება“ (1 კორ. 14:2). როცა ორიდან ერთ-ერთ საჯარო მსახურების ენაზე ვლაპარაკობთ, ურწმუნოებს (ენები როგორც ნიშანი) ან ეკლესიას (ენები განმარტებით) ველაპარაკებით; თუმცა ენებზე ლოცვისას ღმერთს ველაპა-რაკებით და არა ადამიანებს. ხედავთ განსხვავებას?

ზემომოყვანილ მუხლში პავლე გვეუბნება, რომ ლოცვის ორი სახე არსებობს. ერთი გონებით, რაც ჩემთვის ინგლისურ ენაზე იქნება, ხოლო მეორე – ენებით, როცა ჩემი სული ლოცულობს სულიწმიდის წინამძღოლობით. იგივე ხდება თაყვანისცემის გალობისას: „ვიგალობებ სულით და ვიგალობებ გონებით“.

იუდა ენებზე პირადი ლოცვის შესახებ ამბობს:

> ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით (იუდ. 20-21).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ენებზე ლაპარაკისას საკუთარ თავს ვაშენებთ, ხოლო ეკლესიაში ლაპარაკისას განმარტე-ბითურთ, ეკლესიას ვაშენებთ (1 კორ. 14:5). ღმერთს ორივე სურს და ორივე მნიშვნელოვანია.

მომდევნო თავში ენების ამ კატეგორიას უფრო საფუძ-ვლიანად განვიხილავ. აღმოაჩენთ, რომ არსებითია უფალთან სიახლოვეში სიარული. ამ ტიპის ენებს „ახლო ურთიერთობის ენას“ ვუწოდებ.

შუამდგომლობის ენები

ენების ოთხი კატეგორიიდან ყველაზე ბოლო არის ნაპრალში ჩადგომა – სხვისი საჭიროებისთვის ვედრება.

> ასევე სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება, არამედ თვით სული შუამდგომლობს ჩვენთვის გამოუთქმელი

ოხვრით. ხოლო გულთამხილავმა იცის, რა არის სულის ზრახვა, იმიტომ, რომ იგი ღვთის ნებით შუამდგომლობს წმიდათათვის. (რომ. 8:26-27)

არის დრო, როცა ლოცვის უნარი არ გვაქვს. The New Living Translation ასე გადმოგვცემს: „არც კი ვიცით, რისთვის ან როგორ უნდა ვილოცოთ."

არ ვიცი, რა ხდება ჩემი ახლობელი ადამიანების ცხოვრებაში ან რა საჭიროება აქვთ, მაგრამ ღვთის სულმა იცის. დედაჩემი ფლორიდაში ცხოვრობს, ხოლო მე – კოლორადოში. დავუშვათ, ის ისეთ მდგომარეობაშია, რომ ღვთიური შეწევნა სჭირდება, რასაც ვერ აცნობიერებს ან ჩემამდე მოსვლა არ შეუძლია. საიდან უნდა ვიცოდე, რაზე ვილოცო, როცა ისიც არ ვიცი, ლოცვა თუ სჭირდება?

პირველად, როცა წმიდა წერილის რეალობა დავინახე, ჯერ კიდევ უნივერსიტეტში ვსწავლობდი. ორი წლის მანძილზე ერთადერთი მორწმუნე ვიყავი, მაგრამ დიდი მოშურნეობა მქონდა, რომ იესოზე მეხარებინა. დავიწყე კამპუსის მასშტაბით ბიბლიის შესწავლის კურსი, რომელიც სტუდენტი ბიჭებისა და გოგონების სათვისტომოებზე იყო გათვლილი. სწავლებას, დაახლოებით, სამოცი ადამიანი ესწრებოდა. ერთ საღამოს სულიწმიდაზე ვასწავლიდი. უბრალოდ, წერილის მუხლებს ვიშველიებდი და მათ ღვთის ნებას ვაცნობდი. იქ ერთი გოგონა იყო, რომელსაც უთხრეს, რომ სულიწმიდა ავტომატურად მიიღო, როცა ზეციდან იშვა, ხოლო ენები უკვე გადავიდა. რა სამწუხაროა, რომ მის მასწავლებლებს არ სჯეროდათ წმიდა წერილის და სჯეროდათ სულიერი საკითხებისადმი დაბრმავებული მენტორებისა. და მაინც, იმ საღამოს, როცა გოგონამ დაინახა, რას ამბობდა ბიბლია სულით ნათლობაზე, ირწმუნა და მყისვე აღივსო სულიწმიდით რამდენიმე სხვა სტუდენტთან ერთად.

დილაადრიან შიდა სატელეფონი კავშირმა გამაღვიძა. ჩვენი სათვისტომოს ერთ-ერთმა სტუდენტმა მამცნო, რომ სტუმარი მყავდა. სასწარაფოდ ჩავიცვი და ფოიეში გამოვედი. იქ სწორედ ის გოგონა დამხვდა, რომლის სათვისტომო ქუჩის გადაღმა მდებარეობდა. მას სახე უბრწყინავდა. გოგონამ მითხრა:

– მაპატიე, ჯონ, რომ ასე ადრე გაგაღვიძე, მაგრამ ვეღარ მოვითმინე, ისე მინდოდა მეამბნა ამ დილით მომხდარის შესახებ.

მან მითხრა, რომ დილის ხუთ საათზე სულიწმიდამ გააღვიძა და გულში დაუყოვნებელი ლოცვის საჭიროება იგრძნო. ის მიხვდა, რომ რაღაც ძალიან ცუდი ხდებოდა. გოგონამ განმარტოებული ადგილი მოძებნა და ენებზე ლოცვა დაიწყო. მან თქვა, რომ ლოცვა სულ უფრო ინტენსიური გახდა, როცა გააცნობიერა, რომ ბრძოლაში იყო ჩართული. შემდეგ გოგონა დაინტერესდა, ვისთვის შუამდგომლობდა და ამის შესახებ ღმერთს ჰკითხა. გულში მხოლოდ ის გაიგონა, რომ ხანდაზმული კაცისთვის ლოცულობდა და მისი სიცოცხლე საფრთხეში იყო. მან ერთი საათი ილოცა, რის შემდეგაც მის გულში მშვიდობა მოვიდა.

რამდენიმე წუთში მისი ოთახის ამხანაგს, რომელიც ასევე მორწმუნე იყო, სასწრაფოდან დაურეკეს. იმ გოგონამ ზარს უპასუხა და გაიგო, რომ მისთვის ძალზე ძვირფას ბაბუას გულის ძლიერი შეტევა ჰქონდა დილის ხუთ საათზე და სასწაულებრივად გადარჩა. ექიმებმა მდგომარეობის სტაბილიზება შეძლეს დარეკვამდე რამდენიმე წუთით ადრე, ზუსტად იმ დროს, როცა პირველმა გოგონამ გულში მშვიდობა იგრძნო და ლოცვა შეწყვიტა.

მისი სახე ანათებდა. მთელი ქრისტიანული ცხოვრების მანძილზე ეუბნებოდნენ, რომ ენები განქარდა და უკვე აღარ იყო საჭირო. რამდენს დაკარგავდა იმის გამო, რომ ვიღაცას წმიდა წერილის არ სჯეროდა. ახლა ვერაფრით დაარწმუნებთ ამის საწინააღმდეგო აზრში. მის გონებაში სამუდამოდ აღიბეჭდა, რომ ენებზე ლოცვა აუცილებელია ჩვენთვის, დღევანდელი მორწმუნეებისთვის.

ასეთი მაგალითები მრავლად მინახავს. ენებზე შუამდგომლობის უახლესი შემთხვევა ჩვენი ავსტრალიის ოფისის მენეჯერის, ესთერის ცხოვრებაში მოხდა. იგი დიდი მებრძოლი და ამასთან კარგი მსახურია. უკან, ოთხმოცდაათიანებში, როცა ჯერ კიდევ ბიბლიის სკოლაში სწავლობდა, დილით, სახლის საქმეების კეთებისას, ხელები აღაპყრო და თქვა: „უფალო, დღეს არ მაქვს საკითხი, რომელზეც ვილოცებდი და თუ გჭირდები, მზად ვარ!“

მან თქვა, რომ მოულოდნელად იგრძნო ლოცვის დიდი ტვირთი. მისაღებ ოთახში მოიდრიკა და ენებზე დიდი ინტენსივობით ლოცვა დაიწყო. სულში ხედავდა ჩინელ კაცს, რომელიც ჭუჭყიან იატაკზე დაჩოქილიყო და ხელით წრიულ მოძრაობებს აკეთებდა, თითქოს წმენდსო. ქალი ლოცულობდა და თანდათან იგრძნო ყვირილის საჭიროება: „ადექი, ადექი, ადექი!“ კიდევ ილოცა გარკვეული დროის მანძილზე და გულში შვების მოგვრის შემდეგ ისევ თავის სახლის საქმეებს მიუბრუნდა.

დაახლოებით ხუთი თვის შემდეგ ესთერის ბიბლიის კოლეჯში ახალზელანდიელი კაცი ჩამოვიდა, რომელიც ჩინეთში მისიონერად შრომობდა და ერთი დევნილი ჩინელი მწყემსის ამბავი მოყვა, რომელიც კონტინენტური ჩინეთის ციხეში იჯდა სხვა მწყემსთან ერთად. მეორე მწყემსმა შეხედა ამ ჩინელ მწყემსს და უთხრა, რომ ღმერთი მას ციხიდან გაიყვანდა. ამ ფიქრებით გულში, მათ თავიანთი ყოველდღიური დასუფთავების საქმე განაგრძეს.

ძალიან მალე დაცვამ გადაწყვიტა, რომ ყველა პატიმარი უკან, საკნებში გაეგზავნა გარდა ამ მწყემსისა. ახლა ის მარტო დარჩა ოთახში, სადაც იატაკს წმენდდა, როცა მოულოდნელად ძლიერი ხმა გაიგონა: „ადექი, ადექი, ადექი!“ გაგონილის უგულებელყოფა ვერ შეძლო, ამიტომ ადგა და კარისკენ გაემართა. გაკვირვებულმა აღმოაჩინა, რომ კარი დაკეტილი არ იყო. ქუჩაში გამოსვლისას მომლოდინე ტაქსი შენიშნა. ის მანქანაში ჩაჯდა და წავიდა.

ესთერი აღტაცებული იყო. შესაძლოა, საქმე სწორედ იმ შემთხვევასთან ჰქონდა, რომელზეც თვეების წინ ილოცა. ამრიგად, ის მისიონერთან მივიდა (რომელსაც ადრე არასდროს შეხვედრია) და გაიგო, რომ ეს სწორედ ის დღე იყო, როცა მისაღებ ოთახში ილოცა და დღიურშიც აღნიშნული ჰქონდა.

ესთერსა და იმ მისიონერთან ბიბლიის სკოლის ერთ-ერთი ხელმძღვანელიც მივიდა. მანაც გაიხსენა, რომ სულიწმიდამ თვეების წინ ლოცვის საჭიროება ჩაუდო გულში და მამაკაცისთვის იშუამდგომლა. როცა ენებზე ძლიერი ლოცვით ლოცულობდა, ცხადად დაინახა საპატიმროში მყოფი ჩინელი მწყემსი. მისიონერმა ჩინური ეკლესიის ფოტო ამოიღო და ბიბლიის სკოლის ხელმძღვანელმა მაშინვე ამოიცნო კაცი,

რომლისთვისაც ენებზე ლოცულობდა. საჭირო არ არის იმის თქმა, რომ ის იყო უფროსი მწყემსი ციხიდან!

შემდეგ ესთერმა და ბიბლიის სკოლის ხელმძღვანელმა თავიანთი ლოცვის დღიურების ჩანაწერები შეადარეს და აღმოაჩინეს, რომ ერთი და იგივე დღეზე ლაპარაკობდნენ! ღმერთმა ორივეს დაუმოწმა, რომ ლოცვაში მორჩილებით დიდი წვლილი შეიტანეს იმ ადამიანის გათავისუფლებაში.

როგორ ვირწმუნეთ?

რა მოხდებოდა, ესთერს ისეთი სწავლება რომ მოესმინა, თითქოს ენები გაუქმდა და ბიბლიურ საჭიროებას აღარ წარმოადგენს? რა იქნებოდა, მისთვის რომ ესწავლებინათ, რომ ენები ყველასთვის არ არის? რამდენს კარგავენ დღეს ადამიანები, როცა სხვების ნათქვამის უფრო სჯერათ, ვიდრე ბიბლიის ცხადი სწავლებისა?

ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია, რასაც მსახურების წლებში დავკვირვებივარ, არის ღვთის სიტყვის განმარტება საკუთარი გამოცდილების მაგალითზე ნაცვლად იმისა, რომ ღვთის სიტყვას მიეცეს აღმატებული ადგილი. ღმერთი ჩვენი გამოცდილებით არ იზღუდება; იგი ამაზე გაცილებით დიდია!

სულიწმიდით ავსების ძიებისას არაერთ ქრისტიანს შევხვდი, რომელიც კეთილი განზრახვით ცდილობდა ჩემთვის ენებზე ლაპარაკი გადაეთქმევინებინა. იესოს უფლად მიღებიდან ხუთი თვის შემდეგ კამპუსის მსახურების ლიდერთა შეხვედრაზე წამიყვანეს, რომელმაც გადარჩენამდე ჩემი მიყვანისთვის გამოსაყენებელი მასალა დაბეჭდა. იმ ჯგუფის მადლიერი ყოველთვის ვიქნები.

თუმცა იმ კონკრეტულ შეხვედრაზე გაოგნებული დავრჩი. პრეზიდენტმა ყოველ ლიდერს სთხოვა, გაეზიარებინა ნომერი პირველი ლოცვითი სათხოვარი სემესტრის განმავლობაში. ერთმა ახალგაზრდამ თქვა, რომ ლოცულობდა „B“ საშუალო ქულისთვის. მეორემ თქვა, რომ ოთახის მეგობრისთვის გადარჩენისთვის ლოცულობდა. შემდეგ ჩემი რიგი დადგა და უბრალოდ განვაცხადე:

– მინდა სულიწმიდა მივიღო ისე, როგორც მოწაფეებმა მიიღეს ბიბლიაში, როცა ენებზე ალაპარაკდნენ.

როგორც კი ეს სიტყვები წარმოვთქვი, მთავარი ლიდერმა სწრაფად და გაღიზიანებით მითხრა:

– ჯონ, ამაზე შეკრების ბოლოს ვილაპარაკებთ.

ეს დრო არ მოვიდა. თუმცა ჩვენი სათვისტომოს ძმამ, რომელმაც უფალთან მიმიყვანა, შეკრების შემდეგ მითხრა:

– ჯონ, მათ ენებზე ლაპარაკის არ სჯერათ.

მე, როგორც ახალმოქცეულმა მორწმუნემ, გაოცებით შევხედე მას და ვთქვი:

– რა? მათ არ სჯერათ ის, რაც ბიბლიაში წერია?

ამის გამო უკან დავიხიე, რადგან ჩემს თავდაპირველ დენომინაციას წმიდა წერილზე მეტად ადამიანის ნათქვამის სჯეროდა. ფაქტობრივად, მოგვიწოდებდნენ, რომ ბიბლია კი არ გვეკითხა, არამედ მწყემსისთვის მიგვეცა მისი განმარტების საშუალება. ეკლესიაში დავდიოდი ცხრამეტი წელი და მეგონა, რომ ზეცის გზაზე ვიდექი, როცა რეალურად ჯოჯოხეთისკენ მივემართებოდი. ამრიგად, როცა წმიდა წერილში ღვთიური გადარჩენის გეგმა აღმოვაჩინე ჩემი სტუდენტური სათვისტომოს ძმის მეშვეობით, გადაწყვეტილება მივიღე, რომ ღვთის სიტყვას ვერწმუნებოდი მიუხედავად იმისა, მესმოდა თუ არა! ეს გახლავთ უფლის შიში და უფლის შიში სიბრძნის სათავეა (იხილეთ ფს. 111:10).

კურთხეული თუ უმეცარი?

კარგი ამბავი მაქვს; ღვთის ნებაა, რომ აღივსოთ სულიწმიდით და ზეციურ ენებზე ილოცოთ! ფაქტობრივად, თუ გინდათ, გესმოდეთ ღვთის გულის ფეთქვა, ის ასეთია:

„მსურს, რომ ყველანი ლაპარაკობდეთ ენებით“.
(1 კორ. 14:5)

შესაძლოა, თქვათ: „პავლეს ეს სიტყვები კორინთელებს ეხება“.

არა, ნათლად გვითხრეს: „წერილის არც ერთი წინასწარმეტყველება არ განიმარტება თავისით“ (2 პეტრ. 1:20) და რომ „მთელი წერილი ღვთივსულიერია“ (2 ტიმ. 3:16). მარტივად რომ ვთქვათ, ეს არ არის მხოლოდ კორინთელებისადმი მიმართული პავლეს სიტყვა, არამედ ჩვენთვისაცაა, რადგან ღვთის სიტყვა არის „ცოცხალი და საუკუნო“ (1 პეტრ. 1:23). ეს ღმერთი ეუბნება თავის შვილებს, „მსურს ყველანი ლაპარაკობდეთ ენებით!“

ვერასოდეს მიიღებთ კურთხევას იმ საკითხში, რომელიც არ გწამთ. მინდა ისევ გავიმეორო: ღმერთს არ შეძრავს ჩვენი ფიქრი, საჭიროება ან გრძნობები, არამედ მხოლოდ რწმენა. არაერთხელ შეხვდებით იესოს ნათქვამს: „შენი რწმენისამებრ მოგეგოს“. რწმენას მარტივად სწამს, რომ ღმერთი აღასრულებს იმას, რაც თქვა. რწმენა ღვთის სიტყვის მოსმენისგან მოდის და არა ადამიანის მცდარი რწმენისგან.

რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ ვქადაგებდეთ და გვწამდეს ჭეშმარიტება და არა ჩვენი გამოცდილება. გამოცდილება ჭეშმარიტების მშვენიერი დამოწმებაა, მაგრამ არ უნდა იყოს მისი მასწავლებელი. სულიწმიდა ჩვენი მოძღვარია და არასოდეს ილაპარაკებს ღვთის დაწერილი სიტყვის წინააღმდეგ. როცა ღვთის სიტყვის გვწამს, მას ვიხილავთ და გამოვცდით. ბევრს ამის გაკეთება შებრუნებით უნდა. ჯერ უნდათ, რომ განიცადონ და შემდეგ ირწმუნონ. ისევ ვიმეორებ, რომ აქ იესოს სიტყვები გვახსენდება თომას მიმართ: სხვათა გამოცდილებაზე დავაფუძნოთ რწმენა თუ მის სიტყვაზე, ვინც თავად დაწერა:

> ღმერთი კაცი არ არის, რომ იცრუოს და არც კაცის ძეა, რომ აზრი შეიცვალოს. განა უთქვამს და არ გაუკეთებია? (რიცხვ. 23:19)

დასასრულს, სულიწმიდა ყველა ჩვენგანს ეუბნება ენებზე ლოცვის შესახებ: არ მინდა ... უცოდინარნი იყოთ“ (1 კორ. 12:1). შემდეგ ის განაგრძობს და მსჯელობს ამ თავში განხილულ საკითხებზე და უფრო მეტზეც. მსჯელობის ბოლოს იგი ნათლად ამბობს:

„თუ ვინმე უვიცია, უვიცი იყოს“ (1 კორ. 14:38 სბს-სტოკჰოლმი 2001)

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი პავლეს პირით ამბობს: „ჩემი ნება გავაცხადე ენებზე ლაპარაკის შესახებ. თუ მაინც უმეცრებაში დარჩენა გსურთ, უმეცრები იქნებით და არ იკურთხებით ჩემი ნიჭით, თქვენთვის რომ მქონდა“. დარწმუნებული ვარ, სულიწმიდა ძალიან წუხდა, როცა პავლეს ამის დაწერა შთააგონა, რადგან წინასწარ განჭვრიტა ადამიანები, რომლებიც მოგვიანებით ამ საკითხზე კამათს გამართავდნენ (პირველ ეკლესიაში ამაში ეჭვიც არ ეპარებოდათ).

ისევ ვიმეორებ – იგი დანაღვლიანებული გვეუბნება, რომ უმეცრებაში დარჩენა შეგვიძლია, მაგრამ ასე მოქცევისას გვაქვს მისი საბოლოო სიტყვა:

ენებზე ლაპარაკს ნუ აკრძალავთ! (1 კორ. 14:39)

აქ არის გაფრთხილება. თუ ოდესმე ვინმე ენებზე ლაპარაკის საწინააღმდეგოდ გამოვა, უფლის პირდაპირ დაუმორჩილებლობაშია. ღმერთმა იცოდა, რომ უკანასკნელ დღეებში გამოჩნდებოდნენ უმეცარი ან თვითნება ადამიანები, რომლებიც ენებზე ლაპარაკს გაქარწყლებულად ან სულაც, არაღვთიურად მიიჩნევდნენ.

ვლოცულობ, რომ დაინახოთ ღვთის ეს საოცარი უზრუნველყოფა, რომელიც თავისი შვილებისთვის გაითვალისწინა, რადგან მომდევნო თავზე გადასვლისას საოცარი სიახლოვის ენას აღმოვაჩენთ, რომელსაც სულიწმიდა ამის მორწმუნეებს აძლევს.

(*შენიშვნა: თუ სულიწმიდის სისავსე არ მიგიღიათ, იხილეთ დანართი B; მინდა მიღების ლოცვაში წაგიძღვეთ.)*

მიახლოება

კითხვები შესწავლისთვის

1. ამ თავის დასაწყისში ავტორი იხსენებს კოლეჯის სტუდენტობისდროინდელ რწმენას. იგი ახალი ქმნილების ცხოვრებას აღწერს, მაგრამ გრძნობს, რომ რაღაც აკლია წმიდა წერილის გულმოდგინედ შესწავლის მიუხედავად. შეგიძლიათ ამ ვითარების თქვენს წარსულთან ან ახლანდელ ცხოვრებასთან გაიგივება?
2. როცა ფიქრობთ ამ სწავლებაზე, თუ რას ნიშნავს ენებზე ლაპარაკი, რა გამოწვევის წინაშე დგება თქვენი რწმენა? რა ზეგავლენა მოახდინა ამ ამბავმა, რომ ღვთის ნებაა თქვენი ავსება სულიწმიდით და ზეციურ ენაზე ლოცვა?
3. ამ წიგნს კონკრეტული მიზნით კითხულობთ – გამოცდილებამ ან რაიმე მოვლენამ აღგძრათ ღმერთთან სიახლოვის რაობის აღმოსაჩენად. შესაძლებელია თუ არა, რომ მან უზრუნველგყოთ მიახლოების საშუალებით – მასალით, რომელსაც ახლა სწავლობთ? იქნებ ენებზე ლაპარაკის ნიჭი არის მომდევნო ნაბიჯი უფალთან სიარულში პირადი და შუამდგომლობითი ლოცვისთვის?

თავი მეთორმეტე

სიახლოვის ენა

ღვთის სიბრძნე და რჩევა ღრმა წყალია და ხშირად საიდუმლოს წარმოადგენს ფიზიკური გონებისთვის.

ეს არაერთხელ დამიწერია, მაგრამ თქვენი შინაგანი კაცის სიღრმემდე რომ ჩავიდეს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ: *ღმერთს დაშურებით სწადია თქვენთან სიახლოვე.* იგი მოზიარეობისკენ ისწრაფის. მას არა მარტო თქვენთან ურთიერთობა სურს, არამედ უნდა, რომ ეს ურთიერთობა ნაყოფიერი და უხვი იყოს.

ღმერთთან მოზიარეობა მის დონეზე

ეს უხვი მოზიარეობა რეალობად რომ იქცეს, მან საამისო საშუალება მოგვცა მის დონეზე ურთიერთობისთვის! ნება მომეცით, აგიხსნათ! წმიდა წერილი გვეუბნება:

ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება. (1 კორ. 14:2)

ვიცით, რომ პავლე საჯაროდ გამოსაყენებელი ენების არც ერთ კატეგორიას არ გულისხმობს, რადგან ამ დროს ადამიანები სხვებს ელაპარაკებიან ღვთის სიტყვას მათთვის აქამდე უცნობ ენებზე. ამ მონაკვეთში კი პავლე ახსენებს ენას, რომლითაც ღმერთს ველაპარაკებით. როცა ენებით *ვლოცულობთ*, პირდაპირ ღმერთს ვესაუბრებით და არა ადამიანს. პავლემ ასევე დაწერა: „სულიც გვეხმარება ჩვენს უძლურებაში; ვინაიდან არ ვიცით, რისთვის ვილოცოთ, როგორ შეეფერება“ (რომ. 8:26). ისევ ჩანს ორი დაბრკოლება ღმერთთან მოზიარეობისთვის: ხშირად არ ვიცით: რაზე ვილოცოთ ან მეორე, არ ვიცით: როგორ ვილოცოთ.

ამის საუკეთესო თვალსაჩინოება ასეთია. შეერთებული შტატების პრეზიდენტის ოფისში ვიზიტისთვის შემიძლია მის დონეზე კომუნიკაცია? პასუხია ცხადი „არა“. იგი ჩემს დონეზე უნდა ჩამოვიდეს. მან გაცილებით მეტი იცის ერის საქმეებზე, უსაფრთხოების საკითხების ჩათვლით, რომლის გასაჯაროება არ ხდება. მისთვის ცნობილია ინფორმაცია ქვეყნის ბევრი გეგმისა და პროექტის შესახებ იმ პირობებისა და კოდების ჩათვლით, რაც საიდუმლოდ ინახება. ამ მონაცემების არასწორი ადამიანების ხელში ჩავარდნა ქვეყნის უსაფრთხოებას დაემუქრება. ანალოგიურად, როცა სამყაროს მეუფის ოფისში – მის სატახტო დარბაზში – შევაბიჯებ, თუ მხოლოდ ჩემი გაგების დონეზე მექნება ურთიერთობა, ძალზე შეზღუდული ვიქნები! ამ დონეზე უფალს ვერ დაველაპარაკები, რადგან ჩემზე გაცილებით მეტი იცის. მისთვის ჩემთან კომუნიკაციის ერთადერთი გზა არის ჩემი გაგების დონემდე ჩამოსვლა. ზემოხსენებულ მაგალითის მსგავსად, მან ჩემზე მეტი იცის სამყაროს საქმეებზე საიდუმლოებების ჩათვლით, რომლებიც გარკვეული მიზეზების გამო დაფარულია, თუმცა ერთ-ერთი მიზეზია მათი დაცვა ბოროტი ხელებისგან. ეს ნათლად ჩანს პავლეს დარიგებაში:

> არამედ ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს, იდუმალებაში დაფარულს, რომელიც წინასწარ დაადგინა ღმერთმა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისთვის. რაც ვერავინ შეიცნო წუთისოფლის მთავართაგან; ვინაიდან, რომ შეეცნოთ, ჯვარს არ აცვამდნენ დიდების უფალს. (1კორ. 2:7-8)

მიუხედავად იმისა, რომ მონაკვეთში ლაპარაკია ჯვარცმის სიბრძნეზე, უფალ იესოს აღდგომასა და შემდგომ დიდებაზე, ეს ერთ-ერთი მაგალითია ღვთიური სიბრძნის ბოროტ ხელებში ჩავარდნის საფრთხის შესახებ. სხვა მაგალითებიც არსებობს (იხილეთ მათ. 7:6)! წერილი გვეუბნება, რომ ომში ვიბრძვით და მტრები არიან მთავრობანი, ხელისუფლებანი, სიბნელის მპყრობელები და სულიერი დემონური ძალები (ეფეს. 6:12). ფიზიკურ ომში თანამებრძოლებს შორის საიდუმლო კომუნიკაციის საშუალება უნდა არსებობდეს. ანალოგიური მდგომარეობაა უფლის მხედრობის თავსა და მისი სამეფოს მეომრებს შორის. რა საოცარი საკომუნიკაციო კავშირის საშუალება მისცა ღმერთმა მის შვილებს სამეფოს სასიკეთოდ და ჩვენს დასაცავად. მტერს წარმოდგენა არ აქვს, რას ვთხოვთ ზეციერ მამას, როცა ენებით ვლოცულობთ. შესაძლოა, დემონურ ძალებს გეგმაც ჰქონდეთ მომზადებული ჩვენზე ან ჩვენს ახლობლებზე შეტევისთვის, მაგრამ ენებზე ვილოცებთ და მათდა გასაკვირად, ანგელოზების დესანტი გამოჩნდება ჩვენს დასახმარებლად. შედეგად, დემონები თავზარდაცემული გაიქცევიან, სანამ მათი შეტევა განხორციელდება.

მთავარი მიზანი

ენებზე ლოცვა არ არის მხოლოდ იმისთვის, რომ მნიშვნელოვანი ინფორმაცია მტერს არ ჩაუვარდეს ხელში. მე და ჩემი ცოლი კარგა ხანია ერთად ვცხოვრობთ და იმდენად დავუახლოვდით ერთმანეთს, რომ გამორჩეული საკომუნიკაციო ენა შევიმუშავეთ. მას შეუძლია ხალხით სავსე ოთახში მითხრას რაღაც, მაგრამ ჩემს გარდა ვერავინ მიხვდება, რაშია საქმე. ჩვენ განვავითარეთ სიახლოვის ენა. ეს მარტო ცოლ-ქმარს შორის კი არა, ნებისმიერ ახლო ურთიერთობაშია შესაძლებელი, მაგალითად, დიდი ხნის მეგობრებს, წლების თანამშრომლებს, თანამებრძოლებს და სხვათა შორის. ერთი სიტყვით, ყალიბდება მეგობრობის ენა, რომელიც მათთვის უნიკალურია.

ანალოგიურად, ღმერთმა მოგვცა მასთან ახლო კომუნიკაციისა და მოზიარეობის საშუალება სიღრმისეულ დონეზე, რომელსაც ჩვენი გამოუსყიდავი გონება ვერ წვდება.

მეფსალმუნემ წინასწარ განჭვრიტა ეს და დაწერა: „უფსკრული უფსკრულს გასძახის შენი ჩანჩქერების ხმით“ (ფს. 42:7). ეს კომუნიკაცია შედარებულია ცოცხალ ჩანჩქერებს. იესომ თქვა, რომ ჩვენი „მუცლიდან ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ. ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ“ (იოან. 7:38-39). უფალთან ჩვენი სიახლოვე ცოცხალი წყლების მდინარეებს არის შედარებული. ოჰ, რა დიდებული სულიწმიდა მოგვეცა! უნარი, რომლითაც ღმერთმა დაგვაჯილდოვა – გამაოგნებელია ამაზე ფიქრი!

მოდით, უფრო მეტი აღმოვაჩინოთ, რადგან საქმე უკეთესობისკენ მიდის. პავლე ასე ამბობს მორწმუნეზე, რომელიც ენებით ლოცულობს:

> ... არავის ესმის, რადგან საიდუმლოებებს ლაპარაკობს სულით. (1 კორ. 14:2)

რას გულისხმობს პავლე *საიდუმლოებებში?* აქ გამოყენებულია ბერძნული სიტყვა *მისტერიონ*. უ. ი. ვაინი, რომელიც ახალი აღთქმის ბერძნული ენის ექსპერტია, ასე წერს: „ახალ აღთქმაში ის აღნიშნავს არა იდუმალს (როგორც ინგლისური *mysteries*), არამედ ადამიანის ბუნებრივი აღქმის საზღვრებს მიღმა არსებულს, რომლის გაგება მხოლოდ ღვთიური გამოცხადებით შეიძლება და გათვალისწინებულია ... მათთვის, ვისაც გონება სულიწმიდის მიერ აქვს განათებული. ჩვეულებრივი მნიშვნელობით „საიდუმლო“ გულისხმობს დაფარულ ცოდნას; წმიდა წერილის მიხედვით ის გახლავთ გაცხადებული ჭეშმარიტება“.

ამრიგად, ენებზე ლოცვას უამრავი სარგებელი გააჩნია. სულიწმიდა ღმერთმა იცის, როგორია იესოსა და მამა ღმერთის აზრი, რადგან ისინი ერთნი არიან. მან ისიც იცის, რა გვაკლია, რადგან იგი ჩვენი მუდმივი კომპანიონია. ამრიგად, სული შუამდგომლობს სიტყვების მოწოდებით ზეციურ ენაზე, რომ ვითხოვოთ, ვეძებოთ ან სრულყოფილი მოზიარეობა გვქონდეს. ოჰ, რა დიდებულია! შესაძლოა, ასე იფიქროთ: *მე ხომ ვერ ვხვდები, რას ვამბობ, როცა ენებით ვლოცულობ?* დიახ, და სწორედ ამიტომ ამბობს პავლე:

ამიტომ ენით მოლაპარაკემ ილოცოს, რომ განმარტოს კიდეც. ვინაიდან, ენით რომ ვლოცულობ, ჩემი სული ლოცულობს, გონება კი უნაყოფოა. (1 კორ. 14:13-14)

ამრიგად, რაიმეს ვითხოვ, ვშუამდგომლობ თუ უბრალოდ, ღმერთთან მოზიარეობა მაქვს, შემიძლია, სულიწმიდას გონების განათება ვთხოვო, რომ ჩემი აღქმის უნარისთვის გასაგები იყოს, რას აწვდის ჩემს სულს სალოცავად და ის ამას გააკეთებს! ახლა, არა მარტო სული ხარობს მოზიარეობით, არამედ სამშვინველიც.

გაცხადებული საიდუმლოებების მნეობა

ხშირად, ასეთი მოზიარეობისას წმიდა წერილში უფლისმიერი გამოცხადებები მოულოდნელად ცოცხლდება და ეს ის ჭეშმარიტებებია, რომელთაც ვიწერ და ვასწავლი მსახურების წლების განმავლობაში. და მაინც, რამდენად ბევრია, რაც არ მისწავლებია.

ალბათ, გიკვირთ, რატომ არ ვასწავლი. მიზეზი ის გახლავთ, რომ ჯერ დრო არ არის ან ღმერთს სურს, რომ სხვა საკითხი აიხსნას და გამოიკვეთოს მისი ხალხისთვის. როცა ცათა სამეფოს ელჩების სახით ვმოქმედებთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ღვთის სახელით ვლაპარაკობთ. არის საკითხები, რომლებიც უნდა ითქვას მისი ნებით და არის საკითხები, რომლებზე ლაპარაკიც მას არ სურს იმ კონკრეტულ ჟამს.

არასოდეს დამავიწყდება, რა რთულად ვისწავლე ეს მიდგომა. ერთ ღვთის კაცს შევხვდი, რომელიც საკმაოდ ცნობილი იყო მსოფლიოს იმ ნაწილში, სადაც ცხოვრობდა. მისი მსახურების შესახებ გაგებული მქონდა, დიდად ვაფასებდი და ვესწრაფოდი მასთან შეხვედრას. და აი, სხვა მწყემსმა ჩვენი შეხვედრა მოაწყო. აღფრთოვანებული ვიყავი. ამრიგად, ერთ საღამოს ვახშამზე შევხვდით: მწყემსი, ღვთის კაცი და ჩვენი ცოლები. იქ ყველაზე საფუძვლიანი გამოცხადებები გავუზიარე, რომლებიც ღმერთმა მომცა და გამახსენდა. ასე იმ ადამიანზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით მოვიქეცი. (მაშინ ეს არ

გამიაზრებია, მაგრამ როცა ჩემი მოტივები გავიხსენე, მივხდი, რომ ასე იყო – რა უმწიფარობაა!).

საღამოს მწყემსმა ჩვენს სასტუმრომდე მიგვიყვანა. მე და ჩემი ცოლი გადაღლილები ვიყავით, ძალზე გრძელი დღე იყო. მიუხედავად დაქანცულობისა, სულში უხერხულობის გრძნობა მქონდა. ვიცოდი, რომ ღვთის ნება იყო, მელოცა, ამიტომ ცოლს ვუთხარი, რომ ჩემს გარეშე დაეძინა. იგი საწოლი ოთახისკენ გაემართა, მე კი ჩვენი ნომრის აივანზე გავედი. როგორც კი ოთახის ზღურბლს გადავაბიჯე, გულში მაშინვე გავიგონე სულიწმიდის მკაცრი ნათქვამი: „ესე იგი, მეფემ მთელი თავისი საგანძური გამოფინა ამ საღამოს!“

გული ფეხებში ჩამივარდა. უკიდურესად გაოგნებული და თან შერცხვენილი ვიყავი. ვიცოდი, რომ ღმერთი ხიზკიას შეცდომას მახსენებდა. მას სტუმრები ეწვია და მეფემ მათზე შთაბეჭდილების მოხდენა განიზრახა:

> გაუხარდა ხიზკიაჰუს და უჩვენა მათ თავისი საგანძურის სახლი, ვერცხლი და ოქრო, სურნელოვანი და ძვირფასი ნელსაცხებლები და სახლი, მთელი თავისი საჭურველი და ყველაფერი, რაც მის საუნჯეში მოიპოვებოდა; არ დარჩენილა ნივთი, რომ არ ეჩვენებინა მათთვის ხიზკიაჰუს. (ეს. 39:2)

მთელი თავისი საგანძურის ჩვენების შემდეგ მეფემ უფლისგან საყვედური მიიღო ესაიას პირით. ზუსტად იგივე გრძნობა გამიჩნდა. ვიცოდი, რომ იმ საღამოს ღვთისგან გაცხადებულ ჭეშმარიტებებსა და საგანძურზე შთაბეჭდილების მოსახდენად ვილაპარაკე.

შემდეგ ღმერთმა მტკიცედ მითხრა:

– შვილო, ჩემი ძვირფასი ჭეშმარიტებები იმიტომ კი არ გაგიცხადე, რომ აქეთ-იქით აფრქვიო, როცა შენთვის სასარგებლო იქნება. ისინი სხვებზე შთაბეჭდილების მოსახდენად არ არის! შენ ამ გამოცხადებების მნე ხარ და მათზე არაფერი არ უნდა თქვა, სანამ მე არ აღგძრავ საამისოდ.

სწრაფად მოვინანიე და პატიება ვითხოვე. გულზე მომეშვა

და დასაძინებლად დამშვიდებული გავემართე. მისი წყალობა საოცარია!

თუ საკმარისად გონიერები ვიქნებით, სწორად შევარჩევთ მეგობრების წრეს, რომლებიც ნებისმიერ შემხვედრს გულგრილად არ მოუყვებიან ყველაფერს, რაც ჩვენს შორის ითქმება. ახლო მეგობრები სიფრთხილით ეკიდებიან ერთმანეთის შესახებ ინფორმაციას. თუ რომელიმე მეგობარი ამ წესს უგულისყუროდ მოეპყრობა, მისგან თავს შორს დავიჭერთ, არაფერს გავუზიარებთ, რადგან გვეცოდინება, თუ როგორ ექცევა ძვირფას ურთიერთობას. იგივე ხდება უფლის საიდუმლოებებთან დაკავშირებით. თუ მისი გულისნადების ცოდნის სურვილი გვაქვს, მგრძნობიარენი უნდა ვიყოთ: სად და როდის მოისურვებს ამ ინფორმაციის სხვებისთვის განდობას.

ღვთის რჩევის გამოყენება

როცა ენებზე ვლოცულობ ან ღმერთთან მოზიარეობა მაქვს, იდეები, გამოცხადებები, სიბრძნე და სწავლება ადვილად მოდის ჩემ გონებამდე. მათი აღწერის საუკეთესო გზა იქნება ზღვის სიღრმიდან ჰაერის ბუშტების ზედაპირზე ამობუყბუყება. ჩემი შინაგანი კაცის სიღრმიდან იდეები ამოდის და ჩემი გონების ანუ აღქმის ზედაპირზე ჩნდება. წმიდა წერილი გვეუბნება:

> უფლის ლამპარია კაცის სული, მთელი მისი წიაღის გამომკვლეველი (იგ. 20:27).

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სულიწმიდა გონებაში კი არ გველაპარაკება, არამედ სულში. ეს სწორედ ის ნაწილია, რომელსაც იგი ანათებს. როცა სულით ვლოცულობთ და სულიწმიდას განმარტებას ვთხოვთ, ღვთიური სიბრძნე ან რჩევა გულიდან აღქმის სამყარომდე ანუ გონებამდე მოდის. წერილი გვეუბნება

> კაცის გულის ზრახვა ღრმა წყალია, გონიერი კაცი კი ამოზიდავს მას. (იგ. 20:5)

მიახლოება

რა არის ზრახვა? ეს გახლავთ კონკრეტულ სიტუაციაში გამოსაყენებელი სიბრძნე. რატომ მიდიან ადამიანები მრჩევლებთან? რომ მიიღონ სიბრძნე – მათთვის დაფარული ცოდნა, რაც გარკვეულ ვითარებებში სჭირდებათ.

დააკვირდით, რომ ერთადერთი, ვისაც ღვთის ზრახვის ამოღება შეუძლია, როგორც ღრმა ჭიდან ცოცხალი წყალი ამოაქვთ, გახლავთ ბრძენი პიროვნება ანუ ის, ვინც იცის „მრჩევლის“ გზები. სულიწმიდამ კარგად უწყის ცათა სამეფოს ყველა საიდუმლო (გაუცხადებელი ზრახვა, ცოდნა და სიბრძნე). ისევ განვიხილოთ იესოს გულის ამოძახილი:

> ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ მისი მუცლიდან“. ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ, რადგან ჯერ არ იყო მოცემული სული, რაკი ჯერ არ განდიდებულიყო იესო. (იოან. 7:38-39)

> იგავთა წიგნის თანახმად, გულიდან მომავალი წყალი არის ღვთის ზრახვა ანუ საიდუმლო და იესო უბრალოდ გვეუბნება, რომ მისი წყარო ღვთის სულია. ის არის ცოცხალი წყლის ჭა (იხილეთ იერ. 2:13). ახლა დაკვირვებით წავიკითხოთ, რას ამბობს პავლე:

> ვლაპარაკობთ ღვთის სიბრძნეს [ან ზრახვას] იდუმალებაში დაფარულს ... რათა ვიცოდეთ ღვთის მიერ ჩვენთვის მონიჭებული. რასაც ვლაპარაკობთ კიდეც, არა ადამიანური სიბრძნით შესწავლილი სიტყვებით, არამედ სულიწმიდის მიერ ნასწავლით, განვმარტავთ რა სულიერს სულიერით (1 კორ. 2:7, 12-13, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ამრიგად, ღვთის სიბრძნე ანუ ზრახვა ღრმა წყალია და ფიზიკური გონებისთვის საიდუმლოს წარმოადგენს. დიახ, იესო გვეუბნება, რომ ცოცხალი წყალი სულიწმიდის მეშვეობით მოდის. როგორ? პავლე ნათლად ამბობს:

ენებით მოლაპარაკე ადამიანებს კი არა, ღმერთს ელაპარაკება და არავის ესმის, რადგან *საიდუმლოებებს* ლაპარაკობს სულით. (1 კორ. 4:2, *ავტორისეული ხაზგასმა*)

აი, ეს არის! აი, როგორ ამოაქვს ღვთიური ზრახვა პიროვნებას, რომელსაც გაგება აქვს. ხშირად წმიდა წერილის რომელიმე ადგილი ჩემთვის გაუგებარია. გონებაში პასუხგაუცემელი კითხვები მოდის. მათი გარკვევა *საიდუმლოს* წარმოადგენს. უმეტეს შემთხვევაში მარტივად ვამბობ: „სულოწმიდა, ვერ ვხვდები, გთხოვ, მაჩვენე ...!“. შემდეგ ენებით ვლოცულობ და მაშინვე ან რაღაც დროის შემდეგ, როცა ენებზე ლოცვას ვწყვეტ და ლოცვის ოთახს ვტოვებ, დაფარული ჭეშმარიტების გამოცხადება ჩემს გონებაში ან აღქმაში ამოტივტივდება. ოჰ, რა საოცარია!

წიგნის წერისას არაერთხელ აღმოვჩენილვარ ჩიხში. აღებული მიმართულების გაგრძელება *საიდუმლოა* ჩემთვის. ამ დროს ვდგები სკამიდან და ენებით ლოცვას ვიწყებ. როგორც წესი, რამდენიმე წუთის შემდეგ ჩემთან სიბრძნე მოდის გადმოხეთქილი კაშხალივით და კიდევ რამდენიმე საათის მანძილზე ვწერ.

როცა ჯერ კიდევ მარტოხელა კაცი ვიყავი, *საიდუმლოს* წარმოადგენდა, ვისზე უნდა დავქორწინებულიყავი. რამდენიმე წლის მანძილზე ეს ქრისტიანი კაცი იგივე მდგომარეობაში დავრჩი, მაგრამ სამი გოგონა ძალიან მომწონდა. გარკვეული დრო ამ საკითხზე სულით ლოცვაში გავატარე და მივხვდი, რომ ღმერთი „არას“ მეუბნებოდა. შემდეგ ლიზას შევხვდი და ყოველდღე ოცდაათი წუთი ვლოცულობდი ჩვენს ურთიერთობაზე. ღმერთმა იმ ლოცვებში წინსვლის ძალზე ძლიერი გრძნობა მომცა, რასაც შემდეგ მრავალი მოწმობა ახლდა. თუმცა უნდა გითხრათ, რომ ამ მოწმობების გარეშეც ეჭვი არ მეპარებოდა არჩევანის სისწორეში, რადგან ენებზე ლოცვისას სიცხადე და მშვიდობა მოვიდა.

ისეთი ვითარებებიც მქონია, როცა ვერ გამერკვია, რა ხდებოდა ჩემს ან ჩემი ახლობლის ცხოვრებაში. ეს *საიდუმლოა*. ამ დროს სულიწმიდას უბრალოდ ვთხოვ სიბრძნეს ან ხედვას ამ სიტუაციასთან დაკავშირებით. დარწმუნებული იყავით,

რომ ენებზე ლოცვის შემდეგ, თუ მას სურდა ჩემთვის ამ ინფორმაციის მოწოდება, ის მოდიოდა.

ყოფილა შემთხვევები, როცა ჩემი ოჯახის რომელიმე წევრს ლოცვა სჭირდებოდა და ეს ჩემი აღქმისგან დაფარული იყო, მაგრამ ღვთის სული გადმოვიდა ჩემზე, რომ მისთვის ენებზე მელოცა. მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ იმ ადამიანის ცხოვრებაში ღვთიური დახმარება და ზიანის აცილება მოვიდა.

საიდუმლოებები ფიზიკური გონების აღქმისგან დაფარული რამ არის. ეს შეიძლება იყოს საკითხები: რომელ ეკლესიაში უნდა ვიარო, რა მსახურების ნაწილი ვიყო? რომელი სახლი ვიყიდო? როგორ ვილოცო ნაყოფიერად პრეზიდენტისა და სხვა წინამძღოლებისთვის ან როგორ ვილოცო შედეგიანად ჩემი მწყემსისთვის? როგორც ხედავთ, სია დაუსრულებელია.

მშვიდობა ღვთიური მიმართულების ცოდნაში

საიდუმლოს ერთ-ერთი მხარე, რომელიც ყველაზე მეტად ამძიმებს მორწმუნეთა უმრავლესობას, სწორი მიმართულებაა. სწორედ ამ მიზეზით მიდიან ადამიანები მრჩეველთან. თქვენთვის დიდებული ახალი ამბავი მაქვს! ამაზე დარდი აღარ დაგჭირდებათ. ღმერთი გვპირდება: „თუ რომელიმე თქვენგანს აკლია სიბრძნე, დაე, სთხოვოს ღმერთს, ყველასთვის უხვად და დაუყვედრებლად გამცემს“ (იაკ. 1:5). სრულყოფილად შეგვიძლია ვკითხოთ! როგორ? ჩვენს ვითარებაში ენებზე ლოცვით. ბევრჯერ ვყოფილვარ გაჭედილი, მაგრამ ენებით ვლოცულობდი და გულიდან მაშინვე ამოტივტივდებოდა შთაგონებული იდეა, რომელიც იყო იმ ვითარებისთვის გამოსადეგი სიბრძნე.

აი, ასე ფუნქციონირებდა ჩვენი მსახურება წლების მანძილზე. როცა წინსვლისთვის საჭირო მიმართულება არ მქონდა, მაშინვე ენებზე ლოცვას ვიწყებდი გარკვეული დროის მანძილზე და მოულოდნელად ღვთითშთაგონებული იდეების ნაკადი მოდიოდა. მე და ჩემმა მეუღლემ მსახურება წლების წინ დავიწყეთ; ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც კი მიგვიღია, სულიწმიდით ლოცვის მეშვეობით მოხდა. დღეს ოცდაათზე მეტი თანამშრომელი გვყავს სამი კონტინენტის

ოფისებში. ღმერთმა მილიონობით სიცოცხლესთან შეხების პატივი გვარგუნა მისი სიტყვით და თანდასწრებით. თოთხმეტი წლის მანძილზე არავისგან ფული არ გვისესხია და ახლა საკმაო ფიზიკური და საკადრო რესურსი გაგვაჩნია ღვთის ხალხის ნაყოფიერად მომსახურებისთვის. ამის მიზეზი ღვთის ნათქვამია:

„მე ვარ უფალი, შენი ღმერთი, გასწავლი, რათა სარგებელი ნახო, იმ გზაზე წაგიძღვები, რომელზეც უნდა იარო; ყურად რომ გეღო ჩემი მცნებები, მდინარესავით იქნებოდა შენი სიმრთელე და ზღვის ტალღებივით - შენი სიმართლე. (ეს. 48:17-18)

გულწრფელად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი მშვიდობა მდინარესავით მოედინებოდა. ზოგჯერ ისეთ ვითარებებში ვიყავით, რომ ჩვენი მდგომარეობის შეფასების შემდეგ უკიდურეს პანიკაში უნდა ჩავვარდნილიყავით. მიუხედავად ამისა, ენებზე ლოცვისა და ჩვენი საქმეების მისთვის მიძღვნის შემდეგ ჩვენს ცხოვრებაში მშვიდობა ისადგურებდა. ენებზე ლოცვასთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

დიახ, ლუღლუღა ბაგეებით და უცხო ენით დაელაპარაკება ამ ხალხს. ეუბნებოდნენ მათ: „აჰა, მოსვენება; მიეცით დაქანცულს მოსვენება, აჰა, სიმშვიდე!“ (ეს. 28:11-12).

ვისაც სიმშვიდე არ აქვს, მას არც მოსვენება აქვს. ამ მუხლში ნახსენები მოსვენება იმ სიმშვიდიდან მოდის, რომელიც მდინარესავით მოედინება. უამრავი ისტორიის მოყოლა შემიძლია ამ საკითხის საილუსტრაციოდ, მაგრამ ახლა ერთი განსაკუთრებული შემთხვევა მახსენდება. ჩემთვის ძალიან ადვილი იქნებოდა ყოველგვარი სიმშვიდის დაკარგვა, რადგან თავგზაარეულმა არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. ეს მექსიკაში მოგზაურობისას მოხდა, სადაც სამახარებლო შეხვედრაზე უნდა მექადაგა. ქალაქ მონტერეიში ჩავფრინდი ერთ საღამოს ევანგელიზაციისთვის, რომელიც ცენტრალური რაიონის ერთ დარბაზში ტარდებოდა. მთელი დღის მანძილზე ენებით

ვლოცულობდი და სულში ხილვა მქონდა. ბრწყინვალე სინათლე ნაკადად ეშვებოდა ციდან იმ დარბაზზე, სადაც იმ საღამოს უნდა შეკრებილიყავით. უფალი ჩემს გულს დაელაპარაკა და თქვა: „ეს ჩემი დიდებაა, რომელიც საღამოს გამოვლინდება.“

საღამოს მე და შეკრების კოორდინატორი მწყემსი აღფრთოვანებულები გავემართეთ დანიშნულების ადგილამდე. მისმა ეკლესიამ კარგად იშრომა შეკრების მოსამზადებლად. როცა მსახურების დაწყებას თხუთმეტი წუთი აკლდა, ერთი გაბრაზებული გამომეტყველების მქონე კაცი შევნიშნე, რომელიც ორ დაკუნთულ დაცვის თანამშრომელთან ერთად მწყემსს უახლოვდებოდა. იგი მას ესპანურად დაელაპარაკა და შემიძლია ვთქვა, რომ მეტად უსიამოვნო ტონი ჰქონდა. მწყემსი ჩემთან მოვიდა და მითხრა:

– ჯონ, ამ საღამოს, ალბათ, ქადაგებას ვერ შეძლებ.

მე ვუპასუხე:

– რატომ ვერ შევძლებ?

მან თქვა:

– ეს კაცი მთავრობის მაღალჩინოსანია და არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც მექსიკაში ქადაგება არავის შეუძლია, თუ ამ ქვეყნის მოქალაქე არ არის. ამას ყურადღებას არასდროს აქცევდნენ, მაგრამ ამ ადამიანმა დაიჟინა, რომ უნდა დავემორჩილოთ. თუ არა, სერიოზული პრობლემა შეგექმნება. ფაქტობრივად, მას შენთან ლაპარაკი სურს დაუყოვნებლივ.

მაშინვე პეტრე და იოანე გამახსენდა, რომელთაც წინამღოლებმა სახარების ქადაგება აუკრძალეს. ისინი არ დაემორჩილნენ, რადგან მათი ბრძანება ღვთის სიტყვას ეწინააღმდეგებოდა. ამრიგად, მწყემსს ვუთხარი:

– შეუძლებელია, რომ ამ ადამიანმა შეაფერხოს ის, რასაც ღმერთი ამ შეხვედრაზე აპირებს და რაც ლოცვაში მაჩვენა! ეს გავლენას მოახდენს თქვენს ეკლესიაზე? რადგან თუ ასე არ მოხდება, მე დავიწყებ და მისი წასვლისთანავე ვიქადაგებ. ამხელა გზაზე იმისთვის არ ჩამოვსულვარ, არაფერი გავაკეთო! ხოლო თუ ეს ამბავი ეკლესიას ცუდად შემოუტრიალდება, მაშინ არ ვიქადაგებ“.

მან თქვა:

– ჯონ, ამ ადამიანს ბევრი პრობლემის მოტანა შეუძლია ჩვენი ეკლესიისთვის, ამიტომ სჯობს ისე გავაკეთოთ, როგორც თქვა.

მწყემსის მოსაზრებას დავეთანხმე და ორივენი მთავრობის წარმომადგენლისკენ გავეშურეთ.

მან ჯერ შემომხედა და უკმეხად მკითხა:

– ესპანურად ლაპარაკობ?

–არა, სერ, – მივუგე მე.

მან თქვა:

– ერთ რამეს გეტყვი. ამ ხალხს მხოლოდ ტურიზმთან დაკავშირებულ საქმიანობაზე დაელაპარაკები.

შემდეგ ის შეტრიალდა და მწყემსს მკაცრად დაუწყო ლაპარაკი ესპანურ ენაზე. მთელი ამ ხნის მანძილზე იარაღიანი მცველები თვალს არ გვაშორებდნენ და სახეზე საშიში გამომეტყველება აეკრათ. როცა ჩინოვნიკმა მწყემსის გაფრთხილება დაასრულა, ისინი წავიდნენ.

მწყემსი ძალზე აღელვებული ჩანდა და ბოდიში მომიხადა, რომ მსახურების საშუალება არ მომეცა. შემდეგ იგი დარბაზში შევიდა, რომ შეკრებისთვის მომზადების საქმე ბოლომდე მიეყვანა.

ამ დროისთვის უკვე სრულიად გამოვედი წონასწორობიდან. ვიცოდი, რომ ღვთიური სიბრძნე მჭირდებოდა. ჩემთვის სრული *საიდუმლო* იყო, თუ რა უნდა მექნა. დარბაზი დავტოვე. იქვე ნახევრად მოფარებული ადგილი შევნიშნე, სადაც ლოცვა შემეძლო. (ჩვენ ხომ ქალაქის ცენტრში ვიყავით და სრულიად იზოლირებულ ადგილს ვერც ვიპოვიდი). ვიცოდი, რომ ღვთიური რჩევის მიღების გზა სულიწმიდით ლოცვა იყო. ამრიგად, თამამად დავიწყე ენებზე ლოცვა. რამდენიმე ადამიანმა ჩამიარა, მაგრამ ვიფიქრე, რომ მათ საკუთარ თავთან მოლაპარაკე უცხოელი ვეგონებოდი.

ენებზე ლოცვის დაწყებიდან მალევე ღვთის მშვიდობამ თანდათან აავსო ჩემი სამშვინველი. კიდევ თხუთმეტიოდე წუთი ვილოცე და მოულოდნელად ჩემი გულის სიღრმიდან აზრი ამოტივტივდა; ასე გავიგონე: „ბიბლია გვერდზე გადადე

და ხალხს უდიდეს ტურისტზე ელაპარაკე, რომელიც კი ოდესმე მექსიკას წვევია!“

აღტაცებისგან შევხტი და ხმამაღლა შევძახე: „ეს ის არის, ის არის; იმ კაცმა მითხრა, რომ მხოლოდ ტურისტულ საქმიანობაზე შემეძლო ლაპარაკი! მე მათ იესოზე ვუამბობ, რომელიც უდიდესი ტურისტია, რომელიც კი ოდესმე მექსიკას წვევია.“

საჩქაროდ უკან, დარბაზიკენ გავემართე. მსახურება უკვე დაწყებულიყო და მწყემსი მსმენელთა წინაშე იდგა მისასალმებლად. მისმა ცოლმა, რომელიც დარბაზის ბოლოში იყო, მითხრა:

– ჯონ, მწყემსს სურს, რომ წინ გახვიდე.

როცა მასთან მივედი, შემომხედა და ჩამიჩურჩულა:

– ღმერთმა მითხრა, რომ გააკეთო ყველაფერი, რაზეც მიგითითა.

შემდეგ მე ვთქვი:

– ხალხო, მთავრობის ჩინოვნიკმა მითხრა, რომ მხოლოდ ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობებზე უნდა გელაპარაკოთ. ამრიგად, აქ ვარ, რომ გიამბოთ უდიდეს ტურისტზე, რომელიც კი ოდესმე მექსიკას წვევია – იესო ქრისტეზე.

დარბაზში მსხდომი მორწმუნეების მხრიდან აღტაცების შეძახილები გაისმა. მომდევნო სამოცი წუთის განმავლობაში ღვთის სიტყვა ვიქადაგე. როცა დავასრულე, ხალხს მოვუწოდე, რომ წინ გამოსულიყო ყველა, ვისაც თავისი ცხოვრების მიტოვება და იესოს უფლობის აღიარება სურდა.

წინ ბევრი ადამიანი გამოვიდა. მოულოდნელად დარბაზის ბოლოში პოლიციელი შევნიშნე, რომელიც სცენისკენ მოიწევდა. ჩემთვის გავიფიქრე: „სანამ დამაპატიმრებენ, ამ ხალხის სულების გადარჩენა უნდა მოვასწრო.“ გამახსენდა, რომ ტაძრის მშვენიერ კარიბჭესთან მყოფი პეტრე და იოანე იქამდე დააპატიმრეს, სანამ ხალხს ეტყოდნენ, როგორ მიეღოთ იესო. ამრიგად, სასწრაფოდ ვილოცე წინ გამოსული ხალხის გადარჩენისთვის. ლოცვის შემდეგ შევნიშნე, რომ პოლიციელი გამცდა და სცენის კუთხესთან ფარდას მიეფარა. მაშინვე შვებით ამოვისუნთქე, რადგან ახლა ხალხის მომსახურება შემეძლო.

შემდეგ გამოსულებს ვუთხარი, რომ შემდგომი რჩევებისთვის კონსულტანტებთან მისვლა შეეძლოთ. როცა ხალხი სცენიდან ჩავიდა, ერთი დავრდომილი კაცი შევნიშნე. მყისვე გავიგონე სულიწმიდის ხმა ჩემს გულში: „ეს ადამიანი პირველია, ვისი განკურნებაც მინდა. გააჩერე ის და სასწრაფოდ ილოცე მისთვის!“

ზუსტად ისე მოვიქეცი, როგორც უფალმა მითხრა და იმ კაცს მივმართე:

– ახლა, სერ, დააგდეთ თქვენი ყავარჯნები.

მან ისე შემომხედა, თითქოს მეუბნებოდა, ამის გაკეთება არ შემიძლიაო, მაგრამ ჩემი დაჟინებული თხოვნის შემდეგ ასეც მოიქცა. მას ხელი მოვკიდე და ერთად დავიწყეთ სიარული. ჯერ ნელი ნაბიჯით მივდიოდით, თანდათან ავუჩქარეთ და ბოლოს ერთად მივრბოდით.

იმ ადგილს ვეღარ იცნობდით. ხალხი ყოველი მხრიდან მოედინებოდა და სცენაზე უკვე ასობით ადამიანი იდგა. ბევრი განიკურნა სულიწმიდის ძალით. მხოლოდ რამდენიმეს ვახსენებ. ერთი ყრუ ქალისთვის ვილოცეთ და უფალმა სმენა დაუბრუნა. ის ისე გულამოსკვნით ტიროდა, რომ მისი ღია ცისფერი ბლუზა მუქი ლურჯი გახდა ცრემლებისგან, რომელიც სახეზე ღვარად მოედინებოდა. ღმერთმა ასევე განკურნა ერთი ქალის თვალები და კიდევ ერთი – სიმსივნისგან.

შემდეგ ხუთი წლის ბიჭისთვის ვილოცეთ, რომელიც ასევე განიკურნა. ამის შემდეგ ერთი საათი ვემსახურებოდით ადამიანებს. მშვენიერი იყო და ბევრი სიხარულისგან ტიროდა. ასევე შევნიშნე, რომ ადამიანები კამერებით იღებდნენ, მაგრამ დიდი ყურადღება არ მიმიქცევია.

დილით ქვეყანა დავტოვე და შეერთებულ შტატებში დაბრუნდი. ერთი კვირის შემდეგ მასპინძელი მწყემსი ჩამოფრინდა შტატებში ჩემთან შესახვედრად. მან მითხრა:

– ჯონ, უნდა ჩამოვსულიყავი და შენთვის პირადად მომეყოლა.

მან დაიწყო იმით, რომ მთავრობის წარმომადგენელმა ორი გადაცმული აგენტი გამოგზავნა იმ საღამოს შეკრებაზე, რომელთაც ჩემი დაპატიმრება ჰქონდათ დავალებული, თუ ქადაგებას დავიწყებდი.

ისინი მაშინ მოვიდნენ, როცა დავრდომილისთვის ვლოცულობდი. როცა დაინახეს, რომ სნეული ფეხზე დადგა, ერთმა მეორეს უთხრა:

– შენი აზრით, ეს რეალურია?

პარტნიორმა უპასუხა:

– არ ვიცი, მაგრამ ახლოს მივიდეთ და შევამოწმოთ.

მწყემსმა იცოდა მათი საუბრის შინაარსი, რადგან ერთ-ერთი აშერი მათ სიახლოვეს იმყოფებოდა და ყველაფერი გაიგონა.

ორი ოფიცერი წინ წამოვიდა და სასწაულების მოწმე გახდა. როცა ქალს ყურები გაეხსნა, ასე თქვეს: „მგონი, ნამდვილი უნდა იყოს!

შემდეგ ღვთის ძალით ხუთი წლის ბიჭის განკურნება იხილეს, ერთმანეთს გადახედეს და თქვეს: „ეს ნამდვილია!“

შემდეგ მწყემსმა მითხრა:

– ჯონ, ეს კაცები შენს დასაპატიმრებლად მოვიდნენ, მაგრამ ბოლოს წინ გამოვიდნენ და ლოცვა გთხოვეს. იმ საღამოს ორივემ გადარჩენა მიიღო!

ალბათ, საჭირო აღარ არის იმის თქმა, რომ მე და იმ მწყემსმა დიდად გავიხარეთ ჩემს ოფისში, თუმცა ეს ყველაფერი როდია. მან ქალაქის გაზეთი ამოიღო და სტატია მიჩვენა, რომელიც შეკრების მეორე დღეს დაიწერა. სტატიის თანახმად, ოფიციალური პირები ამტკიცებდნენ, რომ თაღლითი ვიყავი და ქვეყნიდან ფულის არალეგალურად გატანას ვგეგმავდი, თუმცა მათ განკურნებული ადამიანები ნახეს და არც ფულის აღების შემთხვევა დაუფიქსირებიათ. საინტერესოა, რომ იმ დღეს შესაწირი არ შეგვიგროვებია. გულით ვიგრძენი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა და ჩემი თვითმფრინავის ბილეთი ჩვენმა მსახურებამ შეიძინა. იმ შეკრებებიდან ერთი ცენტიც კი არ გაგვიტანია ქვეყნიდან.

რა საოცარია სულიწმიდა! როგორ შეიძლება ადამიანმა ასეთ დროს მისი ხელმძღვანელობის გარეშე იცხოვროს? იმ დღეს ენებით რომ არ მელოცა ჯერ ჩემს ოთახში და შემდეგ ფლაგშტოკთან, მექსიკას იმედგაცრუებული დავტოვებდი და ვერც ღვთის ნებას აღვასრულებდი. მწყემსი ქადაგების უფლებას არ მომცემდა მთავრობის ჩინოვნიკის აკრძალვის

გამო. ენებზე ლოცვამ ღვთის ნება და სიბრძნე, რომელიც ჩვენთვის *საიდუმლო* იყო, გამოავლინა. შევძელი, იმ მწყემსისთვის მეშუამდგომლა ღვთის ნების თანახმად. მან ღვთის ხმა მოისმინა, ხოლო უფალმა სიბრძნე მომცა, თუ როგორ უნდა გამევლო ამ წინააღმდეგობაში. მთელი დიდება მას ეკუთვნის!

ოჰ, როგორ ებრძვის ამ საკითხს მტერი ეკლესიაში. მას ეშინია ენებზე ლოცვის, რადგან ეს ღვთის პირდაპირი საკომუნიკაციო საშუალებაა მის წმიდანებთან და დემონებს წარმოდგენა არ აქვთ, რა გადაიცემა. ზოგჯერ ცხოვრებაში ისეთი ვითარებები დგება ან სურვილები გვიჩნდება, რომ საკუთარი აღქმის უნარით და ბაგით მათი გამოხატვა შეგვიძლია, თუმცა სხვა ვითარებებში ვერც ვხვდებით და ვერც გამოვხატავთ, ამიტომ წმიდა სულის სიტყვების მოშველიება გვჭირდება. ამ მიზეზის გამო პავლე გვეუბნება: „მაშ, რა ვქნა? ვილოცებ სულით და ვილოცებ გონებითაც; ვიგალობებ სულით და ვიგალობებ გონებითაც“ (1 კორ. 14:15).

ჩვენი შინაგანი კაცის აშენება

ბოლო ხანებში ჩემი გული ღაღადებდა ღვთის წინაშე, რომ მისი ერი უფრო მეტად დაახლოებოდა სულიწმიდას ზემოთ მოყვანილი მაგალითების გათვალისწინებით. უფალს ჩვენთან სიახლოვე სწადია და მის ძახილზე გამოხმაურება სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება. რაც დრო გადის, მხოლოდ წმიდა წერილის გაგება არასაკმარისია. ამას ფარისევლებიც მშვენივრად ახერხებდნენ. სულიწმიდის *აწმყოში ნათქვამისადმი* მგრძნობიარეობა უნდა გამოვიმუშაოთ და არ დავკმაყოფილდეთ *წარსული სიტყვით*. იესო ასე ცხოვრობდა. მან თქვა: „ჩემით არაფრის გაკეთება არ შემიძლია. როგორც ვისმენ, ისე განვიკითხავ [*ვიღებ გადაწყვეტილებას*]“ (იოან. 5:30, *ავტორისეული ხაზგასმა*). ბიბლიის გავრცობილი თარგამნი კიდევ უფრო ნათლად გვეუბნება:

> ჩემით [დამოუკიდებლად] არაფრის გაკეთება არ შემიძლია [რადგან ღმერთი მასწავლის და მისგან ვიღებ

> მითითებებს] ... [გადაწყვეტილებას ვიღებ მითითების შესაბამისად], როგორც მის ხმას მოვისმენ, მაშინ ვიღებ გადაწყვეტილებას]. (იოან. 5:30)

იესო იმდენად მგრძნობიარე იყო სულიწმიდის წინამძღოლობისა და ხმისადმი, რომ არაერთხელ აღნიშნავდა მასზე დამოკიდებულებას. მან თქვა: „ძეს თვითონ არაფრის გაკეთება არ შეუძლია, თუ არ იხილავს, რას აკეთებს მამა“ (იოან. 5:19). გარდა ამისა, ის ამბობს: „სიტყვებს, მე რომ გეუბნებით, ჩემით კი არ ვამბობ, არამედ ჩემში მყოფი მამა აკეთებს საქმეებს“ (იოან. 14:10). მის მიმდევრებს არაორაზროვნად გვეუბნებიან: „ვინც ამბობს, რომ მასში რჩება, მოვალეა ისევე მოიქცეს, როგორც ის იქცეოდა“ (1 იოან. 2:6).

როგორიც არ უნდა იყოს, ჩვენ მოვალენი ვართ, რომ ღვთის სულს გამოვეხმაუროთ. ფაქტობრივად, დარწმუნებული ვარ, რომ ღვთის წადილია, უფრო მეტი შევიცნოთ მისი სამეფოს შესახებ, ვიდრე ფიზიკურ სამყაროში მიმდინარე მოვლენებზე. ენებზე ლოცვა ჩვენს შინაგან კაცს აშენებს, რომ სულიწმიდის მიმართ უფრო მგრძნობიარე ვიყოთ. ისევ გვეუბნებიან:

> ენით მოლაპარაკე თავის თავს *აშენებს* (1 კორ. 14:4, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ბერძნული სიტყვა *შენება* გახლავთ *ოიკოდომეო*. მისი პირდაპირი მნიშვნელობა არის „სახლის შენება“. ეს საინტერესოა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ჩვენი სხეულები სულიწმიდის ტაძრებია. პავლე ხაზგასმით გვეუბნება: „თქვენ ხართ ღვთის შენობა“ (1 კორ. 3:9). ჩვენ მისი სახლი ვართ. ამრიგად, როცა ენებით ვლოცულობთ, სულიწმიდის სამკვიდრებელს ვაფართოებთ. მას მეტ სივრცეს ვაძლევთ სარგებლობისთვის. რასაკვირველია, ეს არ უნდა გაიგოთ პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ ხატოვნად; ვინაიდან უ. ი. ვაინი ასე ამბობს: „ნიშნავს „შენებას“, პირდაპირი თუ მეტაფორული გაგებით.“

როცა ენებით ვლოცულობთ, ვიფართოებთ მისი თანდასწრებისა და ძალის დატევის უნარს ჩვენს ცხოვრებაში.

შინაგან კაცს ვაძლიერებთ, რომ უფრო ადვილად წაგვიძღვეს ღვთის სული და არა ჩვენი ფიზიკური გონება.

ბ-ნი ვაინი ასევე გვეუბნება, რომ ეს სიტყვა ხატოვნადაც გაიგება, როგორც „სულიერი ზრდისა და მორწმუნეთა ხასიათის განვითარების სტიმულირება“. იგივე აზრს გვაწვდის იუდა მოციქული:

> ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით! (იუდ. 20)

ბერძნული სიტყვა *აღშენება* ამ მუხლში გახლავთ *ეპოიკოდომეო* და ითარგმნება როგორც „რაიმეზე დაშენება, დაყრდნობა“. აქაც იგულისხმება ჩვენი სულების გამუდმებული შენების აქტი. პავლემ მორწმუნეებს უთხრა, რომ ისინი ღვთის შენობას წარმოადგენდნენ, ხოლო მან ღვთის მადლით საძირკველი დადო ქრისტესთან მათი მოყვანით. შემდეგ ის ნათლად ამბობს: „თითოეულმა უყუროს, როგორ აშენებს“ (1 კორ. 3:10).

დღეს ბევრი მორწმუნის სული დასუსტებულია, რადგან შინაგან კაცს არ აშენებს. ისინი უფრო ბუნებრივი ხედვით აღიქვამენ მოვლენებს, ვიდრე გულის თვალებით. ისინი მოსმენილსა და ნანახს მეტად ეყრდნობიან, ვიდრე სულიწმიდის ნათქვამს მათ გულებში. გარეგანი კაცი ბატონობს მათ ცხოვრებაში. შინაგანი კაცი კი დამსგავსებია ტახტზე წამოგორებულ ადამიანს, რომელიც ტელევიზორს უყურებს და კარტოფილის ჩიფსებს გეახლებათ. შესაძლოა, ასეთები გულმოდგინედაც კი შრომობდნენ ცხოვრებასა და მსახურებაში, მაგრამ მათი შინაგანი კაცი უგულებელყოფილია. ისინი ხშირად მეუბნებიან: „რატომ არ მესმის ღვთის ხმა?“ მიზეზი ძალზე მარტივია. კიდევ ვიმეორებ, ღმერთი ჩვენს სულებთან ურთიერთობს და არა გონებასთან. „კაცის სული უფლის ლამპარია“ (იგ. 20:27). თუ ჩვენი შინაგანი კაცი არ აშენდება, ღვთის ხმას მკაფიოდ ვერ გავიგონებთ.

პავლემ ებრაელ მორწმუნეებს უთხრა, რომ ბევრი ჰქონდა მათთვის სათქმელი, მაგრამ არ შეეძლო, რადგან ყურმძიმეები გახდნენ (ებრ. 5:11). ამ ადამიანებს მოსმენაში დახმარება

არ სჭირდებოდათ, რადგან მათი შინაგანი კაცი დაკნინდა და სულიერი საგნებისადმი უგრძნობი გახდა. არსებითად, ადამიანთა ეს ჯგუფი შენების საწინააღმდეგო საქმიანობას ეწევა. მათი გულის ყურები დაჩლუნგდა უფლის სიტყვის მოსასმენად. სწორედ ეს პრინციპი გამოიყენება მათ მიმართ, ვინც შინაგანი ადამიანის შენებას გულგრილობით ეკიდება. ძლიერი შინაგანი პიროვნების გარეშე ღმერთთან სიახლოვე გვიბრკოლდება! ამ მიზეზის გამო პავლე გაბედულად აცხადებს: „ყველა თქვენგანზე მეტს ვლაპარაკობ ენებით“ (1 კორინთელთა 14:18). იგი ებრაელთა მიმართ წერილში განაგრძობს:

> მაგარი საჭმელი განკუთვნილია *მოწიფულთათვის*, რომელთა გრძნობები ჩვევით არიან *გაწაფული* კეთილისა და ბოროტის გასარჩევად. (ებრ. 5:14, *ავტორიესეული ხაზგასმა*)

ყურადღება მიაქციეთ, რომ აქ ლაპარაკია გრძნობებზე! ეს გახლავთ არა გარეგანი, არამედ შინაგანი შეგრძნებები. ასევე ყურადღება მიაქციეთ, რომ მათი გამოყენებით ანუ დედნის მნიშვნელობის მიხედვით, ხშირი პრაქტიკით, შინაგან გრძნობებს ვაძლიერებთ, რომ შევძლოთ გარჩევა: რა არის ღვთისგან და რა – ბოროტისგან?!

ხუთი ფიზიკური გრძნობის მსგავსად გვაქვს ხუთი სულიერი გრძნობა. წმიდა წერილი ამის ნიმუშებს გვაწვდის. როცა თითოეულის განხილვას წაიკითხავთ, საკუთარ თავს ჰკითხეთ, შეგიძლიათ თუ არა ამის გაკეთება ბუნებრივი შეგრძნებებით. ეს დაგეხმარებათ დასკვნის გაკეთებაში, რომ ავტორები სულიერ შეგრძნებებზე ლაპარაკობენ და არა ბუნებრივზე:

გემო –

> *იგემეთ* და ნახეთ, რომ კარგია უფალი. (ფს. 34:8, *ავტორისეული ხაზგასმა*)

> რარიგ ტკბილია ჩემი *სასისთვის* შენი სიტყვები, თაფლზე ტკბილია ჩემი პირისთვის. (ფს. 119:103, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ვპოვე შენი სიტყვები და *ვჭამე* ისინი. სიხარულად მექცა შენი სიტყვები და გულის მხიარულებად. (იერ. 15:16, *ავტორისეული ხაზგასმა*)

შეხება –

ამიტომ გამოდით მათგან და გამოეყავით! - ამბობს უფალი - უწმიდურს ნუ *მიეკარებით* და მე მიგიღებთ თქვენ. (2 კორ. 6:17, *ავტორისეული ხაზგასმა*)

გაშორდით, გაშორდით, გადით მანდედან, უწმიდურს ნუ *შეეხებით*! გამოდით მისი წიაღიდან, განიწმიდეთ, უფლის საჭურველთმტვირთველნო! (ეს. 52:11, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყნოსვა –

მაგრამ მადლობა ღმერთს, რომელიც ყოველთვის გამარჯვებას გვანიჭებს ქრისტეში და ჩვენი მეშვეობით წარმოაჩენს თავისი შემეცნების *კეთილსურნელებას* ყოველ ადგილზე. ვინაიდან ქრისტეს კეთილსურნელება ვართ ღვთისთვის, დახსნილთა შორისაც და დაღუპულთა შორისაც. ზოგისთვის სიკვდილის *სურნელი* სასიკვდილოდ და ზოგისთვის სიცოცხლის *სურნელი* სასიცოცხლოდ. (2 კორ. 2:14-16, *ავტორისეული ხაზგასმა*)

იარეთ სიყვარულში ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირად და მსხვერპლად, სასიამოვნო *კეთილსურნელებად*. (ეფეს. 5:2, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყოველივე მივიღე და უხვად მაქვს; კმაყოფილი ვარ, რომ მივიღე ეპაფროტიდესგან თქვენს მიერ გამოგზავნილი *კეთილსურნელება*, საამებელი მსხვერპლი, ღვთისთვის მოსაწონი. (ფილ. 4:18-19, *ავტორისეული ხაზგასმა*)

მხედველობა –

შენ გაქვს სიცოცხლის წყარო,
შენი შუქით *ვხედავთ* სინათლეს.
(ფს. 36:9, *ავტორისეული ხაზგასმა*)

და გაანათლოს თქვენი გონების *თვალნი*, რათა იცოდეთ, რა არის მისი მოწოდების იმედი და როგორია მისი დიდებული მემკვიდრეობის სიმდიდრე წმიდათათვის. (ეფეს. 1:18-19, *ავტორისეული ხაზგასმა*)

რაკი ყოველივე მას დაუქვემდებარა, არაფერი დაუტოვებია მისთვის დაუმორჩილებელი. მაგრამ ახლა ჯერ კიდევ ვერ *ვხედავთ*, რომ ყოველივე მას ემორჩილებოდეს; მაგრამ *ვხედავთ* იესოს. (ებრ. 2:8-9, *ავტორისეული ხაზგასმა*)

თუ შენი *თვალი* სუფთაა, მთელი შენი სხეულიც განათებული იქნება. ხოლო თუ შენი *თვალი* ბოროტია, მთელი შენი სხეულიც ბნელი იქნება. ამრიგად, თუკი სინათლე, რომელიც შენშია, სიბნელეა, რამდენად დიდი იქნება სიბნელე? (მათ. 6:22-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

სმენა –

უთხრა ახაბს ელიამ: „წადი, ჭამე და სვი, რადგან წვიმის შხაპუნის ხმა *ისმის*“. (1 მეფ. 18:41-42, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ვისაც *ყური* აქვს *სასმენად*, *ისმინოს*! (ლუკ. 14:35, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ვისაც *ყური აქვს, ისმინოს*, რას ეუბნება სული ეკლესიებს. (გამოცხ. 2:7, *ავტორისეული ხაზგასმა*)

იესომ ნათელი გახადა ჩვენი შინაგანი კაცის დაჩლუნგებისა დ ღვთის სულის მიმართ უგრძნობელობის განვითარების საკითხი, როცა თქვა:

> იგავებით იმიტომ ველაპარაკები მათ, რომ უყურებენ *[გარეგანი კაცი]* და ვერ ხედავენ *[შინაგანი კაცი]*, უსმენენ *[გარეგანი კაცი]* და არ ესმით და ვერ ხვდებიან. მათზე სრულდება ესაიას წინასწარმეტყველება, რომელიც ამბობს: სმენით მოისმენთ *[გარეგანი კაცი]*, მაგრამ ვერ გაიგებთ *[შინაგანი კაცი]*, ხილვით იხილავთ *[გარეგანი კაცი]*, მაგრამ ვერ მიხვდებით *[შინაგანი კაცი]*. ვინაიდან გაუქვავდა ამ ხალხს გული *[შინაგანი კაცი]*, ყურით მძიმედ ესმით *[შინაგანი კაცი]* და თვალები დახუჭეს *[შინაგანი კაცი]*, რომ თვალით არ დაინახონ *[შინაგანი კაცი]* და ყურით არ მოისმინონ *[შინაგანი კაცი]*, გულით არ ჩაწვდნენ *[შინაგანი კაცი]*. (მათ. 13:13-15, *ავტორისეული ხაზგასმა*)

სულიერად მოწიფული ადამიანი თავის შინაგან შეგრძნებებს ავითარებს სულიერი საგნების გასარჩევად – რა არის ღვთისგან და რა – არა. ამგვარი განვითარება განისაზღრება მორწმუნის შეგრძნებების გამოყენებით ან წვრთნით. ყველას გვაქვს ბუნებრივი გრძნობები და ზოგიერთი პიროვნება ამ საქმეში სხვებზე მეტად განვითარებულია ვარჯიშის მეშვეობით. მაგალითად, არიან ადამიანები, რომლებიც გემოვნების ორგანოს ავითარებენ ღვინის ხარისხის გასარჩევად. დიდი პრაქტიკა მათ საშუალებას აძლევს, რომ დეგუსტაციით დაასახელონ ღვინის წარმოების წელი, ადრეული თუ გვიანი მოსავალი, იმ წელს წვიმის მეტობა თუ ნაკლებობა და ა. შ.

სხვებს თვალი აქვთ გავარჯიშებული ძვირფასი ქვების ამოცნობაზე. გამოუცდელი თვალისთვის ქვა შეიძლება უნაკლოდ გამოიყურებოდეს, მაგრამ ამ საქმის ოსტატი კარგად არჩევს კვეთას და ფერს, მცირე თუ დიდი ნაკლის რაოდენობას და გამჭვირვალობის ხარისხს.

არიან ხმის ოპერატორები, მუსიკოსები, დირიჟორები და სხვები, რომელთა გაწვრთნილი სმენა იჭერს ბგერებსა და მელოდიებს. მათ შეუძლიათ უშეცდომოდ დაასახელონ, ურევს

თუ არა რომელიმე ინსტრუმენტი ან მთელი ორკესტრი. მათ წლების მანძილზე ავარჯიშეს სმენა, რომ ჰარმონია ამოიცნონ.

სხვები ყნოსვის შეგრძნებაში იწვრთნებიან. ისინი უშეცდომოდ არკვევენ სურნელის ზედა და ქვედა ტონებს და ნებისმიერი სუნამოს შემადგენლობას ასახელებენ სანელებლის, ყვავილოვანი თუ ციტრუსის ტონების გარჩევით.

ეს ადამიანები თავიანთი ბუნებრივი შეგრძნებების გამახვილებას ამჯობინებენ. ეს არ ნიშნავს, რომ ისინი სხვებზე მეტად ნიჭიერები არიან; უბრალოდ, მათ გადაწყვიტეს განევითარებინათ ის, რაც ჰქონდათ. ეს თავისით არ მომხდარა. ისინი ყურადღებას ამ უნარების სრუყოფაზე ამახვილებდნენ.

ამ დროისთვის. ალბათ, უამრავი სხვა მაგალითი მოგაგონდათ ჩვენი გარეგანი შეგრძნებების წვრთნის საილუსტრაციოდ. იგივე პრინციპი გამოიყენება სულის მიმართ. შესაძლებელია, მორწმუნე იყოთ წლების მანძილზე და სულს არ ავითარებდეთ. წერილი ასე ამბობს იოანე ნათლისმცემელზე: „ყრმა კი იზრდებოდა და სულით მტკიცდებოდა“ (ლუკ. 1:80). პავლემ ტიმოთეს უთხრა, რომ თავი მიეძღვნა სულიერი განვითარებისთვის, რომ „ყველასთვის ცხადი იყოს შენი წინსვლა“ (1 ტიმ. 4:15). როგორ უნდა განვავითაროთ შინაგანი კაცი? წმიდა წერილი ნათლად ამბობს: ღვთის დაწერილი სიტყვით (1 პეტრ. 2:2; საქმ. 20:32), მისი სიტყვის მორჩილებით (ებრ. 5:9) და ენებზე ლოცვით (1 კორ. 14:4; იუდ. 20).

ჩვენი სულების განვითარების მნიშვნელობა

რატომ არის ასე მნიშვნელოვანი ჩვენი შინაგანი გრძნობების განვითარება? თავისუფლად შეგვიძლია სულიწმიდასთან მოზიარეობა, თუ ჩვენი სულიერი გრძნობები ნავარჯიშებია. მას უფრო ახლოს შეუძლია ჩვენთან ლაპარაკი ბევრ დონეზე. ამის ასახსნელად ისევ ბუნებრივი მაგალითები მოვიშველიოთ. თქვენი გრძნობის ხუთივე ორგანო რომ არ მუშაობდეს, ჩემთვის შეუძლებელი იქნებოდა თქვენთან კომუნიკაცია. შეიძლება ვიყვირო, მაგრამ ვერაფერს გაიგონებთ; მხარზე ხელს მოგითათუნებთ, მაგრამ ვერაფერს იგრძნობთ. რაღაცას განიშნებთ, მაგრამ ვერაფერს დაინახავთ და ა. შ.

ამას წინათ, ოთხმოცს გადაშორებულ მამაჩემს სმენის აპარატი დასჭირდა, მაგრამ არ უნდოდა. ყველანი ერთად ვიყავი შეკრებილი. ვლაპარაკობდით და ვსადილობდით. უცებ შევნიშნე, რომ მამა სადღაც სხვაგან იყო. ხმას ავუწიე: „გაიგე, მამა?!“ მან შეფიქრიანებულმა შემომხედა, თითქოს ამბობდა: „რა თქვი?“ მივხვდი, რომ ვერავითარი სიამოვნება ვერ მიიღო ჩვენი საუბრიდან, რადგან მისი სმენის შეგრძნება დაქვეითებული იყო. (მიხარია, რომ ახლა მას უკვე აქვს სასმენი აპარატი!) იგივე ხდება სულშიც. თუ თქვენი შეგრძნებები დაქვეითებულია, ყველაზე დიდი, საუბრის რაღაც ნაწილი გაიგოთ! ხშირად გამიგონია ხალხის ნათქვამი: „როგორც ჩანს, ღმერთი ძალზე ახლო დონეზე არ მელაპარაკება.“ იცით, დიდი შანსია, რომ მათი შინაგანი შეგრძნებები განუვითარებელი აღმოჩნდეს. ეს საკითხი უნდა გადავჭრათ; ღმერთს უფრო მეტად სურს ჩვენთან ლაპარაკი, ვიდრე ჩვენ გვინდა მისი ხმის გაგონება, მაგრამ ხშირად, ებრაელი მორწმუნეების მსგავსად – „ყურმძიმეები“ გავხდით (ებრ. 5:11).

იმას აძლიერებთ, რასაც იყენებთ და ასუსტებთ, რასაც არ იყენებთ. სულით ლოცვისას ჩვენი შინაგანი კაცი ლოცულობს, ხოლო ფიზიკური აღქმა ანუ ხორცი უარყოფილია. გარკვეულწილად, ეს არის ჩვენი ბუნებრივი გაგების მარხვა, რომ ღმერთთან მოზიარეობაში დაუბრკოლებლად შევიდეთ. მოგიწოდებთ, რომ არა მარტო ილოცოთ სულით, არამედ ღმერთს ერწმუნოთ განმარტების მიღებისთვის და გაწვრთენით თავი მის მოსასმენად.

მრავალ დილას ენებზე ლოცვაში გავატარებ საათზე მეტ ხანს. იყო დრო, როცა ჩემი გონების ფიქრები წამიღებდა, მაგრამ მისი დამორჩილება ადვილი ხდება თაყვანისცემის საგალობლების მეშვეობით ან თავდაპირველად, ღვთის წინაშე გულის გადმოღვრით. ეს მეხმარება სულიერზე ყურადღების გამახვილებაში. ჩვეულებრივ, უფლის სიახლოვის შეგრძნება ყველა ამქვეყნიურ სადარდებელს ან ვალდებულებებს ჩრდილავს. შემდეგ აღმოვაჩენ, რომ ამ ეტაპზე იდეები, გამოცხადებები და სიბრძნე ამოტივტივდება ჩემს გაგებამდე. ვისწავლე, რომ ყველაზე გონივრულია ლოცვის კვალდაკვალ მათი ჩაწერა და შემდეგ სულიწმიდა სხვა საკითხებზე გადადის.

ადრეული მორწმუნეობის წლებში ენებზე ლოცვას დიდი იმედგაცრუება მოჰქონდა, რადგან ამ დროს ქვეყნიურ საკითხებზე მეფიქრებოდა. მაგალითად, ვლოცულობდი და მოდიოდა იდეები ახალი წიგნების სათაურების შესახებ, კარგა ხნის უნახავ ადამიანებთან დაკონტაქტების სურვილი, ვინმესთვის საჩუქრის ყიდვა, მსახურების ფინანსების განაწილების აზრები და ა. შ. საბოლოოდ ვისწავლე, რომ უფრო ხშირად, ეს იყო სულიწმიდის შთაგონება და მიმართულება. მალე ჩანაწერების გაკეთება დავიწყე და დავაკვირდი, რომ ჩაწერის შემდეგ ისინი ჩემი გონებიდან ქრებოდა და ზედაპირზე სხვა იდეები ამოტივტივდებოდა. შემდეგ ეს აზრები მოქმედებაში მომყავდა და ღვთიურ კურთხევასაც ვხედავდი. გავაცნობიერე, რომ ენებზე ლოცვისას სულიწმიდა არა მარტო ადამიანებსა და ქვეყნებს მახსენებდა, არამედ იმ საკითხებისკენაც მიმიძღოდა, რომელთა განხორციელება ჩემგან უნდოდა. ისევ ვიმეორებ, რომ ეს არის ღმერთთან კომუნიკაცია, გაცილებით მაღალ დონეზე.

სულიწმიდის სამეფოში ცხოვრება

პირადად დარწმუნებული ვარ, რომ პავლემ ასე დაწერა თავისი წერილების დიდი ნაწილი. მას შეეძლო ასეთი კომენტარი გაეკეთებინა: „თუმცა ხორციელად შორს ვარ თქვენგან, სულით თქვენთან ვიმყოფები“ (კოლ. 2:5, *ავტორისეული ხაზგასმა*). როგორ შეეძლო პავლეს მათთან ყოფნა და დანახვა, რას აკეთებდნენ და ამბობდნენ კორინთოელი ან კოლოსელი მორწმუნეები, თუ მათთან ფიზიკურად არ იმყოფებოდა? უნდა გვახსოვდეს, რომ სულიერი არსებები ვართ და ღვთის სულის სამეფოში არ არსებობს მანძილი და დაბრკოლება. ვისი სულიც უფალში არის აშენებული, მეტი იცის სულიერი სამყაროდან მოსული საგნების შესახებ და უფრო ნაყოფიერად ლოცულობს ან ემსახურება საჭიროებაში მყოფთ. გაიხსენეთ წინა თავის ამბავი, რომ ჩვენი ავსტრალიელი ოფისის მენეჯერის ბიბლიის სკოლის ლიდერმა უშეცდომოდ ამოიცნო ჩინელი მწყემსი მრავალ სხვა ეკლესიის წევრს შორის ისე, რომ იქამდე თვალითაც არ ჰყავდა ნანახი!

პავლე მარტივად ხედავდა სულიერ საგნებს სულში, თუ რა ხდებოდა სხვადასხვა ეკლესიაში, როცა ენებით ლოცულობდა. შემდეგ ამ საკითხებს წერილებში განიხილავდა და გზავნიდა. მოგზაურობებისას და ენებით ლოცვისას დამინახავს, რაში გადიოდნენ ჩემი ოჯახის წევრები და თანამშრომლები. ტელეფონს ვიღებდი და ბევრჯერ ჩემთვის ცნობილი იყო ახალი ამბები, სანამ თავად მეტყოდნენ. იმის გამო, რომ სულში ვლოცულობდი და მომზადებული ვიყავი, უკვე ვიცოდი, რა უნდა მეთქვა და როგორ მომეგვარებინა არსებული ვითარება.

აფრიკაში ყოფნისას ერთ კაცს შევხვდი, რომელიც კენიის ერთი ტომის მეომარი იყო. მან წლების წინ ირწმუნა იესო, მაგრამ თავის ხალხში რჩებოდა და ემსახურებოდა. მისი ქრისტიანული სახელია ჯონი და გარკვეული პერიოდულობით აფრიკიდან მოემგზავრება მსახურებისთვის. აშშ-ში ბოლო სტუმრობისას ერთ წყვილთან დარჩა, რომელსაც მეც ვიცნობ. სამი კვირის მანძილზე მათთან ცხოვრებისას აფრიკაში დარჩენილი ოჯახის სიახლეებს უყვებოდა მასპინძლებს. შეფიქრიანებულმა ცოლ-ქმარმა ჰკითხა, საიდან იცოდა ცოლის შესახებ ამდენი რამ, როცა მათ ოჯახს ტელეფონი არ ჰქონდა. ფაქტობრივად, ტელეფონი არავის ჰქონდა აფრიკის იმ სოფელში. მაშინ მან რაღაც ამგვარი თქვა: „ამას აკეთებდა პავლე აზიის ეკლესიებში. ისინი მის ოჯახს წარმოადგენდნენ, რადგან სულიერად შვა და მათგან შორს ყოფნისას ლოცულობდა და სულით მათთან იყო, რომ ენახა, როგორ იქცეოდნენ. მას მიწერაც შეეძლო, თუ რა ხდებოდა იმ შორეულ ეკლესიებში. მე მხოლოდ იმას ვაკეთებ, რის უნარიც ღმერთმა ყველა მორწმუნეს მისცა სულიწმიდის ძალის მეშვეობით. სწორედ ასე ვხვდები, რა მდგომარეობაშია ჩემი ოჯახი და ასე ვიქცევი ყოველთვის, როცა მათგან შორს ვარ.“

ჯონის დამოწმება იმიტომ მოვიყვანე, რომ სრულყოფილად ეთანხმება ღვთის სიტყვას. რატომ გვიკვირს ეს? პავლეს ამაზე არაერთხელ ულაპარაკია ახალ აღთქმაში. ამ აფრიკელი კაცისთვის არავის უთქვამს, რომ წმიდა წერილი არასწორია ან ენები უკვე გადავიდა, როგორც ამერიკაში ეუბნებიან მრავალ ადამიანს. რატომ უნდა დავიხიოთ უკან იმის მიღებაში, რისთვისაც იესომ ასეთი ძვირი საფასური გადაიხადა? რატომ

არ ვაშენებთ ჩვენს შინაგან კაცს, რომ ჩვენი ძვირფასი უფლისა და მხსნელის უფრო ნაყოფიერი მსახურები და შვილები ვიყოთ?

ჯერ კიდევ არ არის გვიანი! მნიშვნელობა არ აქვს, ათი წლის ხართ თუ ოთხმოცდახუთის; ახლახან იშვით ზეციდან თუ ათწლეულების წინ; შეგიძლიათ შინაგანი კაცი ენებზე ლოცვის მეშვეობით აშენოთ და ლოცვისას განმარტების ნიჭიც ითხოვოთ, რომ გონებამაც მიიღოს სარგებელი სულიწმიდასთან საოცარი მოზიარეობით. რამდენი რამის გაცხადება სურს თქვენთვის; მხოლოდ გარეგანი კაცი უნდა დააწყნაროთ და გულით მიუახლოვდეთ მას, ვინც ყველაფერი იცის. რა დიდებული მოპატიჟებაა! ნუ უგულებელყოფთ მას!

კითხვები შესწავლისთვის

1. გქონიათ შემთხვევა, როცა ენების ნიჭი თქვენს ცხოვრებაში ღვთის საქმიანობის უკეთესად გაგებაში დაგეხმარათ? რა გონებრივი გაცხადება, მშვიდობა ან განახლება მიიღეთ?
2. ავტორი წერს, რომ ღვთისგან მიღებული საიდუმლოებების სათანადოდ განკარგვა უნდა შეგვეძლოს და ხიზკიას მაგალითსა (ეს. 39:2) და ცნობილ მწყემსთან მის შეხვედრაზე მიგვითითებს. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის უფლის დროის დალოდება, სანამ მისგან გაცხადებულს სხვებს გადასცემდეთ? გაქვთ თუ არა სხვებზე შთაბეჭდილების მოხდენის გულისთქმა, რომელსაც მართვა სჭირდება?

თავი მეცამეტე

სრული დაჯერება რწმენაში

ღმერთი ჩვენს საჭიროებებს არ პასუხობს; იგი
ჩვენს რწმენას პასუხობს!

წლების მანძილზე არაერთ გულწრფელ მორწმუნეს შევხვედრივარ, რომელიც სულიწმიდით სავსეა, ღვთის შიში და სიყვარული აქვს, ცოდვას ერიდება, მაგრამ მაინც აქვს კითხვა: „რატომ არ მესმის ღვთის ხმა ან რატომ ვერ ვგრძნობ მის თანდასწრებას?“ იმედგაცრუების გრძნობა მიპყრობს ამის მოსმენის შემდეგ, რადგან ეს წმიდანები ყველაფერს აკეთებენ, რაც საჭიროა, მაგრამ ლოცვაში ღმერთს ვერ უკავშირდებიან. რამდენიმეწუთიანი საუბარიც კი საკმარისია, რომ მათი წუხილის მიზეზი აღმოვაჩინოთ. ყველაზე ხშირად, მათ პრობლემაზე ერთი პასუხი არსებობს, რომელსაც წმიდა წერილში ვხედავთ:

> მაშ, ძმანო, რაკი იესოს სისხლის მეშვეობით *გაბედულება* გვაქვს შევიდეთ წმიდათა წმიდაში, ჩვენთვის ბოძებული ახალი და ცოცხალი გზით, ... მივუახლოვდეთ მას

> მართალი გულებით და *სრული რწმენით*, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას, ვინაიდან აღმთქმელი ერთგულია. (ებრ. 10:19-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

პირველი, ავტორი გვეუბნება, რომ მივიდეთ წმიდათა წმიდაში, სადაც უფალი მკვიდრობს. გაიხსენეთ ის მომენტი, როცა იესომ სული დალია ჯვარზე. ამ დროს ტაძრის ფარდა ორად გაიყო თავიდან ბოლომდე. ღმერთი გამოვიდა და მზად იყო თავის ახალ ტაძარში, ზეციდან შობილ ადამიანში დასამკვიდრებლად. ამრიგად, ახლა მასთან მიახლოების მიზნით ჩვენს შინაგანში ვეძებთ მას, ნაცვლად იმისა, რომ ბრმად წარმოვიდგინოთ მილიონობით მილის დაშორებით არსებული სატახტო დარბაზი. ჩვენს შიგნით დამკვიდრებულ ღვთის სულთან დაკავშირებით იესოსა და მისი ზეციერი მამის ტახტთან ვიმყოფებით.

დააკვირდით, რომ ავტორი *გაბედულებისკენ* მოგვიწოდებს. როგორ უნდა მივუახლოვდეთ ღმერთს ასეთი დაჯერებულობით? მარტივად, რადგან მან უკვე მოამზადა მის თანდასწრებაში შესასვლელი გზა გოლგოთის მთაზე სამეფო სისხლის დაღვრით. ჩვენი სინდისი უკვე გაწმენდილია მსჯავრდადების ტირანიისგან, რომელიც ცოდვიდან მოდიოდა და ახლა სრული დარწმუნებით შევდივართ ღვთის თანდასწრებაში.

ეს არ გახლავთ არაზუსტი შედეგების მომცემი მოქმედება. ეს ფაქტია; ღმერთი ამბობს, რომ თუ მას მივუახლოვდებით, ისიც მოგვიახლოვდება! და მაინც, ბევრი ადამიანისთვის პრობლემა ხდება ფრაზა „სრული რწმენით“. მასთან რწმენით უნდა მივიდეთ! წმიდა წერილი ნათლად გვეუბნება:

> რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის სათნოდ ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან [*ახლოს*] მიდის, უნდა [აუცილებელია] სწამდეს, რომ ღმერთი არის და ის მიუზღავს მის [წრფელად და გულმოდგინედ] მაძიებელს. (ებრ. 11:6, *ავტორისეული ხაზგასმა*)

მოისმინეთ სიტყვები: „რწმენის გარეშე შეუძლებელია ღვთისთვის სათნოდ ყოფნა!“ რამდენიმე წუთი გამოყავით, რომ ისინი ღრმად ჩაინერგოს თქვენს გულში!

„ვეძებ ადამიანს, რომელიც ირწმუნებს!“

არასოდეს დამავიწყდება დრო, როცა მხოლოდ ხუთი წლის ვიყავი უფალში და ჩრდილოეთ კაროლინის ერთ ბინაში მარტო ვცხოვრობდი. ერთ დილას ღრმა ძილიდან რომ გამოვფხიზლდი, აღმოვაჩინე, რომ საწოლში ვიჯექი და მთელი ხმით გავყვიროდი: „ვეძებ ადამიანს, რომელიც ირწმუნებს!“

მაღვიძარას დავხედე და ვნახე, რომ ღამის 4 საათი იყო. იმდენად ღრმად მეძინა, რომ თავიდან ვერც გავიაზრე, სად ვიყავი და რა მოხდა. საწოლის მახლობლად შუქი ავანთე და შევნიშნე, რომ ჩემი თეთრეული ოფლისგან სულ სველი იყო იმ ადგილას, სადაც ვიწექი, მაგრამ არც სიცხე მქონდა და არც რამე სხვა დაავადება. გაოგნებული ვიყავი და თან მოწიწებამ შემიპყრო. გავაცნობიერე, რომ ღმერთმა ჩემი ბაგიდან დაილაპარაკა, თუმცა ასეთი აზრიც მომივიდა: *რატომ არ თქვა უფრო საფუძვლიანად? ვიცი, რომ ისეთ ადამიანებს ეძებს, რომელთაც სწამთ.* დაღლილი ვიყავი, ამიტომ ისევ დასაძინებლად დავწექი.

დილას გავიღვიძე თუ არა, მონოტონურად ჩამესმოდა სიტყვები: *ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს ... ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს ... ვეძებ ვინმეს, ვინც ირწმუნებს ...* სადღაც შუადღემდე უცებ გამინათდა გონება. ხმამაღლა წარმოვთქვი ჩემთვის, „ეს ხომ საფუძვლიანია!“

იმ დროიდან დავიწყე ორ კითხვაზე ფიქრი: *რა ანაღვლიანებს იესოს ყველაზე მეტად?* (ყველაზე მეტად რა აბრაზებს კი არა; მაშინ ეს იქნებოდა თვალთმაქცი ფარისეველი) და *რა აამებს ყველაზე მეტად?* პირველი, ყველაზე მეტად ის ადამიანები ანაღვლიანებენ, რომელთაც არ სჯერათ, რომ გააკეთებს იმას, რაზეც წინასწარ თქვა, რომ გააკეთებდა! მარტივად რომ ვთქვათ – ანაღვლიანებს მათი რწმენის ნაკლებობა. რეალურად, სწორედ ეს არის რწმენა. მას სჯერა, რომ ღმერთი იმას ამბობს, რასაც გულისხმობს და იმას გულისხმობს, რასაც

ამბობს. ღმერთი კაცი არ არის, რომ მოიტყუოს. პირიქით, მისი სიტყვა მყარია მისი სახელის პატივის გამო. იგი საკუთარ თავს იფიცებს, რადგან მასზე მაღლა არავინაა. როცა ღმერთში ეჭვი შეაქვთ, ეს მის სიწრფელეს შეურაცხყოფს.

მოდით, ერთ მონაკვეთს გადავხედოთ! მოისმინეთ იესოს იმედგაცრუება ქვემომოყვანილ მუხლებში; ეს მხოლოდ რამდენიმეა მათეს სახარებიდან (Today's English Version შევარჩიე, რადგან საუკეთესოდ გამოხატავს მის ტონს):

„მცირედ მორწმუნენო!“ (მათ. 6:30-31)

მივიდნენ მასთან, გააღვიძეს და უთხრეს: „უფალო, გვიხსენი, ვიღუპებით!“ უთხრა მათ: „რატომ გეშინიათ, მცირედ მორწმუნენო?“ (მათ. 8:25-26)

იესომ იმ წამსვე გაუწოდა ხელი, ამოიყვანა და უთხრა: „რატომ დაეჭვდი, მცირედ მორწმუნევ?!“ (მათ. 14:31)

„რას მსჯელობთ ერთმანეთში, მცირედ მორწმუნენო, პური რომ არ წამოგიღიათ?“ (მათ. 16:8)

ხედავთ იმედგაცრუებასა და ნაღველს მის ხმაში მოყვანილი ადგილების კითხვისას? და მაინც, ყველაზე მეტად იმ შემთხვევამ გამაოცა, სადაც მოწაფეებმა ეპილეფსიით დაავადებული ბიჭისგან დემონი ვერ განდევნეს. ნახეთ, რას ეუბნება იესო თავისი გუნდის წევრებს!

„ჰოი, ურწმუნო და უკუღმართო თაობავ! როდემდე ვიქნები თქვენთან? როდემდე გითმინოთ? აქ მომიყვანეთ!“ მოყვანისთანავე შერისხა იგი იესომ და გამოვიდა მისგან ეშმაკი. იმ ჟამიდან განიკურნა ყმაწვილი. (მათ. 17:17-18)

მას ნამდვილად არ შეუკავებია ემოციები. მისი ხმა ცდება იმედგაცრუების, ზიზღისა და მწუხარების ჩარჩოებს და სამართლიან რისხვას ესაზღვრება!

შემდეგ მოწაფეები დაინტერესედნენ, თუ რატომ ვერ განდევნეს დემონი. იესომ უპასუხა:

„თქვენი მცირე რწმენის გამო“ (მათ. 17:20)

ღმერთი ჩვენს რწმენას პასუხობს

უფლისგან ყველაფერს რწმენით ვიღებთ. ერთი ჭეშმარიტება აღმოვაჩინე, რომელიც ქრისტეს სხეულში ბევრმა არ იცის – ღმერთი ჩვენს საჭიროებებს არ პასუხობს, იგი ჩვენს რწმენას პასუხობს! შეჩერდით და კარგად დაფიქრდით ამაზე! წმიდა წერილიდან უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, მაგრამ მხოლოდ ორ მათგანს გაჩვენებთ. პირველი, ერთხელ იესო ისრაელის წინამძღოლებს ასწავლიდა სახლში და ვკითხულობთ:

და უფლის ძალა იყო მასთან, მათ განსაკურნად.
(ლუკ. 5:17)

ძალიან მომწონს, როცა წერილი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ უფლის ძალა იყო იქ წინამძღოლების განსაკურნად. ეს გვეუბნება, რომ მინიმუმ ერთ წინამძღოლს მაინც სჭირდებოდა განკურნება თუ რამდენიმეს არა, მაგრამ არც ერთი არ განკურნებულა. რატომ? არც ერთ მათგანს არ ჰქონდა მისაღებად საჭირო რწმენა.

თუმცა იქ იყო ადამიანთა ჯგუფი, რომელმაც პარალიზებული კაცი საკაცით მოიყვანა. ისინი ხალხის სიმრავლის გამო ვერ შევიდნენ სახლში, სახურავი გადახადეს და იქედან ჩაუშვეს თოკებით იესოს წინ. ამის შემდეგ ვკითხულობთ:

იხილა რა მათი რწმენა, უთხრა: „ადამიანო, მოგეტევა შენი ცოდვები!“ მწიგნობრებმა და ფარისევლებმა მსჯელობა გამართეს ერთმანეთში; ამბობდნენ: „ვინ არის ეს, ღმერთს რომ გმობს?! ვის ძალუძს ცოდვების მიტევება, ერთი ღმერთის გარდა?“ იცოდა რა იესომ მათი

ზრახვები, ჰკითხა: „რაზე მსჯელობთ თქვენს გულებში? რისი თქმა უფრო ადვილია: მოგეტევა შენი ცოდვები თუ ადექ და გაიარე? მაგრამ, რათა იცოდეთ, რომ ძე კაცისას აქვს ცოდვების მიტევების ხელმწიფება დედამიწაზე - უთხრა დავრდომილს: შენ გეუბნები, ადექი, აიღე შენი სარეცელი და შინ წადი!“ მყისვე წამოდგა მათ წინაშე, აიღო, რაზეც იწვა, თავის სახლში წავიდა და ადიდებდა ღმერთს. ყველა განცვიფრდა, ღმერთს ადიდებდნენ და შეშინებულები ამბობდნენ: „საოცრება ვიხილეთო დღეს“. (ლუკ. 5:20-26, *ავტორისეული ხაზგასმა*)

იესომ მათი რწმენა დაინახა. დავრდომილმა და მისმა მომყვანმა ადამიანებმა იცოდნენ, რომ უფალი თავისი სიტყვის ერთგულია. მათ სჯეროდათ, რომ ღმერთი უკვე ელაპარაკა თავის ხალხს და ეს სიტყვა იყო „არ დაივიწყო მთელი მისი სიკეთე; ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა!“ (ფს. 103:2-3). მეორე მხრივ, წინამძღოლები გაოცდნენ, როცა დავრდომილის განკურნება იხილეს და ღმერთი განადიდეს; თუმცა თავად არ განიკურნენ. რატომ? იმიტომ, რომ ღვთის ნების მიუხედავად არაფრის მიღება არ შეგვიძლია, თუ საამისო რწმენა არ გვაქვს! ზეციერ მამას სურდა ავადმყოფი წინამძღოლების განკურნება, მაგრამ მათ ვერ მიიღეს! ღმერთი გვპასუხობს მაშინ, როცა გვწამს, რაც აისახება მისი ნათქვამის მიმართულებით სიარულში.

კიდევ ერთი შემთხვევა ბერძენ ქალს უკავშირდება, რომელიც იესოსთან მოვიდა. იგი ევედრებოდა, რომ მისი შეპყრობილი ქალიშვილი გაეთავისუფლებინა. იესომ ასე უთხრა მას:

„მაცალე, ჯერ შვილები გაძღნენ, თორემ არ არის კარგი, შვილებს წაართვა პური და ძაღლებს გადაუგდო“ (მარკ. 7:27).

იესომ ქალს ძაღლი უწოდა. მას შეეძლო, განაწყენებული და გაბრაზებული წასულიყო. თუმცა იცნობდა რა იესოს ბუნებას, მეყსეულად უპასუხა:

„მართალია, უფალო, მაგრამ ძაღლებიც ხომ ჭამენ მაგიდის ქვეშ შვილების ნამცეცებს!“ (მარკ. 7:28)

მან იცოდა, რომ ღვთის ძის თანდასწრებაში იყო და სჯეროდა, რომ კეთილი ღმერთი ძალის ნაკლებობას არ განიცდიდა. ქალმა მტკიცედ გადაწყვიტა, რომ უკან არ დაეხია და სათხოვარზე პასუხი მიეღო. იგი ისევ რწმენაში დარჩა და იესომ ასე უთხრა:

„ამ სიტყვის გამო, წადი, გასულია ეშმაკი შენი ასულისგან!“ (მარკ. 7:29)

როცა ქალი სახლში მივიდა, ნახა, რომ მისი ასული სრულიად განკურნებული იყო. ისევ ვიმეორებ, რომ იესომ მის რწმენას უპასუხა და არა მის საჭიროებას. მისი პირველი თხოვნა საჭიროებიდან მომდინარეობდა, მაგრამ იესოს პირველ პასუხზე მისი რეაქცია რწმენით იყო ნაკარნახევი.

რწმენა არის ყველაფრის მიღების გასაღები

ეს პრინციპი ყველაფერში გამოდგება ცათა სამეფოში. ფაქტობრივად, იაკობი საკმაოდ გაბედულად აცხადებს, თუ რის გაკეთება გვმართებს, როცა ღმერთთან ლოცვით მივდივართ:

> ... რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან ეჭვიანი ზღვის ტალღას ჰგავს, ქარით ატანილსა და მიმოტაცებულს. ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისგან რაიმეს მიიღებს. (იაკ. 1:6-7)

ოჰო, ისევ მოუსმინეთ ამ სიტყვებს! „ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღმერთისგან *რაიმეს* მიიღებს!“ ცოტა ხნით დაფიქრდით ამაზე! გაიაზრეთ სიტყვები *ნუ ჰგონია ... რომ ... რაიმეს მიიღებს*. ეს გახლავთ კონკრეტული განცხადება, რომელსაც ნაცრისფერი ტონები და რაიმე გამონაკლისი არ აქვს! ღმერთმა ისე გააკეთა, რომ ეჭვი არ შეგვპარვოდა! იგი მხოლოდ რწმენას პასუხობს, სხვას არაფერს!

სწორედ ამიტომ ბევრი ვერ იღებს სულიწმიდას. ისინი რწმენით არ ითხოვენ. წერილი გვეუბნება:

> მხოლოდ ეს მსურს, ვიცოდე თქვენგან: რჯულის საქმეებით მიიღეთ სული თუ *რწმენის შესმენით?* (გალ. 3:2, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ეს ეთანხმება იაკობის ნათქვამს. უფლისგან *ვერაფერს* მიიღებთ, თუ მას რწმენით არ მიუახლოვდებით, რაც ნამდვილად მოიცავს სულიწმიდასაც. ბევრი მწყურვალი მორწმუნე მინახავს, რომელიც ენებზე არ ლაპარაკობს. მათ იციან, რომ რაღაც უფრო მეტი არსებობს და ეძებენ, მაგრამ სულიწმიდით ავსებაზე სიტყვა რომ ესმით, ასე მეუბნებიან: „ერთხელ ვილოცე მიღებაზე და არაფერი მოხდა“. ან თუ კიდევაც დათანხმდნენ ხელმეორედ ლოცვაზე, „იქნებ“ დამოკიდებულებით მოდიან. მათ არ აქვთ ის მტკიცე გადაწყვეტილება, როგორიც ბერძენ ქალს ჰქონდა. ისინი სრული დარწმუნებით არ მოდიან! ისინი გაბედულებით არ მოდიან! ღმერთი ჩვენგან ელოდება მისი ნების შეცნობას: „ნუ იქნებით უგუნურები, არამედ შეეცადეთ, ჩაწვდეთ, რა არის ღმერთის ნება“ (ეფეს. 5:17). მას შემდეგ, რაც გავიგეთ ღვთის ნება, რწმენით და გაბედულებით უნდა ვითხოვოთ.

ზუსტად იგივე პრინციპი გამოიყენება ღმერთთან დაახლოებისთვისაც. ბევრჯერ, როცა მორწმუნეები უფალს უახლოვდებიან, იმედოვნებენ, რომ მას დაუკავშირდებიან (არ ვგულისხმობ ბიბლიურ სიტყვა *იმედს*, რაც არის „გაბედული მოლოდინი“, არამედ „იქნებ გამოვიდეს“ იმედს, რომელმაც ასეთი მნიშვნელობა შეიძინა ინგლისურ ენაში). მორწმუნეები ხშირად ჰაერში ლაპარაკობენ იმ იმედით, რომ შესმენილი იქნებიან. ვიმეორებ, რომ „რწმენის გარეშე შეუძლებელია ღმერთისთვის სათნოდ ყოფნა, ვინაიდან ვინც ღმერთთან მიდის, უნდა სწამდეს, რომ ღმერთი არის“ (ებრ. 11:6, *ავტორისეული ხაზგასმა*). ავტორი ებრაელ მორწმუნეებს ეუბნება, რომ ღმერთთან მიახლოებისას უნდა გწამდეთ, რომ იგი არის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თხოვნისას იგი იქ იქნება, მოისმენს და გიპასუხებთ!

იაკობი ამბობს: „ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისგან რაიმეს მიიღებს. გაორებული სულის კაცი არამდგრადია თავის ყველა გზაზე“ (იაკ. 1:7-8). გაორებული სულის კაცი ღმერთს უახლოვდება, მაგრამ ისევ აწუხებს ეჭვები მის თანდასწრებაზე. შეიძლება კითხვაც დასვას, საერთოდ, შეამჩნია თუ არა ღმერთმა მისი მოსვლა.

დაეჭვებულობის სიმპტომი აქეთ-იქეთ მორბენალი აზრებია. ნება მომეცით, აგიხსნათ. ხშირად მსახურებებზე, როცა ადამიანები წინ უნდა გამოვიდნენ ქადაგების შემდეგ, მუსიკოსებს ვეუბნები, რომ დაკვრა შეწყვიტონ. მართალია მხოლოდ ინსტრუმენტული მუსიკა სრულდება, მაგრამ ბევრი ადამიანი ნაცნობი მელოდიის სიტყვებს ჩვეულებით იმეორებს და მთელი გონებით არ არის ფოკუსირებული უფალზე. იაკობი ამბობს, „ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო! განიწმიდეთ გულები, ორგულნო!“ (იაკ. 4:8). როგორ შეიძლება ღმერთს ვეძებდეთ, როცა ჩვენი გონება მისკენ არც კი არის მიმართული? წარმოგიდგენიათ, რომ მეგობართან ასეთი განწყობით მიდიოდეთ?

ადამიანები ადვილად ცდებიან, რადგან ღმერთთან მიახლოებისას მასთან დაკავშირების იმედიც აქვთ. არა, თქვენ უნდა გჯეროდეთ, რომ ის *არის*; უნდა გჯეროდეთ, რომ ის *იქ არის*; უნდა გწამდეთ, რომ გისმენთ და გიპასუხებთ. ის ნამდვილად იმსახურებს თქვენს ინდივიდუალურ ყურადღებას. რწმენა იმის დაჯერებულობას იძლევა, რომ ღმერთი სრული ყურადღებით გისმენთ, ვინაიდან დაპირებას ყოველთვის ასრულებს და არასოდეს იტყუება; თუ მასთან ახლოს მიხვალთ, ისიც ახლოს მოვა. ოჰ, ჩემი გული ახლა ვეღარ იტევს აღფრთოვანებას! რა დიდებულ ღმერთს ვემსახურებით. იგი გვიპასუხებს, თუ რწმენით მივუახლოვდებით!

როგორ ვილეგთ რწმენას?

ახლა ერთ ხშირად დასმულ კითხვას უნდა ვუპასუხოთ: როგორ ვზრდი რწმენას? ამ საკითხით დაინტერესება წლების მანძილზე გრძელდება, ფაქტობრივად, მოციქულების დროიდან:

უთხრეს უფალს მოციქულებმა: „მოგვიმატე რწმენა!“ უთხრა მათ უფალმა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ თუთის ხეს, აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, დაგემორჩილებათ“ (ლუკ. 17:5-6).

დააკვირდით, რომ თავდაპირველად იესო ასე ამბობს: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ“. თესლი პაწაწინაა, მაგრამ დიდ ხედ გადაქცევის პოტენციალი აქვს. ამიტომ, სანამ რწმენის ნაყოფიერ ხედ გადაქცევაზე ვილაპარაკებდეთ, მანამ უნდა ვიკითხოთ, როგორ ჩავიგდოთ ხელში თესლი? ამ კითხვაზე ნათელი პასუხი შემდეგ მუხლში ჩანს:

> რწმენა - *მოსმენისაგან, ხოლო მოსმენა* - ქრისტეს სიტყვისაგან. (რომ. 10:17, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ეს ძალზე მარტივია. რწმენის თესლი ღვთის სიტყვის მოსმენისგან მოდის. ყურადღება მიაქციეთ, რომ ის ამბობს – *მოსმენისაგან,* და *მოსმენა*. ზოგჯერ ეს ერთჯერადი მოსმენით ხდება, მაგრამ ხშირად თესლი ჩვენს გულებში მრავალგზის მოსმენით თავსდება. სწორედ ამიტომ არის, რომ მწყურვალე ქრისტიანები ღვთის სიტყვას გამუდმებით უსმენენ ან კითხულობენ. არაერთი ადამიანი მინახავს, რომელიც მოდის და მეუბნება, რომ ჩემი წიგნები რამდენჯერმე წაიკითხა ან ვიდეო-ქადაგებას ხუთჯერ უყურა და ამ ბოლო ჯერზე რაღაც გაიხსნა მასში. თესლი ზუსტად იმ დროს მოთავსდა გულში და ფესვი გაიდგა!

საქმე ძალზე მარტივადაა, მაგრამ ადვილია მისი გართულება. რწმენის თესლი მოდის სულიწმიდის შთაგონებით ნათქვამი ან დაწერილი ღვთის სიტყვით. სამწუხაროა, რომ დღეს ბევრი რამ იქადაგება, ბევრი წიგნი იწერება, მაგრამ ღვთის სიტყვა ნაკლებად წარმოითქმება. ჩემი პირველი წიგნი ერთ-ერთმა ცნობილმა გამომცემლობამ დაიწუნა იმ მოტივით, რომ „ძალიან მქადაგებლური“ იყო. მეტისმეტად ბევრი მუხლი წმიდა წერილიდან, მეტი ღვთის სიტყვა. ვფიქრობ, მათ ადამიანთა ემოციებზე ან თუნდაც ხორცზე ზემოქმედება სურდათ.

სამწუხაროდ, ამ ზეწოლას დღეს ბევრი მსახური ემორჩილება. ახლა ჩვენ „მაძიებელზე მორგებული“ ეკლესიები გვაქვს, სადაც ადამიანებს ბიბლიები არც მოაქვთ, რადგან არ სჭირდებათ. ისინი მშვენიერ და გასართობ „სიტყვას“ ისმენენ, რომელიც მათ საქმიან და სიამოვნების მაძიებელ ცხოვრებაში ეხმარება. ჩვენი დასავლური ეკლესიის მდგომარეობა ბედის ირონიად მეჩვენება, რადგან ჩვენმა მსახურებამ ბოლო ორი წლის მანძილზე ჩინეთის იატაკქვეშა ეკლესიის ლიდერებს ორმოცდაათი ათასი ბიბლია გაუგზავნა, იმდენად მოწყურებული არიან ღვთის სიტყვას. ბიბლია დეფიციტურია ჩინეთში და ეკლესიის წინამძღოლები მათ უხუცესებს ახალი აღთქმის ფურცლებს აძლევენ დასაზეპირებლად, რომ იმ შემთხვევაშიც შეძლონ ღვთის სიტყვაზე ლაპარაკი, თუ ხელისუფლება ბიბლიების კონფისკაციას მოახდენს. ამ მამაკაცებმა და ქალებმა იციან ღვთის დაწერილი სიტყვის ფასი.

ამ ფონზე, დასავლური ეკლესიები ცდილობენ ისეთი ქადაგებების წარმოთქმას, რომლებიც სამშვინველს დაატკბობს და ხორცს შვებას მოგვრის ნაცვლად იმისა, რომ ღვთის სიტყვას სამშვინველის გარდაქმნისა და ხორცის მოკვდინების საშუალება მისცენ. ამ სიტყვების მოსმენისას ვიცინით და ცრემლებსაც ვღვრით ისტორიების გამო, რომლებიც გვეხება, მაგრამ რა ხდება მაშინ, როცა ამ მაძიებლების ცხოვრებაში ცოდვა მოაკაკუნებს? ექნებათ მათ წინააღმდეგობის ძალა? რა მოხდება, როცა კრიტიკულ მომენტებში ღვთის ნების ცოდნა დასჭირდებათ? ეცოდინებათ, როგორ ილოცონ ან რა ითხოვონ? ექნებათ იმ ადამიანების მსგავსი რწმენა, რომლებიც სახარებებში ღვთისგან სიტყვას იღებდნენ? მსგავსი სცენარი უამრავია!

მიხარია, რომ იმ გამომცემელმა უარი თქვა ჩემი პირველი წიგნის დაბეჭდვაზე, რადგან ამ შემთხვევაში რედაქტორს მის შეცვლას სთხოვდა და იმდენად დააკნინებდა, რომ გავლენას ვერ მოახდენდა მრავალ ადამიანზე, რომლებიც იმ სიტყვამ გააძლიერა. (საბოლოოდ, წიგნი გამოიცა). ბედის ირონიით, იმ გამომცემლობის მფლობელმა დირექტორი დაითხოვა და მის ნაცვლად ღვთის გულის სანდომი კაცი დანიშნა. ახალმა გამომცემელმა თანამშრომელთა ისეთი გუნდი დაიქირავა, რომ

მის მსგავსად ჰქონოდათ ღვთის სიტყვის ადამიანებისთვის გადაცემის სწრაფვა. ეს ახალი ხელმძღვანელი ჩემთან მოვიდა და მომდევნო წიგნის გამოცემის ნებართვა მთხოვა. ისე მოხდა, რომ ბოლოს იმ გამომცემლობაში ხუთი წიგნი დავბეჭდე, რომელთაგან ოთხი ბესტსელერად იქცა. უფრო მეტიც, ახლაც ვიღებთ შეტყობინებებს ადამიანთა შეცვლილი ცხოვრების, ოჯახების და ეკლესიების შესახებ. ღმერთს ჰქონდეს მთელი დიდება!

ეს იმისთვის გაგიზიარეთ, რომ ქვეყანაში შიმშილობაა, არა ღვნისა და პურის, არამედ ღვთის სიტყვის (იხილეთ ამოს. 8:11). ამერიკის ეკლესიაში მცირედ თუ იქადაგება ღვთის სიტყვა. არ ვამბობ, რომ ქადაგებები არ გვაქვს, რადგან უამრავი წიგნი, ვიდეო- და აუდიო-მასალა არსებობს. მხოლოდ ღვთის სიტყვა გვაკლია. რატომ ხდება ასე, რომ აფრიკისა და აზიის ქვეყნებში სტუმრობისას გაცილებით მცირე რესურსების მქონე ხალხს ვხედავ, რომლებიც ძალზე ადვილად იღებენ ღვთისგან და მათ ცხოვრებაში მეტი რწმენა და ნაყოფია? პასუხი მარტივია. ისინი ღვთის სიტყვას უფლისგან იღებენ და არა მაძიებლის ყურზე მორგებული ან რელიგიური ქადაგებებიდან!

ღმერთს შევპირდი, რომ არასოდეს დავემორჩილები მსმენელის საამებელი სიტყვის წარმოთქმის ზეწოლას, არამედ ვიტყვვი იმას, რის თქმას მას უნდა. პავლე ამბობს: „ახლა ადამიანების დარწმუნებას ვცდილობ თუ ღვთისას? თუ ვცდილობ ადამიანებს ვაამო? ადამიანებს რომ ვაამებდე, ქრისტეს მსახური აღარ ვიქნებოდი. (გალ. 1:10). რამდენმა დაიწყო ქრისტეს მსახურებით, მაგრამ ახლა სამწყსოს ან მსმენელთა მონები არიან? მათი მხრიდან ზეწოლა უკვე ხელ-ფეხს უკრავს ლიდერებს, რომ მათ დაქვემდებარებაში მყოფებს მისცენ ის, რაც მათ სურთ.

რწმენა მოსმენისგან მოდის, ხოლო მოსმენა ღვთის სიტყვიდან უნდა მოდიოდეს. სწორედ ღვთის სიტყვა აგდებს რწმენის მარცვალს ჩვენს გულებში. წინამძღოლებმა უფლის ერს ის უნდა მივცეთ, რაც მას სჭირდება და არა ის, რაც ჰგონია, რომ სჭირდება. ისინი ღვთის მარადიული სიტყვით უნდა გამოვკვებოთ, რაც მათ ააშენებს და მემკვიდრეობას მისცემს (იხილეთ საქმ. 20:32).

ბევრი ლიდერი ჩანს წინა პლანზე, რომელიც ღვთის წმიდა და გაუყალბებელ ღვთის სიტყვას ქადაგებს. ზოგიერთები ადამიანთა მაამებლობის ხაფანგში აღმოჩნდნენ და ახლა თანდათან თავისუფლდებიან, ხოლო მათ ადგილას სხვები ჩნდებიან. ისინი ღვთის ერს შემოქმედთან დაბრუნებისკენ მოუწოდებენ! რატომ ამახვილებს ღმერთი ყურადღებას მასთან სიახლოვეზე? პასუხი მარტივია. მას სურს რომ უფალთან ტკბილი მოზიარეობის რწმენა გქონდეთ, რადგან სიახლოვე რწმენის გარეშე არ არსებობს! იგი თავის ხალხში თესავს მასთან დაახლოების სიტყვას. რა საოცარია ეს ყველაფერი!

როგორ ვზრდით რწმენას?

ახლა მივდივართ რწმენის გაზრდის საკითხთან. იესო თავის მოწაფეებს ეუბნება:

> უთხრა მათ უფალმა: „მდოგვის მარცვლისოდენა რწმენა რომ გქონდეთ და უთხრათ ამ თუთის ხეს, აღმოიფხვერი მანდედან და ზღვაში გადაინერგეო, დაგემორჩილებათ. რომელიმე თქვენგანს მონა რომ ჰყავდეს - მხვნელი ანდა მწყემსი, მინდვრიდან დაბრუნებისას, ნუთუ ეტყვის, ახლავე მიდი და სუფრას მიუჯექიო? განა არ ეტყვის, ვახშამი მომიმზადე და წელშემორტყმული მემსახურე, ვიდრე ვჭამ და ვსვამ, მერე კი შენც ჭამე და სვიო? ნუთუ მადლობას ეტყვის მონას იმისთვის, რომ მისი ბრძანება შეასრულა? არა მგონია. ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ, თქვით: უსარგებლო მონები ვართ, ვინაიდან ის გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებინა“. (ლუკ. 17:6-10)

თავიდან ძალიან მაფიქრებდა, რომ იესო რწმენაზე, როგორც თესლზე ლაპარაკიდან უცებ გადავიდა მსახურის ფუნქციებზე თავისი ბატონის მიმართ. მეჩვენებოდა, რომ იესოს სიტყვებში შეუსაბამობას ჰქონდა ადგილი, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ ეს სიმართლე ვერ იქნებოდა. ერთ დღესაც სულიწმიდამ თვალები ამიხილა.

პირველი, იგი გვეუბნება, რომ რწმენა თესლის ფორმით მოდის. თესლი ძალზე პატარაა, მაგრამ დიდ ხედ გადაქცევის პოტენციალი აქვს. საკმარისი არ არის თესლის დარგვა, მას შემდგომი კულტივაცია სჭირდება, რომ ნაყოფი გამოიღოს. პასუხის მეორე ნაწილი მოიცავს რწმენის თესლის უზარმაზარ, ნაყოფიერ ხეებად გადაქცევის გასაღებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რწმენა, რომელიც თუთის ხეებს ამოძირკვავს, მთებს გადაადგილებს ან ღვთის თანდასწრებაში შეგვიყვანს!

რატომ უძღვება მსახური მეურნეობას და უვლის ბატონის ფარას? საბოლოო მიზანი გახლავთ საკვების უზრუნველყოფა ბატონის სუფრაზე. აი, რა კითხვას სვამს იესო: რატომ ზრუნავს მსახური მარცვლეულის მოყვანასა და ფარის მოვლაზე თუ შემდეგ სახლში შემოვა, მაგრამ ბატონის სუფრაზე საკვებს არ დაალაგებს? წარმატებული მსახურებისთვის მან *ყველაფერი* უნდა დაასრულოს, რის გაკეთებაც დაავალეს. საქმის დაუმთავრებლობა იგივეა, რაც თესლიდან მცენარის აღმოცენება, მორწყვა და განოყიერება, მაგრამ მოსავლის აღების ჟამს მისი უყურადღებოდ მიტოვება ან ნაყოფის დასალპობად გაწირვა.

იესო ლაპარაკობდა ჩვენს მორჩილებაზე. იგია ბატონი და ჩვენს მისი მსახურები ვართ მინდორში. თუ გვინდა, რომ ჩვენი რწმენის თესლი ნაყოფიერებამდე მივიდეს და მოსავალი მოგვცეს, მორჩილი მსახურები უნდა ვიყოთ ყველაფერში, რის გაკეთებაც დაგვავალეს. დააკვირდით სიტყვებს, „ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ“. ეს სიტყვები მოწმობს, რომ იგი მორჩილებაზე ლაპარაკობდა და ეს გახლავთ ჩვენი რწმენის ზრდის გასაღები.

ნაწილობრივი მორჩილება დაუმორჩილებლობაა

საკმარისი არ არის ნაწილობრივი მორჩილება ან საქმის დაწყება და შემდეგ უკან დახევა. ამ შეცდომამ ბევრი დაღუპა ბიბლიაში. ერთი განსაკუთრებული მაგალითი იქნება მეფე საული. მას ნათლად ეთქვა უფლის სიტყვით, რომ უნდა წასულიყო და მთელი ყამალეკი გაენადგურებინა – ყოველი კაცი, ქალი და ბავშვი ცხოველებთან ერთად. არაფერი არ უნდა დაეტოვებინათ ცოცხალი, რაც სუნთქავდა.

საულს არ უთქვამს, „ამას არ გავაკეთებ!“ მეტისმეტად ხშირად დაუმორჩილებლობას ვაკნინებთ იქამდე, რაც ყველასთვის ცხადია – აშკარა ამბოხებამდე. სინამდვილეში კი ასე როდია. კიდევ ერთი რამ, რაც საულს არ გაუკეთებია, არის დათანხმება და მოგვიანებით გადაფიქრება. ბევრი ჩვენგანისთვის ნაცნობია დაუმორჩილებლობის ეს ფორმა. საულს არც იმაზე უთქვამს უარი, რომ დავალება პრიორიტეტად დაესახა და ბოლოს არ დამორჩილებოდა უგულებელყოფის ან გულმავიწყობის გამო. ბევრი აღიარებს, რომ ასეთი ქცევა მორჩილებად ვერ ჩაითვლება, მაგრამ გარკვეულ გამართლებას უზრუნველყოფს კარგი მოტივების გამო. სავარაუდოდ, ყველა დათანხმდება, რომ მოვლენების განვითარების ამგვარი სცენარები მაინც დაუმორჩილებლობას წარმოადგენს, თუმცა ყურადღება ისევ საულის მოქმედებას მივაპყროთ.

ის დაუყოვნებლივ კრებს არმიას და შეტევას იწყებს – კლავს ყველა კაცს, ქალს და ჩვილს. ათობით ათასი დაიხოცა საულისა და მისი დიდებული არმიის მახვილით. მიუხედავად ამისა, საული ყამალეკის მეფეს ინდობს. რატომ? ვფიქრობ, მისი საქციელი იმ დროის კულტურას შეესაბამებოდა. თუ რომელიმე ერს დაიპყრობთ და მათ მეფეს ცოცხლად დაიმონებთ და სასახლეში დაიტოვებთ, ეს გამარჯვების უტყუარი მოწმობა იქნება.

საულმა ასევე დახოცა ათასობით პირუტყვი, თუმცა საუკეთესო ცხვარი, ხარი, ნასუქი პირუტყვი, კრავები და ყველაფერი საუკეთესო დაინდო და ხალხს მისცა, რომ ღვთისთვის შეეწირათ და ასე ვთქვათ, „სულიერი“ საქმე გაეკეთებინათ. წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილება დარჩებოდა ხალხს! როცა განწირულ ცხოველებს იაჰვეს მიუძღვნიდნენ, ასე იფიქრებდნენ: „რა ღვთისნიერი მეფე გვყავს! უფალს ყოველთვის პირველ ადგილზე აყენებს“.

თუმცა ღმერთი სულ სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს. იგი სამუელთან გლოვობს: „ვწუხვარ, რომ გავამეფე საული, რადგან ზურგი მაქცია და არ გაჰყოლია ჩემს ბრძანებებს!“ (1 სამ. 15:11) საულმა ათობით ათასი დახოცა და მხოლოდ ერთი დაინდო. მან დავალების 99.9 პროცენტი შეასრულა. ბევრი ჩვენგანი ამ მისიაში მორჩილებას დაინახავდა, მაგრამ ღმერთმა

ის დაუმორჩილებლობად ჩათვალა. ფაქტობრივად, რამდენი მუხლის შემდეგ იგი საულის საქციელს ამბოხებას უწოდებს წინასწარმეტყველის პირით. ეს გვეუბნება, რომ ნაწილობრივი მორჩილება საერთოდ არ არის მორჩილება ღვთის თვალში, არამედ ამბოხება. ფაქტობრივად, *თითქმის* სრული მორჩილება, თუნდაც 99-პროცენტიანი, მორჩილებად კი არა, ამბოხებად ითვლება. ხშირად გვესმის ასეთი მოსაზრება: „რატომ არ უყურებ იმ ყველაფერს, რაც გავაკეთე? მაინც და მაინც, იმ მცირედს აკვირდები, რაც არ გავაკეთე!“ საულს ნამდვილად შეეძლო ამის თქმა. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური აზროვნება ამგვარ მიდგომას ამართლებს, ღმერთისთვის ეს მოსაწონი არ გახლავთ!

სიახლოვე ჩვენი რწმენის პირდაპირპროპორციულია

თუ საულის შემდგომ ცხოვრებას დააკვირდებით, დაინახავთ მისი რწმენის ხარისხის დეგრადაციას. იმასაც შენიშნავთ, რომ უფალს სულ უფრო მეტად დაშორდა. მისი სიახლოვის დონე თანდათან დაბლა იწევს იმ ფაქტის გამო, რომ ღმერთთან მოზიარეობის უნარი ჩვენი რწმენის პირდაპირპროპორციულია. ამასთან დაკავშირებით იოანე მოციქული ამბობს:

> ამით გავიგებთ, რომ ჭეშმარიტებისგან ვართ და დავიმშვიდებთ გულს მის წინაშე. რადგან თუ გული გვდებს მსჯავრს, ღმერთი ხომ ჩვენს გულზე დიდია და ყოველივე უწყის. საყვარელნო! თუ გული არ გვდებს მსჯავრს, გაბედულება გვაქვს უფალთან. (1 იოან. 3:19-22)

ღმერთთან მოზიარეობის უნარი ჩვენი რწმენის პირდაპირპროპორციულია, ხოლო ჩვენი რწმენა ღვთის მიმართ მორჩილებაზეა დამოკიდებული. ნება მომეცით, ეს საკითხი ნათლად განვმარტო! არ ვლაპარაკობ დაუმორჩილებლობაზე, რომელსაც დაუყოვნებლივ მოჰყვება აღიარება და მონანიება. დავითის ცოდვა საულისას დიდად აღემატებოდა, მაგრამ მან მხილებისთანავე მოინანია. მისი რწმენა არ შერყეულა და არც

უფალთან მოზიარეობის უნარი დაკარგვია. მეორე მხრივ, საული მხოლოდ იმის დაცვასა და გავრცობას ცდილობდა, რასაც თავისად თვლიდა და სარგებლობის მოტანა შეეძლო. მისი გული ღვთის კვალს არ მიჰყვებოდა დავითისგან განსხვავებით.

ჩვენი ყოველდღური ცხოვრებიდან ამის საილუსტრაციოდ ცოლ-ქმრის ცხოვრების დინამიკა გამოდგება. თუ რომელიმე მათგანი საკუთარ ინტერესებს ეძებს და ერთმანეთს არ ემორჩილებიან, ნდობა და სიახლოვე იკარგება. ქმარს შეუძლია თქვას: „იცი, მე ვიხდი გადასახადებს, მომაქვს საჭმელი შენს სუფრაზე, სახურავი გაქვს და სამოსი. რა მოხდება, თუ გვერდით ერთი საყვარელი მეყოლება?“ მას შეუძლია თქვას, „მიყვარხარ“ და ისიც დაამატოს, რომ ცოლზე სათანადოდ ზრუნავს, მაგრამ გარანტიას გაძლევთ, რომ მათი სიახლოვის დონე სწრაფად დაეშვება ძირს, როცა ქმარი ერთ სფეროში მაინც იჩენს დაუმორჩილებლობას.

შეიძლება თქვათ: „უფალო, ეკლესიის მსახურებებს რეგულარულად ვესწრები, მეათედს ვიხდი, ბიბლიას ვკითხულობ და ვლოცულობ, რატომ არის ჩემი რწმენა ასე სუსტი?“ მაშინ, ნება მომეცით, ასეთი კითხვა დაგისვათ! როგორ ექცევით თქვენს მეუღლეს? ღმერთი ამბობს: „ქმრებო, გონივრულად მოეპყარით ცოლებს, როგორც უფრო სათუთ ჭურჭლებს, პატივი ეცით, როგორც სიცოცხლის მადლის თანამემკვიდრეებს, *რათა ლოცვა არ დაგიბრკოლდეთ!*“ (1 პეტრ. 3:7, *ავტორისეული ხაზგასმა*). ღმერთთან ჩვენი მოზიარეობა დაბრკოლებულია, რადგან ყველა სფეროში მორჩილებას არ ვიჩენთ. გაიხსენეთ იესოს სიტყვები: „ასევე თქვენც, ყველაფერს რომ გააკეთებთ, რაც ნაბრძანები გქონდათ“. ნაწილობრივი მორჩილება ვერასოდეს „გაზრდის თქვენს რწმენას!“ იგივე პრინციპი გამოიყენება ცოლების ქმრებთან, შვილების მშობლებთან და მშობლების შვილებთან დამოკიდებულების დროსაც.

კიდევ ერთი კითხვა, რომელიც უნდა დაისვას: ხართ თუ არა სიტყვის კაცი ან ქალი? წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ადამიანი, რომელსაც ღმერთთან სიახლოვე აქვს არის ის, „ვინც დაიფიცებს - თუნდაც თავის საზიანოდ - და არ შეცვლის“

(ფს. 15:4). მხოლოდ იმიტომ იძლევით დაპირებას, რომ შემდეგ აღარ შეასრულოთ? ჩვევად გექცათ სიტყვებით შეცოდება და შემდეგ გიკვირთ, რატომ მოისუსტებთ რწმენაში? უამრავი მსგავსი კითხვის დასმა შემიძლია.

მთავარი ის არის, რომ ცხოვრებაში ღვთის სიტყვის სრულ მორჩილებას ვესწრაფით! ჩვენ არაორაზროვნად გვითხრეს:

> ამას გწერთ იმისთვის, რომ *არ შესცოდოთ* (1 იოან. 2:1, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ბევრი ცოდვას ძალზე ზედაპირულად ან ლეგალისტური თვალთახედვით უყურებს. პირველ შემთხვევაში, ადამიანები უგულებელყოფენ ღვთის სიტყვას, რადგან მადლისა და წყალობის ქვეშ ვართ და ჩვენი ცოდვები დაფარულია იესოს ჯვარცმით. დიახ, ეს საკითხი ჯვარცმით მოგვარდა, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რას ეუბნება პავლე მორწმუნეებს: „ნუთუ არ იცით, რომ ვისაც გადასცემთ თქვენს თავებს, რათა იყოთ მისი მონა-მორჩილნი, მისი მონები ხართ, ვისაც დაემორჩილებით: ან ცოდვისა – სასიკვდილოდ, ან მორჩილებისა – სიმართლისათვის“ (რომ. 6:16). გარდა ამისა, თავად იესო ეტყვის მათ, ვინც უფალს უწოდებდა, მაგრამ ცოდვა ჩვევაში ჰქონდათ გამჯდარი, „გამშორდით, ურჯულოების მოქმედნო!“ (მათ. 7:23).

ლეგალისტები ცოდვის ჩადენას პიროვნების „წმიდანთა კლუბიდან“ გარიცხვას უთანაბრებენ. დაუმორჩილებლობისგან ჩვენს თავშეკავებას ეს მოტივი არ უნდა განსაზღვრავდეს. ფაქტობრივად, მას არც შეუძლია ჩვენი დაცვა შეცოდებისგან. იმ შემთხვევაში, თუ ცოდვას რწმენის დამანგრეველად და ღმერთთან მოზიარეობისგან ხელის შემშლელად მივიჩნევთ, მისგან გასაქცევად მზად ვიქნებით! რატომ? იმიტომ, რომ სხვა ყველაფერზე მეტად მასთან სიახლოვე გვიზიდავს.

ახლა ვხვდებით, რატომ გვეუბნება იაკობი უფალთან დაახლოების მოწვევის წინ და შემდეგ:

ამიტომ *დაემორჩილეთ ღმერთს*, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან. ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ. *დაიბანეთ ხელები, ცოდვილნო*! (იაკ. 4:7-8, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ყველაფერი მორჩილების ირგვლივ არის თავმოყრილი! რატომ? იმიტომ, რომ ღმერთთან მისვლა სრული გაბედულებით შევძლოთ. მოდით, თავის დასაწყისში მოყვანილ მონაკვეთს გადავხედოთ!

მაშ, ძმანო, რაკი იესოს სისხლის მეშვეობით *გაბედულება* გვაქვს შევიდეთ წმიდათა წმიდაში, ჩვენთვის ბოძებული ახალი და ცოცხალი გზით, ... *მივუახლოვდეთ* მას მართალი გულებით და *სრული რწმენით*, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. *მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას*, ვინაიდან აღმთქმელი ერთგულია; (ებრ. 10:19-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ჩვენი გაბედულება ანუ სრული დაჯერება რწმენიდან ამოიწვერება, რომელიც ღვთის სიტყვის მოსმენიდან მოდის და თავის მხრივ, ჩვენი განუწყვეტელი მორჩილებით იზრდება. თუ შევცოდავთ, გვყავს შუამდგომელი მამის წინაშე და თუ სწრაფად ვინანიებთ, ჩვენი სინდისი მსჯავრდადებისგან თავისუფლდება, რადგან მისი სისიხლი თოვლზე მეტად გვათეთრებს. და თუ მაინც ნებსით ვცოდავთ, სინდისი გვასამართლებს და ღმერთი ჩვენს გულზე დიდია. ამიტომ ცოცხალ ღმერთთან გაბედულად მიახლოება გვიბრკოლდება.

იმედი

ახლა მივუბრუნდეთ ზემომოყვანილი მონაკვეთის მეორე განცხადებას: „მტკიცედ ჩავეჭიდოთ იმედის აღიარებას“. იმედი ხშირად არასწორად არის გაგებული. ეს არ გახლავთ „იქნებ მოხდეს“ სიტყვა. ის უფრო „დაჯერებულ მოლოდინს“ ნიშნავს.

მიახლოება

როცა ღმერთი პირველად გამოეცხადა აბრაჰამს, ასე დაპირდა: „მე ვარ ფარი შენი. ფრიად დიდი იქნება შენი საზღაური!“ (დაბ. 15:1). აბრაჰამს შვილების ყოლის *ბუნებრივი იმედი* არ ჰქონდა სარას უნაყოფობის გამო და მისი პასუხსაც სევდა სდევდა თან:

> „უფალო ღმერთო! რა უნდა მომცე? უშვილოდ გადავდივარ
> და დამასკოელი ელიაზარია ჩემი სახლის განმგებელი“.
> თქვა აბრამმა: „შთამომავალი არ მომეცი და ჩემს სახლში
> შობილი მსახური გამიხდება მემკვიდრე“. (დაბ. 15:2-3)

ცხადია, რომ ეს კაცი ხავსს ებღაუჭებოდა ან საერთოდ არ ჰქონდა იმედი. ღმერთმა იცოდა, რომ აბრაჰამი ვერ შეძლებდა მისი აღთქმების მიღებას იმედის გარეშე. ამრიგად, უფალმა ერთ საღამოს გარეთ გაიყვანა და ვარსკვლავების დათვლა სთხოვა. დარწმუნებული ვარ, ყველაფერი ასე მოხდა. აბრაჰამს ვარსკვლავების თვლისას ჩაეძინა. დილით უფალმა გააღვიძა და ჰკითხა:

– ყველა დათვალე?

აბრაჰამმა მიუგო:

– არა, ამდენს რა დათვლის!

ღმერთმა სასურველი პასუხი მიიღო, რასაც მოჰყვა მისი დაპირება: „შენი შთამომავლობაც ამდენი იქნება“ (დაბ. 15:5). ღმერთმა აბრაჰამის გულში ღვთაებრივი იმედი ჩასახა – მისი აღთქმის ნათელი სურათი – უამრავი შთამომავალი. როცა ის ცას ახედავდა, ყოველთვის გაახსენდებოდა ღვთის აღთქმა და მისი შვილთაშვილების ჟრიამულის ხმაც მისწვდებოდა მის ყურებს: „მამაო, აბრაჰამ, მამაო აბრაჰამ!“ ამასთან დაკავშირებით ახალი აღთქმა აბრაჰამზე ამბობს:

> უიმედობაში ერწმუნა იმედით, რათა გამხდარიყო მრავა-
> ლი ერის მამა, როგორც ნათქვამია. (რომ. 4:18)

რა იყო ნათქვამი? „შენი შთამომავლობაც ამდენი იქნება“. ღვთაებრივმა სიტყვამ ბუნებრივი იმედის გარეშე გადადგა

ნაბიჯი, რომ ხილული რეალობა აღთქმის მეშვეობით გადაეფარა. ღვთიური იმედი ხილული სამყაროს მიღმა მოქმედებს მისი სამეფოს მტკიცე მოლოდინით. აბრაჰამმა არჩია, რომ ხილული ღვთაებრივით დაეჩრდილა. ფაქტობრივად, წერილი გვეუბნება, რომ აბრაჰამი „გულდაჯერებული იყო, რომ ის, ვინც აღუთქვა, შესრულებასაც შეძლებდა“ (რომ. 4:21). მან მიიღო აღთქმა რწმენით, რომელიც იმედით გაძლიერდა. წერილი ამბობს:

> რწმენა არის მტკიცედ დარწმუნება იმაში, რისი იმედიც გვაქვს. (ებრ. 11:1)

ჩვენი რწმენა ავსებს იმედს ანუ ღვთის აღთქმებს. როგორც აბრაჰამის შემთხვევაში ვხედავთ, ღვთიური იმედი არის ხედვა ანუ უფლის ნების მონახაზი, რომლის დანახვა ბუნებრივი გზით ჯერ კიდევ შეუძლებელია. ღვთიური იმედი უკიდურესად მნიშვნელოვანია, რადგან იმედის გარეშე რწმენა ვერაფერს ავსებს. ღვთის სიტყვა არა მარტო ათავსებს რწმენას თქვენს გულში, არამედ გვაძლევს იმ რწმენის შესაბამის იმედს ანუ ხედვას.

ეს შეიძლება შევადაროთ სამშენებლო მასალების ერთობ-ლიობას, როგორიცაა ფილები, ფანჯრის ჩარჩოები, ქვიშა, ხე, ცემენტი, აგური და ა. შ. შესაძლებელია გვქონდეს ყველაფერი, მაგრამ მშენებლობის ნახაზის გარეშე პროცესის წარმართვა კატასტროფის ტოლფასია! შესაძლოა, იფიქროთ, რომ ნახაზის გარეშეც ააგებთ. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ნახაზი თავში გაქვთ, მაგრამ მაინც დაგჭირდებათ რაღაც გეგმა.

თანდასწრებაში შესვლა ფარდის მიღმა

რაც შეეხება სიახლოვეს, წავიკითხოთ ჩვენი საფლაგმანო მუხლები!

> მაშ, ძმანო, რაკი იესოს სისხლის მეშვეობით *გაბედულება* გვაქვს შევიდეთ წმიდათა წმიდაში, ჩვენთვის ბოძებული ახალი და ცოცხალი გზით, ... *მივუახლოვდეთ* მას მარ-

> თალი გულებით და *სრული რწმენით*, ბოროტი სინდისისგან სხურებით გულგაწმედილნი და სუფთა წყლით სხეულგანბანილნი. *მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას*, ვინაიდან აღმთქმელი ერთგულია. (ებრ. 10:19-23, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ავტორი ნათლად ლაპარაკობს უფალთან მიახლოებაზე. ისევ დააკვირდით სიტყვებს, „მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას“. დაიმახსოვრეთ, რომ იმედი არის: ნახაზი-გეგმა ანუ ხედვა, ღვთიური სურათი, რომელსაც ბუნებრივი მზერით ვერ დავინახავთ. ამის გათვალისწინებით, დაკვირვებით წაიკითხეთ შემდეგი მუხლები!

> ადამიანები ყველაზე დიდს იფიცებენ და ფიცი ადასტურებს მათი ყოველგვარი დავის დასასრულს. ამიტომ, როცა ღმერთმა მოინდომა აღთქმის მემკვიდრეთათვის თავისი ნების ურყევობა ეჩვენებინა, ფიცს მიმართა, რათა ორ ურყევ რამეში, რაშიც შეუძლებელია მოგვატყუოს ღმერთმა, მტკიცე ნუგეშისცემა გვქონდეს ჩვენ, ვინც შევეფარეთ, რათა ჩავჭიდებოდით ჩვენ წინ მდებარე იმედს, *რომელიც* ჩვენთვის სანდო და მტკიცე ღუზასავითაა და *შედის ფარდის მიღმა*. (ებრ. 6:16-19, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ხედავთ ამას? ეს მონაკვეთები ერთმანეთს დავუკავშიროთ და აი, რა გვექნება:

> *მივუახლოვდეთ მას* მართალი გულებით და სრული რწმენით, ... *მტკიცედ მივყვეთ იმედის აღიარებას*, ვინაიდან აღმთქმელი ერთგულია; რომელიც ჩვენთვის სანდო და მტკიცე ღუზასავითაა და *შედის ფარდის მიღმა*. (ებრ. 10:22-23; 6:19, *ავტორისეული ხაზგასმა*)

NLT ვერსია ასე ამბობს: „ის მიგვიძღვის ზეცის ფარდის მიღმა ღვთის შიდა საწმიდარში.“ სწორედ ღმერთმა მისცა

აბრაჰამს ღვთიური იმედის ნათელი ხედვა. როცა საქმე სიახლოვეზე მიდის, სულიწმიდა იძლევა იმის ღვთიურ ხედვას, რაც ბუნებრივი თვალებისთვის შეუძლებელია – ზეცის სატახტო დარბაზში დაბრძანებული უფლისას.

როცა მას ვუახლოვდებით, ღვთის სულს მივმართავთ ჩვენს შიგნით, ჩვენი ხორცის ფარდის მიღმა შევდივართ და ვზღუდავთ ფიზიკურ აზროვნებას. ამის შემდეგ ღვთის თანდასწრებაში აღმოვჩნდებით. როგორც კი ზეცის შიდა საწმიდარს მივაღწევთ, იქ შევხვდებით იესოს და ზეციერ მამას. ამ წმიდათა წმიდაში დიდების უფალთან მოზიარეობა გვექნება!

მორწმუნეები ლოცვისას ხშირად ცდილობენ სატახტო დარბაზში შებიჯების წარმოდგენას. სულიწმიდის დაუხმარებლად ამის გაკეთება იგივეა, რაც აბრაჰამის უუნარობა ღვთის აღთქმის გააზრების საქმეში ხედვის გარეშე. მას შემდეგ, რაც უფალმა ნათელი სურათი დაუხატა, აბრაჰამი მტკიცედ ჩაეჭიდა მას.

სულიწმიდის გარეშე ვერ შევძლებთ ნამდვილი და ახლო ურთიერთობის განცდას შიდა საწმიდარში. იგი გვაძლევს იმედს, ნათელ ხედვას, რასაც ფიზიკური თვალებით ვერ დავინახავთ. სწორედ ამ ხედვის მეშვეობით ვუახლოვდებით მას რწმენის სრული დაჯერებით და გაბედულებით, რომ გავიხაროთ იმით, რისთვისაც იესომ ძვირი გადაიხადა და ახლა მასში ცხოვრება შეგვიძლია. ოჰ, მადლობა, იესო, შენი ძვირფასი სისხლის დაღვრისთვის, რამაც ღვთის თანდასწრებაში გაბედულად შესვლა შეგვაძლებინა ახლა და სამუდამოდ!

მიახლოება

კითხვები შესწავლისთვის

1. ბიბლიური სიტყვა *იმედი* – დაჯერებული მოლოდინი– უპირისპირდება „იქნებ გამოვიდეს“ იმედს, რა მნიშვნელობაც ინგლისურში აქვს. გქონიათ თუ არა შემთხვევები, როცა სიტყვებს ჰაერში ისროდით „იქნებ მოხდეს“ დამოკიდებულებით და რწმენით სავსე მოლოდინი გაკლდათ? თუ ასეა, რას გეუბნებათ ეს თქვენი რწმენის მდგომარეობაზე?
2. მორწმუნეები ორ კითხვას სვამენ მოციქულების დროიდან მოყოლებული. კითხვები ძალიან ჰგავს ერთმანეთს სიტყვების წყობით, მაგრამ საფუძვლიანად განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ვინ სვამს მათ:
   - როგორ მივიღოთ რწმენა?
   - როგორ გავზარდოთ რწმენა?

   როგორ უპასუხებდით მათ ამ თავში ნასწავლიდან გამომდინარე?
3. როცა საულის მორჩილებას დავითისას ადარებთ, რა განსხვავებას ხედავთ? რა გავლენას ახდენდა მათი მორჩილება ღმერთთან სიახლოვეზე?
4. რა გავლენას ახდენს მორჩილება ადამიანის უნარზე, რომ ღმერთს გაბედულად მიუახლოვდეს?

თავი მეთოთხმეტე

მიახლოება

მასთან მიახლოებას იმიტომ ბედავთ, რომ
მარადიული მოპატიჟება გამოგიგზავნათ.

ამ ბოლო თავში მასთან მიახლოების პრაქტიკულ მხარეებს დაგანახებთ, ვინც ასე დიდად შეგვიყვარა. თუმცა ამის გაკეთება ძალიან წააგავს ახალდაქორწინებულისთვის მიცემულ დეტალურ მითითებებს, თუ როგორ დაუახლოვდეს თავის მეორე ნახევარს საწოლ ოთახში. ამის სწავლება მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება, ხოლო დანარჩენი გულიდან უნდა მოდიოდეს. სწორედ ამაშია ინტიმური ურთიერთობის მშვენიერება: ის გულიდან ყვავილობს. გონებით ამას ვერ ვისწავლით.

უფალთან მიახლოებისას უნდა გვახსოვდეს, რომ მის ხატად ვართ შექმნილი. მისი ემოციებიც ისევე იცვლება, როგორც ჩვენი. როგორც ჩვენ უნდა ვიყოთ მგრძნობიარე ახლო მეგობრის განწყობის მიმართ, ისეთივე მგრძნობიარეობა უნდა გამოვიჩინოთ უფლის მიმართ. მაგალითად, ზოგჯერ მასთან გალობით მივდივართ, ზოგჯერ განადგურებული ვართ; სხვა დროს გაბედულად ვუახლოვდებით ან მოკრძალებით ვთრთივართ მის წინაშე. გვექნება სიცილის, მოთქმის, სიბნე-

ლის ძალებზე გამარჯვებაში მისი შემწეობის ან უფლის საოცარ თანდასწრებაში გარინდულობისა და მშვიდობის განცდის დროები.

ბოლო ორი კონტრასტული მდგომარეობის ნიმუშად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ყაჩაღებით გარშემორტყმული სახლი. დავუშვათ, კრიმინალები სახლის უკანა კარის შემომტვრევას ცდილობენ. ამ დროს ერთ-ერთი ვაჟი მამას უახლოვდება, რომელიც გამალებული ეძებს იარაღს და ასე ეუბნება: „მამა, ვფიქრობ, დიდებული მამა ხარ! ყველაფრით უზრუნველგვყოფ, იუმორის გრძნობა გაქვს და გამჭრიახიც ხარ ...“

მამა მკაცრი ნათქვამით აწყვეტინებს შვილს: „ახლა შენი გრძნობების გამომჟღავნების დრო არ არის. აიღე ბეისბოლის ხელკეტი და უკანა კარისკენ გამომყევი!“

უნდა გახსოვდეთ, რომ ქრისტეს ეკლესია და ღვთის სახლეული ვართ. მტერი რეალურია. ყოფილა დრო ლოცვაში, როცა სულიწმიდა დაუყოვნებელი ბრძოლისკენ მომიწოდებდა და მისი წინამძღოლობის მანერა ასევე იცვლებოდა. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო სიტყვის აღიარება, ძლიერი ლოცვა სულში ან ძლიერი გალობა (იოშაფატის და ისრაელის არმია; იხილეთ 2 ნეშტთ. 20:20-24). არა მარტო არსებული მდგომარეობის მიმართ უნდა ვიყოთ მგრძნობიარე, არამედ მისი სურვილების განხორციელების გზებიც უნდა გამოვარკვიოთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს; განვიხილოთ საპირისპირო შემთხვევა. იგივე სახლეული: ყველაფერი კარგადაა. მამა ბუხრის პირას ისვენებს. ამჯერად შვილი ჩაფხუტით და ბეისბოლის ხელკეტით მიდის მამასთან და ღრიალებს: „დავცხოთ, მამა!“

მამა შეხედავს მას და ეტყვის: „შვილო, ახლა არაფერი ხდება; რატომ არ დაჯდები, რომ ერთმანეთთან ურთიერთობით გავიხაროთ?“

დარწმუნებული ვარ, მრავალ სხვადასხვა სცენარს წარმოიდგენდით თქვენი ახლობლების მონაწილეობით. ლოცვის განსხვავებული დროები და სეზონები არსებობს. ზემოთ არაერთი ადგილი მოვიყვანე წმიდა წერილიდან და უფრო მეტი არსებობს. გასაღები იმაშია, თუ რა დევს ღვთის გულში იმ კონკრეტულ ჟამს.

ღვთიური ინტერესები

რა განწყობა გეუფლებათ, როცა თქვენი მეგობარი ყოველთვის საკუთარ ინტერესებს აყენებს წინა პლანზე? რას იფიქრებს მამა, როცა ყველა მისი შვილი მხოლოდ სათხოვრების გამო მიდის მასთან? განა გადაუშლით გულს ეგოისტ ადამიანებს ან მათ, ვის გულგრილობაშიც დარწმუნებული ხართ? თუ უფლის გულს გვინდა შევეხოთ, უნდა ვიცოდეთ, რა სურს მას ან რა სჭირდება. ო, დიახ, სჭირდება! მიუხედავად იმისა, რომ იგი ყოვლისშემძლე, ყოვლადძლიერი და თვითკმარია, მან კაცობრიობას თავისუფალი ნება მისცა და დედამიწაზეც უბოძა გარკვეული თავისუფლება. ამით თავი უფრო მოწყვლადი გახადა. ადამიანის დაცემის გამო, რასაც ბნელეთის ძალების მიერ კაცობრიობის გზიდან აცდენა, ხაფანგი და ტანჯვა მოჰყვა, ბევრი ადამიანია გულნატკენი და გასაჭირში მყოფი. ღმერთს სწყურია მათი გულისთვის მოქმედება და ელოდება, ვინ შეღაღადებს მათ გამო. აღმოაჩენთ, რომ ამ მიზეზით უფალი ახლოსაა მათთან, ვინც შუამდგომლობს და დაჭრილი ადამიანების სათხოვარი მოაქვს ღვთის მადლის მეშვეობით. იესო განკითხვის ტახტზე იტყვის:

> ვინაიდან მშიოდა და საჭმელი მომეცით; მწყუროდა და მასვით; უცხო ვიყავი და მიმიღეთ; შიშველი ვიყავი და შემმოსეთ; სნეული ვიყავი და მიპატრონეთ; საპყრობილეში ვიყავი და მომაკითხეთ. (მათ. 25:35-36)

აქ თქვენ ხედავთ დიდების უფალს, რომელსაც ყოველგვარი ძალაუფლება უპყრია სამყაროში და მაინც ამბობს, რომ საჭიროება ჰქონდა. მისი საჭიროება ჩვენი, მისი საყვარელი ადამიანების საჭიროებაა. იგი ამბობს: „რაც ერთს ამ ჩემს უმცირეს ძმათაგანს გაუკეთეთ, მე გამიკეთეთ“ (მ. 40). შუამდგომლები, ფიზიკურად დახმარების გამწევნი, ღვთის გამათავისუფლებელი სიტყვის მოქადაგენი ტკივილებს კურნავენ ღვთის ძალით და შესაბამისად, ღვთის გულს დანარჩენებზე სწრაფად იპოვიან.

მიახლოება

იყო დრო, როცა ღვთის ერი გულმოდგინებით ეძებდა მას და ასეც კი თქვა უფალმა: „თუმცა ყოველდღე მეძებენ და სურთ გაიგონ ჩემი გზები“ (ეს. 58:2). იგი მაინც არ პასუხობდა. ხალხი დაინტერესდა, რატომ არ სურდა ღმერთს მათთან მიახლოება. ვერ მიმხვდარიყვნენ, რატომ არ პასუხობდა მათ ლოცვებს. შემდეგ მან თქვა:

> გეტყვით, რატომაც! იმიტომ, რომ საკუთარი თავისთვის ცხოვრობთ, თუმცა მარხულობთ. თქვენს მუშაკებს ავიწროებთ. კარგი რა არის მარხვაში, როცა ჩხუბსა და კამათს განაგრძობთ? (ეს. 58:3-4 NLT)

ყურადღება მიაქციეთ, რომ ისინი ჩხუბობდნენ და კამათობდნენ. მოდით, ისევ მივმართოთ ჩვენს საფლაგმანო მონაკვეთს ამ წიგნიდან: „მიუახლოვდით ღმერთს და ისიც მოგიახლოვდებათ!“ ნახავთ, რომ იაკობი ხსენებულ თავს ასე იწყებს:

> საიდან მომდინარეობს ბრძოლები და შეხლა-შემოხლანი თქვენს შორის, თუ არა თქვენივე გულისთქმათაგან, რომლებიც თქვენ ასოებს შორის იბრძვიან? გწადიათ და არ გაგაჩნიათ, კლავთ და გშურთ, მაგრამ ვერ აღწევთ საწადელს. იბრძვით და ომობთ, მაგრამ არ გაქვთ, რადგან არ ითხოვთ. ითხოვთ და ვერ იღებთ, რადგან ბოროტი განზრახვით ითხოვთ, რათა თქვენი გულისთქმებისთვის გაფლანგოთ. მრუშნო, განა არ იცით, რომ წუთისოფლის მეგობრობა ღვთის მტრობაა?! ასეა, ვისაც წუთისოფლის მეგობრობა სურს, იგი ღვთის მტერი ხდება ნუთუ გგონიათ, რომ ამაოდ ამბობს წერილი: „შურს იწვევს ჩვეში დავანებული სულის წადილი?“ თუმცა, უფრო მეტ მადლსაც იძლევა; ამიტომაც ამბობს: „ღმერთი ამპარტავნებს ეწინააღმდეგება, თავმდაბლებს კი მადლს ანიჭებს“. ამიტომ დაემორჩილეთ ღმერთს, წინ აღუდექით ეშმაკს და გაიქცევა თქვენგან! ღმერთს მიუახლოვდით და ისიც მოგიახლოვდებათ! (იაკ. 4:1-8)

და აი, ისიც აქ არის. აი, პრაქტიკული ნაბიჯი ნომერი პირველი: ჩვენი ცხოვრება უნდა დავკარგოთ მისი და სახარების გულისთვის. მისი სურვილებისთვის უნდა ვიცხოვროთ. ის უნდა გვიყვარდეს, რაც მას უყვარს და გვძულდეს, რაც სძულს. მისთვის მნიშვნელოვანი ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი უნდა გახდეს და რაც მისთვის არაარსებითია, ჩვენც ასე უნდა ჩავთვალოთ. მისი გული უნდა გავითავისოთ!

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ჩვენს ცხოვრებაში აღარ იქნება დრო პირადი განახლებისთვის? ნუთუ ღმერთი უარყოფს მისი ხალხის აღდგენას და დასვენებას? რასაკვირველია, არა! წმიდა წერილი გვეუბნება, რომ ღმერთი „ყველაფერს უხვად იძლევა გასახარად“ (1 ტიმ. 6:17). მხოლოდ მაშინ ვკარგავთ უფლის გულთან კავშირს, როცა საკუთარი გულისთქმების განხორცილება გვინდა მისი სურვილების უგულებელყოფის ხარჯზე.

ზოგიერთები დარწმუნებული არიან, რომ ღვთის სურვილებს არ ვასრულებთ, თუ ღარიბებს ფიზიკურად არ ვეხმარებით. თუ ეს მართალია, მაშ, რატომ თქვა პეტრემ შემდეგი სიტყვები ქვრივების სუფრების მომსახურების საჭიროების დადგომისას?

> „არ შეგვფერის ღვთის სიტყვის მიტოვება და სუფრების მომსახურება. ამიტომ, ძმებო, ამოირჩიეთ თქვენგან შვიდი სარწმუნო, სულიწმიდით და სიბრძნით სავსე კაცი, და ისინი დავადგინოთ ამ საქმეზე! ჩვენ კი, ლოცვასა და სიტყვის მსახურებას მივუძღვნათ თავი“ (საქმ. 6:2-4).

პეტრემ გაიაზრა, რომ იქნებოდნენ ადამიანები, ვინც ღარიბების საჭიროებების დაკმაყოფილებას ღვთის სიტყვის პურით მოინდომებდნენ, ხოლო სხვები მათ ფიზიკურ საჭიროებებს დააკმაყოფილებდნენ. და მაინც, ასეთებს აქვთ ერთი საერთო მახასიათებელი; ისინი იესოს საჭიროებებს აკმაყოფილებენ, „მშიოდა და მაჭამეთ ...“.

ვისაც გული ღვთის ინტერესების შესრულებისთვის უძგერს, მასთან გაცილებით ადვილად მიდის. მოსე ასეთი კაცი იყო, რადგან ღვთის ერს უფლის ინტერესების გათვალისწინებით მწყემსავდა, მგრძნობიარე იყო მისი გულის მიმართ და მასთან ნაყოფიერი მოზიარეობა ჰქონდა.

ღმერთმა იოშიაზე ილაპარაკა, რომელიც კარგი წინამძღოლი იყო: „ჩაგრულსა და ღარიბ-ღატაკს განიკითხავდა და სიკეთე ჰქონდა. განა ეს არ არის *ჩემი შეცნობა*? ამბობს უფალი. (იერ. 22:16, *ავტორისეული ხაზგასმა*)

ვინც თავის მსახურებას კარგად ასრულებს, ეხმარება, მართავს, ასწავლის, განაგებს, გასცემს თუ რასაც არ უნდა აკეთებდეს, უფრო ადვილად მიუახლოვდება ღმერთს, ვიდრე საკუთარი ცხოვრებისეული გეგმების მიმდევარნი, რომლებიც ზოგჯერ ამისთვის მსახურებასაც კი იყენებენ. თავად ღმერთმა თქვა ამაზე: „განა ეს არ არის ჩემი შეცნობა?“

ახლოს მოიწიეთ მოსასმენად

მომდევნო პრაქტიკული რჩევა მათთვის, ვისაც ბატონთან ახლოს მისვლა სურს, შემდეგ მონაკვეთში ჩანს:

> დაუკვირდი შენს ნაბიჯებს, როდესაც ღვთის სახლისაკენ მიემართები, უმჯობესია მოსასმენად მიეახლო, ვიდრე უგუნურთა მსხვერპლი შესწირო, რადგან არ იციან მათ, ბოროტს რომ სჩადიან! ნუ იჩქარებ შენი ბაგით და შენი გული ნუ ისწრაფებს სიტყვის წარმოთქმას ღმერთის წინაშე, რამეთუ ღმერთი ცაშია, შენ კი დედამიწაზე ხარ – ამიტომ მცირე იყოს ნათქვამი შენი! როგორც სიზმარი მოჰყვება მრავალ საზრუნავს, ისე უგუნურის ხმა - მრავალსიტყვაობას. (ეკლ. 5:1-3)

მოდით, ამ მუხლების პირველი ნაწილი გამოვყოთ! ჩვენ ასე ვკითხულობთ: „უმჯობესია მოსასმენად მიეახლო, ვიდრე უგუნურთა მსხვერპლი შესწირო“. აღმოვაჩინე, რომ ბევრი ადამიანი ღმერთთან მიახლოების ყოველ ჯერზე ლაპარაკობს ან გალობს. რა თქმა უნდა, ეს ქმედითი ნაბიჯებია, მაგრამ მივხვდი, რომ მასთან ჩუმად მისვლასა და მოსმენაში, სანამ საერთოდ ხმას ამოვიღებდე ან ქების საგალობელს მივუძღვნიდე, დიდი წარმატება დევს.

ამას წინათ ერთი დიდი და ძლიერი ეკლესიის მწყემსთან

ვიყავი. სადილზე მან მითხრა: – ჯონ, იქამდე მივედი, რომ ერთხელ უფალს ვუთხარი: „დავიღალე ყოველ დილით ამ ოთახში შემოსვლით და საკუთარი ლაპარაკის მოსმენით, რასაც პასუხი არ მოჰყვება. სანამ არ დამელაპარაკები, უბრალოდ, შემოვალ ყოველ დილით და მოგისმენ“.

ამ საქმეს რამდენიმე დღე დასჭირდა, რადგან უფალი მის გულწრფელობას ამოწმებდა. ერთ დილას შევიდა თავის ოთახში და მოულოდნელად სულიწმიდა დაელაპარაკა. ეს სწორედ ის დრო იყო, როცა ღმერთმა ყველაზე ძლიერი გამოცხადებები მიაწოდა, რომელიც კი ოდესმე მისგან მიუღია და თავის ხალხს რამდენიმე კვირის განმავლობაში უზიარებდა. მისმა ლოცვითმა ცხოვრებამ რევოლუცია განიცადა.

ვისწავლე, რომ ღვთის თანდასწრებაში შესვლის ძალზე ეფექტური ხერხია ბიბლიის მონაკვეთების (განსაკუთრებით, ფსალმუნებისა და ახალი აღთქმის მუხლების) კითხვა; ბევრი საჭირო არ არის, ერთიც საკმარისია; ზოგჯერ – ნახევარიც. იფიქრეთ და გადახარშეთ გონებაში. შემდეგ მეორე მუხლი წაიკითხეთ ნელ-ნელა და საბოლოოდ, უფლის თანდასწრება გამოვლინდება. ამ დროისთვის კითხვას ვწყვეტ და ყურადღება ღმერთზე გადამაქვს. ნებას ვაძლევ, რომ მასწავლოს ან მაჩვენოს მომავლის ამბები.

ნებისმიერ შემთხვევაში ძალზე ნაყოფიერია მის თანდასწრებაში შესვლისას მოსმენა და შემდეგ ლაპარაკი. ადრე მივსულვარ ხოლმე ქების მსახურებაზე, ჩემო გონება მომითოკია და შინაგან კაცში ჩამიხედავს ღვთის სურვილების ან განწყობის გასაგებად. შემდეგ გალობას ვიწყებ ქება-დიდების მსახურებთან ერთად. ეს ყოველთვის ასე არ ხდება, რადგან სხვა დროს მეყსეულად ვუახლოვდები მას მადლიერებით, ქებით ან ჩემი გულიდან გადმოღვრილი სიხარულით. ამ დროს თითქოს ღვთის სული მეუბნება: „დავიწყეთ!“ წერილი ასევე ამბობს:

> სამადლობელით წარვდგეთ მის წინაშე და სიმღერით ხოტბა შევასხათ მას! (ფს. 95:2)

და კიდევ,

> სიხარულით ემსახურეთ უფალს, მიდით მის წინაშე სიმღერით. (ფს. 100:2)

ამრიგად, ვიპოვეთ წმიდა წერილის ადგილები, რომლებიც უფლის თანდასწრების წინაშე გალობისა და მადლიერებისკენ მოგვიწოდებენ, თუმცა წინა მუხლები მასთან მოსასმენად მისვლას გვირჩევენ. ეს ყველაფერი დამოკიდებულია მის მიმართ მგრძნობიარეობაზე! შეუძლებელია ნაბიჯ-ნაბიჯ მითითებები მისცეთ ადამიანს, თუ როგორ უნდა უყვარდეს მეუღლე. ასევე შეუძლებელია კონკრეტული ინსტრუქციის მიღება ღმერთთან მიახლოებაზე.

წარმოგიდგენიათ კაცი, რომელსაც ჩამოწერილი აქვს ახალშერთულ ცოლთან დაახლოების წესები? იგი ამოიღებს ფურცელს და კითხულობს 1-ლ ნაბიჯს: უთხარით მას, რომ ლამაზია. ნაბიჯი 2: თმებზე ხელი გადაუსვით. ნაბიჯი 3: ჩააქრეთ შუქი. ნაბიჯი 4: (ვაი, ამის წაკითხვა შეუძლებელია; ფანარი უნდა წამომეღო!) რა სასაცილოა! მიუხედავად ამისა, ზოგიერთს მაინც სურს ლოცვის წესების ცოდნა. მათ სრულიად დაივიწყეს ღვთის გულის შეხებისა და შეგრძნების უნარი. არასწორად ნუ გამიგებთ. მართალია, ზოგიერთი მითითება წმიდა წერილიდან უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ ის გარკვევით ამბობს, რომ „ასო კლავს, სული აცოცხლებს“ (2 კორ. 3:6). ღვთის სულმა შეიძლება შუამდგომლობისთვის აღგვძრას, გვაგალობოს, გვაყვიროს, გვატიროს, გაგვაჩუმოს და ასე შემდეგ.

კიდევ ერთი რამ უნდა ითქვას. არ გვირჩევენ სიჩქარეს სათხოვრებსა და სიტყვებში. ამას ქვეყნიური ურთიერთობებიც გვასწავლის. როცა ვინმე ძალიან ბევრს წუწუნებს, დიდი ყურადღებით ვეღარ ვუსმენთ. თუმცა გონივრულად შერჩეული სიტყვები დაკვირვებით მოსმენისთვის განგვაწყობს, თუნდაც ადამიანი ხშირად მოგვმართავდეს. ამ მიზეზის გამო მირჩევნია ლოცვის უმეტეს ნაწილში ჩუმად ვიყო, ენებით ვილაპარაკო ან ღვთის სიტყვა ვაღიარო.

ვიცი, რომ ენებზე ლოცვისას ღვთის სრულყოფილი ნების შესაბამისად ვლოცულობ. სულიწმიდა მაძლევს სიტყვებს, რომლებიც ზეციერი მამის წინაშე იესოს სახელით უნდა წარმოვთქვა. შეუძლებელია, არასწორად ვილოცო ან ფუჭი სიტყვები გამოვიდეს ჩემი ბაგიდან, როცა სულში ვარ! ღვთის დაწერილი სიტყვის აღიარებისას, მთელი ჩემი არსება შენდება, რაც ჩემს გონებასაც მოიცავს! სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი გონებით ლოცვა.

თუმცა ღვთის თანდასწრებაში ყოფნისა და მოსმენისას ვიღებ გამოცხადებას, გაგებას და სიბრძნეს. რაოდენ მნიშვნელოვანია, რომ უფალს ჩვენთან დალაპარაკების დრო მივცეთ. წარმოგიდგენიათ ადამიანი, რომელიც ყოველი შეხვედრისას გაუჩერებლად ლაპარაკობს და ერთი სიტყვის წარმოთქმის საშუალებას არ გაძლევთ? ვფიქრობ, ზუსტად ასე გრძნობს თავს სულიწმიდა ზოგიერთ შემთხვევაში. ლაპარაკის გარდა მოსმენაც უნდა ვისწავლოთ. გახსოვდეთ, რომ ლოცვა დიალოგია და არა მონოლოგი!

გადაცემის სხვადასხვაგვარი ხერხები

როცა ღმერთი გვიახლოვდება, თავის თავსა და გზებს გვიცხადებს. იგი დიდ და მიწვდომელ საკითხებს გვაცნობს, რომლებიც არ ვიცით (იერ. 33:3). ამის გაგების გასაღებია იმის გაანალიზება, რომ ღმერთს გადმოცემის განსხვავებული ხერხები აქვს, როცა მოდის. ზოგჯერ მისი ლაპარაკი გვესმის. ეს შეიძლება იყოს გარკვეული ხმა გულში, რომელიც ხანდახან ფიზიკური ყურებით გაგონილ ხმაში გვერევა ან წყნარი ჩქამი, რომელიც გულის სიღრმიდან ამოდის და სხვა გზების მსგავსად, შინაგანი სიმშვიდე ახლავს, რომელსაც მხარს უმაგრებს ადგილი წმიდა წერილიდან. ზოგჯერ იგი სხვა მორწმუნის ან წინამძღოლის მხრიდან გველაპარაკება. ხანდახან მათი ნაწერების კითხვისას რაღაც იხსნება ჩვენს გულებში. მან შესაძლოა, არჩიოს ხილვის ან სიზმრის მოწოდება. სხვა დროს, და ვფიქრობ, არცთუ იშვიათად, მოდის ცოდნა საკითხებზე, რომლებიც აქამდე არ ვიცოდით. ხშირად ის გულში გვიდებს სიტყვას და დაფარული რჩება მანამ, სანამ ხმას არ ამოვიღებთ. როცა ბაგეს ვხსნით და ლაპარაკს ვიწყებთ, გონება გვინათდება.

სწორედ ასე მოუვიდა პეტრეს ორმოცდამეათე დღეს. სანამ ღვთის თანდასწრება მოვიდოდა მასზე, ღვთის სიტყვა მხოლოდ გონებით ჰქონდა მიღებული იმ გამოცხადების გარდა, რომელიც ღმერთმა იესო ქრისტეს პიროვნების შესახებ მისცა (მათ. 16). ამ გამოცხადების გარდა იგი შემაცბუნებელ აზრებს გამოთქვამდა ყოველ ჯერზე, როცა სულიერ საკითხებზე ლაპარაკს ცდილობდა. ზემო თვალში სულიერი მმართველობის აღებას შეეცადა, როცა იუდას სანაცვლოდ სხვა უნდა აერჩიათ. ნაყოფებით დადასტურდა, რომ გადაწყვეტილება უმწიფარი იყო, რადგან არჩეული ადამიანის შესახებ ბევრი აღარაფერი გაგვიგია. მოგვიანებით პავლემ საკუთარ თავზე თქვა, რომ „მეც გამომეცხადა, როგორც უდღეურს“ (1 კორ. 15:8). ჩანს, ის იყო ღვთიური არჩევანი იუდას ნაცვლად და არა პეტრეს უადგილო მცდელობა, რომ ღვთის კაცი კენჭისყრით აერჩიათ.

არსებითად, პეტრე სულიერად ყოველთვის კალაპოტიდან ამოვარდილი იყო. თუმცა ღმერთი რომ მიუახლოვდა, საფუძვლიანი და ძლიერი სიტყვა წარმოთქვა იოელისა და ფსალმუნთა წიგნიდან 120 ადამიანის თავს მომხდარის ასახსნელად. მას არ შეეძლო ასეთი ღრმაშინაარსიანი ქადაგების მომზადება ხალხის თავშეყრამდე რამდენიმე წუთით ადრე. მან მეყსეულად მიიღო ცოდნა, რომელიც იქამდე არ ჰქონია. არა მარტო პეტრემ, არამედ სხვებმაც დაიწყეს „ღვთის დიდ საქმეებზე“ ლაპარაკი, როცა ღვთის თანდასწრება მათზე გადმოვიდა (საქმ. 2:11).

არსებითად, მოახლოებისას ღმერთს ჩვენთვის გადმოცემის განსხვავებული ხერხები აქვს, მაგრამ ერთი რამ ცხადია – იგივე არასოდეს დავრჩებით ყოველ ჯერზე, როცა ის მოგვიახლოვდება.

საბოლოო სიტყვა

როგორც ამ წიგნის პირველ თავში არის ნახსენები, ეს სიტყვა არ გახლავთ ინსტრუქცია „როგორ გავაკეთოთ?“ რადგან ახლო ურთიერთობა ვერასოდეს აღიწერება ნაბიჯ-ნაბიჯ დასაცავი პროცესით. უფრო საგანძურის რუკასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ღვთის გულისკენ მიჰყავხართ.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს წინასწამრეტყველური სიტყვაა, მისი გულის გამოძახილი, რომელიც ყველა ჩვენგანისკენ არის მიმართული, ვისთანაც ურთიერთობა მას ასეთი სიყვარულით და გულანთებულობით სწადია. თუ საკმარის ენერგიას და დროს გამოვყოფთ ღვთის სიტყვის რუკის შესასწავლად, რომელიც მან თავისი წიგნით გადმოგვიშალა, აუცილებლად ვიპოვით ღვთის გულსა და თანდასწრებას. გაიხსენეთ, რომ მისი მოახლოების დაპირება, თუ თავდაპირველად ჩვენ მივუახლოვდებით, არ არის სავარაუდო სცენარი! ეს მისი აღთქმის სიტყვაა, რომელსაც იგი ყოველთვის პატივს მიაგებს და მასზე უარს არ იტყვის.

ნება მომეცით, რომ წინამდებარე წიგნი წმიდა წერილის კიდევ რამდენიმე მუხლით დავასრულო, რომელიც მასთან დაახლოებისკენ გიბიძგებთ:

> მზაკვარნი საძაგელნი არიან უფლის წინაშე, წრფელებთან კი ახლობლობს იგი. (იგ. 3:32)

> ჩემთვის კი სასიკეთოა ღმერთთან სიახლოვე. (ფს. 73:28)

> ახლოსაა უფალი ყველასთან, ვინც მას მოუხმობს, ყოველთან, ვინც ჭეშმარიტებით მოუხმობს მას. მის მოშიშთა სურვილს ასრულებს, მათ ღაღადისს ისმენს და იხსნის მათ. ყველა მის მოყვარულს იცავს უფალი. (ფს. 145:18-20)

> მივიზიდავ და ისიც მომიახლოვდება; განა ვინმე შეძლებს, რომ თვითნებურად მომიახლოვდეს? ამბობს უფალი (იერ. 30:21)

გაბედულად მიუახლოვდით მას, რადგან უკვე გამოგიგზავნათ მარადიული მოპატიჟება. თავდადებით იღვაწეთ, რომ მის თანდასწრებაში დამკვიდრებულთა რიგებში აღმოჩნდეთ. იგი თქვენ გელოდებათ – თქვენ რას ელოდებით? მიუახლოვდით მას!

ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისგან და
უბიწონი წარგადგინოთ
თავისი დიდების წინაშე სიხარულით,
ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს
ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ,
დიდება, სიდიადე,
ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს,
და ახლა და უკუნითი უკუნისამდე.
ამინ!
(იუდ. 24-25)

კითხვები შესწავლისთვის

1. თავის წაკითხვამდე ოდესმე გიფიქრიათ, რომ ღმერთს „საჭიროებები“ აქვს? როგორ შეიძლება ამ საჭირობების მომსახურება?
2. რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის სულიწმიდის ლაპარაკის მოსმენა? მიუხედავად იმისა, რომ უხვად გაქვთ ქებისა და თაყვანისცემის საგალობლები და/ან სულით შთაგონებული წიგნები, ოდესმე გიცდიათ ღმერთთან მიახლოება სიჩუმით? იფიქრეთ და სცადეთ ასე დაახლოება! ჩამოწერეთ და სხვებსაც გაუზიარეთ ნასწავლი!
3. პირველ თავში ავტორი ამ წიგნს ღვთის გულისკენ მიმავალ განძის რუკას უწოდებს, რომელიც სრულიად განსხვავდება „როგორ მივუახლოვდეთ ღმერთს“ ინსტრუქციისგან, სადაც ნაბიჯების სახით არის გაწერილი მთელი პროცესი. როცა ნასწავლზე ფიქრობთ, რა საგანძური აღმოაჩინეთ? კიდევ რა განძის პოვნას ელოდებით?

დანართი ა

მხსნელის საჭიროება

ცხოვრების ორი სტანდარტი არსებობს: ერთი – საზოგადოებისთვის, ხოლო მეორე – ღვთისთვის. შესაძლოა, ჩვენმა კულტურამ „კარგ ადამიანად“ ჩაგთვალოთ მისი პარამეტრებით, მაგრამ რას ფიქრობს ღმერთი? წმიდა წერილი გვეუბნება, რომ არც ერთი ადამიანი არ შეესაბამება ღვთიური სიმართლის სტანდარტებს: „როგორც წერია: „არავინ არის მართალი.“ (რომ. 3:10) და ისევ: „ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას“ (რომ. 3:23).

ცოდვის ჩადენა ღვთიური სტანდარტის აცდენას ნიშნავს. ადამიანი შეცოდებისთვის არ შექმნილა. ადამმა ეს კურსი თავისუფალი ნებით აირჩია. ღმერთმა პირველი კაცი, ადამი ავადმყოფობის, სნეულების, სიღარიბისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისგან თავისუფალ მშვენიერ სამყაროში მოათავსა. იქ არ იყო შიში, სიძულვილი, ბრძოლა, შური და ა. შ. ღმერთმა ამ ადგილს ედემი უწოდა – ღვთის ბაღი.

ადამმა ღვთის დაუმორჩილებლობა არჩია და მეყსეულად მოკვდა სულიერად, თუმცა ფიზიკურად კიდევ ასწლეულები იცოცხლა. მის გულში სიბნელე შევიდა, ხოლო სულიერი სიკვდილი ფიზიკურისგან განსხვავდება, რადგან ამ დროს სხეული არსებობას წყვეტს. სულიერი სიკვდილი საუკეთესოდ აღიწერება როგორც ღვთისგან დაშორება, რომელიც არის ყოველგვარი სიცოცხლის წყარო და გამცემი.

ცოდვა შევიდა ადამის ბუნებაში და შვილებიც მის შესაბამისად შვა: „ადამმა ას ოცდაათი წელი იცოცხლა და თავის მსგავსად და ხატად შეეძინა ძე“ (დაბ. 5:3).

ის გახლდათ მამა და მისმა შთამომავლობამაც ადამის ბუნება დაიმკვიდრა. იქედან მოყოლებული, ყოველ ახალდაბადებულ ადამიანს მშობლებისგან წილად ხვდა ადამის ცოდვის ხატება. ადამმა საკუთარი თავი და შთამომავლობა ახალ ბატონს, სატანას გადასცა და ამ ტყვეობამ ფიზიკური სამყაროც მოიცვა. სასტიკმა ბატონმა ლეგალური პრეტენზია განაცხადა ღვთის საყვარელ ქმნილებაზე. ამას ნათელყოფს შემდეგი მუხლები: „აიყვანა იგი მაღალ მთაზე და ერთ წამში უჩვენა ქვეყნიერების ყველა სამეფო. უთხრა მას ეშმაკმა: „შენ მოგცემ მთელ ამ ხელმწიფებას და მის დიდებას, რადგან *მე მაქვს მოცემული* და, ვისაც მინდა, იმას ვაძლევ“ (ლუკ. 4:5-6, *ავტორისეული ხაზგასმა*).

ყურადღება მიაქციეთ, რომ ძალაუფლება მას აქვს მიცემული. როდის მიეცა? პასუხი ედემის ბაღში უნდა ვეძებოთ, რადგან ღმერთმა თავდაპირველად ადამიანს მისცა დედამიწაზე ბატონობა (იხილეთ დაბ. 1:26-28). ადამმა ყველაფერი დაკარგა ... საკუთარი თავისა და შთამომავლობის ჩათვლით მრავალ თაობაში. ისევ ვკითხულობთ: „მთელი ქვეყნიერება ბოროტებაში წევს“ (1 იოან. 5:19).

სანამ ღმერთი ადამს ბაღიდან გამოუშვებდა, აღთქმა მისცა. მხსნელი აღდგებოდა და კაცობრიობას ბორკილებისა და ტყვეობისგან გაათავისუფლებდა, რომელსაც დაექვემდებარა.

ეს მხსნელი ოთხი ათასი წლის შემდეგ დაიბადა ქალწული მარიამისგან. ის ქალწული უნდა ყოფილიყო, რადგან იესოს მამა სულიწმიდა გახლდათ, რომლისგანაც ჩაისახა. იესო ბუნებრივი გზით რომ დაბადებულიყო, ისიც ადამის ცოდვის ტყვე გახდებოდა.

მისი მამა ღმერთი იყო, ხოლო დედა – ადამიანი. ამის გამო ის სრული ღმერთი და სრული ადამიანი გახდა. იესო საკუთარ თავს მუდამ „კაცის ძეს“ უწოდებდა. მართალია, იგი თავიდანვე მამასთან იყო, მაგრამ უარი თქვა ყოველგვარ ღვთიურ პრივილეგიაზე და განკაცდა, რომ ცოდვის გამოსასყიდად შეწირულიყო.

იესო ჯვარცმით ჩვენი ცოდვების სასჯელი იტვირთა, რომ ტყვეობისგან გავეთავისუფლებინეთ. წმიდა წერილი ამბობს: „რომელმაც ჩვენი ცოდვები თვითონ აზიდა ძელზე თავისი სხეულით, რათა ცოდვისათვის მკვდრებმა სიმართლისთვის ვიცოცხლოთ“ (1 პეტრ. 2:24).

საოცარია: ადამიანმა ღვთის წინააღმდეგ შესცოდა და მაინც ღმერთმა (განკაცებულმა) გადაიხადა მისი სასიკვდილო შეცდომის საფასური. წერილში ვკითხულობთ „ამგვარად, ვინც ცოდვა არ იცოდა, ის გახადა ცოდვად ჩვენ გამო, რათა ჩვენ გავხდეთ ღმერთის სიმართლე მასში“ (2 კორ. 5:20-21).

ხედავთ? აქ ნათქვამია, რომ შესაძლებელია გავხდეთ მართლები. თუმცა თავისუფლებას, რომლისთვისაც მან ასე დიდი საფასური გადაიხადა, ვერ მივიღებთ, სანამ გულით არ ვირწმუნებთ, რომ ჩვენთვის მოკვდა და მკვდრეთით აღდგა; სანამ ჩვენს უფლად არ ვაღიარებთ. აი, მაშინ ხდება ის ჩვენი მხსნელი. როგორც წერილი ამბობს: „ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. ისინი იშვნენ არა სისხლისგან, არა ხორცის ნდომისგან, არა მამაკაცის ნდომისგან, არამედ ღვთისგან“ (იოან. 1:12-13).

როცა იესო ქრისტეს პირად უფლად და მხსნელად ვიღებთ, ვკვდებით და სულიერად ხელახლა ვიშვებით. ვკვდებით როგორც სატანის სამეფოს მონები და ღვთის ახალ შვილებად ვიბადებით მის სამეფოში. ეს როგორ ხდება? მარტივად. როცა გულით გვწამს, მხოლოდ ის დაგვრჩენია, რომ ბაგეებით ვაღიაროთ იესო ჩვენს უფლად და ზეციდან ვიშვებით. ამას წერილიც ადასტურებს: „თუ შენი ბაგით აღიარებ, რომ იესო უფალია, და შენი გულით ირწმუნებ, რომ ღმერთმა მკვდრეთით აღადგინა იგი, გადარჩები. ვინაიდან გულით სწამთ სიმართლე, ხოლო ბაგით აღიარებენ გადასარჩენად. (რომ. 10:9-10).

აი, ასე მარტივადაა საქმე! კეთილი საქმეებით ვერ გადავრჩებით. ისინი არ უზრუნველყოფენ ჩვენს ადგილს ცათა სამეფოში. ეს რომ მართალი იყოს, ქრისტე ტყუილად მომკვდარა. მხოლოდ მისი მადლით ვართ გადარჩენილი. ეს დაუმსახურებელი საჩუქარია. ერთადერთი, მისი მიღება გვმართებს, რის გამოც უარს ვამბობთ საკუთარი თავისთვის

ცხოვრებაზე და სიცოცხლეს ღმერთს ვუძღვნით, როგორც უფალს, რაც უზენაეს ბატონს ნიშნავს. „ქრისტე კი ყველასთვის მოკვდა, რათა ცოცხლებმა თავიანთთვის კი აღარ იცოცხლონ, არამედ იმისთვის, ვინც მათთვის მოკვდა და აღდგა“ (2 კორ. 5:15).

ამრიგად, თუ ირწმუნებთ, რომ ქრისტე თქვენთვის მოკვდა, ასევე თანახმა ხართ, რომ სიცოცხლე მას მიუძღვნათ და საკუთარი თავისთვის აღარ იცხოვროთ, შეგვიძლია, ერთობლივი ლოცვით ვილოცოთ და თქვენ ღვთის შვილი გახდებით:

ზეციერო ღმერთო, ვაღიარებ, რომ ცოდვილი ვარ და შორს ვდგავარ შენი სიმართლის სტანდარტებიდან! ჩემი ცოდვებისთვის საუკუნო სასჯელს ვიმსახურებ. მადლობა, რომ ამ მდგომარეობაში არ დამტოვე! მჯერა, რომ იესო ქრისტე, ქალწული მარიამისგან დაბადებული შენი მხოლოდშობილი ძე გამოგზავნე დედამიწაზე ჩემი სასჯელის ჯვარზე ასატანად. მჯერა, რომ იგი მესამე დღეს აღდგა და ახლა შენს მარჯვნივ ზის როგორც ჩემი უფალი და მხსნელი. ამრიგად, დღეს ჩემს ცხოვრებას მთლიანად იესო ქრისტეს უფლობას გადავცემ.

იესო, ჩემს უფლად და მხსნელად გაღიარებ! შემოდი ჩემს ცხოვრებაში შენი სულით და მაქციე ღვთის შვილად! ვინანიებ სიბნელის საქმეებს ჩემს ცხოვრებაში. ამ დღიდან მოყოლებული აღარ ვიცხოვრებ საკუთარი თავისთვის, არამედ შენთვის, რომელმაც საკუთარი თავი გასწირე, რომ მარადიულად მეცოცხლა.

მადლობა, უფალო! ახლა ჩემი ცხოვრება მთლიანად შენს ხელში და გულშია და შენი სიტყვის თანახმად, არასოდეს ვიქნები შერცხვენილი.

ახლა ხსნა მიიღეთ; უკვე ღვთის შვილი ხართ. მთელი ზეცა ხარობს თქვენთან ერთად ამ წუთს! კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება ღვთიურ ოჯახში!

დანართი ბ

როგორ ავივსოთ სულიწმიდით

სულიწმიდის სისავსის მიღება ისეთივე ადვილია, როგორც იესოს უფლად და მხსნელად მიღება. ზოგიერთი იტანჯება, იმედგაცრუებულია და როგორც წესი, ვერაფერს იღებს ღვთის წინაშე ამ სათხოვრის მიტანამდე საბაზისო სულიერი მითითებების უგულებელყოფის გამო. მივხვდი, რომ უმჯობესია მაძიებელს ლოცვამდე ავუხსნა, რას ამბობს ღმერთი, რადგან ეს საჭირო რწმენას ავითარებს. სანამ ლოცვაში გაგიძღვებოდეთ, ნება მომეცით, მითითებები მოგცეთ. (შენიშვნა: მნიშვნელოვანია, რომ მე-11 თავი დაასრულოთ, სანამ გააგრძელებდეთ).

პირველი და უმთავრესი, იესო უკვე მიღებული უნდა გყავდეთ პირად უფლად და მსხნელად (იხილეთ იოან. 14:17).

თქვენს ცხოვრებაში არ უნდა არსებობდეს დაუმორჩილებლობის ჩვევაში გადაზრდილი ცოდვა. წერილი გვეუბნება, რომ ღმერთი თავის სულს „მის მორჩილთ“ უბოძებს (საქმ. 5:32). გამოცდილებამ მაჩვენა, რომ ეს განსაკუთრებით უპატიებლობის სფეროს შეეხება. ჩვენს შეკრებებზე ბევრჯერ მინახავს ასობით ადამიანი, რომელიც მეყსეულად ალაპარაკდა სხვადასხვა ენებზე, მაგრამ ათი-ოცი კაცი შეფიქრიანებული დგას. თითქმის ყველა ასეთ შემთხვევაში უფალი მიმიძღვის,

რომ ამ ადამიანებმა გულში დაგროვილი წყენა მოიშორონ. როგორც კი მაძიებელი სხვებს პატიებს, მაშინვე იღებს სულიწმიდის სისავსეს და ენებით ლაპარაკს იწყებს. ამრიგად, სანამ გავაგრძელებდეთ, ერთად ვილოცოთ:

მამა, გთხოვ, გამოიკვლიო ჩემი გული და ნახო, ხომ არ არის იქ რაიმე სახის დაუმორჩილებლობა?! გთხოვ, მაჩვენე პიროვნება, რომელსაც პატიება დავუკავე! გადაწყვეტილი მაქვს, დაგემორჩილო და ვაპატიო მიუხედავად იმისა, თუ რას მაჩვენებ. ამას გთხოვ იესოს სახელით და ყველაფრისთვის მადლობას გიხდი!

სულიწმიდის მისაღებად მხოლოდ თხოვნაა საჭირო! იესომ უბრალოდ თქვა: „რომელი თქვენგანი იქნება ისეთი მამა, რომ შვილმა თევზი სთხოვოს და მან თევზის ნაცვლად გველი მისცეს? ანდა პური სთხოვოს და ქვა მისცეს? ანდა კვერცხი სთხოვოს და მორიელი მისცეს? ჰოდა, თუ თქვენ, ბოროტებმა იცით თქვენი შვილებისთვის კეთილ მისაცემთა მიცემა, მითუმეტეს ზეციერი მამა მისცემს სულიწმიდას იმათ, ვინც სთხოვს“ (ლუკ. 11:11-13). იგი ასე ამბობს: თუ შვილები რაღაცას ითხოვენ, რის მიცემაზეც თანახმა ვართ, არ მივცემთ ცუდს და სხვას. ზუსტად ასევე, თუ ზეციერ მამას სულიწმიდას ვთხოვთ, ის ბოროტ სულს არ მოგცემთ. ერთადერთი, რაც გჭირდებათ, არის იესოს სახელით თხოვნა და სულიწმიდას მიიღებთ.

რწმენით უნდა ითხოვოთ. ახალი აღთქმა გვეუბნება, რომ შეუძლებელია ღვთისგან რაიმეს მიღება რწმენის გარეშე. იაკ. 1:6-7 გვეუბნება: „ოღონდ რწმენით და ეჭვის გარეშე სთხოვოს, რადგან ეჭვიანი ზღვის ტალღას ჰგავს, ქარით ატანილსა და მიმოტაცებულს. ნუ ჰგონია ასეთ კაცს, რომ ღვთისგან რაიმეს მიიღებს“. ახლა კითხვა დაუსვით საკუთარ თავს, „როდის მივიღებ? მაშინ, როცა ენებზე ავლაპარაკდები თუ მაშინ, როცა ვითხოვ?“ პასუხი ასეთია: მაშინ, როცა ითხოვთ! ცათა სამეფოში, ჯერ გვწამს და შემდეგ ვიღებთ. ვისაც რწმენა არ აქვს, ასე იტყვის: „მაჩვენე და ვირწმუნებ!“ მაგრამ იესო ამბობს: „ამიტომ გეუბნებით: ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ, გწამდეთ, რომ მიიღებთ და მოგეცემათ!“ (მარკ.

11:24). დააკვირდით, რომ ჯერ უნდა ირწმუნოთ და შემდეგ მიიღებთ, რასაც ითხოვთ.

საქმ. 2:4 ამბობს: „ყველანი აღივსნენ სულიწმიდით და იწყეს ლაპარაკი სხვადასხვა ენებზე, როგორც სული ამეტყველებდა მათ“. ყურადღება მიაქციეთ, რომ ენებით ადამიანები ალაპარაკდნენ; სულიწმიდა არ ლაპარაკობდა ენებით. ეს მათ უნდა გაეკეთებინათ, როგორც სული აწვდიდა სიტყვებს. ამრიგად, აქ დამორჩილების საკითხიც დგას! შესაძლებელია სწრაფ მდინარეში ვიდგე, მაგრამ თუ ფეხებს მყარად დავადგამ და მდინარეს არ დავემორჩილები, ვერ შევცურავ. ასევე არსებობს სამი სფერო, რომელიც მას უნდა დავუმორჩილოთ: პირველი, ჩვენი ბაგეები. თუ ბაგეებს არ ავამოძრავებთ, სიტყვები არ გამოვა, მშობლიური ენა იქნება, უცხო თუ ზეციური. მეორე, ჩვენი ენა. თუ ენას არ ავამოძრავებ, ვერ ვილაპარაკებ. მესამე, ჩვენი სახმო იოგები. თუ ჩემს სახმო იოგებს ფილტვებს არ დავუმორჩილებ, ვერ ვილაპარაკებ.

ამ ეტაპზე შეიძლება იფიქროთ, რომ სარკასტულად ვსაუბრობ, მაგრამ ასე არ არის. წლების მანძილზე ვუყურებდი ადამიანთა წვალებას. მივხვდი, რომ ბევრი ელოდება, როგორ ჩაეჭიდება სულიწმიდა მათ ბაგეებს, ენას და სახმო სიმებს და აალაპარაკებს. არა, არა, ჩვენ ვლაპარაკობთ ანუ ვემორჩილებით და ის გვაძლევს სიტყვებს.

იესო ამბობს, „ვისაც ჩემი სწამს, როგორც წერილი ამბობს, ცოცხალი წყლის მდინარეები იდინებენ მისი მუცლიდან“. ეს მან იმ სულზე თქვა, მის მორწმუნეებს რომ უნდა მიეღოთ, რადგან ჯერ არ იყო მოცემული სული, რაკი ჯერ არ განდიდებულიყო იესო“ (იოან. 7:38-39). როცა სულიწმიდას ითხოვთ, შესაძლოა, ბაგეზე ბგერებიც მოგადგეთ ან თავში გიტრიალებდეთ. თუ რწმენით წარმოთქვამთ მას, დამბის გახსნის მსგავსი იქნება და ენა გადმოხეთქავს. თითქოს თქვენს შინაგანში ძაფის კოჭა დევს და მისი წვერი ენაზე გედებათ. როცა მოქაჩვას (ანუ ლაპარაკს) დაიწყებთ, დარჩენილი ძაფიც ამოდის. ზოგიერთებს ჰქონიათ, რომ მათ გონებაში მთელი ენა დევს და ყველაფერი უნდა ამოთქვან. არა, ჩვენ ვიწყებთ რწმენით ლაპარაკს.

მახსოვს, როცა ჩემმა ცოლმა სულიწმიდის მისაღებად ილოცა, გარკვეული დროის მანძილზე არაფერი მოხდა. რამდენიმე

კვირის შემდეგ ის და მისი მეგობრები ლოცულობდნენ და ლიზა ენებით ალაპარაკდა. მან მითხრა: „ეს მარცვალი მთელი ეს დრო თავში მიტრიალებდა, მაგრამ ამ საღამომდე არ დავემორჩილე.“ დარწმუნებული ვარ, სხვების შემთხვევაშიც ასე ხდება – ითხოვენ, იღებენ, მაგრამ ვერ ემორჩილებიან. წერილი ამბობს: „წინასწარმეტყველნი [მქადაგებლები] იმორჩილებენ თავიანთ სულებს. (1 კორ. 14:32). ეს მუხლი გვეუბნება, რომ ვლაპარაკობთ ჩვენ და არა სულიწმიდა. ის საკუთარ თავს არ გვახვევს. მახსენდება დღე, როცა სულიწმიდით ავივსე და შემდეგ არ ვიცოდი კიდევ როგორ მელაპარაკა. სხვა ძმასთან მივედი ფიტნეს-დარბაზში და ვკითხე:

– კიდევ როგორ ვილაპარაკო?

მან მიპასუხა:

– ჯონ, უბრალოდ, დაიწყე!

გამოვედი, რომ მერბინა და ამ დროს ისევ დავიწყე ენებზე ლაპარაკი. სიხარულმა ამავსო. უნდა გვახსოვდეს, რომ სულიწმიდა ყოველთვის მზად არის დასაწყებად, მხოლოდ ჩვენ უნდა დავუთმოთ თავი. ეს წყლის შადრევანს ჰგავს. წყალი ყოველთვის იქ არის. მხოლოდ თავაკს უნდა დააჭიროთ ხელი და წყალი წამოვა. ამრიგად, ხშირად ილოცეთ ენებით!

ახლა, რაკი საბაზისო ინფორმაცია გაქვთ წმიდა წერილიდან და დარწმუნებული ხართ, რომ მიიღებთ, ერთად ვილოცოთ. და ბოლო საკითხი: მშობლიურ ენასა და ესპანურზე ერთდროულად ვერ ილაპარაკებთ. ასევე შეუძლებელია მშობლიურსა და ენებზე ერთდროული ლაპარაკი. გახსოვდეთ, რომ უნდა ირწმუნოთ და დამორჩილდეთ! დავიწყოთ:

ზეციერო მამა, იესოს სახელით მოვდივარ შენს წინაშე შენი შვილი! შენ მითხარი, რომ სულიწმიდას მომცემდი, თუ ამის შესახებ გთხოვდი. ახლა სიხარულით და რწმენით გთხოვ, რომ მომნათლო სულიწმიდით და ამ წუთიდანვე ამავსო შენი სულით! ყველაფერს ვიღებ შენგან ენებზე ლაპარაკის უნარის ჩათვლით. ამრიგად, რწმენით ვიწყებ ახალ ენებზე ლაპარაკს! ამინ!

მარადისობით ამოძრავებულნი

გახადეთ თქვენი ცხოვრება ღირსეული

დღეს და სამარადისოდ

ერთ დღესაც ღვთის წინაშე წარსდგებით და თქვენი ცხოვრების ანგარიშს ჩააბარებთ. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვა, რომელიც საკუთარ თავს ახლა უნდა დაუსვათ, შემდეგია: იმ დროს მზად ვიქნები?

ქრისტიანთა უმეტესობამ იცის, რომ ჯვარცმაზე მათი გამოხმაურება განსაზღვრავს მათ ხვედრს მარადისობაში. და მაინც, იცით თუ არა, რომ მარადისობაში თქვენს ადგილს თქვენი ამჟამინდელი ცხოვრების საქმეები განსაზღვრავს?

ღმერთს სურს, რომ აღმოაჩინოთ თქვენი მოწოდება – მას არ სურს სიბნელეში იყოთ. ფაქტობრივად, მას მთელი გულით სწადია, რომ იპოვოთ აზრი და მიზანი, რაც დედამიწაზე თქვენი ადგილის გაცნობიერებით მოდის.

უკანასკნელი ამოსუნთქვის შემდეგ დაწყებული ცხოვრება დანიშნულების ადგილზე მეტია. ნუ მოიცდით იქამდე, სანამ ძალზე გვიანი არ იქნება. აღმოაჩინეთ ღვთისგან ბოძებული ხვედრი მარადისობაში და თქვენი ცხოვრება ღირსეული გახადეთ დღეს და სამარადისოდ.

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

აფაბელი

აუდიო სპექტაკლი

„აფაბელი“ ჯონ ბევირის ეპიკურ-ალეგორიული ნაწარმოები გახლავთ. იგი სარკმელს წარმოადგენს, რომელიც ამქვეყნიური რეალობის მიღმა გვახედებს და ღვთის სამეფოს მრავალ ჭეშმარიტებას ცოცხალი სახით წარმოგვიდგენს.

მორწმუნეთათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მარადიულობის თვალთახედვით ცხოვრებას, მიუხედავად იმისა, რომ მისი აღქმა ძნელია. თქვენც შეუერთდით დიდებულ მეფე ჯეილინს, ბნელეთის ბატონ დაგონს, მოწყალებას, დამოუკიდებელსა და სხვებს. აღმოაჩინეთ აფაბელის საოცარი ტერიტორიები და გარესკნელის საშინელი მიწა ლონი. თქვენი ცხოვრება გარდაიქმნება, როცა ზემოხსენებული პერსონაჟების ამბავი თქვენს საკუთარ გულისნადებს გამოავლენს.

აფაბელის აუდიო სპექტაკლის ეპიზოდები მეტად მიმზიდველი მოსასმენია და წიგნის (*მარადისობით ამოძრავებულნი)* დინამიურ და თვალსაჩინო ნაწილს წარმოადგენს.

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

გაანადგურე კრიპტონიტი!

გაანადგურე ძალის მპარავი!

სუპერმენის მსგავსად, რომელსაც ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვა და მტრის დამარცხება შეუძლია, ქრისტეს მიმდევრებსაც აქვთ გამოწვევების წინაშე დგომისა და გამარჯვების ზებუნებრივი უნარი. თუმცა, ჩვენსა და ამ გმირის ცხოვრებაში ერთი საერთო პრობლემა არსებობს. ეს გახლავთ კრიპტონიტი, რომელიც ძალას გვპარავს.

რასაკვირველია, სუპერმენი და კრიპტონიტი ფანტაზიის სფეროს მიეკუთვნება, მაგრამ სულიერ კრიპტონიტზე იგივეს ვერ ვიტყვით.
ეს წიგნი პასუხებს გვთავაზობს კითხვაზე, თუ რატომ არ აქვს ბევრ ჩვენგანს ღვთიური ძალა, რომელიც ასე თვალსაჩინო იყო პირველი საუკუნის ქრისტიანთა ცხოვრებაში.

წიგნში „გაანადგურე კრიპტონიტი!“, ჯონ ბევირი ააშკარავებს კრიპტონიტის რაობას, თუ რატომ მიდიან მასთან კომპრომისზე ჩვენს ეკლესიებში და როგორ უნდა გავთავისუფლდეთ მისი ბორკილებისგან.
არა სიმხდალისთვის, „გაანადგურე კრიპტონიტი“ სულიერი შაქრის ამწევია. ეს სერიოზული ჭეშმარიტებაა ნებისმიერი ქრისტეს მიმდევრისთვის, რომელიც ცდილობს ჩაეჭიდოს ტრანსფორმაციის გამომწვევ, თუმცა ღირსეულ გზას.

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

სადა ხარ,ღმერთო!

იპოვე ძალა და მიზანი შენს უდაბნოში!

შესაძლოა, ადრე ღვთის ხმა გესმოდათ, მაგრამ ახლა ის დუმს. რწმენაში წინ წაწევაც შეძელით, მაგრამ ახლა მისი თანდასწრება ვერსად გიპოვიათ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება უდაბნოში – ღვთისგან აღთქმის მიღებასა და მისი აღსრულების ხილვას შორის არსებულ ადგილზე.

თუმცა კარგი ამბავიც გვაქვს – ეს არ გახლავთ უმიზნო და ფუჭი მიწა. ღმერთი უდაბნოს თქვენი დანიშნულებისთვის მზადებისა და აღჭურვისთვის იყენებს – იმ შემთხვევაში, თუ მასზე სწორად გაიკვლევთ გზას. შესაძლოა, ბევრ ადამიანს განსხვავებული აზრი ჰქონდეს, მაგრამ ამ პერიოდის გავლა მხოლოდ ღვთის მოლოდინის საკითხი როდია. უდაბნოში გზის გასაკვლევად თქვენი ფუნქცია უნდა შეასრულოთ. დიდი ფუნქცია. და თუ არ გსურთ აქ უგზო-უკვლოდ ხეტიალი, უნდა იცოდეთ, რაში მდგომარეობს ის.

ბესთსელერების ავტორი ჯონ ბევირი ამ თვალისამხელი წიგნის მეშვეობით საკვანძო ბიბლიური მიგნებებით და საფუძველჩამყრელი ამბებით აღგჭურვავთ, რომ გამომშრალ და რთულ დროს ნავიგაციაში დაგეხმაროთ და იმ ყველაფერში შეაბიჯოთ, რაც ღმერთს თქვენთვის აქვს განსაზღვრული.

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

გაამრავლე ღვთისგან ბოძებული პოტენციალი

ოდესმე გიგრძვნიათ, თითქოს მხოლოდ მაყურებელი ხართ ღვთის სამეფოში? შესაძლოა, იცით, რომ არსებობს თქვენი საკეთებელი საქმე, მაგრამ ზუსტად ვერ გაგირკვევიათ, რა არის ეს. უმეტეს ჩვენგანს საკუთარ ცხოვრებაზე დიდი ზეგავლენის მოხდენა სურს, მაგრამ გარკვეული კითხვები ანუხებს:

- როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ ჩემს ცხოვრებაზე ღვთის ნებას არ ავცდი?
- რა როლს ასრულებს ჩემი უნიკალური ნიჭები ღვთის სამეფოს შენების საქმეში?
- როგორ დავრწმუნდე, რომ ღვთისგან ბოძებული პოტენციალის შესაბამისად ვცხოვრობ?
- არის თუ არა ჩემი მოწოდება ნაკლებად მნიშვნელოვანი, თუ „კათედრის მსახურებაში“ არ ვარ?
- როგორ უნდა დავიცვა წონასწორობა ღვთის მადლში დარჩენასა და მისი სამეფოსთვის გონივრული ნაბიჯების გადადგმას შორის?
- როგორ უნდა დავძლიო შიში და წინ წავიდე მაშინაც კი, როცა ეს გაურკვეველი და სარისკოა?

ამ ძირეული მნიშვნელობის წიგნში ბესთსელერების ავტორი, ჯონ ბევირი წმიდა წერილის გულმოდგინე კვლევას ეყრდნობა და შინაარსიან ისტორიებს იყენებს თქვენს დასახმარებლად, რომ სხვაგვარად იფიქროთ მოწოდებასა და ღვთისთვის მის მნიშვნელობაზე. როცა წიგნის ფურცლებს ჩაიკითხავთ, ღვთივბოძებული ნიჭების გამრავლებისთვის აღჭურვილი იქნებით და ნაბიჯს გადადგამთ
თქვენი პოტენციალის გამოსაყენებლად.

თუ მზად ხართ, რომ უმოქმედობა დიდი მიზნებისკენ სვლით
შეცვალოთ, თქვენი მოგზაურობა აქ იწყება.

ჩამოტვირთედ: **MessengerX.com**

სატანის სატყუარა

იცხოვრეთ წყენის საშინელი ხაფანგისგან თავისუფლებმა



სატანის სატყუარა წარმოაჩენს ერთ-ერთ ყველაზე შეცდომაში შემყვან ხაფანგს, რომელსაც მტერი იყენებს მორწმუნეების ღმერთის ნებიდან გადასაყვანად: წყენას. ადამიანების უმრავლესობა ისე არიან გაბმულები ამ ხაფანგში, რომ ვერც კი მიმხვდარან.

ნუ მოტყუვდები! ქრისტემ თქვა: „შეუძლებელია არ მოვიდნენ ცდუნებანი“ (ლუკ. 17:1). შენ ვერ აირჩევ განაწყენდები თუ არა, მაგრამ შენ ირჩევ, თუ რა იქნება შენი პასუხი ამაზე. თუკი წყენას სწორად მიუდგები, სიმწარის ნაცვლად გაძლიერებას გამოცდი. მხოლოდ სწორ პასუხს შეუძლია მოგცეს ძალა, რომ დაუბრკოლებელი ურთიერთობა გქონდეს ღმერთთან.

ამ უწყებით, ჯონ ბევირი ძალას გაძლევს დარჩე ღვთის ნებაში და გათავისუფლდე ეჭვისა და ნგრევისაგან. შენ შეგიძლია თავი დააღწიო გონების მსხვერპლობას და იცხოვრო სიმძიმისა და მარცხის ტვირთის გარეშე. ღმერთის მორჩილების უფრო მაღალი დონის აღმოჩენასთან ერთად, შენს ცხოვრებაში უხვად შემოვა პატიება,

ჩამოტვირთედ: MessengerX.com

MessengerX

დამოწაფეგის მოგზაურობა ყველასთვის და ყველგან



- **უფასოდ 120 სხვადასხვა ენაზე**
- ხელმისაწდომია როგორც, აპლიკაციით ისე ონლაინ რესურსის სახით
- თქვენი ზრდის ზედამხედველური რესურსები
- თქვენი ისტორიისა და დამოწაფეგის გზისთვის თვალის მიდევნეგა



მიილეთ დამოწაფეგის რესურსები მთელი მესინჯერ-ბიბლიოთეკა ელექტრონული წიგნეგის, აუდიო-წიგნეგის, მოკლემეტრაჟიანი ფილმეგის, ვიდეო სწავლეგის, ბიბლიეგისა და სხვათა სახით, რომ უყუროთ, წაიკითხოთ და მოუსმინოთ ყველა ციფრულ მოწყობილობაზე.

MessengerX.com

Download on the App Store

GET IT ON Google Play

მიილეთ მთელი მსოფლიოს მასშტაბით _ App Store და Google Play.

წიგნში, მიახლოება, ჯონ ბევირი მოგიწოდებთ, რომ არ დაკმაყოფილდეთ გამომშრალი ქრისტიანობით, რომელმაც იცის ფაქტები ღვთის შესახებ, მაგრამ მას ახლოს არ იცნობს. სამყაროს შემოქმედის წარმოუდგენელი მოწვევა არ გულისხმობს მხოლოდ შორიდან თაყვანისცემას სიტყვებით და რიტუალებით, არამედ მასთან ისეთი აზრიანი და ახლო ურთიერთობის დამყარებას, რომ ღვთის გულისნადები გესმოდეთ, ხოლო მას – თქვენი.

ეს შესაძლოა, ბიბლიის ყველაზე საოცარი აღთქმა იყოს ... ღმერთს თქვენი ძალზე ახლოს გაცნობა სურს.

ჯონი მსოფლიო მასშტაბის მქადაგებელი და ბესტსელერების ავტორი გახლავთ, რომელიც ცნობილია ღვთის სიტყვისადმი გაბედული და უკომპრომისო მიდგომით. ჯონ ბევირი და მისი მეუღლე, ლიზა – Messenger International-ის დამფუძნებლები არიან. ეს მსახურება ორიენტირებულია ქრისტეს მტკიცე მიმდევრების გამოზრდაზე, რომლებიც მთელ მსოფლიოს გარდაქმნიან. როცა ჯონი კოლორადოში, საკუთარ სახლში იმყოფება, ოჯახის წევრებთან ერთად კონკურენტული კარტის თამაშშია ჩაფლული ან ლიზას არწმუნებს, რომ გოლფს მიჰყოს ხელი.

MessengerX

უფასოდ ჩამოსატვირთად და ვიდეო რესურსებისათვისეწვიეთ **MessengerX.com**

MESSENGER INTERNATIONAL
MessengerInternational.org

წიგნი ავტორის საჩუქარია
და არ იყიდება

გსურს მეტი? დააკვირდე